ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი

თედო უთურგაიძე

ქართული ენის ისტორიული გრამატიკის მორფონოლოგიური და მორფოსინტაქსური ასპექტები

თბილისი
2013

ნაშრომში განხილულია ცვლილებები, რომლებიც ხდება მეტყველების ნაწილთა კატეგორიებში. ზოგადი არსით ეს კატეგორიები არსებითად უცვლელია ქართულ ძეგლებში ხანმეტი პერიოდიდან დღემდე, მაგრამ სერიოზული ცვლილება განიცადეს გამოხატულების პლანში. ცვლილება შეეხო ელემენტთა ღირებულებასაც სხვა გრამატიკულ ელემენტებთან კავშირის გაზრდის ან დავიწროების კვალობაზე.

აღნიშნული ცვლილებები საკმაოდ დეტალურად არის აღწერილი საენათმეცნიერო ლიტერატურაში. მათი განხილვისას არსებითად მიგვაჩნია კითხვა — რ ა ტ ო მ მ ო ხ დ ა ც ვ ლ ი ლ ე ბ ა?

დასმული კითხვის პასუხი მორფონოლოგიურ ცვლილებათა და მორფოსინტაქსურ გარდაქმნათა მიზეზების გახსნით უნდა გამოვლინდეს. ვცადეთ, ქართული ენის მკვლევართა ნააზრევზე დაყრდნობით გვეპასუხა ამ რთულ, მაგრამ არსებით კითხვაზე.

ზმნათა პარადიგმებში განხორციელებულ ენობრივ ცვლილებათა მესამე მიზეზის ფართო მასშტაბით წარმოდგენის ცდაც არის ნაშრომში, რის ჩვენებასაც ვცდილობთ აღმოსავლეთი საქართველოს მთის დიალექტებისა და ძველი ქართულის კლასიკური პერიოდის (IX, X სს) ზმნათა უღლების II სერიის ე. წ. „შერეული“ ფორმების შესახებ მსჯელობაში.

რედაქტორი: პროფესორი ლალი ეზუგბაია

© ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

დაიბეჭდა თსუ-ის გამომცემლობის სტამბაში

ISBN 978-9941-13-288-9

შესავალი

ძველი ქართულის ფორმაცვალებადი მეტყველების ნაწილები კარგად არის შესწავლილი. მათ ქართველ მეცნიერთა რამდენიმე თაობა იკვლევდა, არც უცხოელ მეცნიერთა ხელი მოჰკლებია ქართულ ენას.

ფორმაცვალებად მეტყველების ნაწილთა სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე შექმნილია ქართული ენის სახელთა და ზმნათა პარადიგმები, დადასტურებული ტექსტთა ჩვენებით.

ჩვენი მიზანია უკვე გამოვლენილ გენეტიკურ თვისებათა რეალიზაციის სახეობათა შედარება ენობრივ ეპოქათა მიხედვით.

ქართული ენის ცვლილებაში ცალკეულ ეპოქათა გამოყოფის კრიტერიუმად ვიღებთ S_2-ისა და O_3-ის მატერიალურად განსხვავებულ რეალიზაციასა და მათი განაწილების განსხვავებულ წესებს.

მატერიალური განსხვავება ეპოქათა მიხედვით ალომორფებში ვლინდება, განაწილების მიხედვით სხვაობა კი – ალომორფთა დისტრიბუციაში.

ნიშანთა და მათ რანგთა კანონიკურ სახეობებში ეპოქათა მიხედვით არაფერი იცვლება – ამ მხრივ ისინი იდენტურ ჩვენებას იძლევიან, მაგრამ განსხვავება თვალში საცემია მორფონოლოგიური და მორფოსინტაქსური ასპექტებით, რომლებიც, მიუხედავად ეპოქათა მიხედვით დიდი განსხვავებისა, ერთი საერთო მიმართულებით ვითარდებიან. ამიტომ მიზანი მათი გაერთმნიშვნელიანებაა, ანუ ჩვენება იმისა, რომ ყველა ეპოქაში ცვლილებათა გამომწვევი მიზეზები და თვით ცვლილებებიც იდენტურია მიმართულების მიხედვით.

მორფონოლოგიური ცვლილებები გამოწვეულია ენის გლობალურ სისტემაში მორფემათა რანგების სისტემისა და ფო-

ნემატური სისტემის ურთიერთზემოქმედებით. ცვლილებები არსებითად მარცვლიდან იწყება – ხორციელდება ცალკე მარცვლებშიც და მარცვალთა ურთიერთობებშიც. მარცვალი არის ის უჯრედი, რომელიც განაგებს გრამატიკულ ფორმათა* ჩამოსხმას გამოხატულების პლანში.

თუ რანგობრივი სისტემა ფონემატურად მიუღებელ მარცვლებს ქმნის, შესაძლებელია შინაარსის პლანის რომელიმე ელემენტი გამოხატულების გარეშე დარჩეს ან ელემენტთა რანგის ცვლილება გამოიწვიოს კონკრეტულ ფორმაში. უფრო ხშირად რანგთა სისტემა უცვლელია.

ელემენტთა კანონიკური რანგობრივი განაწილება ძალიან ხშირად ქმნის ფონემატურად მიუღებელ მარცვლებს. ამ დროს ფონემატური სისტემის დაწოლის შედეგად რომელიმე ელემენტს შეიძლება რანგი შეეცვალოს ან საერთოდ ამოვარდეს გამოხატულების პლანიდან, მაშინ როცა შინაარსის პლანში ძველებურად რჩება, რადგან მისი არსებობა იქ აუცილებელია. ასეთ შემთხვევაში მორფოლოგიას უწევს თავდახსნის საშუალებათა ძიება. სანიმუშოდ შეიძლება დასახელდეს S_2-ისა და O_3-ის {ჰ-} პრეფიქსი. S_2 ფორმალურად თანამედროვე ქართულში ორიოდ ფორმაშია შემორჩენილი, სხვაგან ის მატერიალურად ჩავარდნილია – არ ფიგურირებს გამოხატულების პლანში**, მაგრამ შინაარსის პლანში თავის ადგილზეა, როგორც ხანმეტ პერიოდში, როცა ის ყველგან იყო მარკირებული. ამას ხელს უწყობს S_1-ისა და O_3-ის მარკირება სუბიექტური წყობის ზმნებში, ობიექტური წყობის ზმნებში კი O_1-ისა და O_2-ის მარკირება, მაგალითად, /წერ/; შდრ. ვ-წერ და წერ-ს...

როგორც ითქვა, არის სხვა გზებიც შინაარსის შემონახვისა, როდესაც სიტყვაში თანხმოვანთა არაბუნებრივი კომპლექსის წარმოქმნის გამო შინაარსის რომელიღაც კომპონენტი კარგავს

---

* გრამატიკულ ფორმაში ვგულისხმობთ შინაარსისა და გამოხატულების პლანთა ერთიანობას

** /ჰ/ ქართულში სხვა ფონემებთან კომბინაციაში ვერ შედის ერთი მორფემის ფარგლებში.

ბგერით რეალიზაციას, ავიღოთ /მოსული/, მიმღეობის ამ ფორმას ძირეული კომპონენტი **ვალ/ვლ** აკლია, მაგრამ ფორმას ეს მნიშვნელობა არ მოაკლდა. ამ ფორმაში **მო-** ზმნისწინია, **ს-** საწყისის პრეფიქსია, **-ულ** მიმღეობის მაწარმოებელი, -ი კი – სახელობითი ბრუნვის ნიშანი*. მ ო ს უ ლ ი „რაც მოვიდა“, წ ა რ ს უ ლ ი // წ ა ს უ ლ ი „რაც წავიდა“, გ ა ს უ ლ ი „რაც გავიდა“... ცხადად ჩანს, რომ ამ მიმღეობათა ფორმებში „ვედ/ვიდ“ მნიშვნელობას არაფერი გამოხატავს. ამ მნიშვნელობის შემონახვას გამოხატულების პლანის დაუხმარებლად ენამ მიაღწია იმით, რომ ფორმიდან ამოვარდნილი ძირის ადგილზე **მხოლოდ „ვალ/ვლ“ მნიშვნელობა ჩასვა შინაარსის პლანში იმთავითვე****.

ძველ ქართულს ჰქონდა /ვ/-დაკარგული /მოსლული/ (< /მოსლვული/)*** და დისიმილირებული ვარიანტი ამ ფორმისა – /მოსრული/. ორივეგან შემონახული იყო ძირეული /ლ/ თავისი სახით ან დისიმილაციის შედეგად /რ/-ს სახით: „ძმაჲ შენი მოსლულ არს“ (ლ. 15, 27c), ჯრუჭ-პარხლის ვარიანტია „ძმაჲ შენი მოსრულ არს“. „ვეფხისტყაოსანში“, საერთოდ საშუალ ქართულში, მხოლოდ მ ო ს რ უ ლ ი იხმარება. ეს ფორმა დღემდე ჩვეულებრივ სახმარია მთის დიალექტებში.

ერთი მარცვლის ექსპლოზიურ და იმპლოზიურ ნაწილებში ერთი და იმავე /ლ/-ს არსებობამ (მოს-ლულ) დისიმილაციური გავლენით მთლიანად ჩააგდო მარცვლის ექსპლოზიური /ლ/ და

---

* ამ აღნაგობისაა შ ე ს ყ ი დ უ ლ ი , სადაც **ყიდ** ძირი ორივე პლანშია რეალიზებული.

** ეს მოხერხდა იმ საფუძველზე, რომ ოდენ ზმნისწინებით მხოლოდ ეს ერთი მნიშვნელობა გადმოიცემოდა: **მო** „მოდი“, **წა** „წადი“, **გა** „გადი“ (შდრ. „ვეფხისტყაოსანი“: „წა, შეები ხატაელთა“ (382, 2)...

*** **ვალ** ფუძეს საწყისად უნდა მოეცა ს უ ლ ა , რომელიც გვხვდება კიდეც (ჩქამიერთა მომდევნოდ /ვ/-ს ალოფონია [უ]; ს ლ ვ ა მიღებულია - **ავ**-თემისნიშნიან საწყისთა ანალოგიით (შდრ. კრძალვა, მსჭუალვა...). [ვ] ბგერა უნდა დაკარგულიყო როგორც /მოსლვულ/, ისე /მოსუ̯ლულ/ ფორმაში: პირველ ფორმაში [ვ] არაბუნებრივია [ლ]-ს მომდევნოდ და [უ] ხმოვნის წინ, მეორე ფორმაში დისიმილირებული [ლ]-ს დაკარგვის შემდეგ [უ̯] რჩებოდა [უ]-ს წინ, სადაც მისი ადგილი არ იყო და დაიკარგა (მოსუ̯ლულ > მოსუ̯ულ > მოსულ).

მივიღეთ თანამედროვე სალიტერატურო ქართულის /მოსულ/ ფუძე.

ნაშრომის ძირითად ნაწილში არაერთხელ გვექნება საშუალება, ვაჩვენოთ სხვადასხვაგვარი ფონეტიკური გარდაქმნები მორფოლოგიურ ელემენტთა მიერ შექმნილ ფონემატურად არაბუნებრივ მარცვლებში.

ძირითად ნაწილში საჭიროების მიხედვით განვიხილავთ ქართული ენის ფონემატურ სტრუქტურას, მორფემათა რანგობრივ სისტემას და გრამატიკულ ფორმათა იმ ცვლილებებს, რომელთაც ენა განიცდიდა ამ სისტემათა ურიერთზემოქმედების შედეგად ხანმეტ, ჰაემეტ, კლასიკურ ძველ ქართულში, საშუალ ქართულსა და ახალ ქართულში.

ეს ცვლილებები ყოველთვის კანონზომიერია რომელიმე სისტემის მიხედვით, რაც ეპოქათა მიხედვით მათი გაერთმნიშვნელიანების საშუალებას იძლევა მაშინაც კი, როცა ცვლილებები განსხვავებული მიმართულებისაა, ასე მაგალითად: ძველი ქართული /მშჯლდ/ ფუძე არაბუნებრივი /მშ/ კომპლექსით იწყება (არაბუნებრივია სონორი + ჩქამიერი პაუზის მომდენოდ). ასეთი დასაწყისის გამო სიტყვამ რამდენიმე სახის ცვლილება განიცადა და თანამედროვე ქართულში სხვადასხვა სახით გვხვდება: (1) მშუილდი > შვილდი – სალიტერატურო ქართულში დღეს ორივე დაშვებულია; (2) მშვილდი > ფშვინდი (ხევს., თუშ.), ანალოგიურია გარდაქმნა /მშ/ კომპლექსით დაწყებული ძველი ქართულის მშკნვიერ ფორმაშიც: მშკნვიერი > ფშვინვიერი. მსგავსი მაგალითის მოყვანა მრავლად შეიძლება (ძვ. ქართ. მსუენი, თუშ. ფსვენი „ხვლიკი", ძვ. ქართ. მხალი, იმერ. ფხალი და სხვ.).

შვილდი და ფშვინდი ვარიანტები /მშჯლდ/-ის განსხვავებული მიმართულების ფონეტიკურ ცვლილებათა შედეგია: /შვილდი/ მიღებულია /მ/-ს ჩავარდნით, /ფშვინდი/ კი /მ/-ს გარდაქმნით ჩქამიერი ნაპრალოვნის წინ ფონემატურად მისაღებ თანხმოვნად /შ/-ს წინ. მათ – ამ გარდაქმნებს აერთიანებს **არაბუნებრიობის** დაძლევა მარცვლის ფარ-

გლებში, რაც ორსავე შემთხვევაში სიტყვის ბუნებრივ ექსპლოზიურ დასაწყისს განაპირობებს. ანალოგიური მოვლენები სხვადასხვა ვარიანტით მრავლად განიხილება ძირითად ნაწილში.

რაც შეეხება ე. წ. „წმინდა" მორფოლოგიურ და სინტაქსურ მოვლენებს, ძირითადად განვიხილავთ ცვლილებებს მარკირების მიხედვით, ანუ გამოხატულების პლანს: იყო და აღარ არის; არ იყო და გაჩნდა – ამ მოვლენათა მიზეზი ფონემატური ან მორფოლოგიური კანონიკური წესების მოთხოვნაა: დავწერენთ (ჩუენ იგინი) რომ დავწერენით ფორმით შეიცვალა, მიზეზი ფონემატურია – პაუზის წინ არაბუნებრივი /SC/ თანამიმდევრობა გაითიშა ანაპტიქსური ხმოვნით; დამრჩეს (მე იგინი) ფორმაში რომ -**ნ** (სიმრავლის [-ენ] სუფიქსის ალომორფი) ჩაერთო, ეს მორფოლოგიის გავლენით მოხდა („ერთაი ესე ასმათი და დამრჩნეს* ორნი მონანი", „ვეფხის ტყაოსანი" UV, 593) – არ იყო და გაჩნდა პლეონასტური /-ნ/ ი-/ე- პრეფიქსიან პასივთა ანალოგიით.

ე- პრეფიქსიანი პასივის ფორმისთვის პლეონასტური /-ნ/ სუფიქსის დაკლება („წინ მავალნი დარაჯათა მათთა ზედა გარდეკიდეს"**, „ვეფხის ტყაოსანი", 1951, 1601, 1), რა თქმა უნდა, უნიშნო და დ′ონიანი პასივების ფორმაწარმოების გავლენით იყო შესაძლებელი – იყო და აღარ არის. თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენა ამ /-ნ/ სუფიქსს ([-ენ] სუფიქსის ერთ-ერთი ვარიანტი) საერთოდ აღარ ხმარობს.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ერთიმეორისგან რამდენიმე ასეული, ზოგჯერ ათასი და მეტი წლით დაცილებულ დროის ვერტიკალური ღერძის ჭრილთა განსხვავებულ წერტილებში მსგავსი, ზოგჯერ იდენტური, მოვლენების წარმოქმნა, რაც შეპირობებულია ენაში არსებულ გენეტურ თვისებათა მიერ შექმნილი წინაალმდეგობებიდან ერთი და იმავე გამოსავლის დამოუკიდებლად მიგნებით.

---

* უნიშნო ვნებითთა (reps. დ′ონიან პასივთა) /-ენ/~/-ნ/ ჩართული ფორმები კანონიკურია თუშური დიალექტისთვის.

** ძველი ქართულისთვის კანონიკურია გარდეკიდნეს.

I სერიის უზმნისწინო და ზმნისწინიან ფორმებში O_3^d-ის მარკირების წესები ხევსურულს ძველი სამწერლობო ენის ტრადიციით არ შემორჩენია, იგი დამოუკიდებლად განვითარდა ამ დიალექტში იმავე საფუძველზე, რომელსაც ძველი ქართული ემყარებოდა, რაზეც მიუთითებს ის, რომ ხევსურულს არა ჰქონია ლიტერატურული ტრადიცია და, რაც მთავარია, მეზობელ დიალექტებს (თუშურსა და ფშაურს) ეს წესები არ ახასიათებს.

ძველ ქართულსა და ხევსურულში O_3^d-ის ნიშნის არქონა I სერიის ფორმებში უკავშირდება ფონემატურ მოთხოვნას, რაც საერთოა როგორც სამწერლობო ქართულისთვის, ისე ქართული დიალექტებისთვის. თუშურში, მაგალითად, რომელშიც ეს მოთხოვნა ვერ განხორციელდა, მორფოლოგიის პრიმატია (ფონემატურ მოთხოვნას ყურადღება არ ექცევა) – O_3^d-ის ნიშანი ყველა პოზიციაში რეალიზდება თანხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან. ამის კვალი ძველ ქართულშიც ჩანს „ჰყოფს“ ტიპის ზმნებთან.

შენიშვნები ზოგ ფონემასთან დაკავშირებით

I. /ვ/ და /ჴ/ თანხმოვანთა სტატუსისათვის

ძველ ქართულში /ვ/-ს აქვს კბილბაგისმიერი [ვ] და წყვილბაგისმიერი [ṽ]* ალოფონები: [ṽ] იხმარებოდა ჩქამიერ თანხმოვანთა მომდევნოდ, სხვა პოზიციებში კი – [ვ].

ძველ ტექსტებში გვხვდება რამდენიმე (ათიოდ) გამონაკლისი, რომლებშიც ძირეულ ჩქამიერ თანხმოვანთა მომდევნოდ სწერია ვ და არა უ [ṽ] (ი. იმნაიშვილი, 1971, 6). უზუსტობა ორთოგრაფიას უნდა მიეწეროს და არა ორთოეპიას: (1) ამ სიტყვათა დაწერილობაში ხშირია ვ/უ ([ṽ]) მონაცვლეობა ძველსავე ტექსტებში (ცვალება /ცუალება, ქველი /ქუელი...); (2) ამ გამონაკლისთა ფონეტიკურ ცვლილებაში [ṽ]-ს

---

* /ვ/-ს წყვილბაგისმიერი ალოფონი და ხმოვანი /უ/ ქართულ სამსავე ანბანში საერთო გრაფემით გამოიხატებოდა: მრგლ. ⵓ, ნუსხ. ⴓ და მხედ. უ. ქართულ ტექსტებში წყვილბაგისმიერ ṽ-ს უმარცვლობის დიაკრიტიკული ნიშანი დაასვა ანტონ პირველმა. უფრო ადრე იტალიელმა მისიონერებმა ეს ნიშანი იხმარეს ქართულ-იტალიურ ტარნსლიტურაციულ ანბანში û სახით XVII საუკუნეში (თ. უთურგაიძე, 1999, 42).

თვისება ვლინდება და არა [ვ]-სი (უა>ო), მაგ., ხევს. ქონ დასცნა „ქვანი დასცნა“, ხევს. ტოპონიმი ქ ო ჯ ი დ ი , შდრ. თუშ. ქვაჯიდ̂ იმავე ადგილის სახელად; (3) პოზიციური ცვლილების მიხედვით [ვ]-სა და [უ]-ს ურთიერთმიმართება ზოგ ფუძესთან იდეალურად არის გამოკვეთილი, ასეთია ვ ა ლ ფუძე: მო-ვალ-ს (იგი), მაგრამ მო-**ხ**-უალ (შენ); საწყისი ამ ზმნისა არის მო-ს-ულა*; (4) პირთა S_1O_3 კომბინაცია ხანმეტ და ჰაემეტ ძეგლებში წარმოდგენილია /ხ-უ/ და /ჰ-უ/ სახით, სადაც /უ-/ პრეფიქსი S_1-ის {ვ-}-ს ალომორფია: მოხუგუარე, მოჰუგუარე „მოვჰგვარე“ (მე მას/მათ).

II. [ʃ] ფონეტიკური აღწერით სპირანტოიდია (გ. ახვლედიანი, 1999, 310), ფონემატურად /ჴ/ ხშული თანხმოვანია. სხვა თანხმოვნებთან სინტაგმატურ ურთიერთობებში იქცევა ხშულთა მსგავსად (თ. უთურგაიძე, 2009, 24).

III. /ი/ ხმოვნის ვარიანტები ძველ ქართულსა და დიალექტებში.

არალაბიალურ სხვა ხმოვანთაგან განსხვავებით, /ი/-ს ძველ ქართულში აქვს პოზიციური ვარიანტები: [ი] და [ჲ], [ი] თანხმოვანთა მომდევნოდ, [ჲ] ხმოვანთა მომდევნოდ სახელთა ბრუნების ფორმებში. /ი/-ს განვიხილავთ მ ა რ ც ვ ლ ი ს ა ს პ ე ქ ტ ი თ .

#-V პოზიციაში /ი/-ს გაუმარცვლობა (ი>ჲ) არ არის ბუნებრივი. ოთხთავის ტექსტებში უამრავი სახელია, რომელთა დასაწყისია **/ი/ + ხმოვანი**: იესუ, იოვანე, იაკობ, იუდა... ესენი და ანალოგიური დასაწყისის სხვა სახელები ასეულობით მეორდება ძველ ტექსტებში, მარტო ოთხთავებში იესუ 500-ზე მეტჯერ გვხვდება, ასევე ხშირია ი ო ვ ა ნ ე ნათლისმცემლის ხსენება; ხშირია ი ა კ ო ბ (იაკობ ალფესი, იაკობ ზებედესი) სახელის ხსენება; რამდენიმე ათეულჯერ იხსენიება ი უ დ ა (იუდა იაკობისი, იუდა ისკარიოტელი) და სხვ. – ყველა შემთხვევაში თავკიდური /ი/ ინარჩუნებს მარცვლოვანებას სხვა ხმოვანთა წინ, ე. ი. არ არის ბუნებრივი ჲ ე ს უ , ჲ ა კ ო ბ , ჲ ო ვ ა ნ ე ...

* ძველ ქართულში მოსლვა შექმნილია -ავ თემისნიშნიან ზმნათა ანალოგიით (ა. შანიძე).

ხმოვანთა წინ ი>ჲ დადასტურებულია 864 წლის სინურ მრავალთავში „ერთი გადამწერის ენაში... სულ რაღაც 5 ფურცლის მანძილზე“ (ი. იმნაიშვილი 1975, 15)*. საკუთარ სახელთა ფორმებში ი>ჲ პაუზის მომდევნოდ (სიტყვის დასაწყისში) ხმოვანთა წინ აქა-იქ სხვა ტექსტებშიც დასტურდება (მაგ., ჲოვანე), მაგრამ კანონიკური ტექსტები საკმაოდ მკაცრად იცავენ /ი/-ს მარცვლოვანებას სხვა ხმოვანთა წინ პაუზის მომდევნოდ. ამას ემატება C–V პოზიციაც პაუზის მომდევნოდ (#C–V), როგორიცაა: მიერ, წიაღ, ჰგიეს და სხვ.

კანონიკური ფორმების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ: /ი/ არ უმარცვლოვდება #–V და #C–V პოზიციაში. სავარაუდებელია, რომ ძველი ქართული არქაულ ვითარებას გვიჩვენებს, როცა ჲ-ს არ ხმარობს ამ პოზიციებში. არსებობს რამდენიმე მიზეზი იმისთვის, რომ [ჲ] არ გაჩენილიყო აღნიშნულ პოზიციებში: (1) სიტყვათა თავკიდურად ერთი მორფემის ფარგლებში /ი/+ხმოვანი კომბინაცია (პოზიცია #–V) არაქართული (ნასესხები) იყო. ენამ ამ /ი/-ს ცალკე მარცვლადვე დატოვება არჩია, რადგან თვითონ ამ პოზიციაში ბუნებრივი აღმავალი დიფთონგები არა ჰქონდა**; (2) თუ მორფემათა საზღვარზე შეიქმნებოდა /#CიV/ კომბინაციები, როგორიცაა: მიერ, წიაღ, სიორძინე... ერთი მხრით, და ჰ გ ი ე ს , ნ თ ი ა , ა რ ი ე დ ... მეორე მხრით, /ი/-ს ამ ფორმებში იცავდა მისი გრამატიკული ფუნქცია – მორფოლოგიური სისტემის მოთხოვნით გამძლეობას იჩენდა მარცვლოვანი /ი/; (3) მესამე მიზეზი არანაკლებ არსებითია ამ /ი/-ს მარცვლოვანი ვარიანტის შესანარჩუნებლად: #C–V პოზიციაში გაუმარცვლებული /ი/ ([ჲ])

---

* ჲ-ის ყოვლად გაუმართლებელი ხმარებაც ფიქსირდება ამ ტექსტში (მშუჲდობაჲ), რაც გასწორებულია სათანადოდ (ა. შანიძე, 1959, 173$_5$).

** შდრ. უი (ჳ), უე, უა კომპლექსთა არქონა სიტყვათა თავკიდურად. ჰ ჯყ ა ვ (სათნო ჰჯყავ და პას. ჰჯყავ) ჰაემეტ ფორმაში ჯ (უი) არ არის თავკიდური კომპლექსი, იგი მიღებულია /ჰ/-ს მომდევნოდ Sı-ის /ვ-/-ს წყვილბაგისმიერ [უ]-დ მოქცევის შედეგად. სათნო ჰჯყავ (ჰაემეტი ტექსტები — ა. შანიძე, 1923, 1 — მ. XVII, 5), „შიშუელ ჰჯყავ“, „საპყრობილეს ჰჳყავ“ (მ. 25, 36C); შდრ. იმავე მუხლში „სნეულ ვ ი ყ ა ვ “, სადაც /ჰ-/ აღარ უძღვის /ვ-/-ს წინ და დიფთონგიზაციაც აღარ ხდება; შდრ. კიდევ ვ ი ყ ვ ე ნ ი თ (მ. 23.30 C, ორგზის).

ქმნიდა პირველი მარცვლის არაბუნებრივ ექსპლოზიას, ანუ #CəV-კომბინაციას, რაც რეალურ ფორმათა მიხედვით ასე გამოიყურება: #მəერ, #წəაღ-, #სəორ-ძი-ნე)... ასეთი მარცვლები ქართულ ენას არასოდეს ჰქონია და ბუნებრივია, რომ არ ხდებოდა [ი] > [ə] გარდაქმნა #C–V პოზიციაში.

თავკიდურად ხმოვანთა კომბინაციაში დიფთონგის შექმნა, საერთოდ, არაბუნებრივია ქართულისთვის და არსებითად არც გვხვდება. ერთეული დარღვევები ამ წესიდან გადამწერ-გადამნუსხველთა თავისებურ ქცევად უნდა ჩაითვალოს და არა ენის ბუნებრივ მოვლენად*.

პაუზის მომდევნო პოზიციის კანონზომიერება განივრცო პაუზის წინაც: აღუშშნებიეს, ჰგიეს, არიედ; აღუშშნებიან, ჰგიან, არიან ტიპის ფორმებში – არც აქ ხდება ი-ს გაუმარცვლოება, მაგალითად, შეუძლებელია, რომ ჰ გ ი ე ს წარმოითქვას [ჰგiეს] სახით. ავიღოთ კიდევ სტატიკურივე ზმნა ნ თ ი ა . ქართული ენის მარცვლის ბუნებით დაუშვებელია ნ თ ə ა, რომელშიც მარცვლის პოზიციიდან არც ერთი უმარცვლო კომპონენტი (ნ, თ, ə) თავის ადგილზე არა ზის.

უთუოდ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მ ი ე რ , წ ი ა ღ , ს ი ო რ ძ ი ნ ე , ჰ გ ი ე ს , ჰ გ ი ა ნ ... ფორმებში /ი/-ს შემცველი ფონემატურად არაბუნებრივი ხმოვანთა კომპლექსები მორფემათა საზღვრის კომბინაციებია: მი-ერ (შდრ. მაგი-ერ, იმი-ერ, ამი-ერ). იშლება მი-, მაგი-, ამი- ელემენტებიც, რომლებშიც მ ნაცვალსახელური ძირია, ხმოვნები კი დეიქტური ელემენტები; შდრ. მაგას (ა-მ-ა-ს), წიაღ (წ-ი-აღ, ა. შანიძე) და სხვ. საქმე გვაქვს მორფონოლოგიურ გარდაქმნებთან.

ენაში მუდმივად არსებობს საერთო-ქართველური ტენდენცია ხმოვანთა კომბინაციები დავიდეს ცალ ხმოვანზე, რადგან

---

* ჰაემეტ ტექსტებში დადასტურებული ი ვ ს ტ ნ ეა ნ უ (იუსტინიანე) ფორმა (ა. შანიძე, 1923, 365, 10) არ ასახავს ბუნებრივ ფონეტიკურ გარდაქმნას ქართულში: ი ვ ს ტ ნ ə ა ნ უ სახელის ივს-ტნəა-ნუ სახით დამარცვლისას არაბუნებრივია პირველი მარცვლის იმპლოზია (ივს-) და მეორე მარცვლის ექსპლოზია (-ტნəა-); ხოლო ივ-სტნəა-ნუ სახით დამარცვლისას არაბუნებრივია მეორე მარცვლის ექსპლოზიური კომპლექსი — **-სტნəა**.

ეს კომპლექსები ენას არ ახასიათებს ერთი მორფემის ფარგლებში, **რაც წინარე ენის გენეტიკურ თვისებად უნდა მივიჩნიოთ.** ამ ტენდენციას მოსდევდა რიგი ცვლილებები როგორც ძველ ქართულში, ისე შემდგომ პერიოდში, კერძოდ: ხმოვანთა კომპლექსების გამარტივება: ესეოდენ > ესოდენ, ორმეოცი > ორმოცი, დედაუფალი > დედუფალი... დიფთონგიზაცია: *ძმაი > ძმაჲ, *ხეი > ხჱ||ხეჲ, *წყაროის > წყაროჲს, *წყაროით > წყაროჲთ და სხვ.

[ჲ] ნათ. და მოქ. ბრუნვებში ყველგან – სამწერლობო ქართულსა და დიალექტებში დაიკარგა, რადგან მარცვლის ბოლოში და პაუზის წინ [ჲ] ექცეოდა **-ს** და **-თ** თანხმოვნების წინ (წყა-**როჲს#**, წყა-**როჲთ#**), რითაც ქმნიდა არაბუნებრივ კომპლექსებს. [ჲ]-ს ჩავარდნის შემდეგ ეს მარცვლები ბუნებრივი ხდება (წყა-როს ან წყა-რო-სი; წყა-როთ ან წყა-რო-თი). ძველ ქართულში კი ემფატიკური -ა უწყობდა ხელს ბუნებრივ დამარცვლას (წყა-როჲ-სა, წყა-როჲ-თა).

როგორც სამწერლობო ენის ისტორიის, ისე თანამედროვე დიალექტების ჩვენებით ცხადი ხდება, რომ მორფონემატური ურთიერთობები ერთნაირად არ წყდება როგორც ერთი და იმავე სისტემის სხვადასხვა დროულ მონაკვეთში, ისე ტერიტორიულად განსხვავებულ დიალექტებში: ისინი ერთიმეორისგან შეიძლება განსხვავდებოდნენ მორფოლოგიური ან ფონემატური წესებისთვის უპირატესობის მიცემით – მათგან რომელიმეს პრიმატით.

სანიმუშოდ მოვიყვანთ I სერიის ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმებში O_3^d-ის ნიშნის ხმარების წესებს ძვ. ქართულსა და მთის დიალექტებში. ი. იმნაიშვილმა სოლიდური მასალის მოხმობით აჩვენა, რომ O_3^d ნიშანს აჩენს ზმნისწინიან ფორმებში, ნიშანი არ ჩანს უზმნისწინო ფორმებში: „ძველი ქართულის ეს მთავარი კანონი თითქმის ხელუხლებლად გადმოსულია და ბატონობს ხევსურულ კილოში. აქ ძველ ქართულსავით ნორმაა ბედავს – გაღბედავს, თელვენ – გასთელვენ, თიბს – გასთიბს,

თხრის – გასთხრის, კლავს – მახკლავს, ჴოცს – დახჴოცს და ბევრი სხვა" (ი. იმნაიშვილი, 1971, 164).

ხევსურულსა და თუშურ დიალექტებს O_3^d-ის ფონეტიკური ვარიანტები I სერიაში საერთო აქვთ (ს-~ზ-~შ-~ჟ-~ხ-~ღ-~Ø-); არც ერთს აღარ შემორჩა O_3^d-ის თავდაპირველი {ჰ-} პრეფიქსი, რომლის ვარიანტებსაც წარმოადგენენ ზემოთ დამატებით დისტრიბუციაში წარმოდგენილი ნიშნები.

მიუხედავად ტერიტორიული უშუალო მეზობლობისა და O_3^d-ის ნიშნის მორფონოლოგიურ ვარიანტთა იდენტობისა, **ამ ორ მეზობელ დიალექტს შორის მაინც არის არსებითი სახის განსხვავება** – თუშური არ ასხვავებს ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმებს: **O_3^d ორივე პოზიციაში მარკირებულია**: ღებედავს – გაღებედავს, **ს**თელვენ – გასთელვენ, **ხ**მკიან – მოხმკიან, **ვ**სტეხ – გავსტეხ, **ხ**ველავს – მოხველავს, **ხ**ჴოცს – დახჴოცს და სხვ.

ამ **სხვაობის მიზეზი** ერთ შემთხვევაში – ძველ ქართულსა და ხევსურულში **ფონემატური წესების პრიმატია**, მეორე შემთხვევაში – თუშურში კი – **მორფოლოგიური წესების პრიმატი**. თუშურში ზმნურ ფორმათა თავკიდურად რეალიზებულია ფონემათა ის კომბინაციები, რომლებიც აკრძალულია ერთი მორფემის ფარგლებში, როგორიცაა: ღბ-, სთ-, ვსტ-, ხვ-.

თუშურსა და ხევსურულს შორის დადასტურებული მორფონემატური სხვაობა **არც ძველი ქართულისთვის არის უცხო**. ამის გამოხატულებაა ა. შანიძის მიერ დაჯგუფებული ქადაგებს და ჰყოფს ტიპის ზმნები (ა. შანიძე, 1920, §§38-47). ეს განსხვავება, რა თქმა უნდა, დიალექტთა შემონატანია ძველ სამწერლობო ენაში.

/ი/ – [ი] ~ [ჲ] თანამედროვე ქართულ დიალექტებში

თუ ხმოვანთა კომბინაციებზე საერთოდ ვიმსჯელებთ, ქართული ენის დიალექტებში მოსალოდნელია, ერთი მხრივ, ხმოვანთა შერწყმა, დიფთონგიზაცია და ხმოვანთა კომპლექ-

სიდან ერთი კომპონენტის ჩავარდნა, **რასაც ენის ფონემატური მოდელი ითხოვს**, მეორე მხრით, ვერ გამოირიცხება ხმოვანთა კომპლექსების უცვლელად შენარჩუნება, **რასაც მორფოლოგიური მოდელი ითხოვს მორფემათა თანამიმდევრობაში.**

ქართულ დიალექტებში ყველა აღნიშნული ვარიანტი რეალიზებულია ფონემატურ და მორფოლოგიურ წარმომქმნელ მოდელთა საპირისპირო მოთხოვნილებების ურთიერთზემოქმედების ფონზე, სადაც ხან ერთი მოდელის მოთხოვნა კმაყოფილდება, ხან – მეორისა. გვხვდება გარდამავალი ვითარებაც, როცა ორივე მოდელის მოთხოვნილებები ნაწილობრივ არის დაკმაყოფილებული, ნაწილობრივ – დაუკმაყოფილებელი.

როცა ფონემატურ ან მორფოლოგიურ პრიმატზე ვუთითებთ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ რომელიმე მათგანი ბატონობს მოცემულ დიალექტში. ჩვეულებრივ ამ პროცესებს თავთავისი გავლენის ზონები აქვთ ენობრივ სისტემაში და დიალექტები ამ ზონათა მიხედვითაც გვიჩვენებენ მსგავსებასა და განსხვავებას, ასე მაგალითად, სახელთა ფორმებში ხევსურულსა და თუშურში ხმოვანთა კომპლექსები ერთნაირად იქცევიან, მათ სახელთა ერთნაირი ფორმები აქვთ. ხმოვანთა შერწყმა იმ ფორმებში, სადაც სახელი ურევია, მხოლოდ შედგენილი შემასმენლის აბსოლუტურ ბოლოში გვხვდება [სახელი +ა(რს)], მაგ.: კაცᾱ „კაცი არის", წყაროᾱ „წყარო არის" და სხვ. სხვა შემთხვევებში, როცა შედგენილი შემასმენელს **და** კავშირი ან ნაწილაკი მოსდევს, ზემოთ წარმოდგენილი შერწყმა აღარა ხდება: წყაროია-დ' ხეჲ „წყარო არის და ხე", კაცია-დ' ქალი̓ „კაცია და ქალი"; წყაროიავ „წყაროაო", კაციავ „კაციაო"... ხმოვანთა შერწყმა სახელთა და სხვა მეტყველების ნაწილთა ფუძეებშიც გამორიცხულია: დიაცი, მიათე „მეათე", მიორე „მეორე", ერთიანად, ნიადე (ხევს.) „რა თქმა უნდა", სვიოდ (თუშ.) „მთლად" და სხვ.

შედგენილ შემასმენელში სახ. ბრუნვის -ი სუფიქსის შერწყმა დამხმარე არის ზმნის ა-სთან ქართლურსა და კახურში საერთოდ არ ხდება არანაირ პოზიციაში.

აღმოსავლური დიალექტები სრულ მსგავსებას იჩენენ მაშინაც, როცა ზმნათა თავკიდურად **მი-** ზმნისწინის **ი** სხვადასხვა კატეგორიების ნიშნებს: **ა-, ე-** და **უ-** ხმოვან პრეფიქსებს უძღვის წინ. ხმოვანთა ეს კომპლექსები ცვლილებას არ განიცდიან. შესაძლებელია ასიმილაცია კომპლექსის ფარგლებში ისე, რომ ორივე ხმოვანმა შეინარჩუნოს მარცვლოვანება. ქვემოთ წარმოვადგენთ ქართლ-კახურის და იქვე ფრჩხილებში თუშურ-ხევსურულის ფორმებს.

მია: მიაყენა (თ.-ხ. მიაყენ), მიაჭედა (თ.-ხ. მიაჭედ)...

მიე: მიეყენა (თ.-ხ. მიეყენ), მიეჭედა (თ.-ხ. მიეჭედ)...

მიუ: მიუყვანა (თ.-ხ. მიუყვან), მიუჭედა (თ.-ხ. მიუჭედ)...

სანიმუშო მასალა ხევსურული დიალექტისთვის ალ. ჭინჭარაულის „ხევსურულის თავისებურებანიდან" (1960): მიაქვ (332; 6, 7, 11), მიეციო-დ' (330, 36), მიუღავ (329, 32) და სხვ. ეს ფორმები თუშურისთვისაც ბუნებრივია; ქართლ-კახურში ვითარება ანალოგიურია: მიაქ, მიეციო, მიუღია...

კახურში დასტურდება მიუ- > მუუ- ტიპის ასიმილაცია (მუუტანა „მიუტანა", მუუჯდა „მიუჯდა", მუულოცა „მიულოცა"... (ჯორბენაძე, 1989, 317) – ხმოვნები კომპლექსებში ყოველთვის ინარჩუნებენ მარცვლოვანებას.

[ი] უცვლელია – არ უმარცვლოვდება იამბო/იამბრ, იარა/იარ, იარსება/იარსებ ტიპის ფორმებშიც, სადაც [ი] არ არის ფუძისეული პრეფიქსი ქართლ-კახურისა და მთის დიალექტებში.

აღმოსავლურ დიალექტებში აღნიშნულ ხმოვანთა კომპლექსების შებრუნებული რიგიც უცვლელია არსებითად, თავისებურებას მხოლოდ თუშური დიალექტი გვიჩვენებს, სადაც ხდება ხმოვანთა შერწყმა ასიმილაციის გზით, ასიმილატორი ყოველთვის /ი/ ხმოვანია: /ი/ იმსგავსებს ზმნისწინთა **ა, ე, ო** ხმოვნებს:

აი > ი: წიყღრ „წაიღო"; ეი > ი : შიყღრ „შეიტანა" და ოი > ი : მიყღრ „მოიტანა". თუშური გრძელი ი განასხვავებს მო- და მი- ზმნისწინიან ფორმებს: სადაც გრძელი ი (ი) იხმარება /მ/-ს მომ-

დევნოდ, იმ ფორმათა ამოსავალში მო- ზმნისწინია სავარაუდებელი:

მუ̃ცი̃ : მიუცი̃ „მოუცია“ : „მიუცია“

მუ̃კლავ : მიუკლავ „მოუკლავს“ : „მიუკლავს“

მუ̃წერი̃ : მიუნერი̃ „მოუწერია“ : „მიუწერია“.

განხილული მასალის მიხედვით შემდეგი დასკვნა კეთდება უთუოდ: როგორც ძველსა და თანამედროვე სამწერლობო ქართულში, ისე აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში #–V და #C–V არის [ი]-ს პოზიცია. აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებს, განსაკუთრებით არქაულ ფორმათა შემონახვით ცნობილ მთის დიალექტებს, ეს თვისება ძველი ქართულიდან გადმოჰყვა*.

ზემოთ მივუთითებდით ხმოვანთა კომბინაციების არაბუნებრიობაზე, როგორც საერთო-ქართველურ თვისებაზე და ამის შედეგად ცალხმოვანზე დასვლის ფონემატურ ტენდენციაზე, რაც შეიძლება განხორციელდეს დიფთონგიზაციით, რომელიმე ხმოვნის ჩავარდნით კომპლექსიდან, ცალ ხმოვნად შერწყმით; ინტერვოკალურ პოზიციაში თანხმოვნის გაჩენითაც შეიძლება ხმოვანთა კომპლექსის აცილება (დაშლა).

ფონემატური რიგის ეს ცვლილებები თითქმის სრულად არის გამოვლენილი დასავლურ დიალექტებში.

ამჟამად განვიხილავთ /ი/-ს გაუმარცვლოების შემთხვევებს აჭარულში, სადაც ეს პროცესი უფრო სრულად არის რეალიზებული სხვა დიალექტებთან შედარებით.

#–V პოზიციაში [ჲ] არ გვხვდება ქართულ სიტყვათა ფორმებში, დასტურდება ნასესხებ სიტყვებში, როგორიცაა: ჲემი, ჲაშიკი, ჲეთიმი, ჲოლი, ჲანი, ჲაჲლა, ჲაღი, ჲორღა (შ. ნიჟარაძე, 1967, 77).

---

* რაც შეეხება ძვ. ქართულის კაჲაფა ტიპის იშვიათ ფორმებს, რომლებიც ძირითადად წარმოდგენილი არიან ჲ-ის გარეშე (გაიოს, ესაია, აქაია...), სადაც ჲ აღმოჩნდა V–V პოზიციაში, თუ ამოვალთ სხვა პოზიციათა ჩვენებიდან, /ი/-ს გაუმარცვლოება აქ ხდება ხმოვნის მომდევნო პოზიციაში (V–) და არა ხმოვნის წინა პოზიციაში (–V); შდრ. იაკობ, იოანე, იერემია... ერთი მხრით, და, მეორე მხრით – აბიაჲს, იესუჲს, იოვანჲს, ქრისტჱსა და სხვ.

ძალიან ხშირია [ი] #C–V პოზიციაში: მიორემ (<მიორემ), მიერე (<მიერე< მეერე<მეორე), შიეკითხა, გიემტყუნება და სხვ. დიალექტში დასტურდება პარალელურად იგივე ფორმები დიფთონგიზაციის გარეშეც: მიოროთ მოვხნავთ (ქდ 396, 19); ხელმიოროთ გამოვრგავთ (ქდ 396, 28); მიერე გაბარვამდინ (ქდ 396, 29).

ამავე პოზიციაში [ი] დადასტურებულია იმერულშიც: შიაჭრა „შეაჭრა“, შიახმა „შეახმა“ (ო. კახაძე, 1954, 165). რაც შეეხება იერთი, იექსი ტიპის ფორმებში [ი]-ს, ამ ფორმებში იგი არ წარმოადგენს /ი/ ფონემის ალოფონს. [ი] აქ /ე/-ს დიფერენციალური ნიშნის დამოუკიდებლად მარკირებას წარმოადგენს, ანალოგიური ვითარება მოხეურშიც დასტურდება (იერთი, იეშმაკი...), რაზედაც ადრეც მივუთითებდით (თ. უთურგაიძე, 1976, 13).

დასავლურ დიალექტებში პარალელური კომპლექსები [ი] და [ი] ვარიანტებით (მიორე || მიორე, დიეძინა || დიეძინა...) მიგვანიშნებენ [ი]-იან ფორმათა მეორეულობაზე, რასაც მხარს უჭერს სამწერლობო ქართულის ისტორია და აღმოსავლურ კილოთა თანამედროვე ჩვენება.

დასკვნა

თუ ამოვალთ დებულებიდან – ქართული ენისთვის ფონემატურად არ იყო დამახასიათებელი ხმოვანთა კომბინაციები, ამ ფონზე, ბუნებრივია, /ი/ ხმოვნის კომბინაციები სხვა ხმოვნებთან არაბუნებრივად მივიჩნიოთ ზოგადად. ამას მორფემათა საზღვრებზე სხვა ხმოვნების გვერდით უნდა გამოეწვია /ი/-ს გაუმარცვლოება ხმოვანთა წინაც და მომდევნოდაც. მაშასადამე, –V და V– პოზიციებში მოსალოდნელია [ი], ანუ /ი/-ს უმარცვლო ვარიანტი.

მარცვლის თეორიის ასპექტით ამ პოზიციებში /ი/ განსხვავებულ თვისებებს ავლენს იმის მიხედვით, რა გარემოში ხვდება იგი: ერთი მხრით არის **#–V** და **C–V** პოზიციები, მეორე მხრით კი არის V–# და V–V პოზიციები. დამარცვლის ასპექტით მათი და-

ყვანა შესაძლებელია ორ პოზიციამდე: #–V და #C–V ქმნიან ერთ პოზიციას, სადაც ვერ ხდება /ი/-ს გარდაქმნა [ჲ]-ად, რადგან მარცვლის თავკიდურად შეიქმნება თანხმოვანთა (უმარცვლო ელემენტთა) არაბუნებრივი კომბინაციები: #ჲV- ან #CჲV-. მარცვალში # უდრის C-ს. მარცვალთა ექსპლოზიაში, მაშასადამე, ვიღებთ ან **Cჲ-** ან **CCჲ-** კომბინაციას. [ჲ] არაბუნებრივია ნებისმიერ თანხმოვანთან ერთი მარცვლის როგორც ექსპლოზიურ, ისე იმპლოზიურ ნაწილში, რაც კარგად გამოჩნდა [ჲ]-ის გაუჩინარებით გაუვრცობელ ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში; საშუალ ქართულში, „ვეფხის ტყაოსნის“ ჩვენების მიხედვით, გავრცობილ ფორმებშიც კი აღარ ჩანს ჲ ფუძისეული ხმოვნის მომდევნოდ:

„მაშინ დავიწყე გარდახდა მე ს ა ნ უ თ რ ო ს ა ვალისა“ (342, 3) = ს ა ნ უ თ რ ო ჲ ს ა

„რისხვისა ცეცხლი ტარიელს ს ი ტ კ ბ ო თ ა დაუშრეტია“ (1617, 2) = ს ი ტ კ ბ ო ჲ თ ა

„ვეფხის ტყაოსნის“ ხელნაწერი ვარიანტები ამ ბრუნვებში ერთნაირ ჩვენებას იძლევიან, რაც ამ ფორმათა საყოველთაოობაზე მიუთითებს.

თანამედროვე ქართულ დიალექტებშიც ანალოგიურია ვითარება: წ ყ ა რ ო ჲ ს, წ ყ ა რ ო ჲ თ ტიპის ფორმები აღარ არსებობს, მათ ადგილზე წ ყ ა რ ო ს ან წ ყ ა რ ო ს ი, წ ყ ა რ ო თ ან წ ყ ა რ ო თ ი ფორმები იხმარება (შდრ. „ვეფხის ტყაოსნის“ თვალთათ (<თვალთაჲთ), ბაგეთათ (<ბაგეთაჲთ) და სხვ.

რაც შეეხება ექსპლოზიურ ნაწილს, უკვე ძველ ქართულში ვერ ვხვდებით **#ჲV-** ან **#CჲV-** ტიპის მარცვლებს, კერძოდ, **არ დასტურდება** ჲავარის-ყოფა, ჲაკინთი, ჲასპი; ჲაკობ, ჲესუ, ჲოვანე, ჲუდა; ჲერუსალჱმ, ჲორდანე... ფორმები. ჩამოთვლილ ნასესხებ სახელებში, ქართულისთვის უცნობ ანთროპონიმებსა და ტოპონიმებში /ი/ შენარჩუნებულია არაბუნებრივ პოზიციაში, რადგან გაუმარცვლოებული /ი/ ერთ მარცვალში მოექცეოდა პაუზასთან (რომელიც თანხმოვანს უდრიდა) და შექმნიდა მარცვლის არაბუნებრივ დასაწყისს (**#ჲა-**კობ, **#ჲა**სპ...), მარცვლოვანი /ი/ კი ცალკე მარცვალს ქმნიდა და არ უერთდებოდა მარ-

ცვალში მომდევნო ხმოვანს (ი-ა-კობ, ი-ას-პი და სხვ.). ე. ი. ქართულმა ენამ მარცვლის ორი არაბუნებრივი დასაწყისიდან (**#იV** და **#ჲV**) დაიტოვა დაშლადი ორმარცვლიანი დასაწყისი – **#იV**) და უარი თქვა თანხმოვანთა არაბუნებრივი კომბინაციით დაწყებულ მარცვალზე.

*

* *

რაც შეეხება სიტყვათა ფარგლებში მარცვლებს, მათ შორის გამყარი დაიდება იქ, სადაც ირღვევა ფონემათა ბუნებრივი თანამიმდევრობა. მარცვლებად დაყოფის* შედეგად თუ რომელსამე მარცვალში ფონემათა ბუნებრივი თანამიმდევრობა ირღვევა, ყოველთვის რჩება შესაძლებლობა, სიტყვაში მოხდეს ფონეტიკური ცვლილება ფონემატური სისტემის დაწოლით. ეს ცვლილებები მარცვლის/მარცვალთა ბუნებრიობის აღდგენისკენ არის მიმართული.

ცვლილებათა მიმართულება თუ მორფემათა რანგობრივი სისტემის გავლენა გამოირიცხება,თეორიულად ჩამოყალიბებული ფონემატური სისტემის ადეკვატურობის შემოწმებაცაა.

* აღქმის პირველადი ერთეული მარცვალია (ზ. ჯაფარიძე, 1975, 217).

ქართული ენის სახელი

სახელთა ბრუნება ვლინდება ბრუნების პარადიგმებსა და პარადიგმის წევრთაგან შექმნილ სიტყვაფორმებში.

ქართული ენისთვის ისტორიულად ბუნებრივია სახელთა ერთ- და ორმარცვლიანი ფუძეები, რომლებშიც თანხმოვანთა და ხმოვანთა განაწილებას განსაზღვრავენ მორფოლოგიური და ფონოლოგიური წესები.

ერთ- და ორმარცვლიანი ფუძეები ქართული ენის ფონემატური სისტემის ისეთივე მახასიათებლებია, როგორც ამ სისტემის სხვა ერთეულები. ბუნებრივ მდგომარეობაში მათი ცვლილება მოსალოდნელი არ არის, მაგრამ ფუძეები იცვლება განსაზღვრული ტიპის ფლექსიური და დერივაციული აფიქსების ზემოქმედებით: ისინი შეიძლება გახდნენ სამ- და მეტმარცვლიანები, რასაც სიტყვაფორმათა ფარგლებში შეიძლება მოჰყვეს გარკვეული ცვლილებები.

სიტყვაფორმებში ფუძეები განსაზღვრული სახით წარმოდგებიან – ეს ეხება ბრუნების პარადიგმებსა და დერივაციული გზით ნაწარმოებ ფორმებს, რომლებშიც ფუძეზე ზემოქმედება შეუძლია მხოლოდ -VC თანამიმდევრობით დაწყებულ სუფიქსებს – ისინი წარმოადგენენ ბრუნვათა ნიშნებს ან დერივაციულ ელემენტებს და განსაზღვრული აგებულების ფუძეებთან თვითონაც განიცდიან ზემოქმედებას*.

---

* ერთადერთი გამონაკლისია თანხმოვნით დაწყებული კრებითობის -ნარ სუფიქსი, რომლის დართვით ორ- და მეტმარცვლიანი კუმშვადი ფუძეები იკუმშებიან, ხოლო კვეცადი ფუძეები იკვეცებიან; მაგ.: ეკალ- ~ ეკლ (ეკლ-ისა) — ეკლნარ-ი, მუხა- ~ მუხ- (მუხ-ისა) — მუხნარ-ი... -ნარ დართული ფუძეები კი კუმშვას აღარ განიცდიან: ეკლნარ-ისა, მუხნარ-ისა და სხვ.

ერთ- და ორმარცვლიანი ფუძეები ქართული ენის ფონემატური მახასიათებლებია, ამიტომ -ნარ სუფიქსის დართვისას ერთმარცვლიანი კუმშვადი ფუძეები არ იკუმშებიან (ბალ- ~ ბლ: ბლ-ისა, მსხალ- ~ მსხლ-: მსხლ-ისა, მაგრამ ბალნარ-ი, მსხალნარი), ხოლო ერთმარცვლიანი კვეცადი ფუძეები არ იკვეცებიან (ხე- ~ ხ-: ხ-ისა, ქვა- ~ ქვ-: ქვ-ისა, მაგრამ ხევნარ-ი,

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ -VC ტიპის სუფიქსთა განვრცობას თანდებულებითა და ნაწილაკებით ფუძეებზე დამატებითი გავლენის მოხდენა არ შეუძლია და ვერც სუფიქსებზე ფუძის გავლენას უშლის ხელს (შდრ. ნ. მარი, 1925, §636).

განვიხილავთ სახელთა ბრუნების პარადიგმებს ორსავე რიცხვში და იმ მორფონოლოგიურ ცვლილებებს, რასაც სახელები განიცდიან სიტყვაფორმებში.

ბ რ უ ნ ვ ე ბ ი

ქართულ ენაში ბრუნვათა რაოდენობა არ შეცვლილა: ხანმეტ-ჰაემეტი პერიოდებიდან მოყოლებული (V-VIII სს) დღემდე ქართულ ენას აქვს **ექვსი** ბრუნვა, ესენია: ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი, მ ო თ ხ რ ო ბ ი თ ი, მ ი ც ე მ ი თ ი, ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი, მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი და ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ი. სამეცნიერო ლიტერატურაში ანტონ I მოყოლებული დღემდე კიდევ სახელდება **ოთხი** ბრუნვა. ანტონ I გრამატიკაში, გარდა ხელოვნურად დამატებული „შემასმენლობითი ბრუნვისა“, დასახელებულია წ რ ფ ე ლ ო ბ ი თ ი, დ ა ნ ყ ე ბ ი თ ი და წ ო დ ე ბ ი თ ი ბრუნვებიც [ანტონი I, 1997]. მას პარადიგმაში არ შეაქვს ვითარებითი. წრფელობითი და წოდებითი ნ. მარის [ნ. მარი, 1925], ა. შანიძის [ა. შანიძე, 1976] და ი. იმნაიშვილის [ი. იმნაიშვილი, 1957] ნაშრომებშიც გვხვდება. ა. შანიძეს სხვებისგან განსხვავებით, ძველ ქართულში გამოყოფილი აქვს მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი თ ი ბრუნვაც (სულ 9 ბრუნვა).

ბრუნვათა შორის ვითარებითი ბრუნვის ფორმა (მამად) სხვა ბრუნვათა ფორმების გვერდით ცალკე ერთეულად პირველად სულხან-საბა ორბელიანმა გამოყო „სიტყვის კონაზე“ დართულ „სასწავლო ყრმათას“ განყოფილებაში [თ. უთურგაიძე,

ქვავნარ-ი). მაშასადამე, სახელის ფუძეთა კუმშვა -ნარ სუფიქსის წინ ინყება მაშინ, როცა ახალ ფუძეს ემუქრება გასამმარცვლიანება; -ნარ სუფიქსის წინ ფუძის კუმშვით შესაძლებელი ხდება ორმარცვლიანობის შენარჩუნება ახალ ფუძეში: ეკალ-ნარ > ეკლნარ-, ტყემალ-ნარ > ტყემლნარ, მაყვალ-ნარ > მაყვლნარ-. ანალოგიური ხდება -ნარ სუფიქსის წინ ფუძეთა კეეცის დროსაც: რცხილა-ნარ > რცხილნარ-, პანტა-ნარ > პანტნარ- და სხვ.

1999, 96], შემდეგ ამ ბრუნვის ფორმები გამოჩნდა მ. ბროსეს გრამატიკაში [მ. ბროსე, 1834, 44].

თანამედროვე ქართულში ექვსი ბრუნვა აქვთ გამოყოფილი არნ. ჩიქობავასა და ვ. თოფურიას [ვ. თოფურია, 1956; არნ. ჩიქობავა, 1950, 35].

კარგად არის ცნობილი სახელთა ბრუნვის ნიშნების ორმაგი ბუნება: (1) გარკვეულ პირობებში ბრუნვის ნიშნები, კარგავენ რა ფლექსიურ ბუნებას, ტრანსლირდებიან დერივაციულ ელემენტებად – წარმოქმნიან სხვა მეტყველების ნაწილებს; ფლექსიურ ელემენტთა რანგში მათ ასევე შეუძლიათ მეტყველების სხვა ნაწილთა სახელად მოქცევა. ყოველივე ეს ხორციელდება პარადიგმიდან ამოვარდნით ან პარადიგმაში ჩართვით, მაგ., **დღეს** ზმნისართი პარადიგმიდან გამოსულია, არა აქვს აქტანტის შინაარსი, ამიტომ ველარც სხვა ბრუნვებს უპირისპირდება ამ სახით (ე. ი. მიცემითი ბრუნვის სახით, სადაც **-ს** ბრუნვის ნიშნად იქნებოდა); (2) ყოველგვარი პირობის გარეშე ბრუნვის ნიშანი მაშინვე დერივაციულ ელემენტად მოიქცევა, როგორც კი მას სიტყვაფორმაში იგივე ან სხვა ბრუნვის ნიშანი მოჰყვება, რაც თეორიულად გამორიცხავს ორმაგ და სამმაგ ბრუნებას.

ახლა კონკრეტულად ბრუნვათა შესახებ. „წრფელობითი ბრუნვის" ფორმები მატერიალურად სახელთა ფუძის სახით არიან წარმოდგენილი. ძველ ქართულში მათ ძალიან ხშირად ვხვდებით: „იხილეს რ გარდაგორვებულ ხიყო ლოდი იგი რ ი ხიყო დ ი დ ფრიად" (ხანმეტი ლექციონარი, მრ. XVI, 4).

ლიტერატურა წრფელობითი ბრუნვის შესახებ მიმოხილულია კ. დანელიას წერილში – „წრფელობითის ადგილისათვის ძველი ქართულის ბრუნვათა სისტემაში" (კ. დანელია, 1998), რაც ამისგან გვათავისუფლებს ჩვენ. კ. დანელიას ეს წერილი, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არის წრფელობითი ბრუნვის სახელთა ბრუნების ძველი ქართულის პარადიგმებში შეტანის ბოლო ცდა. ვიმსჯელებთ არსებით არგუმენტებზე, რომელთა მიხედვით ავტორს წრფელობითის ფორმა დამოუკიდებელ ერთეულად შეაქვს სახელთა ბრუნების პრადიგმებში.

კ. დანელიას წრფელობითის ფორმის ბრუნვად მიჩნევისთვის არსებითად მიაჩნია სინტაქსური კავშირები, რომელთაც ამ ფორმით სახელები ამყარებენ ზმნა-შემასმენელთან [კ. დანელია, 1998, 526].

ამ თვალსაზრისის საპირისპირო არის წრფელობითი ფორმის ადგილზე სახელობითი ბრუნვის ფორმათა ხმარება, რაც ძველ ქართულში ჩვეულებრივია და იქიდან მოყოლებული სახელობითი თანდათან აძევებდა წრფელობითს, თავისუფალი მონაცვლეობის პერიოდში ისინი ერთსა და იმავე ბრუნვას წარმოადგენდნენ და ან ერთის სახელი უნდა რქმეოდა, ან მეორის. რადგან საბოლოოდ სახელობითის {-ი} სუფიქსიანი ფორმები გაბატონდა ყველა სახის სინტაქსურ ურთიერთობაში, რა თქმა უნდა, წრფელობითი სახელობითის ვარიანტად უნდა მივიჩნიოთ, ე. ი. ძველ ქართულში სახელობითი ბრუნვის {-ი} სუფიქსს ექნება /-ი/~/-ჲ/~/-Ø/ ვარიანტები. ნულოვანი ვარიანტი ფონოლოგიურად შეპირობებულია მაშინ, როცა იგი სუბიექტს ან პირდაპირ ობიექტს გამოხატავს, მორფოლოგიურად შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილში.

ძველი ქართულის წინა პერიოდში წრფელობითი სახელობითი ბრუნვის განუსაზღვრელი ფორმა იყო ამავე ბრუნვის განსაზღვრული ფორმის გვერდით. სახელობითის ძველქართულამდელი განსაზღვრული ფორმა ჩამოყალიბდა ძველი ქართულის {-ი} სუფიქსიანი სახელობითის ფორმად.

ძველ ქართულში ერთადერთი რთული ზმნის ფორმები იყო, სადაც სახელობითი ვერ ენაცვლებოდა წრფელობითის ფორმას (კ. დანელია, 1998, 529).

რთულ ზმნებში წრფელობითის ფორმას რაიმე სახის სინტაქსური კავშირის დამყარება არ შეუძლია იმ ზმნასთან, რომლის ლექსიკურ კომპონენტსაც ის წარმოადგენს. ამის შესახებ სრულად და მკაფიოდ თვით კ. დანელია მსჯელობს: „ისტორიულად ეს სახელადი ნაწილი წრფელობით ბრუნვაში მდგარი პირდ. დამატება იყო, მაგრამ მისი რთული ფუძის კომპონენტად ქცევა იმავდროულად მოასწავებდა სინტაქსური (პირდ. დამატების) ფუნქციის დაკარ-

გვას და დერივაციული ფუნქციის ზმნური კომპონენტის კონკრეტულ ლექსიკალიზაციის შეძენას“ (კ. დანელია, 1998, 529, ხ. ჩ. – **თ. უ.**). ამდენად წრფელობითის, როგორც სახელობითისგან განსხვავებული ცალკე ბრუნვის ფორმის, შესახებ მსჯელობა ძველ ქართულში შეუძლებელია. ძველი ქართულისთვის ის ზედმეტია, ინერციითღა არსებობს, იმ დროის ინერციით, როდესაც სახელობითი ბრუნვის განუსაზღვრელ ფორმას წარმოადგენდა (კაც : კაცი, სადაც ი სუფიქსი განსაზღვრებითი ელემენტია). როგორც კი კაცი ფორმა სახელობითი ბრუნვის განუსაზღვრელ ფორმად დამკვიდრდა (-ი ბრუნვის ნიშნად იქცა, განსაზღვრებითი ელემენტის ფუნქცია დაკარგა) საპირისპიროდ ნაწევრიანი განსაზღვრული ფორმისა (კაცი : კაცი იგი, სადაც იგი განსაზღვრებითი ელემენტია – ნაწევარია), წრფელობითის ფორმა გრამატიკული ასპექტით ენაში ზედმეტი გახდა [თ. უთურგაიძე, 1986, 17]. ბუნებრივია, ვეღარც სახელობითის ბრუნვისნიშნიან ფორმასთან თავისუფალ მონაცვლეობაში იღებდა მონაწილეობას, ამოვარდა ხმარებიდან და გაქრა.

მიმართულებითი ბრუნვა. რაც შეეხება მიმართულებით ბრუნვას (მისა, დავითისა...), სამეცნიერო ლიტერატურაში იგი ძირითადად არ შეაქვთ ბრუნვათა რიგში, ვითარებითი ბრუნვისგან განსხვავებულ ცალკე ბრუნვად, კერძოდ: ი. იმნაიშვილი მას მიიჩნევს „ნათესაობით-ვითარებით“ ბრუნვად, ე. ი. მსაზღვრელის ბრუნვად, რომლის საზღვრული ვითარებით ბრუნვაში დგას ან მდგარა, ამიტომ უწოდებს დავითისა ტიპის ფორმებს „ნათესაობით-ვითარებითს“ და მის ადგილს ვერ ხედავს მარტივ ბრუნვათა შორის (ი. იმნაიშვილი, 1957, 380). ზ. სარჯველაძე „ძველი ქართული ენის“ სახელმძღვანელოში ამ ფორმებს „მეორადი ბრუნვის“ ფორმად ასახელებს, უწოდებს „მიმართულებითს“ და ცალკე ბრუნვად არ გამოყოფს. მასაც ეს ბრუნვა („მეორადი ბრუნვა“) ნათესაობითი ბრუნვის ფორმიდან ნაწარმოებად მიაჩნია [ზ. სარჯველაძე, 1997, 15]. განხილულ ნაშრომებში მითითებულია „მიმართულებითის“ შეზღუდული ხმარება:

ძველ ქართულში გამოიყენებოდა ადამიანთა (აგრეთვე ღმრთისა და ანგელოზთა) მიმართ.

ძველი ქართულის ბრუნვათა პარადიგმებში მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი თ ი ბრუნების დამოუკიდებელ ერთეულად შეაქვს მხოლოდ ა. შანიძეს. ამ ბრუნვის ცალკე გამოსაყოფად მისთვის გადამწყვეტი ჩანს **-ა** დაბოლოება **-ის** სუფიქსის მომდევნოდ (-ის-ა), რომელიც ანთროპონიმებს არა ჰქონდათ ნათესაობით ბრუნვაში, მიმართულებითში კი მათთანაც აუცილებელი იყო (დავითისა, იესუსა, მარიამისა და სხვ.):

ნათესაობითი: დავით-ის, მართა-ს

მიმართულებითი: დავით-ისა, მართა-სა. ასევე საზოგადო სახელებში: ნათ. კაც-ის(ა), წყარო-ს(ა)

მიმართ. კაც-ისა, წყარო-სა [ა. შანიძე, 1976, 31-42].

აღნიშნული ფორმები მსაზღვრელის ფორმებს ემთხვევა. მსაზღვრელის ფორმა შეიძლება განსხვავებულად იყოს წარმოდგენილი როგორც ფუძეთა წარმოების მიხედვით, ისე საზიარო ბრუნვის ნიშნის მიხედვით. მხედველობაში გვაქვს სუბსტანტიური მსაზღვრელი, რომელიც საზღვრულს, გარდა ბრუნვაში შეთანხმებისა, ადიექტივის როლშიც უნდა ახლდეს, ამისთვის საჭიროა: (ა) მსაზღვრელი სუბსტანტივის ადიექტივად ტრანსლირება, რათა საზღვრული სუბსტანტივის თვისების გამომხატველად მოიქცეს. დერივაცია ჩვეულებრივ ხდება ბრუნვის ნიშანთა წარმოქმნის ელემენტებად ტრანსლირებით საზღვრულთან შემათანხმებელი ბრუნვის ნიშნის წინ. კაც-ი გულ-**ად**-ი, ტაძარ-ი ძელ-**ისა**-ჲ, შვილ-ი ბუნებ-**ით**-ი... **-ად**, **-ისა**, **-ით** წარქმნის ელემენტებია ბრუნვის ნიშნის წინ. ისინი მსაზღვრელის ფუძეში შედიან; (ბ) შეთანხმებისათვის მსაზღვრელისთვის აუცილებელია ბრუნვის იგივე ნიშანი, რომელიც საზღვრულს აქვს (კაც-**ი** გულად-**ი**, კაც-**მან** გულად-**მან**, კაც-**სა** გულად-**სა**...). შემთანხმებელი ბრუნვის ნიშანი ფონემატური მიზეზით შეიძლება მატერიალურად არ ემთხვეოდეს ერთიმეორეს ამ სინტაქსურ წყვილებში: ტაძარ-**ი** ძელისა-**ჲ**, ტაძრ-**ად** ძელისა-**დ** || ტაძრ-ად ძელისა-**Ø**, ტაძრ-**ისა** ძელისა-**ჲსა** და სხვ.

ბრუნვათა ვარიანტები ფონეტიკურად არის შეპირობებული და, ბუნებრივია, გრამატიკული მნიშვნელობით არ განსხვავდებიან.

დავუბრუნდეთ მიმართულებით ბრუნვას. ძველ ქართულში ჩვეულებრივია სინტაქსური წყვილი სუბსტანტიური მსაზღვრელით ვითარებით ბრუნვაში: **სახი-დ დავითის-ად || სახი-დ დავითის-ა**. ეს წყვილები საზღვრულის ფორმით ვითარებითი ბრუნვის ერთ-ერთ ფუნქციას – მიმართულებას გამოხატავენ (შდრ. ჩორ-დ, იერუსალჱმ-დ...), მსაზღვრელი კი ვითარებითის ფორმით გამოხატავს საზღვრულთან კავშირს და წარმოადგენს დამაზუსტებელ თვისებას – თუ ვის ეკუთვნის „ადგილი". ამ წყვილებში საზღვრულის დაკარგვის შემდეგ სინტაგმის შინაარსი მთლიანად მსაზღვრელზე გადადის: ადგი-დ დავითის-ად > ადგიდ დავითისა > დავითისა*.

შესაძლებელია ასეთი ვარაუდი: რადგან ა. შანიძემ მიმართულებითი მარტივ ბრუნვათა შორის განათავსა, **დავითისა, წყაროჲსა** ტიპის ფორმათა არსებობა მან საზღვრულის გარეშეც დაუშვა: **-ა** დაბოლოების მიჩნევა ემფატიკურ სუფიქსად უთუოდ ამას გვავარაუდებინებს, ა. შანიძისთვის მიმართულებითი გამოდის შედარებით ახალწარმონაქმნი ბრუნვა, რომელსაც კავშირი აქვს გაწყვეტილი ისტორიულ საზღვრულთანაც და მსაზღვრელთანაც, ე. ი. **-ისა** ძველ ქართულში უკვე მსაზღვრელისგან დამოუკიდებელი ნიშანია, როგორც, მაგალითად, **-ი** სუფიქსი სახელობით ბრუნვაში, რომელიც ა. შანიძეს წარმომავლობით განსაზღვრებითი **იგი** ნაცვალსახელისგან მიღებულად მიაჩნია. მაშასადამე, ვინც გამიზნული პუნქტისკენ მოქმედებას მიაწერს **-ისა** სუფიქსს, მას მიმართულებითი ცალკე ბრუნვად მიაჩნია: კაცისა, წყაროჲსა... და არც რაიმე შეზღუდვას უწესებს; ვინც -ისა დაბოლოებას უკავშირებს საზღვრულ სახელთან ურთიერთობას

* დაშვება იმისა, რომ **დავითისა** ტიპის ფორმებში **-ა** დაბოლოება მიმართულების დამოუკიდებელი სუფიქსია, რომელიც მხოლოდ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანს მოსდევს, შეუძლებელია, რადგან ძვ. ქართულში არა გვხვდება „წარვიდა სახლისა, ქალაქისა, ბანაკისა, ადგილისა და სხვ.", მეორე მხრივ, „შეუძლებელია იერუსალჱმისა, ბეთლემისა და სხვ." [კ. დანელია, 1999, 513].

მსაზღვრელის ფორმაში, მისთვის მიმართულებითი მარტივი ბრუნვა არ არის, იგი „ნათესაობით-ვითარებითია“ (ი. იმნაიშვილი) ან „მეორადი ბრუნვა“ (ზ. სარჯველაძე) – მათთვის ეს არის მსაზღვრელის ფორმა.

საერთოდ, ორმაგი და სამმაგი ბრუნების შესახებ უნდა ითქვას, რომ ისინი არ არსებობს. როგორც დასაწყისში ითქვა, სახელთა ფორმებში ბრუნვის ნიშანი ერთია მხოლოდ, რაც მის წინ დგას, ყველაფერი ფუძეს განეკუთვნება: თუ ბრუნვის ნიშნის წინ სხვა ბრუნვის ნიშანი აღმოჩნდება, წარმოქმნის ელემენტად მოიქცევა, ასეთი შეიძლება იყოს მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ნიშნები: დღე-**ს**-ი, დღ-**ის**-ი, დღ-**ისა**-ი, ბუნებ-**ით**-ი, სულიერ-**ად**-ი... სახელობითი ბრუნვის ფორმებია და არა მიცემით-სახელობითი, ნათესაობით-სახელობითი, მოქმედებით-სახელობითი და ვითარებით-სახელობითი ბრუნვების ფორმები.

თუ ბრუნვა სინტაქსური ფუნქციით განისაზღვრება და არა კონტრასტულობისა და ოპოზიციის მიხედვით (ფ. დე სოსიური, ჩ. ფილმორი), მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი თ ი ძველ ქართულში საერთოდ ვერ ჩაითვლება ბრუნვად, იგი იქ ზ მ ნ ი ს ა რ თ ი ი ყ ო, რომელიც მიმართულებას გამოხატავდა და უპასუხებდა კითხვებს „საით?“, „საითკენ?“ რადგან კითხვა სინტაქსურ წყვილებში საზღვრულს მიემართებოდა და არა მსაზღვრელს. „ვისკენ?“ კითხვა დღევანდელი პოზიციიდან არის დასმული*, შდრ. თანამედროვე ქართულის მ ე ზ ო ბ ლ ი ს ა ს, რომელიც „სად?“ კითხვას ითხოვს, მიუხედავად იმისა, რომ **ვინ** ჯგუფის სახელის ზმნისართად ტრანსლირებას წარმოადგენს. მ ე ზ ო ბ ლ ი ს ა ს ელიპსისის შედეგია (სახლსა მეზობლისას → მეზობლისას), როგორც ძველი ქართულის

---

* კ. დანელია ისტორიულად -**დ** და -**ად** სუფიქსებს განასხვავებდა ფუნქციით: ძვ. ქართულამდე -**დ** გამოხატავდა მიმართულებას, -**ად** კი — ვითარებას. დებულება ემყარება კონტრასტულ დისტრიბუციას ამ ორ სუფიქსს შორის. მისი აზრით, ამ სუფიქსთა გაერთიანება მორფონოლოგიური ცვლილების შედეგია: განსხვავებული მნიშვნელობის *მ ც ხ ე თ ა-**დ** და *მ ც ხ ე თ ა-**ად** ჩამოყალიბდა მ ც ხ ე თ ა დ სახით. -**ისა** დაბოლოებას ძველ ქართულში, -**დ** და -**ად** დაბოლოებათაგან განსხვავებით, გარკვეული ნიუანსი ახლდა: -**დ** ~ -**ად** მიუთითებდნენ კონკრეტულ სივრცით პუნქტებზე, -**ისა** კი — მიმართულებას იმისკენ, ვინც ამ პუნქტში იყო [კ. დანელია, 1998, 512].

დავითისა, და შენარჩუნებული აქვს ჩავარდნილი საზღვრულის გრამატიკული მნიშვნელობა.

ჩვენი პოზიცია ამავე დროს ემყარება ფორმაწარმოების მოდელს, რომელიც ახასიათებს ზმნისართებს და არ ახასიათებს სახელთა ბრუნვის ფორმებს: დავითისა ტიპის ფორმათაგან წარმოიქმნება ზმნისართთა სხვა ფორმები, როგორიცაა: დავითისით, დავითისა(დ)მდე და უშუალოდ უკავშირდებიან ზმნა-შემასმენელს, როგორც ზმნისართები – ადგილის ან დროის გარემოებები: დავითისით „დავითის დროიდან", დავითისა(დ)მდე „დავითის დრომდე", ხშირად მასთან ვიდრე კავშირიც იხმარება: „ყოველი ნათესავი აბრაამითგან ვიდრე დავითისა [მდე] ნათესავი ათოთხმეტ, და დავითისითგან ვიდრე ტყუეობადმდე ბაბილონისა ნათესავი ათოთხმეტ და ტყუენვითგან ბაბილონისაჲთ ვიდრე ქრისტესამდე ნათესავი ათოთხმეტ (მ. 1, 17). აქ დავითისა(დ)მდე, დავითისითგან და ქრისტესამდე დროის გარემოებებია. მაშასადამე, დავითისა, ქრისტეჲსა || ქრისტესა ზმნისართები დამოუკიდებლად იჩენენ წარმომქმნელ ელემენტებს შემასმენელთან ურთიერთობის დროს (შდრ. მუნით, მუნითგან, მუნა(დ)მდე და ა. შ.) და წარმოქმნიან ახალ-ახალ ზმნისართებს განსხვავებული მნიშვნელობით: დავითისით „დავითის დროიდან მოყოლებული", დავითისამდე „დავითის დრომდე". ეს ფორმები შეიძლება ადგილის გარემოებებსაც გამოხატავდნენ, თუ ელიპსისში საზღვრული „ადგილი" ან „სახლი"... არის ჩავარდნილი.

აქ შეიძლება გავიხსენოთ ძველი ქართულის ზმნისართები: ზაფხულის „ზაფხულში", ზამთრის „ზამთარში". ესენიც ისტორიულად საზღვრულდაკარგული მსაზღვრელებია, მაგრამ, ელიპსისის შედეგად დამოუკიდებლობა ჰქონდათ შეძენილი, როგორც დროის ზმნისართებს.

შეიძლება დავასკვნათ: დავითისა, ქრისტესა; დავითისით, ქრისტესით; დავითისამდე, ქრისტესამდე უშუალოდ ზმნას უკავშირდებიან და ზმნისართებს წარმოადგენენ, მათ ბრუნების სისტემაში ვერ მოვაქცევთ და, რამდენადაც ამ ფორმათა ზმნისართებად ტრანსლირება ხდება, მათ

ვერც „მეორად ბრუნვებს“ ვუწოდებთ და ვერც „ნათესაობით-ვითარებითს“. ასეთი ბრუნვები არ არსებობს. როცა ბრუნვის ნიშანი ნარმოქმნის ელემენტად მოიქცევა, ის კავშირს წყვეტს ბრუნების სისტემასთან, გადაირიცხება ფუძეში და ფლექსიურ ყოველგვარ ფუნქციას კარგავს.

მეტყველების ნაწილთა ტრანსლაციის თეორია სიტყვაფორმებში ბრუნვის ნიშნებად მიჩნეულ ელემენტთა რანგობრივი განსხვავების მიხედვით გამოწვლილვით შესწავლას ითხოვს.

ქართული ენის სახელთა ფუძეების კუმშვისა და უკუმშველობისთვის

ფუძეკუმშვადია სახელი, რომლის ფუძე განსაზღვრულ პოზიციაში კარგავს ბოლო მარცვლის ხმოვანს მომდევნო მარედუცირებელი სუფიქსის წინ; მაგალითად, კ ე დ ე ლ **-ის** > **კედლ**-ის: კედელ- ფუძე კარგავს ბოლო მარცვლის /ე/ ხმოვანს მარედუცირებელი **-ის** სუფიქსის გავლენით.

კუმშვას იწვევს ფუძეზე -VC ტიპის სუფიქსის დართვა (-ის, -ით, -ებ, -ელ, ულ-...). -VC ზოგჯერ გავრცობილია მარჯვნივ: -V(C)VC სახით (-ოვან, -ოსან, -იან, -იერ...); იშვიათად ჩანაცვლებულია -CVC მარედუცირებელი სუფიქსით (-ნარ).

მიუხედავად მარცვალთა რაოდენობისა, ს ა ხ ე ლ თ ა ფ უ ძ ე ე ბ ი ს კ უ მ შ ვ ა ში მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა ს იღებს **მხოლოდ** ბ ო ლ ო ო რ ი მ ა რ ც ვ ა ლ ი; მათ ვუწოდებთ კ უ მ შ ვ ი ს ს ე გ მ ე ნ ტ ე ბ ს. ამ სეგმენტთა როლი სახელთა ფუძეების კუმშვაში განსხვავებულია: მარედუცირებული სუფიქსის უშუალოდ წინ დგას ს ა რ ე დ უ ქ ც ი ო ს ე გ მ ე ნ ტ ი. ამ სეგმენტის ხმოვნის ჩავარდნით ხორციელდება სახელთა ფუძეების კუმშვა.

რადგან კუმშვა ხორციელდება ორმარცვლიან მონაკვეთში და არ ხდება ერთმარცვლიანებში, გარდა გამონაკლისისა, სარედუქციო სეგმენტამდე მდებარე სეგმენტს ვუწოდებთ კ უ მ შ ვ ი ს ს ა ყ რ დ ე ნ ს ე გ მ ე ნ ტ ს, უფრო მარტივად – ს ა ყ რ დ ე ნ ს ე გ მ ე ნ ტ ს. ეს სეგმენტი ფუძის კუმშვის დროს ფონეტიკურ სახეს არ იცვლის.

სარედუქციო სეგმენტი ფუძის ბოლო მარცვალია და ბოლოვდება ცალი თანხმოვნით*. დასაწყისში კი შეიძლება იყოს როგორც ცალი თანხმოვანი, ისე თანხმოვანთა მთელი კომპლექსი. ამ აღწერიდან ლოგიკურად გამომდინარეობს წესი: თუ სახელის ფუძე ბოლოვდება ერთზე მეტი თანხმოვნით, ის ფუძე უკუმშველია.

კუმშვის საყრდენი სეგმენტიც ერთი მარცვალია და შეიძლება წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ხმოვნით (**ე-კალ-**, **უ-ღელ-**, **უ-ფალ-**...), ღია მარცვლით ექსპლოზიურ ნაწილში (**ამ-ბარ-**, **ერ-ქუან-**...) ან ღია მარცვლით იმპლოზიაში (**ვა-ჭარ-**, **ნა-ცარ-**, **მუ-ცელ-**...), ან დახურული მარცვლით (**მან-გალ-**, **ფუტ-კარ**, **მინ-დორ**...).

კუმშვის საყრდენი სეგმენტი შეიძლება მარცხნივ განივრცოს სხვა მარცვლებით: **მეგობარ-**, **მატარებელ-**, **აღმაშენებელ-**... (ხაზგასმულია მარცხნივ გავრცობის მარცვლები). კუმშვის საყრდენი სეგმენტის გავრცობა მარცხნივ კუმშვის პროცესზე გავლენას ვერ ახდენს, მაშასადამე, სახელურ ფუძეთა კუმშვისათვის არსებითია ბოლო ორი სეგმენტი და მარედუცირებელი სუფიქსი მათ მომდევნოდ.

მარედუცირებელ სუფიქსთა გავლენას განიცდიან განსაზღვრული სტრუქტურის ფუძეები. კუმშვის დროს სარედუქციო სეგმენტიდან ამოვარდება /ა/, /ე/ ან /ო/ ხმოვანი, რაც მრავალგზის ილუსტრირებულია სამეცნიერო ლიტერატურაში. ამ მხრივ გამორჩეულია ი. იმნაიშვილის მონოგრაფია (იმნაიშვილი 1957, 42), სადაც აღნიშნულია, რომ ძველი ქართულის კუმშვადი ფუძეებიდან უმეტეს შემთხვევაში ამოვარდება /ა/, რაოდენობრივად მას მისდევს /ე/-ს ამოვარდნა, მათთან შედარებით სახელთა ფუძეებიდან ნაკლებად რედუცირდება /ო/. /ო/-ს რედუქცია კვალს ტოვებს [უ] ალოფონის სახით, როცა ამის შესაძლებლობას აძლევს გარემო: **ნიგოზ-** – ნიგუზის; შდრ. ობოლ- – ობლის, [უ]

* ძველი ქართულის კუმშვადებში შედიოდა სამი ფუძე, რომლებიც ორი თანხმოვნით ბოლოვდებოდნენ (იხ. გვ. 42). ისინი ახალ ქართულში ყველა პოზიციაში უკუმშველია.

იკარგება ლაბიალურ გარემოში. რედუცირებადი /ო/-ს მიერ მარცვლიანობის დაკარგვა, [უ]-დ ქცევა, და მისი ჩავარდნა სიტყვის ფორმიდან სიმულტანური პროცესებია (გოდორის > გოდურის არ დასტურდება სალიტერატურო ენასა და დიალექტებში).

სამეცნიერო ლიტერატურიდანვე ცნობილია ორი კუმშვადი სახელი, რომელთა სარედუქციო სეგმენტიდან ამოვარდნილი იყო /უ/ და /ი/ ხმოვნები: შურდულის > შ უ რ დ ლ ი ს , უნაგირის > უ ნ ა გ რ ი ს . თანამედროვე ქართულში ესენი უკუმშველ ფუძეებს შეუერთდნენ, ნორმატიულია შ უ რ დ უ ლ ი ს , უ ნ ა გ ი რ ი ს (თოფურია, გიგინეიშვილი 1998).

როგორც ითქვა, სახელთა ფუძეების კუმშვაში ერთდროულად მონაწილეობენ კ უ მ შ ვ ი ს ს ა ყ რ დ ე ნ ი ს ე გ მ ე ნ ტ ი , მის მომდევნოდ – ს ა რ ე დ უ ქ ც ი ო ს ე გ მ ე ნ ტ ი და მათ მომდევნოდ – მ ა რ ე დ უ ც ი რ ე ბ ე ლ ი ს უ ფ ი ქ ს ი . ამ სამ ელემენტს ერთად ვუწოდებთ კ უ მ შ ვ ი ს პ ო ზ ი ც ი ა ს : სა-მარ-თალ-ის ფორმაში კუმშვის პოზიციას ქმნიან **-მარ-თალ-ის**, სადაც **-მარ-** არის კუმშვის საყრდენი სეგმენტი **-თ ა ლ -** სარედუქციო სეგმენტია, **-ის** კი – მარედუცირებელი სუფიქსი. **სა-** პრეფიქსი კუმშვის პროცედურაში არ მონაწილეობს: სამართალ-ის > სამართლის.

სახელთა ფუძეების კუმშვის მოვლენაში გასარკვევად, მაშასადამე, უნდა აღიწეროს კუმშვის საყრდენი სეგმენტის იმპლოზიური ნაწილი და სარედუქციო სეგმენტის როგორც იმპლოზიური, ისე ექსპლოზიური ნაწილები, რადგან ს ა რ ე დ უ ქ ც ი ო ს ე გ მ ე ნ ტ ი ს ხ მ ო ვ ნ ი ს ჩ ა ვ ა რ დ ნ ი ს შ ე მ დ ე გ ა მ ნ ა წ ი ლ თ ა თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ე ბ ი ე რ თ ა დ ე ქ ც ე ვ ი ა ნ ი ნ ტ ე რ ვ ო კ ა ლ უ რ პ ო ზ ი ც ი ა ში – კუმშვის საყრდენი სეგმენტისა და მარედუცირებელი სუფიქსის ხმოვნებს შორის და ქმნიან კომპლექსებს ორიდან ხუთამდე თანხმოვნით (ე-კალ-ის > ეკლის, ჩინ-ჩხვარ-ის > ჩინ**ჩხვრ**ის). თანხმოვანთა ეს კომპლექსები აღნიშნული ორი ხმოვნის მარცვლებში ნაწილდებიან (ეკ-ლის, ჩინ-ჩხვრის).

სახელის ფუძეთა კუმშვა დამოკიდებულია ი ნ ტ ე რ ვ ო კ ა ლ უ რ ი თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ ა კ ო მ პ ლ ე ქ ს ი ს კ ო მ პ ო ნ ე ნ ტ თ ა ბ უ ნ ე ბ რ ი ვ გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა ზ ე კ უ მ შ ვ ი ს ს ა ყ რ დ ე ნ ი

სეგმენტის ხმოვნის იმპლოზიაში და მარედუცირებელი სუფიქსის ხმოვნის ექსპლოზიაში.

მარცვლებში თანხმოვანთა განაწილება, ბუნებრივია, ემყარება ქართული ენისთვის დამახასიათებელ სინტაგმატურ წესებს. ამ წესთათვის არსებითია ფონემათა განაწილება ცალკეულ მორფემათა შიგნით. ეს შიდა მიმართებები ენის გენეტურ თვისებათა შესახებაც იძლევიან ინფორმაციას.

ქართული ენის თანხმოვნები ქმნიან ოთხ კლასს: I კლასს ქმნიან ბაგისმიერი თანხმოვნები, II კლასს – წინაენისმიერი თანხმოვნები, III კლასს – უკანაენისმიერი თანხმოვნები, IV კლასს – /რ, ლ, ნ/ სონორები*.

ქართული ენისთვის ბუნებრივია თანხმოვანთა განაწილების მზარდი ნაპრალოვნობის მოდელი, რომელიც სქემატურად ამ სახისაა:

1. ხშულები (ნულოვანი ნაპრალოვნობა)
2. ზ ს ჟ შ
3. ღ ხ ყ
4. ვ მ
5. რ ლ ნ

ისარი მიუთითებს ნაპრალოვნობის ზრდაზე.

თანხმოვანთა ბუნებრივ კომპლექსებში ერთიმეორეს მიჰყვებიან სხვადასხვა კლასის თანხმოვნები და ყოველი მომდევნო წინას აღემატება ნაპრალოვნობით; ჩქამიერი თანხმოვნები იცავენ ჰომოგენურობას სახმო სიმთა მოქმედების მიხედვით; მომდევნო სონორისთვის კი ეს ჭარბია (უთურგაიძე 1976: 102).

მარცვალთა შორის საზღვარიც იდება მზარდი ნაპრალოვნობის წესით: სადაც ირღვევა მზარდი ნაპრალოვნობის წესის თანამიმდევრობა, მარცვალთა გამყარი იმ ადგილზე გაივლის.

თუ ხმოვნებს შორის მოთავსებულ კომპლექსში თანხმოვნები მზარდი ნაპრალოვნობის წესით უერთდებიან ერთიმეორეს (მაგ., მე**წყრ**ის, სა**ზღვრ**ის...) დამარცვლისას პირველი ხმოვნის იმპლოზიურ ნაწილში მხოლოდ ერთი თანხმოვანი რჩება, დანარ-

* /ვ, მ/ სონორები ბაგისმიერთა კლასში ხვდებიან.

ჩენები მომდევნო ხმოვნის მარცვლის ექსპლოზიას წარმოადგენს (მეწ-ყრის, საზ-ღვრის...).

დამარცვლის ეს წესი გამომდინარეობს მზარდი ნაპრალოვნობის სქემიდან: თანხმოვანთა ურთიერთმიზიდულობის კოეფიციენტი მით უფრო იზრდება, რაც უფრო მეტია დაშორება თანხმოვანთა ჯგუფებს შორის სქემაში, ე. ი. ხშულებსა და სონორებს შორის მიზიდულება (O+S) მეტია, ვიდრე ხშულებსა და ჩქამიერ ნაპრალოვნებს შორის (O+F), რაზეც ამ კომპლექსთა სიხშირის სტატისტიკაც მიგვითითებს.

სქემაში კიდევ ერთი ჯგუფი რომ გამოვყოთ ნაპრალოვნობის ზრდის მიხედვით, ეს ხმოვანთა ჯგუფი იქნებოდა. თანხმოვანი + ხმოვანი (C+V) ყველაზე ბუნებრივი ფონემატური ჯგუფია ქართულში.

პაუზის მომდევნოდ კომპლექსები მორფემათა დასაწყისში მარცვალთა ექსპლოზია-იმპლოზიაზეც იძლევა ინფორმაციას. ამ პოზიციის ფონეტიკური ცვლილებები არგუმენტია მარცვალთა ექსპლოზიური ნაწილის დასახასიათებლად: სონორი ჩქამიერთა წინ ხშირად იკარგება: რკინა/კინა, რქა/ქა, ლვილი/ვილი, მთაში/თაში, მხარი/ხარი... ან ხდება არაბუნებრივი კომპლექსის გარდაქმნა ბუნებრივად: მხარი/ფხარი, მზე/ბზე, მსუენი (ძვ. ქართ.)/ფსვენი (დიალექ.)... ზოგჯერ ხდება მეტათეზისი ბუნებრივი თანამიმდევრობის აღსადგენად: რგოლი/**გრ**ოლი, (ათ-რვა-მეტი>) თრვამეტი> **თვრ**ამეტი, აწ-მყო/აწ-**ყმ**ო, ვარ-სქენ/ვარ-**ქს**ენ და სხვ.

ქართულ ენაში ხმოვანთა წინ და მომდევნოდ ცალი თანხმოვანი ბუნებრივია. გამონაკლისია /ვ/ ასევე ბაგისმიერი /უ, ო/-ს წინ.

როდესაც კუმშვის საყრდენი სეგმენტი ხმოვანია ან ხმოვნით დაბოლოებული ღია მარცვალი, ხოლო რედუცირებადი სეგმენტი CVC ტიპისა, ენას საშუალება ეძლევა სახელის კუმშვა ყოველთვის განახორციელოს, რადგან ასეთ შემთხვევაში ფუძის შეკუმშვის შემდეგ ინტერვოკალურ პოზიციაში ექცევა მხოლოდ ორი თანხმოვანი, რომლებიც ნაწილდებიან სხვადასხვა მარცვალში, სანიმუშოდ ავიღოთ ფუძეები: ეკალ-, ბეჭედ-, ძვ. ქართულიდან ვეშაპ- და ხუცეს-... ეს ფუძეები ძველ ქარ-

თულში იკუმშებოდნენ: ეკალ-ის > ეკლის, დაიმარცვლება ეკ-ლის, ბეჭედ-ის > ბეჭდის, დაიმარცვლება ბეჭ-დის; ვეშაპ-ის > ვეშპის (ვეშ-პის), ხუცეს-ის > ხუცსის (ხუც-სის)... ი. იმნაიშვილის მიერ შედგენილ ძვ. ქართულის **-არ** და **-ალ** დაბოლოების მქონე კუმშვად სახელთა სიაში (იმნაიშვილი 1957: 50-54) 37% და 44%, შესაბამისად რიგისა, ამ ტიპის ფუძეებია.

რაც შეეხება -CVC, -CCVC, -CCCVC ტიპის სარედუქციო სეგმენტებს, როცა ისინი სახელის ფუძეში მოსდევენ დახურული მარცვლით წარმოდგენილ VC-, CVC- ან, უფრო იშვიათად, CVCC- კუმშვის საყრდენ სეგმენტებს, კუმშვა თუ განხორციელდა, ინტერვოკალურ პოზიციაში შეიქმნება სამიდან ხუთამდე თანხმოვნით შედგენილი კომპლექსები, რომლებიც უნდა განაწილდეს სახელის ბოლო ორ მარცვალში. კუმშვა განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ მარედუცირებელი ხმოვნის ექსპლოზია გახდება მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსი, ხოლო წინა მარცვალი (რედუქციის საყრდენი სეგმენტი) დაბოლოვდება ერთი თანხმოვნით ან მზარდი ნაპრალოვნობის ორი თანხმოვნით, მაგალითად: აფთარ- – აფთრის (**აფ-თრის**), დამწუარ- – დამწურის (**დამ-წურის**), მოყუას- – მოყუსის (**მოყუ-სის**), სასუმელ- – სასუმლის (**სასუ-მლის**)*.

ბოლო მაგალითების ფუძეში კუმშვის საყრდენი სეგმენტი ორი თანხმოვნით ბოლოვდება (სასუ-მელ); ამ ფუძეთა კუმშვას ხელი არ ეშლება იმის მიუხედავად, რომ უშუალო მეზობლობაში ხვდება ორი ერთი და იმავე კლასის თანხმოვანი: ისინი ფუძეთა შეკუმშვამდეც და შეკუმშვის შემდეგაც სხვადასხვა მარცვალში ხვდებიან (სასუ-მლის, ხუც-სის).

როგორც ვნახეთ, მთელი რიგი ცვლილებები სიტყვათა ფარგლებში ადეკვატურად აღიწერება და აიხსნება მხოლოდ მარცვლის თეორიის ტერმინებში, კერძოდ: სახელთა ფუძეების

* თეორიულად ამ ინტერვოკალური თანხმოვნების რიცხვი შეიძლება რვამდე გაიზარდოს, რომელთაგან ოთხი თანხმოვანი იქნება რედუქციის საყრდენი ხმოვნის იმპლოზია, ოთხიც — მარედუცირებელი ხმოვნის ექსპლოზია.

კუმშვა (ანუ ხმოვანთა რედუქციის განსაზღვრული სახეობა), თანხმოვანთა მეტათეზისი, თანხმოვანთა ჩავარდნა სახელის ფორმათა განსაზღვრულ პოზიციაში და სხვა რიგის ფონეტიკური ცვლილებები. ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინ ე. ჰაუგენი მიუთითებდა მსგავსი ცვლილებების ანალიზისთვის მარცვლის თეორიის უაღრესად დიდ მნიშვნელობაზე (ჰაუგენი 1956).

სამეცნიერო-ლიტერატურაში დასახელებული ძველი ქართული კუმშვადი სახელებიდან მარცვლებში მზარდი ნაპრალოვნობის დაცვის წესს არ მიჰყვება ექვსი ფუძე, ესენია: [თირკუმლით], [სარკუმლით]; უმგბ(ვ)რისა, [სამშჭულისა], დამშდვრისა და [მომკუდრისა] (ძვ. ქართულის ორთოგრაფიით: თირკუმლით, სარკუმლით; სამშჭულისა, მომკუდრისა).

კუმშვის ჩვენი წესიდან ამ გამონაკლისებს ორად ვაჯგუფებთ. პირველ ჯგუფშია პირველად სახელთა ფორმები: [თირკუმლით] და [სარკუმლით]. ამ ფორმებს ისე ვერ დავმარცვლავთ, რომ ორივე მარცვალი ბუნებრივი იყოს: თირ-კუმლით, თირკ-უმლით ან თირკუმ-ლით... დამარცვლისას ხან იმპლოზიური ნაწილია მიუღებელი მზარდი ნაპრალოვნობის წესით, ხან – ექსპლოზიური ნაწილი. ანალოგიურია ვითარება მეორე სახელთანაც. ამ სახელებმა გვიან დაკარგეს ფუძისეული უ ([უ]) თანხმოვანი, თანამედროვე ქართულის ვერც სალიტერატურო ენაში და ვერც დიალექტებში ვეღარ შევხვდებით [უ]-ს, რომელიც ძველ ქართულში /ვ/ ფონემის ვარიანტი იყო ჩქამიერთა მომდევნოდ. თანამედროვე ფორმებია თ ი რ კ მ ე ლ ი და ს ა რ კ მ ე ლ ი, რომლებიც კუმშვადებია და ბუნებრივად იმარცვლებიან: თირკმლის, სარ-კმლის (**-კმლ** მზარდი ნაპრალოვნების მქონე კომპლექსია, იხ. სქემა). სავარაუდებელია, რომ ძველი ქართულის წარმოთქმაშიც არ ისმოდა ბაგისმიერი [უ] ბაგისმიერივე [მ]-ს გვერდით, მიუხედავად იმისა, რომ ორთოგრაფიაში უ-ც ([უ]) იხმარებოდა. ორივე სიტყვა [თირკმელ-] და [სარკმელ-] სახით წარმოითქმებოდა და ამიტომაც ორთოგრაფიულადაც ასე გაფორმდნენ ახალ ქართულში, „ვეფხის ტყაოსნის“ მე-17, მე-18 საუკუნეთა ხელნაწერებში ს ა რ კ მ ე ლ ფუძე ხშირად ამ სახითაც (უ-ს გარეშე) იხმარება.

ძველი ქართულის დანარჩენი ოთხი კუმშვადი ფუძე, რომელთაგან სამი (უმგბარ- | უმგბვარ-, დამშვდარ-, სამშჭუალ-) დღეს აღარ იხმარება, ნაზმნარ სახელს წარმოადგენს – მიმღეობებია, რაზეც მიუთითებს **-არ** დაბოლოება და **სა-** პრეფიქსი. სამშჭუალ- ფუძის **-ალ** აგრეთვე სუფიქსია (ჩიქობავა 1942: 322).

გასათვალისწინებელია, რომ ესენი პირველადი სახელები არ არიან, ნაზმნარი სახელებია და ამ მიმღეობებს შეკუმშული ძირი პირიანი ფორმებიდან გადმოჰყვა. ამავე დროს მხედველობაში ისაც არის მისაღები, რომ **-არ** და **-ალ** დაბოლოებები ყველაზე მეტად არის გავრცელებული კუმშვად ფუძეებში (მარი 1925: 40; იმნაიშვილი 1957: 50-54). ამ წინაპირობების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ეს გამონაკლისები ასოციაციური კუმშვის შედეგია ნორმალური გზით შეკუმშული **-არ** და **-ალ** დაბოლოების მქონე სახელთა გვერდით. ოთხი გამონაკლისი უამრავი წესიერად კუმშვადი ფორმების გვერდით მზარდი ნაპრალოვნობის წესის მნიშვნელობას სახელთა ფორმების კუმშვაში, რა თქმა უნდა, ვერ შეამცირებს.

*

* *

ერთმარცვლიანი, ანუ ცალსეგმენტიანი (რომელთაც კუმშვის საყრდენი სეგმენტი არა აქვთ) ფუძეები უკუმშველად მივიჩნიეთ, რადგან ქართულ ენაში ყველაზე მეტი რაოდენობით ისინი გვხვდებიან და ამავე დროს ყველაზე ნაკლებად განიცდიან კუმშვას. მეორეც, თანამედროვე ქართულთან შედარებით, ძველ ქართულში სახელთა ცალსეგმენტიან კუმშვად ფუძეებს თითქმის 50% აკლდება – მაშინ არ იკუმშებოდნენ. სავარაუდებელია, რომ ძველი ქართულის წინა პერიოდში, რომელიღაც ქრონოლოგიურ დონეზე, ცალსეგმენტიანი ფუძეები საერთოდ უკუმშველი იყო. ამ აზრს განამტკიცებს სვანურის ჩვენება*: ხმოვანთა რე-

* მეგრულსა და ჭანურში საერთოდ არ ხდება სახელთა ფუძეების კუმშვა. ორიოდ მაგალითში, სადაც ლაპარაკია ერთმარცვლიანი ფუძის კუმშვაზე, წარმოდგენილია ზმნური ფუძეები. ერთადერთ სახელურ ფუძეში

დუქციისადმი მიძღვნილ ნაშრომში ვ. თოფურია ორგზის აღნიშნავს: სვანურში „რედუქცია არ მოსდის ერთმარცვლიანებს გაორმარცვლიანებისას" (თოფურია 1946: 67) და „რედუქციას არ ემორჩილება ერთმარცვლიანი გაორმარცვლიანებისას" (იქვე, 70), თუმცა მან ერთმარცვლიან ფუძეთა რედუქცია მაინც დაუშვა: „არის შემთხვევები ერთმარცვლიან სახელთა რედუქციისა" (თოფურია 1946: 84).

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ძირითადად ეს ეხება ზმნურ ფუძეებს, სახელთა ფუძეების გაუმარცვლობა კი დაუშვებელია სვანურში: ვ. თოფურიას მაგალითებში მარკირებულ /ი/-ს ცვლის ირაციონალური /გ/ ხმოვანი, რაც კარგად არის ცნობილი (შანიძე 1981: 321): ჭიშხ – *ჭიშხ-ა̈რ > ჭგშხა̈რ და სხვ. (თოფურია 1946: 84). ამ ცვლილების დროს /ი/-ს ჩავარდნა და /გ/-ს გაჩენა მის ადგილზე სიმულტანური პროცესია, ასე რომ ერთმარცვლიანი ფუძის გაუმარცვლოება სვანურში არ ხდება.

შესაძლებელია ერთმარცვლიან ფუძეთა უკუმშველობის ქართველურ ენათა გენეტურ თვისებად გამოცხადება.

დავუბრუნდეთ ფუძეთა კუმშვა-უკუმშველობას ერთმარცვლიან ფუძეებში. ი. იმნაიშვილის მიერ ძველი ქართულის კუმშვად ფუძეთათვის შედგენილ სიაში 23 ცალსეგმენტიანი ფუძე მოხვდა. მათ ორად ვაჯგუფებთ. I ჯგუფში განვიხილავთ CVC-სტრუქტურის ფუძეთა კუმშვას, II ჯგუფში კუმშვად ფუძეებს, რომელთა ექსპლოზია თანხმოვანთა კომპლექსებია: CCVC-, CCCVC-, CCCCVC-. ამ ჯგუფში 20 ერთმარცვლიანი (ცალსეგმენტიანი) ფუძე იყრის თავს.

CVC- სტრუქტურის სამი ფუძეა კუმშვადი ძველ ქართულში*. ამ ფუძეებს განვიხილავთ ცალ-ცალკე.

(ფურ-ი „ცუდი") ძირეული /უ/-ს რედუქცია გაორმარცვლიანების შემდეგღა ხორციელდება მარედუცირებელი სუფიქსის წინ: უ-ფრ-აში „უარესი" (თოფურია 1946: 86) ფრ-იშ კი არ არსებობს.

* ნ. მარის მიერ კუმშვად ფუძედ მიჩნეული კ უ ა ლ - [კუალ] (მარი 1925: 43) ძველ ქართულში არ იყო კუმშვადი; შდრ. კუალად-გება, კუალის-დგინება... (აბულაძე 1973). ნ. მარი ზოგჯერ არ იცავს ქრონოლოგიურ დიფერენცირებას.

წელიწად- ფუძე კომპოზიტია (შანიძე 1981), მისი ნაწილებია წელით და წლად პირველ ნაწილში შეუკუმშავი, მეორე ნაწილში – შეკუმშული. ა. შანიძის აზრით, ეს ნაწილები სხვადასხვა დიალექტის შემონატანია სალიტერატურო ენაში. ერთი დიალექტი კუმშავდა ამ ფუძეს, მეორე არ კუმშავდა (შანიძე 1981: 313).

ვითარება ადვილად იხსნება ერთი სისტემის ფარგლებშივე: კომპოზიტის პირველ მარცვალში, როგორც მოსალოდნელი იყო, ცალსეგმენტიანი **წელ**- არ შეკუმშულა, მეორე წელ- კი კომპოზიტის მესამე მარცვალია, კუმშვის პოზიციას იღებს და იკუმშება (*წელითი წელად > წელიწლად > წელიწად). მაშასადამე, კუმშვა ამ ფუძისა არც დიალექტთა სხვაობას უკავშირდება და არც მახვილს. კომპოზიტი ძველია და ძველ ვითარებასაც გვიჩვენებს, როდესაც წელ- ჯერ კიდევ უკუმშველი იყო. ასეთი უკუმშველი ერთმარცვლიანი ფუძეები დღესაც გვხვდება: ისინი ცალკე ან კომპოზიტის დასაწყისში არ იკუმშებიან მარედუცირებელი სუფიქსების წინ, მაგრამ კუმშვის პოზიციაში, როდესაც სიტყვის ფუძის მეორე ან შემდგომი მარცვლებია, კუმშვადი ხდებიან, მაგ.: ფერ-ის, ფერ-ებ-ი... ფერის ცვალება; შდრ. ვარდისფრად და სხვ. კარ-ის, კარ-ებ-ი, კარისკაცი... შდრ. ცისკრის და სხვ. ერთგვარად მოულოდნელია საერთოდ უკუმშველი კარ- ფუძის (კარ-ის, კარ-ით, კარ-ად, კარ-ებ-ი, კარ-ედ-ი) კუმშვა ერთადერთ კრედსაბმელ-ში (ვარიანტებია კრეთსაბმელი და კრეტსაბმელი).

კარ ფუძე კუმშვის პოზიციაში იკუმშებოდა (მე-**კრ**-ე; ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 263); ზმნათა ფორმებშიც **კარ** შეკუმშულია შესაბამისად პოზიციისა (შე-**კრ**-ავს, შე-**კრ**-ულ...). სავარაუდებელია, რომ კრეტსაბმელ კომპოზიტში კუმშვა ანალოგიით არის განხორციელებული, ასოციატიურია.

ძალ- ფუძე ძველ ქართულში არსებითად უკუმშველია, კუმშვადი ხდება ჯერ კუმშვის პოზიციებში, როდესაც კომპოზიტებში ფუძის მეორე ან შემდგომი მარცვალია: ძალ-ის, ძალ-ით, მაგრამ თანდებულის როლში **-ძლ**-ით: თქუენძლით, ცოდვის ძლით (სამოციქულო 2009); ამ ფორმას ზმნისართის როლშიც ვხვდებით: „მოჰყვანდეს იგი არა ძლით“ (სამოციქულო 2009). ამ

შემთხვევაში უთუოდ საქმე გვაქვს ენკლიზიასთან – კუმშვა განხორციელებულია რიტმულ ჯგუფში: არა ძალით > არაძლით, სადაც ძალით ენკლიტიკაა.

იგივე შეიძლება ითქვას მეყ- ფუძეზე, რომელიც მყის ზმნისართის სახით ხშირად გამოიყენება ძველ ქართულში. წარვიდა მყის [< წარვიდა მეყის (ჟამსა)]. მყის (< მეყის) მსაზღვრელის ფორმაა. განმეორებადი (მუდმივი) საზღვრულის (ჟამი) დაკარგვის შემდეგ ენკლიზიის საფუძველზე ხდება მეორე ან ამის შემდგომი მარცვალი და კუმშვის პოზიციაში კარგავს ხმოვანს: წარვიდა მეყის > წარვიდა მყის; შდრ. უკუმშველი არსებითი სახელის თავ- ფუძე თანდებულის როლში კუმშვადი ხდება: თქუენ თავის > თქუენთუის / თქვენთჳს. ენკლიზიის საფუძველზე ფუძეთა კუმშვა ნორმალური ფონეტიკური პროცესია.

როდესაც ასეულ CVC- ტიპის სახელური ფუძიდან მხოლოდ სამი განიცდის კუმშვას, რა თქმა უნდა, მიზეზი ფონეტიკური გარემოა, რომლის შექმნას ჩვენ უკუმშველ ფუძეთა ენკლიტიკებად მოქცევას მივაწერთ.

*

* *

მეორე ჯგუფში ცალსეგმენტიან კუმშვად ფუძეებს ექსპლოზიად აქვთ მრავალთანხმოვნიანი (ორიდან ოთხამდე) კომპლექსები. წარმომავლობისა და სტრუქტურის მიხედვით მათ წარმოვადგენთ ექვს ქვეჯგუფად.

(1) მგბარ-, მკუდარ-, მჩუარ-, მძღუარ-, მწუარ-, მკალ-. ამათგან სალიტერატურო ქართულში ამ სახით აღარ იხმარება ან საერთოდ აღარ გვხვდება [მგბარ]-, [მყუარ-], [მჩუარ-], [მძღუარ-] და [მკალ] „კალია“.

დიალექტებიდან თუშურში დასტურდება **გბ** (<*გაბ) ძირი გამარტივებული /გ/-ს სახით – მგოლავი „ლუდის მხარშველი“ (შდრ. მგოლაობა, უთურგაიძე, 1960, 204), სადაც მ- მიმღეობის პრეფიქსია, პაუზის მომდევნო /მგბ/ კომპლექსი გამარტივებულია; მგოლავ- ფუძე უკუმშველია (მგოლავები – ცოცანიძე, 2002), მგბარ- ფუძე კი აღარც ამ დიალექტშია.

თუშურში დადასტურებული ყვარტი (შანიძე 1984; ჩაწერილია 1913წ.) და ყვრატ (უთურგაიძე 1960: 214), რომლებიც უკუმშველია და უდავოდ მყარ ფუძისგან მომდინარეობენ, ატ (< ად) სუფიქსი დართვია. თუშურში გვიან განხორციელებული /რ/-ს მეტათეზისით ფუძის ტერმინალური კომპლექსი /რტ/ გამარტივადა.

ახალ ქართულში ბუნებრივია ჩვარ-. აქაც ჩავარდნილია მიმღეობის **მ-** პრეფიქსი (შდრ. ძვ. ქართული დაჩჩუა „დარბილდა“, იხ. **დაჩჩუ** – ი. აბულაძე, 1979).

მკალ- ფუძემაც დაკარგა მიმღეობის **მ-** პრეფიქსი – კალია. კარგად ჩანს, არსებითი ცვლილება ამ ფუძეებში არის **მ-** პრეფიქსის ჩავარდნა. /მ/ არაბუნებრივია ჩქამიერ თანხმოვანთა წინ პაუზის მომდევნოდ (სიტყვის თავკიდურად) და, მიუხედავად მორფოლოგიური ფუნქციისა, სახელად მოქცეულ ფორმებში იკარგება. ქართული ენისთვის ეს ჩვეულებრივი მოვლენაა.

ერთმარცვლიანი სახელური ფუძეები არ იკუმშებოდნენ ძველ ქართულამდე, რაზეც, როგორც ზემოთ გაკვრით აღვნიშნეთ, ნათლად მიუთითებენ სვანური და მეგრული, სადაც არ ხდება ერთმარცვლიან სახელურ ფუძეთა კუმშვა. ქართულ ენაში კი თანდათანობით ხდება მათი რიცხვის მატება, თუმცა მრავალი ასეული ფუძიდან ჯერ ორმოცამდეც არ არის ასული მათი რაოდენობა. ბუნებრივია, დგება კითხვა: მაინც რატომ მოხდა კუმშვა სახელთა ერთმარცვლიან ზოგ ფუძეში? რა აქვთ მათ სპეციფიკური, სხვა ერთმარცვლიანთაგან განსხვავებული? დავიწყოთ ძველი ქართულით, სადაც უფრო მცირეა სახელთა ერთსეგმენტიან კუმშვად ფუძეთა რაოდენობა. (1) ძირითადად კუმშვა წარმოდგენილია ზმნური წარმომავლობის სახელთა (მიმღეობების) ფუძეებში: გაუხმოვანებელ ძირიან ზმნათაგან ნაწარმოები მიმღეობები ბოლოვდება -არ, -ალ, -ელ სუფიქსებით: მ-ჩუ-არ, მ-წუ-არ, მ-ყუ-არ, მ-კუდ-არ, მ-ცხუ-არ, (მ-)ქმ-არ-, მ-ძღუ-არ... ამ ორი ფაქტორის გამო ხდება ასოციატიური კუმშვა აღნიშნულ ფუძეებში: ასოციაციას განაპირობებენ (ა) ზმნათა გაუხმოვანებელი ძირები და (ბ) კუმშვად სახელთა (ისარ, აფთარ, ზეწარ, ლამპარ... ბარკალ, ეკალ-, მამალ-... კედელ, მუ-

ცელ, სოფელ...) დამახასიათებელი დაბოლოებები: **-არ**, **-ალ**, **-ელ**.

კუმშვადი მგბარ- ფუძის ძირი (გბ) პირიან ფორმებში ყველგან გაუხმოვანებელია, მიმღეობის **-არ** დაბოლოება კი კუმშვასთან ასოცირდებოდა, შედეგად ორმხრივი ასოციაციით მიღებულ იქნა შეკუმშული მგბრისა ფორმა, მიუხედავად იმისა, რომ /მგბ/ თანამიმდევრობა ფონემატურად არაბუნებრივია. უთუოდ ამას უნდა მივაწეროთ ამ მიმღეობისა (მგბარი) და მისი შეკუმშული ფორმის (მგბრისა) სრული ამოვარდნა სალიტერატურო ენიდან და დიალექტებიდან.

(2) მჯარ-, მხალ-, მგელ-. ამ ფუძეებშიც **მ-** პრეფიქსია, რომელიც ხშირად იხმარება სახელის მაწარმოებლად (ნომინაციის პრეფიქსია), დიალექტებში ხშირად შევხვდებით მას: მშველი, მყველი, მცა, მჯიში (იხ., მაგალითად, ძოწენიძე 1973: 19; ღლონტი 1984 და სხვ.).

დიალექტური ფორმებიდან ჩანს, რომ ცვლილებები ხდება ბუნებრივი კომპლექსების შესაქმნელად: მხარი (< მჯარი) / ფხარი (ღლონტი 1984), ასევე მხალი / ფხალი. დიალექტურ ფორმებში ხშირია გელი (< მგელი). ამ ფორმის კუმშვა ძველ ქართულში აგრეთვე ასოციატიურია. ახალ ქართულში არის ტენდენცია შეკუმშულ ფორმებში არაბუნებრივი კომპლექსები შეიცვალოს ბუნებრივით.

(3) სძალ-, სთუელ-. აქაც კუმშვა (სძლის, სთულის) ასოციაციურია: უკავშირდება **-ალ** და **-ელ** დაბოლოებებს. **ს-** პრეფიქსი თავკიდურად არაბუნებრივია: ერთი კლასის (წინაენისმიერთა) თანხმოვნები ამ პოზიციაში გვავარაუდებინებს მათ შორის მორფემათა საზღვარს ისტორიულად. დიალექტებში ფონემატური შეუთავსებლობის გამო ხდება ფონეტიკური ცვლილებები: ძალო, ძალუა ბარის დიალექტები (კახ., ქართლ.); აჭარულსა და მთის დიალექტებში სძალი შეიცვალა ზალი ფორმით. სთუელი სალიტერატურო ქართულში შეცვალა რთველი ფორმამ, რაც აგრეთვე არაბუნებრივია. ბუნებრივია აჭარული თველი (იხ. გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე 1961: 658). დიალექტებში კუმშვის შედეგად მარედუცირებელი ხმოვნის წინ მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსებია: **ზლის** და **თვლის**.

(4) ჯრმალ-, ბრძენ-. ჯრმალ- ნასესხებია (მარი 1925: 46), ნასესხებ ბრძენ- ფუძეში (ფოჩხუა 1974: 356) არაბუნებრივია **რძ** თანამიმდევრობა. ორივე ფუძეში განხორციელდა ცვლილება: ახალ ქართულში გვაქვს ხმალ-, კუმშვის შედეგად ვიღებთ მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსს **ხმლის**; ბრძენ- დიალექტებში ბზენ სახეს იღებს (იხ., მაგალითად, ჭინჭარაული 2005), შესაბამისად აქაც შეკუმშულ ფუძეში დაცულია მზარდი ნაპრალოვნობა კომპლექსში **ბზნის**. ტრადიციული ასოციაციური კუმშვის გასაგრძელებლად ენა კომპლექსებს ამარტივებს და რედუცირებული სეგმენტები თანხმოვანთა მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსებამდე დაჰყავს მარედუცირებელი ხმოვნის მიერ შექმნილი მარცვლის ექსპლოზიაში (**ხმლის, ბზნის**).

(5) წყალ-, ქსელ-, ძღუენ-, ქმარ-. ეს ფუძეები ისტორიულად განიცდიან ასოციატიურ კუმშვას დაბოლოებათა გამო (-ალ, -ელ, -ენ, -არ). ამას ემატება ისიც, რომ კუმშვის შედეგად ვიღებთ მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსებს და იქმნება ბუნებრივი მარცვლები მარედუცირებელი ხმოვნის მონაწილეობით: **წყლის, ქსლის, ძღუნის, ქმრის**.

თუშურ დიალექტში ქმარ- ფუძე უკუმშველია: ქმარის ძმა, ქმარეულნი, საქმარე... იშვიათად ძველ ქართულშიც გამოერევა უკუმშველი ქმარ- სეგმენტი განსხვავებული მნიშვნელობით: საქმარად (აბულაძე 1973). საერთოა ქმ (< ქამ).

(6) ერთსეგმენტიან ფუძეებში ორი თანხმოვნით დაბოლოებული კუმშვადი ფუძე სამია ძველ ქართულში: ღმერთ- (ღმრთის), ფერჴ- (ფრჴით) და მკერდ- (მკრდ-ის). ამ ფუძეთა კუმშვა გამონაკლისია ძველ ქართულში, რადგან ცალი ხშული თანხმოვნით, საერთოდ, ცალი ჩქამიერი თანხმოვნით დაბოლოებული ერთმარცვლიანი ყველა სახელური ფუძე ძველსა და ახალ ქართულში უკუმშველია (შდრ. უკუმშველი ფუძეები: ჭად-, წათ-, ხად-, ბედ-, წეთ-, ქედ-, ზეთ-, მეჴ- და სხვ.).

ამ ფუძეთა კუმშვა გამონაკლისია ორი თანხმოვნით დაბოლოებული ერთ- და მრავალმარცვლიანი უკუმშველი ფუძეების გვერდითაც, როგორიცაა: ვარდ-, ნარდ-, ფერდ-, გუერდ-

... მრავალმარცვლიანი: მოზარდ-, ჯუამალდ-, ფალავანდ- და სხვ. ამათგან მხოლოდ გ უ ე რ დ- ფუძემ დაიწყო კუმშვა მარცვლის მომატების შემდეგ: ი გ უ რ დ ი ვ- ფორმა ბუნებრივად იმარცვლება მიმატებული ხმოვნის წყალობით: იგურ-დივ.

ეს გამონაკლისებიც ა ს ო ც ი ა ც ი უ რ ი კ უ მ შ ვ ი ს შ ე დ ე გ ი ა: ისინი კუმშვას განიცდიან ძველი ქართულის კონფიქსიან ფორმებში ხმოვნებს შორის: სა-ღმრთ-ო, სა-ფრჯ-ე, სა-მკრდ-ე. ს ა ღ მ რ თ ო და ს ა ფ რ ჯ ე ბუნებრივად იმარცვლებიან (საღმრ-თო, საფრ-ჯე).

რაც შეეხება მ კ ე რ დ- ფუძეს, ნასესხები ძირი აქვს (შდრ. ბერძნ. καρδία), მ- პრეფიქსი ქართულში დაემატა, ნომენაციის პრეფიქსია. ახალ ქართულში უკუმშველი გახდა. ფონეტიკურად იცვალა ძვ. ქართულის ღ მ რ თ ი ს. ამ საეკლესიო ტერმინს* დიალექტებში გაუჩნდა შემდეგი ფონეტიკურად შეცვლილი დუბლეტები: ღვთის (ღმთის < ღმრთის), ხთის, თის (შდრ. საკუთარი სახელები: ხვთისო, თისო).

ფონეტიკურად შეიცვალა ფერჯ-, ახალ ქართულშია ფ ე ხ-, რომელიც უკუმშველი გახდა ყველა პოზიციაში: უფეხო, ნაფეხური... ძველ ქართულშიც ხშირად იყო უკუმშველად ნახმარი (ფერჯის, ფერჯით).

*

* *

ჩვენს თვალსაზრისს განვიხილავთ ბრუნების პარადიგმაში სახელის ფუძეთა კუმშვის მორფონოლოგიურ მოვლენებთან დაკავშირებული გამოკვლევების ფონზე, კერძოდ ნ. მ ა რ ი ს, ა. შ ა ნ ი ძ ი ს ვ. თ ო ფ უ რ ი ა ს ა და არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს ნაშრომებს კუმშვის მოვლენასთან დაკავშირებით.

ნ. მარმა „სუსტ ბრუნებაში" განათავსა კუმშვადფუძიანი სახელები ("Неустойчивые основы"). მისი აღწერით, კუმშვისთვის საჭიროა უპირველესად ფ უ ძ ე თ ა ო რ მ ა რ ც ვ ლ ი ა ნ ო ბ ა: "Беглость гласных в грузинском литературном языке т р е б у е т д в у с л о ж н о с т и о с н о в ы. Следовательно, она может проявляться теоретически лишь в двух- и трехсогласных корнях" (მარი

* საერო ტერმინია ღვთის / ხვთის.

1925: §62. ხაზი ჩ. – თ. უ.). ნ. მარს მხედველობაში აქვს ორთანხმოვნიანი უფალ-, ეკალ-, უღელ-... და სამთანხმოვნიანი ტაძარ-, ნაცარ-საბელ ... ტიპის ფუძეები.

მან აქვე განსაზღვრა კუმშვის განმაპირობებელი სხვა ფაქტორებიც: ფუძის ბოლო მარცვალში არამდგრადი /ა/ და /ე/ ხმოვნები ("беглые гласные"), ფუძის დაბოლოება **სონორი /ნ, ლ, რ/** და, შედარებით ნაკლებად, **/მ, ვ/ თანხმოვნებით** და მახვილი: "В фактическом положении беглости гласных подвижных основ в грузинском древнелитературном решающую роль играют состав коренных и закон об ударении" (მარი 1925: §63, а).

ფუძისეულ თანხმოვანთა შემადგენლობა უკვე განვიხილეთ; რაც შეეხება მახვილის კავშირს კუმშვასთან, თუ სახელთა ორ- და სამმარცვლიან ფორმებში მახვილი თავკიდურა მარცვალზეა (შესაბამისად ბოლოდან მეორე ან მესამე მარცვალზე*, სახელის ფუძეს ცვლილება არ ელის, მაგრამ თუ ორმარცვლიან ფუძეს დაერთვის ემფატიკური ხმოვნით გავრცობილი ბრუნვის ნიშნები ნათესაობით, მოქმედებით და მიმართულებით (თანამედროვე ტერმინოლოგიით ვითარებით) ბრუნვებში, მახვილი მიუღებელ ადგილზე აღმოჩნდება – ბოლოდან მეოთხე მარცვალზე: qòman-isa // qòmen-isa (ნათ. ბრ.)**, რაც დაუშვებელია ("Нетерпимо").

ამ ვითარებიდან ნ. მარი ხედავს ორ გამოსავალს: ან მახვილი უნდა გადავიდეს ბოლოდან მესამე მარცვალზე, ან ამოვარდეს ფუძის უცვლელ ხმოვანსა და ფუძეზე დართულ დაბოლოებას შორის მდგარი ხმოვანი*** (მარი 1925: §63,ნ), ე. ი. მოხდეს შეკუმშვა. ქართული მეორე გზას ირჩევს.

ეს დებულებები გარკვეულ შენიშვნას იწვევს: (1) ვითარებით ბრუნვას, ცნობილია, ძველ ქართულში გავრცობილი ფორმა

---

* "Ударные слоги в грузинском - 2-й и 3-й слоги с конца" (მარი 1925: 13).

** ოთხ- და ხუთმარცვლიან სიტყვებში მახვილი ბოლოდან მეორე ან მესამე მარცვალზეა, ხუთ- და მეტმარცვლიანებში თანამახვილიც ჩნდება: მარგალიტი ან მარგალიტი; აღმაშენებელი (მარი 1925: §16).

*** ეს ფუძის ბოლოში რედუცირებადი მარცვლის ხმოვანია — /ა/ (მერცხალ-ის > მერცხლის); „ფუძის უცვლელი ხმოვანია" /ე/ (მერცხლის); ფუძეზე დართული ხმოვანია /ი/ (მერცხლის).

არა ჰქონდა; (2) ემფატიკურ ხმოვანს არასოდეს მიუღია მონაწილეობა ფუძეთა კუმშვაში, მიუხედავად იმისა, რომ მარცვალთა რაოდენობას ზრდიდა სახელთა ფორმებში, რაც კარგად ჩანს იქიდან, რომ მიცემით ბრუნვაში გავრცობილ ოთხმარცვლიან ფორმებში საერთოდ კუმშვად ფუძეებსაც კი არაფერი ემართებათ, მაგ.: სამოსელ-სა, სასყიდელსა და სხვ., ნათესობით, მოქმედებით, ვითარებით ბრუნვებში კი ემფატიკური ხმოვნის გარეშეც იკუმშებიან ორმარცვლიანი ფუძეები: ასრის (შდრ. ასარ-), ავრის (შდრ. ავარ-), მოძღურით (შდრ. მოძღუარ-), უფლით (შდრ. უფალ-). ქათმის ყივილმდე (მ. 26, 34c); შდრ. ქათამ-; ქათმის ყივილს (მრ. 13, 35c); „თქვენ მხადით მე მოძღურით და უფლით" (შდრ. მოძღუარ-, უფალ-) და სხვ.

ძველ ქართულში (ასევე თანამედროვეში) მახვილის გავლენა სახელის ფუძეთა კუმშვაზე ნულის ტოლია. როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, სახელთა ფუძეების კუმშვისთვის არსებითია ფუძეთა ბოლო ორი მარცვალი და მათ მომდევნოდ მარედუცირებელი სუფიქსი, რომელიც კუმშვის პოზიციაში მესამე მარცვალს წარმოადგენს: მერცხალ-ის > **მერცხლის**. კუმშვის შედეგად ამოვარდა ფუძისეული /ა/, რომლის რედუქციის შემდეგ კუმშვის საყრდენი სეგმენტის (მერ) ხმოვანსა (ე) და მარედუცირებელი სუფიქსის (-ის) ხმოვანს(ი) შორის წარმოიქმნა /რცხ/ კომპლექსი, რომელიც ნაწილდება /ე/ და /ი/ ხმოვანთა მიერ შექმნილ მარცვლებში: მერ-ცხლის. ბუნებრივი დამარცვლა ხდება მზარდი ნაპრალოვნობის პრინციპით. მარცვალთა გამყარი გაივლის არაბუნებრივი /რც/ კომპლექსის შუაზე*, /-ცხლ/ კომპლექსი კი იცავს მზარდ ნაპრალოვნობას, ამიტომ დასაშვებია მარცვლის ექსპლოზიად.

სონორით ფუძის დაბოლოება ხელს უწყობს კუმშვას, მაგრამ არ არის საკმარისი კუმშვის განხორციელებისთვის, კერძოდ იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ბუნებრივი დამარცვლა ვერ ხორციელდება, მაგალითად, მკურნალ - ფუძის კუმშვა გამორიცხულია როგორც ძველ ქართულში, ისე თანამედრო-

* ქართულისთვის ბუნებრივია ჩქამიერ + სონორი, არაბუნებრივია შებრუნებული რიგი (უთურგაიძე 1976: 102).

ვე სალიტერატურო ენასა და დიალექტებში, რადგან მარედუცირებელი რომელიმე სუფიქსის დართვის შემდეგ წარმოქმნილი თანხმოვანთა /რნლ/ კომპლექსი ბუნებრივად ვერ განაწილდება /უ/-სა და /ი/-ს შორის: მკურნ-ლის დამარცვლა მიუღებელია პირველი მარცვლის არაბუნებრივი იმპლოზიის გამო – /რნ/ თანმიმდევრობა ერთი მარცვლის ფარგლებში მიუღებელია ენისთვის*, რადგან /რ/ და /ნ/ ერთი კლასის თანხმოვნებია; ასევე მკურ-ნლის დამარცვლა არის მიუღებელი ექსპლოზიური /ნლ/ კომპლექსის გამო, აქაც მარცვლის ფარგლებში უშუალო თანამიმდევრობით ერთი კლასის თანხმოვნები იყრის თავს; ასევე ვერ შეიკუმშება ძვ. ქართულის დამჭნარ- ფუძე. მარცვალთა გამყარი გადის /მ/-ს შემდეგ: დამ-ჭნარ-, კუმშვის შემდეგ უნდა მიგვეღო დამჭნრის, დამჭნრად, დამჭნრები და სხვ. ამ შემთხვევაში ბოლო მარცვლის ექსპლოზია /ჭნრ/ მიუღებელია /ნრ/ კომპლექსის გამო, მაგრამ რომელიმე ინჟინერ- ფუძე შეიკუმშება, რადგან /ნ/ და /რ/ სხვადასხვა მარცვალში ექცევა: ინ-ჟინ-რის, შდრ. ძვ. ქართულის კუმშვადი ფუძე მყინვარ- – მყინვრის, რომელიც ბუნებრივად იმარცვლება: მყინვრის – /ვ/ და /რ/ სხვადასხვა კლასის თანხმოვნებია და /რ/ სონორი ნაპრალოვნობით აღემატება /ვ/-ს, ასევე ბუნებრივია ძვ. ქართულის ჭაკუნტალ- ფუძის კუმშვა, რადგან სონორები სხვადასხვა მარცვალში ნაწილდებიან: ჭაკუნ-ტლის, /ტლ/ კი მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსია და სხვ.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნ. მარის მიერ სახელის ფუძეთა კუმშვის დაკავშირება მათ ორმარცვლიანობასთან**, რასაც ჩვენს თეორიაში მიესადაგება კუმშვის საყრდენი და რედუცირებადი სეგმენტები, რომლებიც ქმნიან ორმარცვლიან ფუძეს, რის საფუძველზეც ერთმარცვლიან ფუძეთა კუმშვა გამონაკლისად მივიჩნიეთ, გამონაკლისად, რომელიც კუმშვის ძირითად წესს ადასტურებს: ისინი კუმშვას იწყებენ როგორც ენ-

* ენის გენეტური ფონემატური თვისებები ვლინდება მორფემის ფარგლებში: ერთი მორფემის ფარგლებში არ დასტურდება ერთი კლასის /რ, ლ, ნ/ სონორთა უშუალო თანამიმდევრობა.

** რასაც საკითხთან დაკავშირებულ ლიტერატურაში ყურადღება არ მიექცა.

კლიტიკები ან რთულ ფუძეთა მეორე მარცვალი ან შემდგომი შემადგენელი (მაგ., უკუმშველია ღ ვ ა რ - ფუძე, ღუარ-ის ძვ. ქართ; ღ ვ ა რ ი ს ახ. ქართული, მაგრამ კუმშვადი ხდება რთულ ფუძეში: ნიაღვარ- – ნიაღვრის...); ბალ- ფუძე საშუალ ქართულში უკუმშველია (ბალის, ბალები...) კუმშვადი გახდა ახალ ქართულში, სავარაუდებელია, რთულ ფუძეში კუმშვის შემდეგ; შდრ. ალუბალ- – ალუბლის...

ა. შანიძემ მის ცნობილ წერილში – „წელიწადის ეტიმოლოგიისათვის“ (1981) გაარკვია, რომ წ ე ლ ი წ ა დ - ფუძე მომდინარეობს წ ე ლ ი თ ი წ ე ლ ა დ კომპოზიტისგან. აქვე ჩამოყალიბებულია მორფონოლოგიური წესები, რომლებიც ეხება სახელთა ფუძეების კუმშვას ქართულსა და სვანურში.

ა. შანიძემ მიუთითა „ქართულ ნიადაგზე“ შექმნილი წელიწად- ფუძის ფორმაწარმოებით თავისებურებაზე. მისი აზრით, მოსალოდნელი იყო ან *წ ე ლ ი თ ი წ ე ლ ა დ, ან *წ ლ ი თ ი წ ლ ა დ. ამ კომპოზიტში კი ერთი და იგივე ფუძე დასაწყისში უკუმშველად არის წარმოდგენილი (**წელი**წად-)*, მეორე ნაწილში კი – შეკუმშულად (წელი**წად-** < *წელი**წლად**). ფუძის ბოლო წ ა დ წარმოადგენს შეკუმშული **წელ-** ფუძის ვითარებითი ბრუნვის ფორმას (შანიძე 1981: 311). ეს სხვაობა მან მიაწერა სამწერლობო ენაზე დიალექტების განსხვავებულ გავლენას: ერთი დიალექტისგან მიღებულია უკუმშველი **წელ-** ფუძე აბლატივში (წ ე ლ ი თ), მეორე დიალექტისგან კი – იგივე ფუძე შეკუმშული სახით ვითარებით ბრუნვაში (წლად), რომელიც კომპოზიტში იღებს წ ა დ ფონეტიკურ სახეს, რაც იმას ნიშნავს, რომ დიალექტები კუმშვის წესებით განსხვავდებოდნენ.

ა. შანიძემ აქვე სვანური ენის მასალაზე აღწერა კუმშვის მექანიზმი და თანამიმდევრობით ჩამოაყალიბა სათანადო წესები. პ ი რ ვ ე ლ ი წ ე ს ი ს მიხედვით, „თუ პრეფიქსი ხმოვნით თავდება და, მაშასადამე, მისი მარცვალი ღიაა ბოლოში, იგი ჩვეუ-

* არ არის გათვალისწინებული კომპოზიტის შემადგენელთა პოზიციები, რომელთა მიხედვით წ ე ლ - ფუძე არ უნდა შეკუმშულიყო კომპოზიტის დასაწყისში, უნდა შეკუმშულიყო კომპოზიტის ბოლოში (იხ. გვ. 38).

ლებრივ ფუძის თავკიდურ თანხმოვანს მიიკრავს და მარცვალი დაიხურება, რასაც შედეგად მოჰყვება უმეშვეოდ მომდევნო ხმოვნის ამოღება ფუძიდან..." (შანიძე 1981: 314). დებულება ილუსტრირებულია სვანური მასალით: მ ე ბ ე ც ; შდრ. მგმბეც. ამ წესის მიხედვით *მ გ მ ე ბ ე ც > *მ გ მ-ე-ბ ე ც > მ გ მ ბ ე ც . ირაციონალური ხმოვანი ჩნდება ორ /მ/-ს შორის. ეს /გ/ ხმოვანი მიიკრავს, ამ წესის მიხედვით, ფუძისეულ /მ/-ს, რის შემდეგაც დაიკარგება ფუძისეული პირველი მარცვლის /ე/ ხმოვანი: *მგმ-ე-ბეც> მგმ-ბეც.

თუ ამოსავლად მივიჩნევთ ნაწარმოებ *მგმებეც სამმარცვლიან ფორმას, პირველადი ფუძისეული /მ/ თანხმოვნის (მებეც) განაწილება მარცვლებში შეუძლებელია ზემოთ წარმოდგენილი წესის მიხედვით, რადგან არსებობს უ ნ ი ვ ე რ ს ა ლ უ რ ი წ ე ს ი , რომელსაც ქართველური ენებიც უჭერენ მხარს: ინტერვოკალური პოზიციის თანხმოვანი მარცვლებში ეკუთვნის მომდევნო ხმოვანს (ტრახტეროვი 1956: 23; კურილოვიჩი: 1962: 269-273; პულგრემი 1965: 78). მაშასადამე, *მ გ მ ე ბ ე ც დაიმარცვლება შემდეგნაირად: მგ-მე-ბეც. გამოდის, რეკონსტრუირებულ სამმარცვლიან ფუძეში შუა მარცვალი კუმშვისას კარგავს ხმოვანს, ისე, რომ ფუძისეული თავკიდური თანხმოვანი თავის ადგილზეა, არ მიეკვრის ირაციონალურ ხმოვანს.

ბუნებრივია დგება კითხვა: თუ რედუქციას არ იწვევს ხმოვნით დაბოლოებული პრეფიქსი, მაშ, რა იწვევს ფუძისეული ხმოვნის ჩავარდნას, რაც ჩვეულებრივია სვანურში ორმარცვლიან ფუძეზე ხმოვნიანი პრეფიქსის დართვისას: ქაშაგ – მგქშაგ, ლგქშაგ; ცინაყ – ლეცნაყ და სხვ.

ც ი ნ ა ყ ფორმიდან პრეფიქსის დართვით მიღებული ლ ე ც ნ ა ყ (< *ლეცინაყ) მოითხოვს ისეთ ახსნას, რომელიც არაწინააღმდეგობრივი იქნება ფონემატური თვალსაზრისით.

მიზეზი ორმარცვლიან ფუძეებში ხმოვანთა რედუქციისა, როდესაც ისინი სამ- ან მეტმარცვლიანი ხდებიან, არის ფუძეთა ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი ერთ- ან ო რ მ ა რ ც ვ ლ ი ა ნ ო ბ ა , რასაც ქართულ ენასთან დაკავშირებით აღნიშნავდა ნ. მარი ძველი ქართული ენის გრამატიკაში (მარი 1925: §62); ვ. თოფურიაც აღნიშნავ-

და, რომ სვანურში „რედუქცია არ მოსდის ერთმარცვლიანებს გაორმარცვლიანების შემთხვევაში, გასამმარცვლიანებისას კი რედუქცია ჩვეულებრივია და ხმოვნის ამოღების შემდეგ ორი მარცვალი მაინც რჩება“ (თოფურია 1946: 67). ამის შესახებ, როგორც ქართველურ ენათა მახასიათებელ ფონემატურ თვისებაზე, სახელთა მორფონოლოგიურ ანალიზში ვწერდით (უთურგაიძე 1986: 85).

ა. შანიძის განცხადებით, ქართულ ენაში „პრეფიქსები ჩვეულებრივ ვეღარას აწყენენ ფუძისეულ ხმოვნებს“ (შანიძე 1981: 316). მართლაც, ქართულში პრეფიქსებს არ ძალუძთ სახელთა ფუძისეული ხმოვნის რედუქცია, მაგალითად: **ისარ**-ი – მო**ისარ**-ი, სა**ისარ**-ი შდრ. **ისრ**-ის); მაძღარი – გამაძღარი (შდრ. მაძღრის) და სხვ. აქ უთუოდ საჭიროა განმარტება ქართული ენის ზოგი პრეფიქსიანი ფუძის რედუცირებულ ფორმებთან დაკავშირებით, როგორიცაა: ნა-**ზამთრ**-ი (შდრ. **ზამთარ**-), ნაწამლი (შდრ. წამალ-), გასაბაწრი (შდრ. ბაწარ-), გასასანთლი (შდრ. სანთელ-) და სხვ.

ფ უ ძ ი ს ე უ ლ ი ხ მ ო ვ ა ნ ი წარმოდგენილ ფორმებში პ რ ე ფ ი ქ ს ი ს გ ა ვ ლ ე ნ ი თ არ ი კ ა რ გ ე ბ ა: შეკუმშული ფუძეები გვაქვს იმ ნაზმნარ სახელებში, რომელთა ფუძეები ზმნათა პირიან ფორმებშივე კარგავენ ფუძისეულ ხმოვანს; შდრ. **აზამთრ**ებს, **წამლ**ავს, **ბაწრ**ავს, **სანთლ**ავს... ეს ვარაუდი იმითაც მართლდება, რომ, თუ არ ხდება კუმშვა ზმნის პირიან ფორმებში, ასეთი ფუძე მიმღეობებშიც უკუმშველია, მაგ.: **ანათ**ებს, შდრ. გა**ნათ**ებული, სა**ნათ**ი, მისა**ნათ**ებელი; შდრ. **ანთ**ებს, **ანთ**ებული, სა**ნთ**ებელა და სხვ.

ახლა რაც შეეხება სუფიქსის ხმოვნის (-VC) გავლენას ფუძეზე, ა. შანიძის ამ ცნობილი წერილის მიხედვით, „როდესაც სუფიქსი ხმოვნით იწყება და, მაშასადამე, ღიაა თავში, მაშინ იგი წინამავალ ფუძისეულ თანხმოვანს მიიკრავს და ამით წინამავალ ფუძისეულ ხმოვანს ამოიღებს ხოლმე“ (შანიძე 1981: 314).

ამ დებულების საილუსტრაციოდ ს ა ბ ე ლ - ფუძეს თუ ავიღებთ, კუმშვის მექანიზმი ასეთი გამოდის: საბელ-ის (ნათ. ბრ.) > საბე-ლის > საბლის. ა. შანიძის თეორიის მიხედვით, სარედუქციო სეგმენტში ფუძისეული ხმოვნის რედუცირების მიზეზი არის მი-

სი მომდევნო თანხმოვნის დაკარგვა მარცვალში. ეს თანხმოვანი მარედუცირებელი სეგმენტის ექსპლოზიაში გადადის.

ამ ვარაუდს მხარს დაუჭერდა ის ფაქტიც, რომ ქართულში ორი თანხმოვნით დაბოლოებულ სახელთა ფუძეები არ იკუმშებიან -VC მარედუცირებელი სუფიქსის წინ, ავიღოთ ნაკაწრ-ფუძე – ნაკაწრ-ის (ნათ. ბრ.), ნაკაწრით, ნაკაწრები და სხვ. (შდრ. ნაცარ – ნაცრ-ის...). შეგვეძლო გვეთქვა: სუფიქსის ხმოვანი ფუძისეულ ბოლო თანხმოვანს რომ მიიკრავს, ფუძისეული ბოლო ხმოვნის მომდევნოდ თანხმოვანი მაინც რჩება (ნა-კა**წ**-რის) და კუმშვა ამიტომ ველარ ხორციელდება.

ფუძეთა კუმშვის ასე წარმოდგენა მიუღებელია იმის გამო, რომ: ხმოვანფუძიან სიტყვათა ფორმებში ხმოვნებისა და თანხმოვნების ანალოგიური განაწილების შემთხვევაში თანხმოვნის გარეშე დარჩენილი ფუძისეული ხმოვანი არასოდეს რედუცირდებოდა და არც თანამედროვე ქართულში რედუცირდება, მაგ.: ძვ. ქართ. სადავემან, სადავესა... რომელთა დამარცვლისას საერთოდ კვეცადი /ე/ თავის ადგილზეა, მიუხედავად იმისა, რომ თანხმოვანი არ მოსდევს მარცვალში (სა-და-ვე-მან, სა-და-ვე-სა...) (შდრ. საბე-ლის > საბლის). ა. შანიძის თეორიის მიხედვით, /ლ/ თანხმოვნის მიკვრის (*საბე-ლის) შემდეგღა უნდა მომხდარიყო ფუძისეული ხმოვნის რედუქცია. აქ აღწერილ ორსავე შემთხვევაში ფუძისეულ /ე/ ხმოვანს მოსდევს CVC სტრუქტურის მარცვალი (საბე-**ლის** და სადავე-მან), მაგრამ შედეგი სრულიად განსხვავებულია. ეს გვაიძულებს, რომ ფუძისეულ ხმოვანთა რედუქცია დახურულ მარცვალში დავუშვათ ხმოვნით დაწყებული სუფიქსის (-VC) დართვის შემდეგ. ამას მხარს უჭერს ის ფაქტიც, რომ კუმშვა არ ხდება ისეთ ფორმებში, სადაც სარედუქციო პოზიციის ხმოვანს წინ სხვა ხმოვანი უძღვის, როგორიცაა: ადა**მეან**, ჯ**მეან**, მარილე**ან**... ფუძეები. სახელის ფუძის ბოლოში როცა ორი ხმოვანი მიჯრით იყრის თავს, წინა ხმოვანი ყოველთვის თანხმოვნის გარეშე რჩება მარცვალში (ა-და-**მე**-ან, ჯ**მე**-ან, მა-რი-ლე-ან), მაგრამ ის არ რედუცირდება.

აქ უნდა გავიხსენოთ ძველი ქართული ორმეოც, სამმეოც... რომელთაც ფაქტიურად ძველ ქართულშივე მოგვცეს

ორმოც, სამოც ... თანამედროვე ქართულში გავრცელებული ფორმები.

უპირველეს ყოვლისა, ესენი კომპოზიტებია (თოფურია 1979: 132). საქმე გვაქვს ხმოვანთა რედუქციის სხვა სახეობასთან, რომელიც დაკავშირებულია ქართველურ ენათა გენეტურ თვისებასთან – ერთი მორფემის ფარგლებში იკრძალება ორი ხმოვანი, რაც განაპირობებს ცვლილებებს მორფემათა საზღვრების ხმოვანთა კომპლექსებში. როდესაც ორმეოც ტიპის კომპოზიტებმა იწყეს ეტიმოლოგიური მნიშვნელობის („ორჯერ ოცი") დაკარგვა, ფონემატური დაწოლით განხორციელდა ხმოვანთა კომპლექსების გამარტივება ან დაშლა. გამარტივებისას ხმოვნები სცილდებიან ერთიმეორეს ჩართული თანხმოვნით: ხე – ახევებს, ეზო – მეზობელი (და არა მეზოელი), დიალექტური: ცდო – ცდოველი და სხვ. დაშლისას ერთ-ერთი ხმოვანი – წინა ან უკანა გამოვარდება კომპლექსიდან: დედაუფალი > დედუფალი, ესეოდენ > ესოდენ, თუ ითქმის > თითქმის (შანიძე 1973: 614); დიალექტებში: რანა < რაუნა < რა უნდა, ხორ < ხო არ < ხომ არ, ხვარ < ხო არ (< ხომ არ), ქარ < ქე არ, კარ < კი არ და სხვ.

ფუძეზე დართული -VC სუფიქსი მნიშვნელოვანია როგორც სემანტიკური (რაღაც ლექსიკური ან გრამატიკული მნიშვნელობა შეაქვს სიტყვაში, ამიტომ ერთვის ფუძეს), ისე ფორმალური თვალსაზრისით (ხდება გასამმარცვლიანება ან სამზე მეტი მარცვლის შექმნა) და ირღვევა ფონემატური წინასწორობა – **მაქსიმუმ ორმარცვლიანობა.**

სახელის ფუძეზე მარცვლოვანი სუფიქსის დართვა და ფუძისეული ხმოვნის რედუქცია სიმულტანური პროცესებია, რაც იქიდანაც ჩანს, რომ მარედუცირებელი **-ნარ** სუფიქსის დართვისას ფუძისეული თანხმოვნის გადასვლა მარედუცირებელ სუფიქსში გამორიცხულია: წიფელ-ნარ > წიფლნარ-. კუმშვადი ფუძე წიფელ- -CVC ტიპის სუფიქსის დართვისას ისევე კარგავს ფუძისეულ /ე/-ს, როგორც **-VC** ტიპის სუფიქსის დართვისას (წიფელ-ის > წიფლის).

რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვით, რომ კუმშვისას **-ნარ** სუფიქსმა მიიკრა ფუძისეული /ლ/ თანხმოვანი. ეს შეუძლებელია, რადგან ერთი მარცვლის ფარგლებში /ლნ/ კომპლექსი გამორიცხულია. ეს თანხმოვნები ერთი კლასის წევრებია. არ შეიძლება წიფლნარ დამარცვლა, ბუნებრივია წიფლ-ნარ... მაშასადამე, რადგან წიფელ- ფუძე **-ნარ** სუფიქსის დართვით გასამმარცვლიანდა, ასცდა ფონემატურად დასაშვებ ზღვარს (ორმარცვლიანობას) და სიმულტანურად მოხდა ფუძის კუმშვა – დაბრუნება ორმარცვლიან ფუძეზე. რაც შეეხება წიფნარ- ვარიანტს, აქ მთელი მარცვალი (ელ) ამოვარდა: /ე/ – გაორმარცვლიანებისთვის, /ლ/ კი მისი კლასის წევრთან (/ნ/-სთან) უშუალო მეზობლობის გამო.

გაორმარცვლიანების მიზეზით შეიძლება კვეცაც განხორციელდეს: მუხა – მუხნარი. ჩვეულებრივ ხმოვნის მოკვეცა მიეწერება მომდევნო ხმოვანს, აქ კი მომდევნოდ თანხმოვანია. მაშასადამე, ფუძისეული /ა/-ს ჩავარდნა მოჰყვა გასამმარცვლიანებას, რათა ფუძე ორმარცვლიანი გამხდარიყო (მუხანარ / მუხნარ).

1940-იან წლებში სახელის ფუძეთა კუმშვასთან დაკავშირებით არნ. ჩიქობავამ წამოაყენა ახალი თვალსაზრისი, რომელიც დაკავშირებულია ინტენსიური და მოძრავი მახვილის პოსტულირებასთან ძველ ქართულამდელ პერიოდში (ჩიქობავა 1942ა, 1942ბ).

სახელის ფუძის აგებულების ანალიზისას არნ. ჩიქობავამ გამოყო ძირთან შეზრდილი დეტერმინანტი სუფიქსები, რომლებიც ცალი ხმოვნით (ა, ე, ო, უ) ან ცალი თანხმოვნითღა (ლ, რ, ნ, ვ) არიან წარმოდგენილი. როგორც ხმოვნები, ისე თანხმოვნები წარმოადგენენ **-VS** ტიპის სუფიქსთა ვარიანტებს (**-VS >S** და **-VS >V**). „რა ხმოვნებიც ეკარგება ჩვეულებრივ ძირს, იგივე ხმოვნები უნდა დაგვკარგოდა ჩვენს სუფიქსებში" (ჩიქობავა 1942ა: §46).

აღნიშნული ფონეტიკური პროცესების განხილვისას დასმულია კითხვა: „ფუძისეული (resp. ძირეული) ხმოვანი ხმოვნით დაწყებულმა სუფიქსმა დაკარგა, მაგრამ სუფიქსის ხმოვანი რამ დაკარგა?" (ჩიქობავა, 1942ა: §46), ე. ი. რამ დაკარგა ა ამოსავალ *თაფალ ფორმაში (*თაფალ > თაფლ). ამ ცვლილების მიზეზად მიჩნეულია მახვილი, *თაფალ კი აღდგენილია მეგრულ-ჭანუ-

რი თ ო ფ უ რ - ფუძის მიხედვით. *თაფალ ამ ფუძის კანონიერ შესატყვისად მიიჩნევა.

არნ. ჩიქობავა განიხილავს ამოსავალ ორმარცვლიან ფუძეთა ორ რიგს, რომლებიც ერთმარცვლიანებად მოიქცევიან ი ნ ტ ე ნ ს ი უ რ ი დ ი ნ ა მ ი კ უ რ ი მახვილის გავლენით: როცა მახვილი დასაწყისშია, მისი გავლენით იკარგება ფუძის ბოლო ხმოვანი (*ვაშალ > ვაშლ); როცა მახვილი ფუძის ბოლო ხმოვანს ეცემა, იკარგება თავკიდურა მარცვლის ხმოვანი (ძამ-ა(ნ)>ძმ-ა). კეთდება დასკვნა: „ინტენსიური დინამიკური მახვილი, მოძრავი მახვილი განსაზღვრავს ისტორიულად ზემოხსენებულ ტიპთა სხვაობას“ (ჩიქობავა 1942ა: §46).

დაეჭვებას მოძრავი ინტენსიური მახვილის არსებობაში იწვევს მახვილისა და ხმოვანთა რედუქციის წესთა ურთიერთგანმაპირებლობა: თუ ხმოვანი სახელის ფუძის ბოლოსაა ჩავარდნილი, მახვილი ივარაუდება თავკიდურა მარცვალზე და, პირიქით, ფუძის დასაწყისში ჩავარდნილი ხმოვანი ავტომატურად მიანიშნებს მახვილის ადგილზე სახელის ფუძის ბოლო მარცვალზე. ამ მხრივ სიმპტომატურია სამმარცვლიან ფუძეებში ორი ხმოვნის დაკარგვა; ავტომატურად შუა ხმოვანს მიეწერება მახვილიანობა, როცა თავკიდურა და ბოლოკიდურა მარცვალთა ხმოვნებია ჩავარდნილი: „მრჩობლ- ← *მარჩობ-ა/ელ: რ-ს ისეთი ინტენსივობის მახვილი ხვდებოდა, რომ გამოიწვია ორი ხმოვნის დაკარგვა: ერთისა თავში (მარ), მეორისა ბოლოში -ლ ← -ალ | -ელ“ (ჩიქობავა, 1942ა: §46).

მიუხედავად აღნიშნული დაეჭვებისა, თუ ფუძეთა შეკუმშვის მიზეზად მახვილის გავლენას არ დავუშვებდით, საჭირო იყო ფუძისეულ ბოლო მარცვალში ხმოვანთა დაკარგვის მიზეზთა ძიება.

1960-იან წლებში გამოვლინდა ქართველურ ენებში მოქმედი „დამავალი ღიაობის კანონი“ (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: 79), რომლის მიხედვით ქართული და მეგრულ-ლაზური ფორმების შეპირისპირებით აღდგება *თაფლ ტიპის ერთმარცვლიანი ფუძეები (*ძაღლ, ძ̮ა...), სადაც -ლ და -ა აგრეთვე სუფიქსებად ივარაუდება. ისინი აბლაუტური მონაცვლეობით ერთვიან ძი-

რებს. ამით მოიხსნა ინტენსიური მახვილის დაშვების აუცილებლობა (იხ. კიდევ დასახ. ნაშრომი: გვ. 83 და 279).

*

* *

კუმშვის შედეგად სახელის ფუძეთა მარცვლებში მზარდი ნაპრალოვნობის პრინციპთა რეალიზაციისა და დარღვევის გათვალისწინებით შესაძლებელია სახელთა კუმშვად და უკუმშველ სახეობათა ფორმალიზაცია – სათანადო ფორმულების წარმოდგენა.

ქვემოთ მათ წარმოვადგენთ თანხმოვანთა კლასების მიხედვით, ე. ი. ფუძეები, რომელთა კუმშვის პოზიციაში წარმოდგენილია ერთი და იმავე კლასის თანხმოვნები. ასეთი ფუძეები არ იკუმშებიან, როცა ბოლო მარცვლის ექსპლოზიაში ერთად ხვდებიან ეს თანხმოვნები; კუმშვას არ უშლიან ხელს მაშინ, როცა ისინი სხვადასხვა მარცვალში ნაწილდებიან.

/რ, ლ, ნ/ სონორები რედუცირებად სეგმენტში: გამქრალ-, ზესკნელ-, გამწყრალ-, დამცხრალ-, გამშრალ-, შემძვრალ- ფუძეები უკუმშველია. ამ ორმარცვლიან ფუძეებში მზარდი ნაპრალოვნობა ირღვევა /მ/ სონორისა და ნაპრალოვანი ჩქამიერი /ს/-ს კომბინაციაში მომდევნო ჩქამიერებთან (/მ/-სთვის) და მომდევნო ხშულთან (/ს/-სთვის), მაშასადამე, რედუცირებადი სეგმენტები ამ დარღვევათა მიხედვით გამოიყოფა: გამ-ქრალ-, ზეს-კნელ, გამ-წყრალ-, დამ-ცხრალ-, გამ-შრალ, შემ-ძვრალ- შედეგად მივიღეთ /რ, ლ, ნ/ სონორები სარედუქციო სეგმენტებში.

ეს ფუძეები (გამქრალ-, ზესკნელ-...) უკუმშველია იმიტომ, რომ კუმშვის შემთხვევაში ბოლო მარცვლის ექსპლოზიაში მოექცეოდა მე-4 კლასის ორი სონორი, რაც დაარღვევდა მზარდი ნაპრალოვნობის პრინციპს (გამ-ქრლ ი ს, ზეს-კნლ ი ს ...), ქართული ფონოტაქტიკით კი მიუღებელია /ქრლ/ და /კნლ/... თანამიმდევრობები. კუმშვაც ამიტომ არ ხდება.

ფორმულებით აქ წარმოდგენილი უკუმშველი ფუძეები განზოგადებულად ასე ჩაიწერება: $CVS_1CS_4VS_4$, $CVF_2CS_4VS_4$, $CVS_1CFS_4VS_4$... აქ ინდექსები დავურთეთ მხოლოდ იმ თანხმოვნებს (/მ/-სა და /ს/-ს), რომელთა შემდეგაც დაიდება მარცვალთგამყარი, და მეოთხე კლასის სონორებს (/რ, ლ, ნ/), რომლებიც სარედუქციო სეგმენტში ერთად ექცევიან.

ფორმულათა რაოდენობის გაზრდა შეიძლება შესაბამისი ჩანაცვლებით, მაგ., შეიძლება ჩავანაცვლოთ პირველი კლასის სონორები: /მ/-ს ადგილზე ჩავსვათ /ვ/, დანარჩენი კი უცვლელად დავტოვოთ; ასევე ნებისმიერი ჩქამიერი შეიძლება ჩავანაცვლოთ სხვა კლასის ჩქამიერით. მთავარია, მეოთხე კლასის სონორები ერთი მარცვლის ფარგლებში აღმოჩნდნენ, რომ ფუძის კუმშვა აღარ განხორციელდეს.

ამავე მე-4 კლასის სონორთა სხვადასხვა მარცვალში განაწილებისას კი, თუ სხვა წინააღმდეგობა არ იქნება, კუმშვას ხელი არ ეშლება: მწერალ- – მწერლის (მწერ-ლის), საზარელ- – საზარლად (სა-ზარ-ლად), მომღერალ- – მომღერლის (მომღერ-ლის) და სხვ. უფრო მეტი: შეიძლება კუმშვის პოზიციაში გამეორებული ერთი და იგივე სონორი კუმშვისთვის ხელის შემშლელი ვერ გახდეს, თუ ისინი სხვადასხვა მარცვალში აღმოჩნდებიან: ალალ- – ალლად (ჭინჭარაული 2005) – **ალ-ლად**.

ორი სონორი მეოთხე კლასიდან ხშირად გვხვდება შეკუმშულ სახელურ ფუძეებში, როდესაც ისინი სხვადასხვა მარცვალში ხვდებიან, მაგ.: მელან- – მელნის (მელ-**ნ**ის), ბალან- – ბალნის (ბალ-**ნ**ის); ბორან- – ბორნის (ბორ-**ნ**ის), მარან- – მარნის (მარ-**ნ**ის) და სხვ.

უკუმშველობა ახასიათებს სახელურ სხვა ფუძეებსაც, რომლებშიც ერთი კლასის თანხმოვნები მარედუცირებელი სუფიქსის ხმოვანთა მარცვლის ექსპლოზიურ ნაწილში ხვდებიან.

ბაგისმიერი სონორები რედუცირებად სეგმენტში

უპირველესად განვიხილავთ კარგად ცნობილ ნასესხებ ფუძეს – ა მ ბ ა ვ -, რომელიც ერთი შეხედვით არღვევს კუმშვის ზემოთ წარმოდგენილ წესს: ამბავ- – ა მ ბ ი ს. ენაში (სალიტერატურო და დიალექტური სისტემები) არსად გვხვდება /ამბვის/, /ამბვები/*; /ვ/ ფუძეში მხოლოდ კუმშვამდე იხმარება: ამბავი, ამბავმა... შეკუმშვისას ფუძე /ვ/-ს გარეშეა: ამბის, ამბით, ამბად, ამბები, მაშასადამე, /ვ/-ს ჩავარდნა და ფუძის კუმშვა სიმულტანურად ხდება, რის შედეგადაც ბ ო ლ ო მ ა რ ც ვ ა ლ ში ერთად აღარ ხვდება ბაგისმიერი თანხმოვნები: ამბის, ამ-ბე-ბი და ა. შ. – კუმშვის წესი არ ირღვევა.

დ ა მ ბ რ მ ა ლ - (იხმარება მთის დიალექტებში: მთიულურში, გუდამაყრულში, ფშაურსა და ხევსურულში – ღლონტი 1984; ჭინჭარაული, 2005) – ეს ფუძე არ იკუმშება. მარცვალთგამყარი გადის /მ/-სა და /ბ/-ს შორის (დამ-ბრმალ-). ამ ფუძის ძირი ბ რ მ ა ფონემატურად გაუმართავია /რმ/ თანამიმდევრობის გამო, ამის შედეგია ის, რომ დიალექტებში ხდება მისი ფონემატური გამართვა, კერძოდ, გვხვდება ბ ა რ მ ა, ბ ი რ მ ა, ბ უ რ მ ა (შანიძე 1984; ჭინჭარაული 2005; უთურგაიძე 1960). ესენი კი ნორმალურად იმარცვლებიან (ბირ-მა, ბარ-მა, ბურ-მა), დ ა მ ბ რ მ ა ლ - მიმღეობა კი ძველი **ბრმა** ძირის გამო უკუმშველია, რადგან სარედუქციო სეგმენტში ბაგისმიერი /მ/ და /ბ/ თანხმოვნებია, რომლებიც კუმშვის განხორციელების შემთხვევაში ბოლო მარცვალში ერთად მოხვდებოდნენ, ექსპლოზიურ ნაწილში შეიქმნებოდა /ბრმლ/ კომპლექსი (დამ-ბრმლის), რომელიც ქართული ფონოტაქტიკით არაბუნებრივია. მთის ამავე კილოებშია დ ა მ შ მ ა რ - ფუძე კუმშვადია, თუმცა /მ/ სონორი ორგზის არის მასში წარმოდგენილი. კუმშვა ამ ფუძისა ბუნებრივია, რადგან ისინი სხვადასხვა მარცვლებში ნაწილდებიან: დამ-შმრის, დამ-შმრები

* ა მ ბ ა ვ - ფუძე ძველ ქართულში უკუმშველი იყო (იმნაიშვილი, 1957: 29).

და სხვა. /-შმრ/ მზარდი ნაპრალოვნობის მქონე კომპლექსია და ბუნებრივია მარცვლის ექსპლოზიად.

ავიღოთ $CV_1S_4C_2V_2C_2$: ასეთ ფუძეში კუმშვა არ მოხდება, მაგალითად: ც ე რ ც ე ტ - ამ ფუძეში არაბუნებრივია /რც/ თანამიმდევრობა; მარცვალთგამყარი გაივლის მათ შორის, რაც გამოყოფს რედუქციის საყრდენ სეგმენტს სარედუქციო სეგმენტისგან (ცერ-ცეტ); სარედუქციო სეგმენტში, მაშასადამე, თავს იყრის II კლასის თანხმოვნები (/ც/ და /ტ/). კუმშვა ამ ფუძეში ვერ განხორციელდება იმიტომ, რომ სარედუქციო სეგმენტის ხმოვნის ჩავარდნის შემდეგ მარედუცირებელი ხმოვნის ექსპლოზიაში აღმოჩნდებოდა ერთი და იმავე კლასის (აქ II კლასის) თანხმოვნები (ცერ-ცტის), რაც არაბუნებრივია და ამიტომაც აღარ ხდება ფუძის კუმშვა.

თუ ამ ფორმულის სარედუქციო სეგმენტში ხშულებს ჩავსვამთ (CV_1SOV_2O-, O აქ ხშული თანხმოვნის სიმბოლოა – Occlusive), ასეთი ფუძეებიც უკუმშველია (მაგ.: კერ-კეტ-, ბერ-კეტ-...). ამ ფორმულების შექმნას აზრი აქვს მხოლოდ ჩქამიერი თანხმოვნით დაბოლოებულ მრავალფეროვან ფუძეთა მოძიებისთვის, რადგან ჩქამიერი თანხმოვნით დაბოლოებული ფუძეები არ შეიკუმშება, თუ ხმოვნის ჩავარდნის შემდეგ მარედუცირებელი ხმოვნის წინ შეიქმნება სამ- და მეტთანხმოვნიანი ჩქამიერი თანხმოვნით დაბოლოებული კომპლექსი (მაგ.: სამ-ხრეთ- – სამხრეთის). კუმშვა ვერ მოხდება.

$CV_1S_1F_3S_4V_2O_2$-VC (სამხრეთ-ის) – თუ ფუძის ბოლოს დარჩება O (ხშული თანხმოვანი), მის წინ რამდენი და როგორი ცვლილებაც უნდა მოხდეს თანხმოვანთა ადგილებზე, ასეთი ფუძის კუმშვა არ განხორციელდება.

კუმშვისთვის უფრო მოსახერხებელია ფუძის სონორი თანხმოვნით დაბოლოება. ნ. მარიდან მოყოლებული ამაზე ყველა მკვლევარი უთითებდა.

სახელის ფუძეთა კუმშვისთვის მხოლოდ სონორით დაბოლოება არა კმარა, აუცილებელია განსაზღვრული დისტრიბუციული მოდელების დაცვა.

თუ მხოლოდ I კლასის ან მხოლოდ IV კლასის სონორი თანხმოვნები მოხვდნენ მარედუცირებელი ხმოვნის ექსპლოზიაში, ასეთი ფუძეები არ შეიკუმშება, მაგალითად, ძვ. ქართულის მო-მსრალ- „დაჭრილი" გაიყოფა მომ-სრალ სეგმენტებად (სეგმენტთა საზღვარზე მიგვანიშნებს არაბუნებრივი /მს/ თანამიმდევრობა), სარედუქციო სეგმენტში თავს იყრის ორი S₄ (/რ/ და /ლ/); კუმშვა რომ განხორციელებულიყო, ისინი ერთ მარცვალში მოხვდებოდნენ (მომ-სრლის), რაც არაბუნებრივია ქართული ფონოტაქტიკით, ამიტომაც მომსრლის დაუშვებელია.

სამ-სამი სონორია წარმოდგენილი მკურნალ და თანამედროვე ჟურნალ- ფუძეებში, მარცვალგამყარი ორივეგან გაივლის /რნ/ კომპლექსის შუაზე: მკურ-ნალ, ჟურ-ნალ-; სარედუქციო სეგმენტში მოხვდნენ ერთი და იმავე კლასის (IV კლასის) სონორები, რომლებიც მარედუცირებელი ხმოვნის ექსპლოზიად იქცევიან კუმშვის განხორციელების შემთხვევაში (მკურ-ნლის, ჟურ-ნლის), რაც ქართული ფონოტაქტიკით დაუშვებელია და კუმშვაც არ ხორციელდება.

თუ სარედუქციო სეგმენტში სხვადასხვა კლასის სონორები მოხვდებიან, კუმშვა განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ კუმშვის შედეგად მარედუცირებელი ხმოვნის წინ მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსი შეიქმნება, რაც ასეთი ფორმულით შეიძლება გამოვხატოთ (C)V₁SCS₁V₂S₄-: სარ-კმელ-, მარ-ცვალ-, თირ-კმელ... ესენი ყველა იკუმშება სარკმლის, მარცვლის, თირკმლის... ბოლო მარცვალთა ექსპლოზია ყველა შემთხვევაში მზარდი ნაპრალოვნობის მქონეა: სარ-**კმლ**ის, მარ-**ცვლ**ის, თირ-**კმლ**ის...

წარმოდგენილ ფორმულაში სონორთა შებრუნებული რიგი – (C)V₁SCS₄V₂S₁- მხოლოდ უკუმშველ ფუძეებს იძლევა, როგორიცაა: ნამ-სხვრევ-, დამ-ძრავ-, გამ-თრევ- და სხვა კუმშვა არ მოხდება: ნამსხვრევის, დამძრავის, გამთრევის...

წარმოდგენილი მსჯელობით უთუოდ ჩანს, რომ შესაძლებელია ზოგადი ფორმულის შექმნა, რომელშიც ასახული იქნება სეგმენტთა საზღვრები და სეგმენტთა სტრუქტურის შეცვლით შეგვეძლება მივიღოთ როგორც კუმშვად, ისე უკუმშველ ფუძეთა

მოდელები. განზოგადებულ ფორმულაში თანხმოვანთა კონკრეტული კლასისა და რაგვარობის მითითებით ფუძეთა ბოლო ორ სეგმენტში შეიძლება ადვილად განისაზღვროს მათი კუმშვა და უკუმშველობა მარედუცირებელი ხმოვნის წინ.

რედუქციის საყრდენი სეგმენტის ხმოვანს აღვნიშნავთ V_1-ით, სარედუქციო სეგმენტის ხმოვანს – V_2-ით, ხოლო მარედუცირებელ ხმოვანს – V_3-ით. V_2 შეიძლება იყოს /ა/, /ე/, /ო/, V_1-სა და V_3-ს შეზღუდვა არა აქვთ, ფუძის ზოგადი ფორმულა კუმშვის პოზიციაში ამ სახისა არის (C)V_1C(C)- C(CC)V_2C-V_3C*. პირველი დეფისი მარცვალთა გამყრელის ადგილზეა, მეორე – სარედუქციო სეგმენტსა და მარედუცირებელ სეგმენტს შორის.

ფორმულის მიხედვით ჩანს, რომ V_1-ს შეიძლება ორი თანხმოვანი მოსდევდეს (სა**სტ**-მელ-ის), V_2 იწყებოდეს ორი ან სამი თანხმოვნით (მერ-**ცხ**ალ-ის, ნამ-**ცხვ**არ-ის); V_2მარჯვნივ მხოლოდ ერთი თანხმოვნით განივრცობა კუმშვად ფუძეებში, უკუმშველებში კი ერთზე მეტიც შეიძლება (წარ-მა**რთ**-ის, უმ-სგა**ვს**-ის...).

ხშულებს გამოვხატავთ O სიმბოლოთი (Occlusive), ნაპრალოვნებს F-ით (Fricative), სონორებს S-ით (Sonorous): O_1 იქნება I კლასის ხშული თანხმოვანი (/ბ/, /ფ/ ან /პ/, O_2 – II კლასი ხშული თანხმოვანი: /დ/, /ტ/, /ძ/, /ჯ/... F_2 იქნება მეორე კლასის ჩქამიერი ნაპრალოვანი: /ს/, /შ/... F_3 იქნება მესამე კლასის ნაპრალოვანი თანხმოვანი: /ღ/, /ხ/ ან /ყ/; S_1 იქნება /ვ/ ან /მ/ სონორი თანხმოვნები, S_4 კი /ლ/, /ნ/ ან /რ/. უინდექსო სიმბოლო ჯგუფის ნებისმიერ თანხმოვანს აღნიშნავს, მაგ., O ინდექსის გარეშე შეიძლება იყოს ნებისმიერი ხშული, ასევე F – ნებისმიერი ნაპრალოვანი, ხოლო S – ნებისმიერი სონორი.

---

* ფორმულაში სეგმენტებია გამოყოფილი, V_2-სა და V_3-ს შორის C ამიტომ არის V_2-ის მარცვალში და არა V_3-ის წინ. ფორმულა არ ეხება (C)V_1-CV_2C- ტიპის ფუძეებს (ეკალ, ვეშაპ...), რადგან ასეთი ფუძეების შეკუმშვა თეორიულად თანხმოვანთა ნებისმიერი შემადგენლობით შეიძლება. კუმშვა არსებითად ხდება მაშინ, როცა ფუძის ბოლო თანხმოვანია /S/: ეკალ-ის > ეკლის, ბაზარის > ბაზრის... ჩქამიერი თანხმოვნით დაბოლოებული ფუძეების კუმშვა, ერთ ათეულს ძლივს აღწევს (უთურგაიძე 1976, 148).

კუმშვადი შეიძლება იყოს სახელთა ფუძეები, რომელთა ზოგადი ფორმულა კუმშვის პოზიციაში ასეთ სახეს მიიღებს: (C)V_1C- $OF_2F_3S_1V_2S_4$-V_3C, რომლის ჩქამიერი წევრები – OF_2F_3 ჰომოგენურია ინტერვოკალურ პოზიციაში.

ფორმულა იმუშავებს მაშინაც თუ სარედუქციო სეგმენტის ექსპლოზიური ნაწილიდან ამოვიღებთ რომელიმე წევრს. რიგის არევა არ შეიძლება.

როცა სარედუქციო სეგმენტი ბოლოვდება S_1-ით, V_2-ის წინ უცვლელად დარჩება ჩქამიერთა თანმიმდევრობა ზემოთ აღნიშნული პირობებით: კომპლექსი ჰომოგენურია, რიგი დაცულია (ვახშამ-ის > ვა**ხშმის**); შესაძლებელია რომელიმე კომპონენტის ამოღება (ლაღამის > ლაღმის).

აღნიშნული ზოგადი ფორმულის სხვა ვარიანტები იძლევა უკუმშველფუძიან სახელებს.

ქართული ზმნის პირები და მათი კომბინაციები ისტორიულ ასპექტში

პირი განისაზღვრება ქმედების სუბიექტის (resp. რომელიმე ობიექტის) **მიმართებით** მოლაპარაკესთან: თუ მოლაპარაკე ზმნის სუბიექტიც არის, ანუ ინიციატორი ზმნით გამოხატული ქმედებისა, ის სუბიექტური პირველი პირია; თუ სუბიექტი მიმართვის ადრესატია, ის სუბიექტური მეორე პირია; თუ ლაპარაკია იმ სუბიექტზე, რომელიც დიალოგში არ მონაწილეობს, ის სუბიექტური მესამე პირია. ანალოგიური მსჯელობა ჩატარდება ობიექტთა ორივე სახეობის მიმართ.

ზმნაში წარმოდგენილ პირის ნიშნებს ნაცვალსახელთა განსაზღვრული ფორმები უკავშირდება დიფერენცირებული სახით: მე, შენ, იგი; ჩვენ, თქვენ, იგინი.

ა. შანიძემ პირის ნაცვალსახელებს, რომლებიც ზმნაში სათანადო ნიშნით არიან მარკირებული, უწოდა „შინაგანი ქვემდებარე-დამატება“ (ა. შანიძე, 1920, §14). რადგან მარკირება შესაძლებელია ორივე პირმიმართი დამატებისა, ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ შინაგან ქვემდებარე-დამატებებზე.

ძველ ქართლში შინაგან დამატებებს, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი დიფერენცირებული ნაცვალსახელებისა, ემატება **ორი გაუდიფერენცირებელი ნაცვალსახელი**: თავი და ჴელთა. გაუდიფერენცირებელი ნაცვალსახელებით დიფერენცირებულთა ჩანაცვლება ხდება მაშინ, როცა განსაზღვრულ გარემოში სტილისტიკურად იკრძალება დიფერენცირებულთა ხმარება. საჭიროების მიხედვით გაუდიფერენცირებელი ნაცვალსახელები შეიძლება ჩაენაცვლონ ნებისმიერ დიფერენცირებულ ნაცალსახელს*.

---

* დიფერენცირებული ნაცვალსახელები ნებისმიერ შემთხვევაში ერთი კონკრეტული მნიშვნელობით იხმარება: **მე** ყოველთვის მოლაპარაკეა, **შენ** — ადრესატი... გაუდიფერენცირებელი პირის მნიშვნელობა კი კონტექსტით დგინდება: მე თავი მოგაწონე: **მე** მოგეწონე; შენ **თავი** მომანონე: **შენ** მომეწონე; მან **თავი** მომაწონა: **ის** მომეწონა; ჩვენ **თავი**

/მე თავი მოგაწონე/ წინადადებაში „თავი" გრამატიკული მნიშვნელობით O^{d}_{1} აქტანტია, ანუ **მე**, რაც ცხადი ხდება კონვერსიული პასივით: აქტივის პირდაპირი ობიექტი თავი (O^{d}_{1}) პასივში სუბიექტად – **მე** (S_1) არის მოქცეული.

/მე თავი მოგაწონე/ წინადადებაში „თავი" რომ O^{d}_{3}-დ მივიჩნიოთ (მე ის მოგაწონე), „მე" და „თავი" ნაცვალსახელებს განსხვავებული დენოტატები უნდა ჰქონდეთ. აქ კი ასე არ არის – მათ დენოტატი საერთო აქვთ: „თავი" აქ „მე"-ს ცვლის, ამიტომაა, რომ კონვერსიულ პასივში სუბიექტად მოქცეულ აქტივის პირდაპირ ობიექტს თავისი რომლობა (I პირი) გადაჰყვა: /მე **თავი** მოგაწონე/: /**მე** მოგეწონე/.

ახლა ავიღოთ შემთხვევა, როდესაც საზიარო დენოტატი აქვთ სუბიექტსა და ირიბ ობიექტს: „თავსა ვაბრალობ* საქმესა, არ დასმით გაგონებულსა" (ვეფხის ტყაოსანი, 1344, 2). ამ წინადადებაში თუ აღვადგენთ ნაგულისხმებ ქვემდებარეს (**მე**-ს), მივიღებთ: „მე თავსა ვაბრალობ საქმესა... **„მე** და **თავსა** აქ ერთსა და იმავე დენოტატს (ავთანდილს) მიემართებიან, ამიტომ ავთანდილს არ შეეძლო ეთქვა: მე მე** ვაბრალობ საქმესა... რაც სტილისტიკურად შეუძლებელ კომბინაციას იძლეოდა ქართულ ენაში. სწორედ ქართული ენის წესით ქვემდებარე **მე**-სთან ირიბი დამატება **მე** შეიცვალა **თავსა** ნაცვალსახელით.

თუ აქტიური ზმნით წარმოდგენილ წინადადებას გადავიყვანთ ამავე აქტივის კონვერსიული პასივით შექმნილ წინადადებაში, მივიღებთ: /მე მბრალდება საქმე, არ დასმით გაგონებული/. აქტივის სუბიექტი („მე") აღარ გადაჰყვება ზმნას პასივში, ჩავარდა კონვერსიის წესის მიხედვით; აქტივის პირდაპირი დამატება („საქმესა") მოიქცა კონვერსიული პასივის სუბიექტად („საქმე"), ხოლო აქტივის ირიბი დამატება („თავსა") პასიურ ზმნასთან გახდა დიფერენცირებული, რადგან დენოტატს (ავთანდილს) მხო-

---

მოგაწონეთ: **ჩვენ** მოგეწონეთ... აქტივის გაუდიფერენცირებელი თავი ნაცვალსახელი კონვერსიულ პასიურ ზმნაში დიფერენცირებული ხდება.

* ვაბრალობ = ვაბრალებ: „იწყო ბრალობად მისა" (მ. 16, 22; მრ. 8, 32).

** **მე** მიცემით ბრუნვაშია.

ლოდ ერთი აქტანტი მიემართება და წესის მიხედვით ის წარმოდგენილი უნდა იყოს დიფერენცირებული ნაცვალსახელით – **მე** მბრალდება საქმე... პასივში „მე"-ს ადგილზე „თავსა" უადგილოა სტილისტიკურად.

ძველ ქართულში პირის გაუდიფერენცირებელ ნაცვალსახელად გამოიყენება ჴელთა ფორმაც, რომელიც, მსგავსად თავი ნაცვალსახელისა, საგნობრიობისა და რიცხვის გაგებისგან დაცლილია.

თავი და ჴელთა, როგორც არსებითი სახელები, განსაზღვრული რიცხვის ფორმებია, გაუდიფერენცირებელ ნაცვალსახელებად მოქცევისას ისინი კარგავენ როგორც კონკრეტული რიცხვის გაგებას, ისე მესამე პირის რომლობას. როგორც ნაცვალსახელები, პირის რომლობასა და რიცხვს ისინი იღებენ მათ მსაზღვრელებად გამოყენებული კუთვნილებითი ნაცვალსახელებისაგან ან იმ ობიექტური პირის ნიშნისგან, რომელსაც მიემართებიან: „მღდელმოძღუართა მომცეს შენ ჴელთა ჩემთა" (ი. 18, 35C). „ჴელთა ჩემთა" **მე** ნაცვალსახელის ადგილზეა, რადგან „მღდელმოძღუართა მომცეს შენ მე" სტილისტიკურად გაუმართავი იყო*, თუმცა ამ კონსტრუქციის გამოყენების მცდელობაც იყო**.

ძველ ქართულში ობიექტთა I და II პირთა კომბინაციებში უფრო მისაღებია გაუდიფერენცირებელნაცვალსახელიანი ფორმები, რომლებშიც ობიექტურ პირთა რიცხვისა და რომლობის გადმოცემა ევალებოდა მათ მსაზღვრელად გამოყენებულ კუთვნილებით ნაცვალსახელებს: **ჴელთა ჩემთა** უდრიდა **მე**-ს, **ჴელთა შენთა – შენ**-ს, **ჴელთა ჩვენთა – ჩუენ**-ს და ა. შ. საშუალი

---

* შდრ. ი. იმნიაშვილი, 1971, 319.

** შდრ. ჯრუჭ-პარხლის ვარიანტი: „ნათესავთა შენთა და მღდელთმოძღვართა მომცეს შენ მე" (ი. 18.35), მაგრამ ეს მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა, სულ 30-მდე შემთხვევაა დადასტურებული „მათ მომცეს შენ მე" ტიპის კომბინაციისა, სადაც სუბიექტის გვერდით პირმიმართი ობიექტების დიფერენცირებული პირველი და მეორე პირებია წარმოდგენილი: $SO_1^d O_2^{ind}$ /$O_1^{ind} O_2^d$ / $O_1^{ind} O_2^{dp}$ და ა. შ. იხ. ლ. შალვაშვილი, 1991-92.

ქართული წარმატებით იყენებდა ამ კონსტრუქციას. ისინი ხშირია „ვეფხის ტყაოსანში".

რეალურად შესაძლებელია ერთი ქმედების აქტანტებად I და II პირებად წარმოდგენილი იყოს ირიბი და პირდაპირი ობიექტები ($S_3O_1^{ind}O_2^{d}$ ან $S_3O_1^{d}O_2^{ind}$...). ქართულ ენას არ შეუძლია მათი წარმოდგენა ერთი ზმნის სპეციფიკური ფორმით. ენას ისიც უჭირდა, უკვე არსებული რომელიმე ფორმით ეს კომბინაციები თავისუფლად გამოეხატა. ახალ ქართულში პირთა ნაცვალსახელების ამნაირი შეთავსებაც კი შეუძლებელია, ვთქვათ: მან (S_3) მომიყვანა შენ (O_2^{d}) მე (O_1^{ind}).

ძველ ქართულში ირიბი ობიექტის აქტუალიზებას ჴელთა ახდენდა მაშინ, როდესაც ეს ობიექტი დიფერენცირებული ნაცვალსახელის ფორმით არ დაიშვებოდა პირდაპირი ობიექტის გვერდით და პირიქით: „აჰა ესერა მოგუცნა თქვენ ღმერთმან დღესა ამას მოსასრველად ჴელთა ჩუენთა" და იქვეა პასუხად: „ღმერთმან მიგუცნა ჴელთა თქუენთა"*. პირველ წინადადებაში ჴელთა ჩუენთა ირიბი ობიექტია პირვულ პირში და მრავლობით რიცხვში (ჩუენ), გამოხატულია [გუ-] პრეფიქსით (გრაფიკულად გუ-) – მო-**გუ**-ცნა. ეს **გუ**- პირთან ერთად მრავლობით რიცხვსაც გამოხატავს. რაც შეეხება პირდაპირ ობიექტს (თქუენ), მარკირებული ირიბი ობიექტის გვერდით მას პირის ნიშანი ვერ ექნება, ზმნის ფორმაში მხოლოდ მისი სიმრავლეა წარმოდგენილი (მოგუც-**ნ**-ა). მეორე წინადადებაში (პასუხში) მარკირებულია მხოლოდ პირდაპირი ობიექტის პირი და მრავლობითი რიცხვი (მი-**გუ**-ც-**ნ**-ა), თუმცა თვით ეს ობიექტი წინადადებაში ნაცვალსახელით არ არის წარმოდგენილი, მასზე პირის ნიშანი მიგვანიშნებს. მრავლობითი რიცხვი, ძველი ქართულის წესით, I პირის ნიშნის ფარგლებშიც აღინიშნებოდა (გუ-) და ცალკეც (აქ -**ნ** სუფიქსის სახით). ირიბ ობიექტს, რომელიც ამ წინადადებაში წარმოდგენილია ჴელთა თქუენთა (=თქუენ)

* ცხორებაჲ და წამებაჲ წმიდისა მოწამისა კოსტანტისი ქართველისაჲ, რომელი იწამა ბაბილოვნელთა მეფისა ჯაფარის მიერ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 1946, 76 (შემდგენელი სოლომონ ყუბანეიშვილი).

სახით, ზმნის ფორმაში პირის ნიშანი ვერ ექნება, რადგან ზმნაში უკვე მარკირებულია პირდაპირი ობიექტი, სიმრავლის ნიშანი კი მოსალოდნელი არც იყო, რადგან ირიბი ობიექტის სიმრავლეს II და III პირებში თვით აქტანტი გადმოსცემდა (აქ ჴელთა თქუენთა), ზმნის ფორმაში კი ამ პირებს სიმრავლე სპეციალური ნიშნით არ აღენიშნებოდათ საერთოდ.

„ვეფხის ტყაოსანში" ერთ ზმნასთან ერთდროულადაც ვხვდებით ორივე გაუდიფერენცირებელ ნაცვალსახელს: „ხელთა მოგცემს თავსა ჩემსა, შეგვფეროდეს ერთად სხდომა" (548, 4)*.

მიუხედავად იმისა, რომ ხელთა წარმოდგენილია კუთვნილებითი შენთა ნაცვალსახელის გარეშე, ეს მსაზღვრელი მაინც ივარაუდება – მასზე უთითებს ობიექტური მეორე პირის ნიშანი გ- (მო-გ-ცემს): მოგცემს ხელთა, ანუ მოგცემს ხელთა შენთა. სხვა მსაზღვრელს აქ „ხელთა" ვერ იგუებს. მაშასადამე, სამპირიან ზმნაში ობიექტთა I და II პირები არადიფერენცირებული ნაცვალსახელებით გამოიხატა. მათი პირისა და რიცხვის განსაზღვრა ხდება ობიექტური პირის ნიშნითა და კუთვნილებითი ნაცვალსახელით.

მართალია, ჩვენს მაგალითებში გაუდიფერენცირებელი ჴელთა ნაცვალსახელი მხოლოდ მიცემა ზმნასთან არის წარმოდგენილი, მაგრამ ანალოგიური კონტექსტებითა და პრინციპებით იგი მოსალოდნელია მსგავსი სემანტიკის სხვა ზმნებთანაც, რომლებშიც ერთიმეორეს ხვდებიან I და II პირის ირიბი და პირდაპირი ობიექტები, როგორიცაა: ჩუქება, მიყვანება, მიყიდვა...

ზემოთ წარმოდგენილ დებულებებთან დაკავშირებით ფრიად მნიშვნელოვანია განსხვავებული როგორობისა (S, O^{d}, O^{ind}) და პირთა რომლობის (I, II, III), აგრეთვე განსხვავებული რი-

* „ჩემი ყოლა ნურა გინდა — სიყვარული, ნუცა ნდომა,
ამით უფრო მოგეცემის სამართლისა შენ მოხდომა;
ქმნას მეფემან ყელ-მოტეხით შემოხვეწა-შემოკვდომა,
ხელთა მოგცემს თავსა ჩემსა, შეგვფეროდეს ერთად სხდომა" (548).

ცხვის მიხედვით დაშვებული კომბინაციები როგორც ისტორიულ ჭრილებში, ისე თანამედროვე ქართულში.

უპირველეს ყოვლისა, განვიხილავთ ე. წ. „შეუძლებელ“ (ა. შანიძე), ანუ „დაუშვებელ“ (არნ. ჩიქობავა) კომბინაციებს, ესენია იდენტური რომლობის სუბიექტი და ობიექტი I და II პირებში. ა. შანიძის მიხედვით ასეთია: 11 (ანუ პირველი პირის სუბიექტი პირველი პირის ობიექტთან), 11ᵖ, 1ᵖ1, 1ᵖ1ᵖ; 22, 22ᵖ, 2ᵖ2, 2ᵖ2ᵖ – სულ 8 კომბინაცია (ა. შანიძე, 1973, 229); ასევე ფიქრობს არნ. ჩიქობავა: „სუბიექტის მეორე პირთან ობიექტად შეიძლება ორი პირი: მესამე და პირველი (**შენ** – მე, მას), სუბიექტის პირველ პირთან ობიექტად შეიძლება იყოს ორი პირი: მესამე და მეორე (**მე** – მას, შენ). **არ შეიძლება** მეორე სუბიექტთან ობიექტად იყოს მეორე პირი (**შენ** – შენ) და პირველი პირის სუბიექტთან – პირველი პირი“ (**მე** – მე) (არნ. ჩიქობავა, 2008, 60). ანალოგიურია ი. იმნაიშვილისა და ვ. იმნაიშვილის თვალსაზრისი აღნიშნული კომბინაციების შესახებ ძველ ქართულში: „I და II არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს სუბიექტიც იყოს და ობიექტიც“ (ი. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, 1996, I, 301).

ბუნებრივია, „დაუშვებლად“ მიჩნეული კომბინაციების მქონე ზმნური ფორმები არარსებულად მიიჩნეოდა და მორფოლოგიურ პარადიგმებში მათი შეტანა არავის უცდია.

„შეუძლებლად“ მიჩნეული კომბინაციების მქონე ზმნური ფორმების განსაზღვრული ნაწილი დასტურდება როგორც ძველ, ისე თანამედროვე ქართულში, ესენია სუბიექტისა და რომელიმე პირმიმართი ობიექტის იდენტურ პირთა კომბინაციები ორ- და სამპირიან ზმნებში: $S_1O_1^{d}$, $S_2O_2^{d}$; $S_1O_1^{ind}$, $S_2O_2^{ind}$ და იგივე კომბინაციები, როცა ორივე მრავლობით რიცხვში დგას ($S_1^{p}O_1^{dp}$...). ამათ გარდა რეალიზდება გამოხატულების პლანით 1ᵖ1 და 2ᵖ2 კომბინაციებიც, თუმცა პირისა და რიცხვის მიხედვით ისინი იდენტური არიან 1ᵖ1ᵖ და 2ᵖ2ᵖ კომბინაციების, შესაბამისად რიგისა.

ქართულ ენაში სტილისტიკურად არაბუნებრივია აღნიშნულ იდენტურ პირთა დიფერენცირებული ნაცვალსახელებით გამოხატვა, ვთქვათ: /მე (S_1) მე (O_1^{d}) დაგამონე შენ (O_2^{ind})/. ამ კომბინაციის რეალიზაციას ქართული ენა ახერხებს იმით, რომ პირ-

დაპირ ობიექტს გამოხატავს გაუდიფერენცირებელი ნაცვალსახელით: /მე თავი დაგამონე შენ/. „ვეფხის ტყაოსანში“ ასმათი ასე მიმართავს ავთანდილს: „არ ეგების, ამას იქით თუმცა თავი არ გამონე“ (254, 2).

დაშვებულ კომბინაციათა გვერდით დაუშვებელია 1^{P} და 22^{P}, მაშინ როცა დაშვებულია იმავე პირთა კომბინაცია შებრუნებული რიგით: $1^{P}1$ და $2^{P}2$. ამას, რა თქმა უნდა, თავისი მიზეზი აქვს. კომბინაციებს განვიხილავთ ჯგუფთა მიხედვით.

(ა) 11, 22, 33; $1^{P}1^{P}$, $2^{P}2^{P}$, $3^{P}3^{P}$. ამ ჯგუფში სუბიექტსა და ობიექტს საერთო დენოტატი აქვთ.

„გამოუცხადო მას თავი ჩემი (ი. 14, 21) – $S_1O_3^{ind}O_1^{d}$

„უჩუენე თავი შენი მღდელთა“ (მ. 8, 4) – $S_2O_3^{ind_P}O_2^{d}$

„დაიცვენით თავნი თქუენნი“ (ლ. 12, 15) – $S^{P}_{2}O_2^{d_P}$ და სხვ.

როცა **დენოტატი საერთოა**, S_3-ის გვერდითაც ბუნებრივია გაუდიფერენცირებელი თავი ნაცვალსახელი: „...რომელმან აღიმაღლოს თავი თჳსი, დამდაბლდეს და რომელმან დაიმდაბლოს თავი თჳსი, იგი აღმაღლდეს“ (მ. 23, 12) – $S_3O_3^{d}$.

(ბ) $1^{P}1$, $2^{P}2$, $3^{P}3$. ამ ჯგუფშიც სუბიექტის მრავლობითი რიცხვი უთუოდ გამოხატულია ზმნის ფორმით, მასთან კომბინაციაში მყოფი ობიექტისთვის კი, რომელიც იმავე დენოტატს მიემართება, მრავლობითი რიცხვი შეიძლება არ იყოს ზმნაში მარკირებული, თუმცა კონტექსტით მისთვისაც **აუცილებელია** მრავლობითი რიცხვი, **რადგან** საერთო დენოტატი აქვს მრავლობითი რიცხვის სუბიექტთან. გამოდის, სუბიექტი ახდენს ობიექტის რიცხვის ბლოკირებას – **ობიექტს ასეთ კონტექსტებში ყოველთვის ევარაუდება ის რიცხვი, რომელიც სუბიექტს აქვს, მიუხედავად იმისა, როგორ არის ობიექტი გაფორმებული ზმნაში.**

მოვიყვანთ ორივე შემთხვევის (ა და ბ) შესაბამის მაგალითებს „ვეფხის ტყაოსნიდან“.

(ა) „ვეცენით გა-ცა-ვფანტენით... არ თავნი გავაზანტენით“ (621, 2)*.

* „მათნი ლაშქარნი გაგვექცეს: ვეცენით, გა-ცა-ვფანტენით. ფიცხლად წავუღეთ ქალაქი, არ თავნი გავაზანტენით...“ (621, 1-2).

(ბ) „ამან უფრო დაგვაშმაგნა, თავი სრულად გავაშეთეთ“ (290, 4).

გავაზანტენით ზმნასთან სუბიექტიცა (ჩვენ) და ობიექტიც (თავნი) მრავლობით რიცხვში არიან წარმოდგენილი, გავაშეთეთ ფორმაშიც ორივე მრავლობით რიცხვშია მიუხედავად იმისა, რომ გაუდიფერენცირებელი თავი ნაცვალსახელი მხოლობითი რიცხვის ფორმით არის წარმოდგენილი, სწორედ ამიტომ ობიექტის სიმრავლე ზმნაშიც ფორმალურად ვერ აისახა.

ავთანდილი გავაშეთეთ ფორმაში სუბიექტად გულისხმობდა მეფეს, მეფის ამალას და თავის თავს, ე. ი. დიფერენცირებული ნაცვალსახელით აქ ჩაჯდება ჩვენ, ამაზე ზმნის ბოლოში **-თ** სუფიქსიც მიუთითებს. ჩვენ სუბიექტს აქ, რა თქმა უნდა, ობიექტიც მრავლობით რიცხვში – თავნი ევარაუდება (მოსალოდნელი იყო /ჩვენ თავნი გავაშეთენით/) მაგრამ ბლოკირების პრინციპით მხოლობითის ფორმითაც შესაძლებელი გახდა სიმრავლის გადმოცემა. გავიხსენოთ ძველი ქართულის /კეთილთა კაცთა/ როგორ შეიცვალა /კეთილ კაცთა/ წყვილით იმის გამო, რომ საზღვრულის მიერ მოხდა მსაზღვრელის ბლოკირება. ასევე ხმოვანფუძიანი ბლოკირებული პრეპოზიციური მსაზღვრელის ბრუნვაცა და რიცხვიც ყველგან განსაზღვრულია საზღვრულის ბრუნვითა და რიცხვით (მცირე დარბაზი, მცირე დარბაზმა... მცირე დარბაზები / დარბაზნი); შდრ. ძველი ქართული მცირე-**ჲ** დარბაზ-**ი**, მცირე-**მან** დარბაზ-**მან**, მცირე-**ნ**-ი დარბაზ-**ნ**-ი და სხვ.

აღნიშნული კონტექსტიდან („ამან უფრო დაგვაშმაგნა, თავი სრულად გავაშეთეთ“) „გავაშეთეთ“ რომ კონვერსიულ პასივში გადავიყვანოთ, მივიღებთ გავშეთდით (ჩვენ) პასივს, რადგან აქტივის პირდაპირი ობიექტი „თავი“ მრავლობით რიცხვის გაგებას ატარებს, წინააღმდეგ შემთხვევაში გავშეთდით ფორმას ვერ მივიღებდით პასივში: ამ ადგილზე დაუშვებელია გავშეთდი (უფრო გავშმაგდით, სრულად გავშეთდი (ჩვენ)).

ანალოგიურია ვითარება ადიშის ოთხთავში, სადაც აღწერილია ებრაელთა მზადება პასექის მოახლოებისას: „აღვიდეს

მრავალნი იერუსალჵმდ სოფლებისაგან უწინარეს მის პასექისა, რაჲთა განწმიდონ თავი თჳსი“ (ი. 11, 55C). იგივე ასეა წარმოდგენილი ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავებში: „... რაჲთა განიწმიდნენ თავნი თჳსნი“. ადიშის სახარებაში თავი პირდაპირი **ობიექტის რიცხვს განსაზღვრავს სუბიექტის რიცხვი,** რადგან მათ საერთო დენოტატი (**მრავალნი**) აქვთ, ამიტომ „თავი“ ობიექტის რიცხვი ბლოკირებულია სუბიექტის რიცხვით – სუბიექტის რიცხვი ავტომატურად ეძლევა ობიექტს, მიუხედავად მისი ფორმისა; შდრ. ძველი ქართულის წიგნნი კაცისანი, წიგნთა კაცისათა... სადაც პოსტპოზიციური სუბსტანტიური მსაზღვრელის რიცხვს განსაზღვრავდა საზღვრულის რიცხვი სათანადო მარკერებით, და თანამედროვე წიგნნი კაცისა (// წიგნები კაცისა), წიგნთა კაცისა (// წიგნებს კაცისა)... სადაც გრამატიკული მიმართება ძველი დარჩა, ოღონდ მსაზღვრელის მხოლობითი რიცხვის ფორმა უცვლელად გადავიდა მრავლობით რიცხვში დასმულ საზღვრულთან, რადგან პოსტპოზიციური სუბსტანტიური მსაზღვრელი ავტომატურად იმეორებს საზღვრულის რიცხვს – მსაზღვრელი ბლოკირებულია საზღვრულისაგან, რაც განაპირობა დელიმიტაციური -ა სუფიქსის მიერ კონსტრუქციის ჩაკეტვამ (თ. უთურგაიძე, 2009, 187).

ქვემოთ წარმოვადგენთ ცხრილს ორ- და სამპირიანი ზმნებისთვის, რომლებშიც პირცვალებად ობიექტად წარმოდგენილია გაუდიფერენცირებელი თავი (I სერიაში თავს) ნაცვალსახელი.

სამპირიანი აქტივი

S \ O	1	2	3	1^p	2^p	3^p	
1	+	+	+		+	+	
2	+	+	+	+		+	
3	+	+	+	+	+		O_3
1^p	+	+	+	+	+	+	
2^p	+	+	+	+	+	+	
3^p	+	+	+	+	+	+	

ცხრილი თავი ნაცვალსახელით

განმარტება ცხრილისთვის

1. როცა ცხრილის შიგნით არის O^d, ცხრილის გარეთ იქნება O^{ind} და პირიქით.
2. ცხრილში ობიექტაგან კონკრეტული ინდექსებით წარმოდგენილია პირცვალებადი

ობიექტი, მხოლოდ მესამე პირით (O_3) კი – პირუცვლელი ობიექტი. 3. ორპირიან ზმნათა $S_1^pO_1(1^p1)$, $S_2^pO_2(2^p2)$, $S_3^pO_3(3^p3)$ და სამპირიან ზმნათა $S_1O_1O_3(1^p13)$, $S_2^pO_2O_3(2^p23)$, $S_3^pO_3O_3(3^p33)$ კომბინაციებში **თავი ყველგან პირცვალებადი ობიექტია და მრავლობით რიცხვში დასმულ სუბიექტთან ატარებს მრავლობითი რიცხვის გაგებას**, რის შედეგად ამ ცხრილში 1^p-ს გვერდით -1 (ანუ O_1) იღებს -1^p-ს (ანუ O_1^p -ის) გაგებას. ანალოგიური ხდება მეორე და მესამე პირებშიც: 2^p-ს გვერდით -2 იღებს -2^p-ს მნიშვნელობას, ხოლო 3^p-ს (ანუ S_3^p-ის) გვერდით -3 (ანუ O_3, ცხრილის შიგნითა) იღებს O_3^p -ის გაგებას.

ქვემოთ პირცვალებადი ობიექტის სიმრავლეს წარმოვადგენთ ორივე სახით, მათ შორის კი ვათავსებთ საზიარო კონვერსიულ პასივს, რათა ვაჩვენოთ ამ ობიექტის იდენტურობა რიცხვის მიხედვითაც.

(1) ჩუენ **თავი** უჩუენეთ* მას ~ **ჩუენ** ვეჩუენენით მას ~ ჩუენ თავნი უჩუენენით მას

(2) თქუენ **თავი** უჩუენეთ მას ~ **თქუენ** ეჩუენენით მას ~ თქუენ თავნი უჩუენენით მას

(3) მათ **თავი** უჩუენეს მას ~ **იგინი** ეჩუენნეს მას ~ მათ თავნი უჩუენნეს მას

აქტიური ზმნებით: უჩუენეთ და უჩუენენით შექმნილი წინადადებები (1) რომ აბსოლუტურად ემთხვევიან ერთიმეორეს გრამატიკული შინაარსით, მიუხედავად პირდაპირი ობიექტის ფორმალური განსხვავებისა (**თავი** და თავნი), იქიდანაც ჩანს, რომ კონვერსიული პასივი საერთო აქვთ, რაც შეპირობა სუბიექტის მიერ პირდაპირი ობიექტის რიცხვში ბლოკირებამ.

წინამდებარე „ცხრილი თავი ნაცვალსახელით" ვერ ასახავს S_3-ის კომბინაციას ობიექტთა I და II პირებთან, რადგან ამ ცხრილში პირუცვლელი ობიექტი მხოლოდ III პირში დგას.

მესამე პირის სუბიექტთან შესაძლებელია I და II პირების ობიექტთა კომბინაციები, როგორიცაა:

$S_3O_1^dO_2^{ind}$, $S_3^pO_1^dO_2^{ind}$ (იხ. სქემები).

---

* უ-ს წინ S_1 ნულოვანი ალომორფით იყო წარმოდგენილი ძველ ქართულში.

	O^{ind} / O^{d}	1	2	1^{p}	2^{p}
S_3	1		+		+
	2	+		+	
	1^{p}		+		+
	2^{p}	+		+	

სქემა A

	O^{d} / O^{ind}	1	2	1^{p}	2^{p}
S_3	1		+		+
	2	+		+	
	1^{p}		+		+
	2^{p}	+		+	

სქემა B

ეს სქემები პირთა კომბინაციებით არ განსხვავდებიან. განსხვავებაა მხოლოდ ობიექტთა ადგილით კომბინაციურ რიგში, რაც იწვევს ობიექტურ პირთა განსხვავებულ მარკირებას ზმნათა ფორმებში: A სქემის რეალიზაციისას მარკირებულია პირდაპირი ობიექტი, B სქემის რეალიზაციისას კი – ირიბი ობიექტი.

სქემები შეიცვლება, თუ S_3-ს შევცვლით $S_3{}^{p}$-ით და პირიქით – თუ $S_3{}^{p}$-ს შევცვლით S_3-ით. ჯამში ვიღებთ 4 სქემას*.

მაგალითად: თუ იოანეს სახარების „მღდელთმოძღუართა მ ო მ ც ე ს შენ ჴელთა ჩემთა“ (ი. 18, 35 C) მუხლში $S_3{}^{p}$-ს (მღდელთმოძღუართა) შევცვლით S_3-ით (მღდელთმოძღუარმან), ზმნაც სათანადოდ შეიცვლება – /მღდელთმოძღუარმან მ ო მ ც ა შენ ჴელთა ჩემთა/.

* C და D დამატებით სქემებში (მე-3 და მე-4) A და B სქემათა შიდა ნაწილი, სადაც ობიექტთა კომბინაციებია წარმოდგენილი, უცვლელად გადავა, გარე ნაწილებში კი S_3 შეიცვლება $S_3{}^{p}$ -ით.

ენაში გვხვდება გამოთქმები, რომლებშიც სხეულის ნაწილი მეტაფორულად პიროვნებას გამოხატავს. რუსთაველი ასე ახასიათებს მიჯნურს:

„ხამს მიჯნური ხანიერი, არ მეძავი, ბილწი, მრუში,
რა მოჰშორდეს მოყვარესა, გაამრავლოს სულთქმა, უში,
გ უ ლ ი ერთსა დააჯეროს, კუშტი მიჰხვდეს, თუნდა ქუში;
მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა, კოცნა, მტლაშა-
მტლუში“ (25, 3).

„გული“ აქ პიროვნების მეტაფორაა: მ ი ჯ ნ ურ ი უნდა დასჯერდეს ერთს.

როგორც ზემოთ ითქვა, როდესაც ქვემდებარე და დამატება ერთსა და იმავე დენოტატს მიემართებიან, ენა გამეორებით გამოწვეული სტილისტიკური უხერხულების თავიდან ასაცილებლად მიმართავს გაუდიფერენცირებელ თ ა ვ ი ნაცვალსახელს (იხ. ცხრილი). ბუნებრივია იგივე განმეორდეს მაშინაც, თუ სხვა რომელიმე სიტყვა ასეთსავე მიმართებაში აღმოჩნდება ქვემდებარესთან, კერძოდ ამ შემთხვევაში „გული“ („გული ერთსა დააჯეროს...“), რომელიც ადვილად და სრულად შეიძლება ჩანაცვლდეს გაუდიფერენცირებელი თ ა ვ ი ნაცვალსახელით (თავი ერთსა დააჯეროს), რომელიც იმავე დენოტატს მიემართება, რომელსაც ქვემდებარე, რაც რელიეფურად გამოჩნდება, თუ შემასმენელს შევცვლით კონვერსიული პასივით, სადაც ქვემდებარედ აქტივის დამატება დაჯდება: /გული ერთსა დააჯეროს/ ~ კონვ. პას. /გული ერთსა დასჯერდეს/. რა თქმა უნდა, გ უ ლ ი ქვემდებარის დენოტატი „მ ი ჯ ნ ურ ი "-ა.

ქვემდებარისა და დამატების საერთო დენოტატი წინადადების ფარგლებში ყოველთვის გამოიწვევს ახალ-ახალი გზების ძიებას სტილისტიკური არაბუნებრიობის თავიდან ასაცილებლად დამატების მეტაფორული სახით რეალიზებისათვის.

გავეცანით რა დიფერენცირებულ და გაუდიფერენცირებელ აქტანტებს, ქვემოთ ცალ-ცალკე განვიხილავთ სუბიექტური და ობიექტური თითოეული პირის მარკირებას დამოუკიდებლად და სხვა ნიშნებთან (მარკერებთან) კომბინაციაში.

სუბიექტური (S) პირები

ძველ ქართულში სუბიექტური პირველი პირი რეალიზდებოდა სამი ალომორფით: {ვ-} /ვ-/~ /უ-/ ~ /Ø-/. მორფოლოგიური რანგობრივი სისტემის სიძლიერეზე მიუთითებს ის, რომ /ვ-/ ალომორფი რეალიზებულია ფუძისეული ბაგისმიერი თანხმოვნების წინაც, რაც ფონემატურად დაუშვებელია /ვ/ ფონემისთვის სხვა ბაგისმიერ ფონემებთან /ბ, ფ, პ/-სთან როგორც წინ, ისე მომდევნოდ, მაგ.: „არა განებოროტნეთ" (მამათა სწავლანი), „განვბანეთ იგი მატლისა მისგან" (მამათა სწავლანი) და სხვ. ერთი მორფემის ფარგლებში კი /ვბ/, /ვფ/ და /ვპ/ ფონემატურად გამორიცხულია. ისევე, როგორც /ვვ/ და /ვმ/.

ნიშანთა რეალიზაციისთვის მნიშვნელოვანია ამ ბგერის პოზიცია მარცვლის ფარგლებში, ვთქვათ, რომელიმე /განვბრწყინდეთ/ ფორმაში ფონემატურად /ვ/ არაბუნებრივ გარემოში ხვდება, რადგან იგი ვერც ერთ მარცვალს ვერ მიეკედლება: /ვ/ არაბუნებრივია /ნ/-ს მომდევნოდ მარცვლის ფარგლებში და ამავე დროს ეს /ვ/ არაბუნებრივია ფუძისეული /ბ/-ს წინაც მარცვლის ფარგლებში (იხ. მზარდი ნაპრალოვნობის სქემა). აქა და ამ ტიპის ფორმებში (როგორიცაა, მაგალითად, ვ პ ო ვ ო თ : „ჩუენ არა ვპოვოთ იგი" ი. 7. 35) პირის ნიშანი /ვ-/ რომ რანგით მიჩენილ ადგილზე რჩება – ეს მორფოლოგიური სისტემის პრიმატზე მიუთითებს, ამ სისტემას ვერ არყევს ფონემატური სისტემის დაწოლა, რაც არც თუ იშვიათია სხვა შემთხვევებში ამ პირის ნიშანთანაც (როცა ნულოვანი ალომორფითაა წარმოდგენილი) და სხვა პირის ნიშნებთანაც.

რაც შეხება /ვ-/-ს ლაბიალური /უ/ ხმოვნის წინ, როცა ეს ხმოვანი სასხვისო ქცევის მორფემაა, როგორც წესი, /ვ-/ ამ /უ-/-ს წინ ყოველთვის ჩავარდნილია, რეალიზებულია ნულოვანი ვარი-

ანტით: „ჩუენ არა უწყით“ (ი. 16, 3); „... ჩუენ მიუტევებთ თანა-მდებთა მათ ჩუენთა“ (მ. 6.12) და სხვ.

/ვ-/ ნულოვანი ალომორფით არის წარმოდგენილი /ვ-/-თი დაწყებული ფუძეების წინაც: „ჩუენ წარვიდეთ (ლ. 9, 13); შდრ. იგინი წარვიდეს, ამ ფორმებში /ვ/ ფუძისეული თანხმოვანია, /წარვიდეთ/ ფორმაში Sı-ის /ვ-/ ჩავარდნილია: /წარ-Ø-ვიდეთ ჩუენ/; ანალოგიური იქნება ვითარება I პირში /ვ/ ფონემით დაწყებულ სხვა ფუძეებთანაც: /ჩუენ შთა-Ø-ვარდით/; „მივალ და მოვალ თქუენდა“ (ი. 14, 18C): მი-Ø-ვალ და მო-Ø-ვალ (შდრ. მოვალს, /ვ/ ფუძისეული თანხმოვანია მივალ და მოვალ ფორმებში.

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად არის ცნობილი {ვ-}-ს /უ-/ (ბგერობრივ [ჳ]) ალომორფის ადგილი: მას ვხვდებით ობიექტური მესამე პირის მომდევნოდ: ხანმეტ ტექსტებში /ხ-/-ს მომდევნოდ, ხოლო ჰაემეტ ტექსტებში – /ჰ-/-ს მომდევნოდ, მაგალითად: „ნეტარ ხიყვნენ რ˜ლთა არა ხუეხილვო და ხურწმენე“ (ხანმეტი ლექციონარი, ი. XX, 29); „ესე აღხუასრულო და დახუბეჭდო ნაყოფსა მას მათსა“ (ხანმეტი ლექც., ჰრომელთა, XV, 28).

ხანმეტ ძეგლებში პირის ნიშანთა ეს თანამიმდევრობა სისტემებრ არის განხორციელებული. მაგალითები ჰაემეტი ტექსტებიდან: „მოჰოკგოვარე იგი მოწაფეთა შენთა“ (მ. XVII, 16); „ესე არს ძჱ ჩემი საყოჯარელი რ˜ი მე სათნო ჰკყავ ...“ (მ. XVII, 5) და სხვ. ჰაემეტ ტექსტებშია ესეც: „მოვიმკი რ˜ი არა დაჳჰთესი“ (ლ. XIX, 22), სადაც სუბიექტის ნიშანი წინ უძღვის ობიექტის ნიშანს, როგორც ეს IX, X საუკუნეთა ძეგლებშია წარმოდგენილი.


მკვლევართა სწორი ვარაუდით, სუბიექტური პირველი პირისა და ობიექტური მესამე პირის კომბინაციაში თავდაპირველია ვ-ხ- და ვ-ჰ- (Sı-Oз-) განლაგება, რომელიც შეცვლილია ფონეტიკურ ნიადაგზე ხანმეტ და ჰაემეტ ძეგლებში (ვხ > ხუ, ვჰ > ჰუ, უ ბგერობრივ წყვილბაგისმიერი თანხმოვანია – [ჳ], რაც გამოსწორდა VIII საუკუნის შემდეგ, როცა ამ პირებმა თავ-თავისი რანგები დაიბრუნეს. IX, X საუკუნეებში და შემდგომაც მხოლოდ /ვ-ჰ-/-ს ვხვდებით ან ამ კომბინაციის ვარიანტებს – /ვ-ს-/-ს

ან /ვ-შ-/-ს პოზიციების მიხედვით. ამ ვარაუდს მხარს უბამენ ქართული დიალექტებიც, სადაც, თუ მატერიალურად არიან წარმოდგენილი, სუბიექტური პირველი პირის ნიშანი ყოველთვის წინ უძღვის ობიექტური მესამე პირის ნიშანს (ა. შანიძე, 1976, §21; ი. იმნაიშვილი, 1971, 95 და 116).

ასახსნელი რჩებოდა ამ ფონეტიკური ცვლილების (ვ-ხ- > ხ-უ და ვ-ჰ- > ჰ-უ-) მექანიზმი.

ამ მექანიზმის ცხადად წარმოსადგენად გასათვალისწინებელია შემდეგი: (1) /ვ/ ფონემას ძველ ქართულში ჰქონდა ორი ალოფონი: [ვ] და [უ]. [უ] იყო წყვილბაგისმიერი ვარიანტი (ბგერობრივ [ᵂ]), [ვ] კი – კბილბაგისმიერი. ამათგან [უ] გვხვდებოდა ჩქამიერ თანხმოვანთა მომდევნოდ, [ვ] კი – დანარჩენ პოზიციებში; (2) ქართული ენის თანხმოვანთა სინტაგმატურ მიმართებაში ბუნებრივია **მზარდი ნაპრალოვნობა**: ყოველი მომდევნო თანხმოვანი წინას აღემატება ნაპრალოვნობით, განეკუთვნება თანხმოვანთა სხვა კლასს და იცავს ჰომოგენურობას ჩქამიერთა შორის, სონორიან კომპლექსებში კი ჰომოგენურობის პრინციპი ჭარბია.

ოთხი კლასის თანხმოვნები (I – /ბ ფ პ მ ვ/, II – /დ თ ტ ძ ც წ ჯ ჩ ჭ ზ ს ჟ შ/, III – /გ ქ კ ჴ ღ ხ ყ/, IV – /რ ლ ნ/*) მზარდი ნაპრალოვნობის მიხედვით ასე ლაგდებიან:



ხშულებს აქვთ ნულოვანი ნაპრალოვნობა.

ნაპრალოვნობა იზრდება ისრის მიმართულებით.

(თ. უთურგაიძე, 1976, 102)

სქემის მიხედვით კარგად ჩანს, რომ ფონემატურად არაბუნებრივია /ვ-ხ-/- თანამიმდევრობა, რადგან ნაპრალოვნობა კომ-

* /ჰ/ სხვა თანხმოვნებთან ერთი მორფემის ფარგლებში არ კომბინირებს.

პლექსში კლებადია. #–V პოზიციაში საერთოდაც ვერ დავადასტურებთ /ვხ/ კომბინაციას ერთი მორფემის ფარგლებში; სქემის მიხედვით ბუნებრივია /ხვ/ კომბინაცია, რომელიც ალოფონთა დონეზე ძველ ქართულში [ხუ] სახეს იღებდა. ეს კომბინაცია მრავალ სიტყვაში დასტურდება: ხუადი, ხუავი, ხუედრი, ხუარბალი და სხვ.

რადგან /ხ/ (resp. ჰ) ჩქამიერია, ბუნებრივია მის მომდევნოდ /ვ-/ წარმოდგენილია /უ-/ ვარიანტით, რომელიც, როგორც მორფოლოგიური ელემენტი, სუბიექტური პირველი პირის ნიშანია.

ძველმა ქართულმა ანბანმა ჩქამიერ თანხმოვანთა მომდევნოდ /ვ/ ფონემის სამეტყველო წყვილბაგისმიერ [ṷ] ვარიანტს* კბილბაგისმიერი [ვ] ვარიანტისგან განსხვავებული და /უ/ ხმოვანთან საზიარო გრაფემა შეუქმნა – **ⴓ**, შემდეგ **ⴓ** (ხუცურ ანბანში) და **უ-** მხედრულში.

ძირეულ მორფემათა ფარგლებში /ღ/-ს მომდევნოდ /ვ/ ფონემა მხოლოდ [ṷ] ალოფონით რეალიზდებოდა ძველ ქართულში: ღუაწლი, ღუედი, ღვინო... **აღ-** ზმნისწინის მომდევნოდ კი {Sı-} /ვ-/ ალომორფით იხმარებოდა: აღვაშენო, აღვასრულებ, აღვაღებ... ასევე **აღვალ** ზმნაშიც: „**აღვალ** მამისა ჩემისა" (ხანმ. ლექც., ი. XX, 17).

ჰომორგანულ ჩქამიერ /ხ/ და /ღ/ ფონემათა მომდევნოდ მორფემათა საზღვრებზე /ვ-/-ს **ერთნაირი ცვლილება იყო მოსალოდნელი**, მაგრამ ეს ძველ ქართულის ორთოგრაფიაში არ ასახულა, არსებითი აღმოჩნდა /ხ-/-სა და /ღ-/-ს

---

* თანხმოვნობის, ანუ უმარცვლობის დიაკრიტიკულ ნიშანს (^) თანხმოვანი [უ] ბგერის გამომხატველ გრაფემაზე პირველად სტეფანე პაოლინისა და ნიკიფორე ირუბაქიძის (ნიჩეფორო ირბაკი) ქართულ-ლათინურ ტრანსლიტერაციურ ანბანში ვხვდებით ჩუენ სიტყვის ლათინურ კორელატში — ciûen, სადაც i არ იკითხება, იგი გამოხატავს c-ს (კ-ს) პალატალიზებულ ვარიანტს: ci (ქართული ჩ) (S. Paolini, Niceforo Irbachi, 1629, 1, კრებულში: ა. ჩიქობავა, ჯ. ვათეიშვილი, პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები, 1983, 290). ეს ტრანსლიტერაციული ანბანი წინ უძღვის იმავე წელს დაბეჭდილ ლოცვებს — ჯ. ვათეიშვილი, ამავე კრებულში, გვ. გვ. 16 და 259).

ⴓ გრაფემა ქართულ ტექსტებში პირველად იხმარა ანტონ პირველმა (თ. უთურგაიძე, 1999, 40).

გრამატიკული სტატუსი, ანუ [ხ-], [ღ-] ბგერათა მორფოლოგიური დანიშნულება: მორფემათა მიჯნაზე სუბიექტური პირველი პირის {ვ-}-ს წინ /ხ-/ ობიექტური პირის ნიშანია **მხოლოდ**, /ღ-/ კი /აღ-/ ზმნისწინის შემადგენელი ელემენტი (კონსტიტუენტი), რაც იქცა იმის მიზეზად, რომ ფონეტიკური ცვლილება ამ ერთი რიგის კომპლექსებში (ჩქამიერი თანხმოვანი + /ვ/) მორფემათა საზღვრებზე ორთოგრაფიულად განსხვავებულად გაფორმებულიყო. ეს განსხვავება, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ძველ ქართულს ბოლომდე შემორჩა; შდრ. აღ**ვ**ალ იერუსალ**ი**მდ“ (ლ. 18, 31C) და „აღ**ხ**უალ იერუსალ**ი**მდ“ (მრ. 10, 33C).

„კანონზომიერ გამონაკლისად“ უნდა ჩაითვალოს სუბიექტური პირველი პირის /უ-/ ალომორფი **აღ-** ზმნისწინის მომდევნოდ „შაჰნამეში“: აღუასრულებო, აღუასრულოთ*.

ორთოეპია-ორთოგრაფიის თვალსაზრისით – მათ შესაბამისობასთან დაკავშირებით გასახსენებელია **-ავ** თემის ნიშნის ვარიანტთა (/-ავ/~/-ვ/) მართლწერა და გამოთქმა ძველ ქართულში, ასევე სახელურ და ზმნურ კუმშვად ფუძეებში ხმოვნის მომდევნო /ვ/-ს პოზიციის შეცვლა ჩქამიერ თანხმოვანთა მომდევნო პოზიციით.

ფონემატურ-ფონეტიკურ კანონზომიერებაში მორფოლოგიური კონსერვატიზმის ჩარევად უნდა იქნეს მიჩნეული კბილბაგისმიერი [ვ]-ს შენარჩუნება ჩქამიერ თანხმოვანთა მომდევნოდ ფუძეთა კუმშვის შემდეგ, როგორიცაა; მაგალითად: ერისთავი ~ ერისთვის, მეძავი ~ მეძვის, საკითხავი ~ საკითხვის; ვ-ყავ, ჰ-ყავ ~ ყვნეს და **-ავ** თემის ნიშნის [ვ]-ს შემონახვა ჩქამიერთა მომდევნოდ: თხზავს ~ თხზვა, ასთავს ~ სთვა, ტკრთავს ~ ტკრთვა...

აქ ჩამოთვლილ შემთხვევებშიც ვხვდებით ხოლმე „კანონზომიერ“ გამონაკლისებს, როგორიცაა **თავ** არსებითი სახელიდან წარმოქმნილი -თუის /-თჳს თანდებული: მისთჳს, თქუენთჳს... იყუნეს, რაც კარგად არის ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურიდან.

* ფორმები მოძიებულია ი. გიპერტის ინტერნეტმასალაში.

*

* *

ხანმეტი და ჰაემეტი პერიოდების პირის ნიშანთა ფონემატურად არაბუნებრივი თანამიმდევრობის (ვხ-, ვჰ-) ბუნებრივით შეცვლამ (ხუ-, ჰუ-) გვიან თავი იჩინა ზოგიერთ დიალექტში. ვამბობთ „გვიან“, რადგან იმ ძველ ქართულში, რომლის მემკვიდრენიც თანამედროვე დიალექტებია, S1O3-ის კომბინაცია გამოხატულია /ვჰ-/, /ვს-/, /ვშ-/ თანამიმდევრობით – ესაა IX, X საუკუნეების კლასიკური ძველი ქართული*. საშუალი ქართულისა და ახალი ქართულის სამწერლობო ენა მას მიჰყვებიან. ხანმეტობა-ჰაემეტობის შემდეგ ქართულ მწერლობაში /ჰვ-/, /სვ-/ ან /შვ-/, რომელიც მოსალოდნელი იყო წინა პერიოდებში არსებული /ხუ-/-სა და /ჰუ-/-ს გათვალისწინებით, **აღარ ჩანს**, /ვჰ-/ და /ვს-/ კი დღემდე იხმარება ენაში.

განვიხილავთ S1-ის /ვ-/-ს მეტათეზისს დიალექტებში. თუშურში, მსგავსად ძველი ქართულისა (V-VIII საუკუნეები), სუბიექტური პირველი პირის /ვ-/ პრეფიქსი განიცდის მეტათეზისს ზმნის ფორმაში ფ ო ნ ე მ ა ტ უ რ ა დ **მისთვის მისაღებ** (ბ უ ნ ე ბ რ ი ვ) ადგილზე.

აღმოსავლეთი საქართველოს დიალექტებიდან, თვით ფხოური ჯგუფის დიალექტებიდანაც, რომელშიც თუშურიც შედის, ეს მოვლენა მხოლოდ თუშურს ახასიათებს, დასავლური დიალექტებიდან კი ვხვდებით შ ა ვ შ უ რ შ ი .

თუშურის მასალა პარადიგმათა სახით წარმოდგენილია ა. შანიძის მონოგრაფიაში „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“ (ა. შანიძე, 1920, §70). ა. შანიძის მიერ ჩაწერილ თუშურ ტექსტებში ამ მოვლენის დამადასტურებელ მხოლოდ ერთ ფორმას ვხვდებით. ჩანს, ეს პარადიგმები მთხრობელთა სპეციალური

* IX, X საუკუნეებში შესაძლებელია როგორც /ვჰ-/, ისე /ვს-/ ან /ვშ-/ კომბინაციები S1-ისა და O3-ის კომბინაციათა გამოსახატავად. ამ დროს ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული O3-ის [ჰ]-ს ჰომორგანული ასიმილაცია ფუძისეულ წინაენისმიერ თანხმოვნებთან; მაგ.: „სულსა ჩემსა დავსდებ ცხოვართათჳს“ (ი. 10, 15), იქვე მე-17 მუხლშია უფრო ადრეული „დავჰდებ სულსა ჩემსა“ (ი. 10, 17).

გამოკითხვით არის შედგენილი*. პარადიგმები სრულია: გვიჩვენებენ როგორც S1-ის /ვ-/-ს მეტათეზისის ყველა შესაძლო პოზიციას, ისე იმ პოზიციებსაც, სადაც ეს პროცესი ვერ განხორციელდება.

პარადიგმებიდან ქვემოთ A და B ჯგუფებად წარმოვადგენთ იმ ფორმებს, რომლებშიც სუბიექტური I პირის /ვ-/ პრეფიქსი მონაწილეობს: A ჯგუფში /ვ-/ განიცდის მეტათეზისს, B ჯგუფში კი მისი ადგილიდან დაძვრა გამორიცხულია – S1 მტკიცედ ინარჩუნებს თავის მორფოლოგიურ რანგს.

უპირველეს ყოვლისა, გავეცნოთ თუშურის მასალას ა. შანიბის აღნიშნული მონოგრაფიიდან

A ჯგუფი (/ვ-/ განიცდის მეტათეზისს)

ერთპირიანი ზმნები

1. ტვირი – ტვირით, ტვიროდე – ტვიროდეთ
2. ჯვავრობ – ჯვავრობთ, ჯვავრობდე – ჯვავრობდეთ
3. დვნები – დვნებით, დვნებოდე – დვნებოდეთ
4. დვაობ – დვაობთ, დვაობდე – დვაობდეთ
5. დგვები – დგვებით, დგვებოდე – დგვებოდეთ

ორპირიანი ზმნები

6. ხჭველავ – ხჭველავთ, ხჭველევდე – ხჭვეელევდეთ – „**მოჭელვა** პოვნა“
7. ხყვიდი – ხყვიდთ „ვყიდით“
8. სტვეხ – სტვეხთ, სტვეხდე – სტვეხდეთ
9. ზდვებ – ზდვებთ, ზდვებდე – ზდვებდეთ
10. შჭვამ – შჭვამთ, შჭვამდე – შჭვამდეთ
11. შჩვეჩ – შჩვეჩთ (ვშჩეჩ – ვშჩეჩთ).

---

* სავარაუდებელია, რომ ა. შანიძემ ამ ფორმებს თუშთა დიალოგში მოჰკრა ყური და სათანადო პარადიგმებიც შეადგინა მათი დახმარებით. სხვა მკვლევართა (ლინგვისტების, ფოლკლორისტების, ეთნოგრაფების) უფრო გვიან ჩაწერილ ტექსტებში ეს ფორმები არ ჩანს, რადგან თუშები, როგორც რესპონდენტები, S1-ის /ვ-/-ს „ქართული წესით“ (ანუ კახური წესით) ხმარობენ არათუშურ სიტუაციაში (მეტ-ნაკლებად ოფიციალურ საუბარში არათუშის მონაწილეობით); ამიტომაა, რომ ა. შანიძის ჩაწერილ ტექსტებში მხოლოდ ერთი შემთხვევა დასტურდება ამ მოვლენისა (ისიც ლექსში — ა. შანიძე, 1984, 258, 23). შინაურულ მეტყველებაში მათ დღესაც შევხვდებით.

აქ ყველა ფორმა უზმნისწინოა. მორფემების რანგთა წესის მიხედვით: ყველა ფორმა უნდა დაწყებულიყო სუბიექტური I პირის /ვ-/ პრეფიქსით, წარმოდგენილ პარადიგმებში კი /ვ-/ ყველგან გადასმულია ფუძეში, მაშასადამე, I პირის უზმნისწინო ფორმათა დასაწყისში განხორციელებულია /ვ-/-ს მეტათეზისი: ვტირი > ტვირი, ვჯავროб > ჯვავრობ, ვდგები > დგვები, ვდნები > დვნები... აქ წარმოდგენილ თერთმეტსავე შემთხვევაში /ვ/, როგორც ფონემა, მისთვის არაბუნებრივი ადგილიდან (ჩქამიერთა წინა პოზიციიდან) გადასულია ფუძეში მისთვის ბუნებრივ ადგილზე (ჩქამიერთა მომდევნოდ): ტვ-, ჯვ-, დვ-, გვ-, ჴვ-, ყვ-, ჭვ-, ჩვ-...

ცალკეა გამოსაყოფი /ვ-/-ს მეტათეზისი მე-3 და მე-5 რიგში. მე-3 რიგში /ვ-/ არ ჩაჯდა ფუძის ხმოვნის წინ, როგორც ყველა დანარჩენ შემთხვევაში ხდება, არამედ ჩაჯდა თანხმოვანთა შორის: ვდნები > დვნები, რითაც იცავს მზარდი ნაპრალოვნობის ფონემატური წესის მოთხოვნას (იხ. სქემა), რომლის მიხედვით პაუზის მომდევნოდ თანხმოვანთა სინტაგმატურ კომბინაციებში /ვ/ ბუნებრივია ჩქამიერთა მომდევნოდ და მეხუთე რიგის სონორთა წინ, /რ, ლ, ნ/ სონორთა წინ. /ვ-/ რომ ხმოვნის წინ დამჯარიყო (დნვები) დაარღვევდა მზარდი ნაპრალოვნობის წესს – არაბუნებრივია **/დნვ/** თანამიმდევრობა მარცვლის როგორც დასაწყისში, ისე ბოლოში, ბუნებრივია /დვნ/ თანამიმდევრობა, რაც განხორციელდა /ვ-/-ს მეტათეზისით.

მე-5 რიგში (დგვები < ვდგები) /ვ-/ არ გადადის ფუძისეული პირველივე ჩქამიერი თანხმოვნის მომდევნოდ, როგორც დანარჩენ ათ შემთხვევაში ხდება. აქაც ფონეტიკურ პროცესში ერევა მზარდი ნაპრალოვნობის წესი: /ვ/ ფონემა, როცა ის ადგილს იცვლის ფონემატური სისტემის დაწოლით, ვერ დაჯდება ჩქამიერი /გ/-ს წინ ერთი მარცვლის ფარგლებში, რადგან როგორც პაუზის, ისე სხვა თანხმოვნის მომდევნოდ არაბუნებრივია /ვგ/ კომპლექსი (**დვგე**-ბი), ამ კომბინაციებს თავკიდურად ვერსად შევხვდებით. სწორედ აღნიშნულმა მიზეზებმა განაპირობეს /ვ-/-ს მეტათეზისი ჩქამიერთა კომპლექსის მომდევნოდ (ვ-დგები > **დგვე**-ბი).

B ჯგუფი (S1-ის /ვ-/-ს **მეტათეზისი არა ხდება**)

ამ ჯგუფში გამოვყოფთ ორ ქვეჯგუფს: b1-სა და b2-ს. b1 ქვეჯგუფში ერთიანდება უზმნისწინო ფორმები, როგორც A ჯგუფში იყო, b2 ჯგუფში კი თავს იყრის ყველა ზმნისწინიანი ფორმა.

b1 (უზმნისწინო ფორმები)

1. ვხფარავ – ვხფარევდე
2. ვღბარავ – ვღბარევდე
3. ვღლოცავ – ვღლოცევდე
4. ვღლესავ

ის ფაქტი, რომ b1 ჯგუფის ზმნათა უზმნისწინო ფორმებში, განსხვავებით A ჯგუფის უზმნისწინო ფორმათაგან, S1-ის /ვ-/-ს მეტათეზისი არა ხდება, აქაც შეპირობებულია მზარდი ნაპრალოვნობის წესით: (ა) ვ ხ ფ ა რ ა ვ – ვ ხ ფ ა რ ე ვ დ ე და ვ ღ ბ ე რ ა ვ – ვ ღ ბ ე რ ე ვ დ ე ფორმებში /ვ-/ რომ გადამჯდარიყო ფუძეში, ის მარცვალში მოხვდებოდა ბაგისმიერი /ფ/-ს ან /ბ/-ს მომდევნოდ (ხ**ფვ**ა-რავ, ღ**ბვ**ა-რავ), რაც ფონემატურად მიუღებელია და მეტათეზისიც არა ხდება; (ბ) ასევე ვ ღ ლ ო ც ა ვ – ვ ღ ლ ო ც ე ვ დ ე და ვ ღ ლ ე ს ა ვ ფორმებშიც ვერ განხორციელდებოდა /ვ-/-ს მეტათეზისი, რადგან მარცვლის ფარგლებში /ვ/ ხვდებოდა /ლ/-ს მომდევნოდ (ვღლოცავ > **ღლვო**-ცავ, ვღლესავ >**ღლვე**-სავ), რაც ფონემატურად არაბუნებრივ კომპლექსებს შექმნიდა. პირველ შემთხვევაში მეტათეზისს ფონემატური სხვა უხერხულობაც ახლდა: /ვ/ ხვდებოდა /ო/-ს წინ (ვღლოცავ > ღლვოცავ), რაც /ვ/-ს ჩავარდნის შემდეგ გამოიწვევდა I და II პირთა ფორმების სრულ დამთხვევას (ღლვოცავ > ღ ლ ო ც ა ვ; შდრ. II პირის ფორმა – ღ ლ ო ც ა ვ. მაშასადამე, /ვ/-ს გადასმა ფუძეში მიუღებელი აღმოჩნდა როგორც ფონემატურად, ისე მორფოლოგიურად.

აქვე უნდა განვიხილოთ ვ ხ ქ ს ო ვ ფორმა, რომელშიც აგრეთვე არა ხდება S1-ის /ვ-/-ს მეტათეზისი. ეს რომ მომხდარიყო, /ვ-/ ფუძეში უნდა დამჯდარიყო ან /ქ/-ს ან /ს/-ს მომდევნოდ. პირველი ვარიანტი გამოირიცხა, რადგან მივიღებდით არაბუნებრივ მარცვალს, რომელშიც /ვ/ წინ უძღოდა ჩქამიერ /ს/-ს

(ვხქსოვ > ხქვსოვ), რაც არაბუნებრივია, მეორე ვარიანტში /ვ/ ჯდება /ო/-ს წინ, რაც გამოიწვევდა I და II პირთა ფორმების სრულ დამთხვევას (ვხქსოვ > ხქსვოვ > ხქსოვ; შდრ. II პირის ფორმა – ხქსოვ. /ვ-/-ს მეტათეზისის არგანხორციელების მიზეზი აქაც ფონემატურიც არის და მორფოლოგიურიც.

უზმნისწინო ფორმათაგან ა. შანიძის პარადიგმებიდან განსახილველი დაგვრჩა მხოლოდ ერთი ფორმა: ვხკითხე – ვხკითხიდი – ვხკითხავ. ამ ფორმებში /ვ-/-ს მეტათეზისი მოსალონელია და ხდება კიდეც (ხკვითხე – ხკვითხიდი – ხკვითხავ). ა. შანიძის პარადიგმებში ჩვეჩ ფორმას ფრჩხილებში (პარალელურად) უწერია ვჩეჩ ფორმა. ამით მითითებული იყო ამ ფორმათა თავისუფალი მონაცვლეობა. კარგი იქნებოდა, რომ ეს თავისუფალი მონაცვლეობა ვხკითხე-ვკითხიდი-ვხკითხავ ფორმებთანაც აღნიშნულიყო.

b2 (ზმნისწინიანი ფორმები)

1. დავდნი – დავდნით, დავდნები – დავდნებით

2. მოვჭელე – მოვჭელეთ, მოვჭელიდი – მოვჭელიდით, მოვხჭელავ – მოვხჭელავთ

3. გავყიდე – გავყიდეთ, გავხყიდი – გავხყიდით

4. მოვქსოვ – მოვქსოეთ

5. დავფარე – დავფარეთ, დავხფარავ, დავხფარავთ

6. დავლოცე – დავლოცეთ

7. გავლესე – გავლესეთ, გავლესიდი – გავლესიდით

8. დავბარე – დავბარეთ.

B ჯგუფის b2 ქვეჯგუფში ერთიანდება ზმნისწინიანი ფორმები, რომლებშიც S1-ის /ვ-/-ს მეტათეზისი არ ემუქრება ფონემატური წინააღმდეგობის არარსებობის გამო. /ვ-/ აქ თავის რანგს ყოველთვის ინარჩუნებს.

უპირველესად ყურადღებას იპყრობენ ის ფორმები, რომელთა უზმნისწინო ვარიანტებში ხორციელდებოდა S1-ის /ვ-/-ს მეტათეზისი (დვნები, ხჭველავ, ხყვიდი), ზმნისწინით კი /ვ-/-ს მეტათეზისი აღარ ხდება (დავდნები, მოვჭელე, გავყიდე). ამ სხვაობის მიზეზიც ფონემატურია: S1-ის /ვ-/ მარცვალში მიჰყვება ზმნისწინის ხმოვანს, რითაც ბოლო ელება /ვ-/-ს

მიერ შექმნილ ფონემატურად არაბუნებრივ კომპლექსებს ზმნათა თავკიდურად: **დავ**-დნე-ბი, **მოვ**-ჴე-ლავ, **გავ**-ყი-დე.

S1-ის /ვ-/ ზმნისწინს მიჰყვება მარცვალში მაშინაც, როცა O3-ის /ხ-/-ს წინ ზის ან ამ /ხ-/-სთან დამატებით დისტრიბუციაში მყოფი რომელიმე ვარიანტის წინ ზის: გავ-ხყიდი, მოვ-ხჴელავ, დავ-ხფარავ*; /ხ-/ (O3) კი ყოველთვის ინარჩუნებს თავის რანგს, მიუხედავად იმისა, ფონემატურად ბუნებრივ ადგილზეა თუ არ არის ბუნებრივ ადგილზე.

ის, რაც თანამედროვე დიალექტებში აღმოსავლეთი საქართველოდან მხოლოდ თუშურ დიალექტში ხდება S1-ის /ვ-/-ს მეტათეზისის სახით, ბუნებრივი აღმოჩნდა დასავლური დიალექტებიდან მხოლოდ შავშური დიალექტისთვის: ჭვამ „ვჭამ", ხვედავ „ვხედავ", თვესავთ „ვთესავთ" (მ. ცინცაძე, მ. ფაღავა, 2011, 235)*.

გავეცანით S1-ის /ვ-/-ს მეტათეზისს ქართული ენის ხილულ პერიოდში ძველ ქართულსა (V-VIII საუკუნეები) და თანამედროვე დიალექტებში. საერთო აღმოჩნდა /ვ-/-ს, როგორც სუბიექტური პირის ნიშნის, ადგილმონაცვლეობა ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებში და თანამედროვე ქართულ დიალექტებში: თუშურსა და შავშურში.

გასათვალისწინებელია უთუოდ, რომ კლასიკურ ძველ ქართულში (IX-X სს.) საშუალი ქართულისა და ახალი ქართულის სამწერლობო ენაში მ ს გ ა ვ ს ი მ ო ვ ლ ე ნ ა **არ დასტურდება**.

თანამედროვე დიალექტები, ისევე როგორც სამწერლობო საშუალი და ახალი ქართული, IX-X საუკუნეების შთამომავალი არიან. ყველაზე უფრო არქაულად ცნობილი დიალექტების არქაიზმი აღმოსავლეთი საქართველოდან საშუალი ქართულის იქით სიღრმეში ვეღარ მიდის. აქ ვერ ვნახავთ ა რ ნ -ა რ ი ე დ, **მგონიე**, ჰ გ ი ე ს, ჰ კ ი დ ე ს; დ ა მ ი წ ე რ ი ე ს, ა მ ი შ ე ნ ე ბ ი ე ს... ტიპის ფორმებს ან კ ა ც ი ს ა ჲ ძ ე ჲ ტიპის სინტაგმებს... ამიტომ S1-ის

* მივ-სცემ, შევ-შჭამ, მივ-ზდევ და სხვ.

* ამ ასპექტით ამჟამად თურქეთის სახელმწიფოს ფარგლებში მოქცეული ქართული დიალექტების კილოკავთა შესახებ გადაჭრით ვერ ვიმსჯელებთ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოწვლილვითი ინფორმაციის უქონლობის გამო.

/ვ-/-ს მეტათეზსს **ვერ მივიჩნევთ** V-VIII საუკუნეებიდან შემონახულ არქაიზმად. ამ აზრს ისიც განამტკიცებს, რომ ეს მოვლენა არ ახასიათებს მიმდებარე – გეოგრაფიულად გვერდით მყოფ და ასევე არქაიზმების შემონახვით ცნობილ ხევსურულსა და მოხეურს, ფშაურსა და მთიულურს; დასავლური დიალექტებიდანაც მხოლოდ შავშურში (ერთ დიალექტურ არეალში) დასტურდება, მაშინ როცა არ ახასიათებს იმერულს, გურულსა და აჭარულს, ამიტომ ვფიქრობთ, რომ თანამედროვე დიალექტებში საქმე გვაქვს არა ძველი ქართულის (V-VIII სს.) მემკვიდრეობასთან, არამედ გვიანდელ წარმონაქმნებთან, რა თქმა უნდა, ერთიმეორისგან დამოუკიდებლად თუშურსა და შავშურში. ამ დიალექტთა შორის ურთიერთზეგავლენა ან სესხება გამორიცხულია ისტორიული ენობრივი კონტაქტის არარსებობის გამო.

ეს მოვლენა მორფონოლოგიურია – მორფემების რანგთა სისტემაზე ხდება ფონემატური სისტემის დაწოლა, ანუ ცვლილება მორფემათა განაწილებაში ფონემატური წესის შესაბამისად ისე, რომ არ დაზიანდეს სიტყვის გრამატიკული მნიშვნელობა – ჩვენს შემთხვევაში Sı-ის /ვ-/ ადგილს იცვლის სიტყვაში, მაგრამ გრამატიკულ მნიშვნელობას სრულად ინარჩუნებენ Sı-ის /ვ-/-ცა და მის გვერდით მყოფი მორფოლოგიური სხვა ელემენტებიც.

რატომ არა ხდება Sı-ის /ვ-/-ს მეტათეზისი ხევსურულში ან ფშაურში, ქართლურსა და კახურში, სამწერლობო ენის კლასიკურ და შემდგომ პერიოდებში?

მოვლენის ანალიზისას უნდა ამოვიდეთ იმ შესაძლებლობებიდან რომლებიც ენას გააჩნია ამა თუ იმ მორფონოლოგიური შეუთავსებლობის – წინააღმდეგობის დასაძლევად*.

მორფონოლოგიურ წინააღმდეგობათა დაძლევის გზები ყოველთვის ერთზე მეტია: თუ A და B მორფემათა კომბინაცია /A + B/ თანამიმდევრობით ფონემატურად არაბუნებრივ

* მორფონოლოგიურ შეუთავსებლობას ვუწოდებთ იმ ხაზობრივ ფონემატურ შეუთავსებლობას, რომელიც ნარმოიქმნება მორფემათა საზღვრებზე კანონიკურ რანგობრივ თანმიმდევრობაში.

კომბინაციას ქმნის საზღვარზე, ენას შეუძლია (1) რანგობრივი სიმტკიცის ხარჯზე ეს თანამიმდევრობა დატოვოს – ფონემატური წინააღმდეგობა დაიძლევა რანგობრივი სისტემის მოთხოვნით, ასეთია Si-ის /ვ-/-ს ხმარება ჩქამიერი თანხმოვნით დაწყებულ უზმნისწინო ფორმებში (**ვ-თხზავ, ვ-წერ, ვ-ბარავ, ვ-გეგმავ...**); (2) შეიძლება /ვ-/ დაიკარგოს ისე, რომ მისი მნიშვნელობა შენარჩუნდეს, ე. ი. გამოხატოს ნულოვანი ალომორფით (მო-Ø-ვალ, მო-Ø-ვედი); განზოგადებულად {ვ-}-ს ნულოვანი ალომორფი წარმოდგენილია ქართლურის დუშურ კილოკავსა და მთიულურში: მე წ ე რ, მე შ ლ ი... შენ წერ, შენ შლი (პირის გამოსახატავად საჭიროებენ შესაბამის ნაცვალსახელს). ზ მ ნ ი ს წ ი ნ ე ბ ი ამ ფ ო რ მ ე ბ ს ა ც ა ძ ლ ე ვ ე ნ ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ს, რომ /ვ-/ თ ა ვ ი ს რ ა ნ გ ში ფ ი ზ ი კ ურ ა დ გ ა მ ო ი ხ ა ტ ო ს: და-ვ-წერ, და-ვ-შლი... (მარცვლებში: დავ-წერ, დავ-შლი*...); (3) მესამე გზა ფონემატური წინააღმდეგობის დაძლევისა უზმნისწინო ფორმებში არის /ვ-/-ს მეტათეზისი შესაბამის ადგილზე, როგორიც ზემოთ განვიხილეთ სამწერლობო ენის ხანმეტ-ჰაემეტ ტექსტებში და თუშურ და შავშურ დიალექტებში.

ენობრივ დონეთა სისტემები ხასიათდებიან სპეციფიკური – მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი თვისებებით, რომლებიც ენას გასდევენ არსებობის მთელ მანძილზე – ე ს გ ე ნ ე ტ ი კ უ რ ი თ ვ ი ს ე ბ ე ბ ი ა, უმეტესობას მონათესავე ენებშიც ვხვდებით.

როგორც არაერთგზის ვთქვით, ენის გლობალურ სისტემაში სხვადასხვა დონის სისტემებს შორის ხშირად წარმოიქმნება ხაზობრივი წინააღმდეგობა ფონემათა თანამიმდევრობაში, რაც მთავრდება რომელიმე სისტემის მოთხოვნილების შესაბამისად, ოღონდ ისე, რომ სახელსა თუ ზმნაში წარმოდგენილი ენობრივი კატეგორიები თავის ფუნქციებს სრულად ინარჩუნებენ მაშინაც კი, როცა ფიზიკურად არ არიან წარმოდგენილი (რეალიზდებიან ნულოვანი ალომორფებით); ხშირად ამ მიზეზით კატეგორიათა ნიშნებს ეცვლებათ გამოხატულების პლანი. ენაში გვიან უმეტესად ეს ფორმები ბატონდებიან ხოლმე, რადგან უკეთესად აკმა-

* ხმოვნით დაბოლოებული და ხმოვნით დაწყებული აფიქსები დიდ დახმარებას უწევენ ენას მორფონოლოგიურ წინააღმდეგობათა დაძლევაში.

ყოფილებენ დონეთა მოთხოვნებს, მაგალითად: (1) მორფონოლოგიურ ცვლილებათა მიზეზით გაბატონდნენ **გა-**, **წა-**, **ა-** ზმნისწინები ახალ ქართულში ძველ **გან-**, **წარ-**, **აღ-** ზმნისწინთა ადგილზე; (2) შედარებითი ხარისხის კანონიკური ფორმები ძველ ქართულში ბოლოვდებიან **-ჲს** (<*ის, ა. შანიძე) სუფიქსით: ხუმჯობჱს, ხუტკბოჲს... ახალ ქართულში ეს ფორმები /-ჲს/ ადგილზე მხოლოდ /-ს/-ს გვიჩვენებენ: უმჯობესი, უტკბოსი...

ამ ცვლილებებში, რომლებიც კარგად არის ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში, ჩვენთვის არსებითია პასუხი კითხვებზე: (ა) რატომ გაუმარცვლოვდა -*ის სუფიქსის /ი/ (>ჲ) და რატომ ვხვდებით /-ს/ ვარიანტს (<ჲს) V საუკუნეშიც და დღესაც? ისიც გასათვალისწინებელია, რომ კლასიკურ ძველ ქართულში შედარებით ხშირია უფრო ადრეული /-ჲს/ დაბოლოება.

წარმოვადგენთ ხანმეტი ტექსტებიდან /-ს/ სუფიქსით დაბოლოებულ ფორმებს: „ხ˜ ერთი იგი მოწაფჱ წინ რბიოდა ხუადრეს პეტრჱსა (ხანმ. ლექც., ი. 31.4). „ოჳკოჳთოჳ ფერჳი შენი დაგაბრკოლებდეს შენ მოიკოჳეთე იგი ხოჳმჯობეს არს შენდა მკელობელისა შესლვად ცხორებასა ვ˜ე ორითა ფეჴითა... ოჳკოჳთოჳ თოჳალი შენ გაცთუნებდეს შენ აღმოიღე იგი [ხ]უმჯობეს არს შენდა ერთითა თოჳალითა შეს[ლ]ვად სასოჳფეველ[ს]ა..." (ჯ. ბერდძოლი, ოთხთავის ხანმეტი ფრაგმენტები, მრ. 9.44-10); იქვეა ესეც: „[ხ]ოჳადვილეს არს მანქანის საბელი ჴოჳრელსა ნემსისასა განსლვად ვ˜ე მდიდარი სასოჳფეველსა ღ˜ისასა შესლვად" (მრ. 10. 25); შდრ. უფრო გვიანდელი „უმეტჱს შეიწირა" (ლ. 21, 3C). კლასიკურ ძველ ქართულში ხშირია ასეთი დაბოლოება: უმცირჱს (მრ. 4, 31C), უმჯობჱს (მ. 5, 29; მ. 6, 26), უმეტჱსად (მრ. 7.37).

ქართულისთვის (resp. ქართველური ენებისთვის) მორფემის ფარგლებში ხმოვანთა კომპლექსები არ არის დამახასიათებელი, მორფემათა საზღვრებზეც ამიტომ არ არის ბუნებრივი.

შედარებითი ხარისხის ფორმათა ისტორიული **-*ის** დაბოლოება ყოველთვის ფუძისეულ ხმოვანს მოსდევდა, ქმნიდა არაბუნებრივ კომბინაციას და გაუმარცვლოება ან სრული ჩავარდნა მორფემის /ი/ შემადგენლისა ბუნებრივი ფონეტიკური მოვლენა

იყო, რაც შეიძლება ყოველთვის მოხდეს, მიუხედავად დროისა და ადგილისა; ასევე ნათესაობითი ბრუნვის **-ის** ხმოვანთა მომდევნოდ ყოველთვის განიცდიდა /ი/-ს გაუმარცვლოებას ან სრულ დაკარგვას: ძველ ქართულში პარალელურად შევხვდებით ქრისტეჲს /ქრისტჱს// ქრისტეს, იესუჲს// იესუს... ტიპის ფორმებს. მსაზღვრელად გამოყენებულ სახელებშიც ჩვეულებრივი იყო **ჲს** (<ის)-ს ადგილზე ოდენ **-ს**: იესუსნი, ჰეროდესნი... ეს ვითარება საერთოა ძველი ქართულის ძეგლებისთვის განურჩევლად ადგილისა და დროისა. თანამედროვე დიალექტებში /კალოჲს/, /კალოჲთ/ ტიპის ფორმები აღარ გვხვდება, სრულიად მოისპო არქაულ დიალექტებშიც, რადგან თითქმის ჰომორგანული /ჲს/ და /ჲთ/ კომპლექსები პაუზის წინ ერთი მარცვლის ფარგლებში ექცევა და [-ჲ]-ს ჩავარდნა ბუნებრივია.

ზემოთ დასახელდა მოთხოვნები, რომელთაც ფონემატური სისტემა უყენებს გრამატიკულ ფორმებს. ამ მოთხოვნათა საფუძველზე შესაძლებელია მსგავსი წარმოების ფორმათა სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ადგილზე წარმოქმნა.

კლასიკურ ძველ ქართულში შეწყვეტილია S1-ის /ვ-/-ს მეტათეზისი ზმნათა ფორმებში (ჩანს, სამწერლობო ენა ემყარება დიალექტს, რომელიც უპირატესობას აძლევს მორფოლოგიურ რანგობრივ სისტემას*) და VIII საუკუნის შემდეგ სამწერლობო ქართულის ტექსტებში ველარ ვხვდებით მას. ამ ფონზე თუშურისა და შავშურის S1-ის /ვ-/-ს მეტათეზისი უნდა მივიჩნიოთ არა ისტორიულად შემორჩენილ მოვლენად, ანუ **ტრადიციულ არქაიზმად**, არამედ ახალ წარმონაქმნად.

---

* რანგობრივი სისტემის პრიმატი უგულებელყოფს ფონემატურ მოთხოვნებს, რის მაგალითებს თანამედროვე დიალექტებშიც ვხვდებით: ხევსურული Oჰ-ის ნიშანს ფონემატური მოთხოვნით კარგავს I სერიის უზმნისწინო ფორმებში: ბარავს, ძახს, ჭამს, გლის, ყრის... შდრ. დაღბარავს, დაზძახს, შეშჭამს, გაღგლის, დახყრის... უზმნისწინო ფორმებში Oჰ-ს ნიშანი იკარგება ფუძისეულ თანხმოვანთან ფონემატური შეუთავსებლობის გამო, ზმნისწინიან ფორმებში კი Oჰ-ის ნიშანი მარცვალში მიჰყვება ზმნისწინის ხმოვანს (დაღ-ბა-რავს, დას-ძახს, შეშ-ჭამს...) და ფიზიკურად რეალიზდება. მეზობელ თუშურ დიალექტში მძლავრობს მორფოლოგიური რანგობრივი სისტემა და Oჰ-ის ნიშანი უზმნისწინო ფორმებშიც აუცილებელია: ღბარავს, ზძახს, შჭამს...

V-VIII საუკუნეების სამწერლობო ქართულში და რამდენიმე საუკუნის შემდეგ აღნიშნულ ორ დიალექტში მსგავსი მოვლენის წარმოქმნა შეაპირობა მორფონოლოგიური შეუთავსებლობის დაძლევის ერთი და იმავე გზის არჩევანმა. ამას ჩვენ ვუწოდებთ არატრადიციულ არქაიზმს.

მსგავსება ხანმეტ-ჰაემეტ პერიოდში S1-ის /ვ-/-ს მეტათეზისისა თანამედროვე თუშურისა და შავშურის S1-ის /ვ-/-ს მეტათეზისთან განისაზღვრება ფონემატურად /ვ-/-სთვის შეუფერებელი ადგილიდან (/ვ-/+ჩქამიერი თანხმოვანი) ბუნებრივ ადგილზე გადასვლით (ჩქამიერი თანხმოვანი + /ვ-/).

არის განსხვავებაც მეტათეზისის ადგილისა და მასშტაბის მიხედვით: (1) ხანმეტ-ჰაემეტ პერიოდებში ეს ხდება ორ- და სამპირიანი ზმნების იმ ფორმებში, სადაც /ვ-/ რანგით წინ უნდა უძღოდეს O3-ის /ხ-/-ს (რესპ. /ჰ-/-ს)*, თუშურში კი მნიშვნელობა არა აქვს ზმნის პირთა რაოდენობას და ხორციელდება /ხ-/-ს გარდა სხვა ალომორფებთანაც**. (2) ხანმეტ და ჰაემეტ ძეგლებში /ვ-/ მეტათეზისით გადადიოდა O3-ის /ხ-/-ს (resp. /ჰ-/-ს) მომდევნოდ, ე. ი. მეტათეზისი ხდებოდა მხოლოდ პირის ნიშანთა შორის (ხ-უ-რწმენე < *ვ-ხ-რწმენე), ყურადღება არ ექცეოდა ფუძისეულ თანხმოვნებს S1-ის /ვ-/-სთან მიმართებით.

თუშურში, პირიქით, ყურადღება არ ექცევა O3-ის ნიშანს (რომელიც, როგორც ზემოთ ვნახეთ, მრავალი ვარიანტით არის წარმოდგენილი), /ვ-/ გადადის მხოლოდ ფუძისეული ჩქამიერი თანხმოვნის მომდევნოდ ისე, რომ არ დაირღვეს მზარდი ნაპრალოვნობის წესი (დვნები < ვდნები); ერთპირიან ზმნეშიც ფუძისეული ჩქამიერის მომდევნოდ ხდება S1-ის /ვ-/-ს გადასმა (ტვირი < ვტირი).

/ვ-/-ს ფუძისეული თანხმოვნის მომდევნოდ გადასმა ხდება შავშურშიც (ჭვამ < ვჭამ). თუშურისგან განსხვავებით, აქ O3 წარმოდგენილია ნულოვანი ალომორფით (შდრ. თუშ. შჭვამ).

---

* ამ პერიოდში O3-ს /ს-/ და /შ-/ ალომორფები ჯერ კიდევა არა ჰქონდა.

** ზდვებ < ვზდებ, სტვეხ < ვსტეხ, შჭვამ < ვშჭამ. სისტემისა და რეალური ვითარების მიხედვით შეიძლება დავუმატოთ ჟჯღვეთ < ვჟჯღეთ „ვტუქსავ" და ღგვრეხ < ვღგრეხ.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ: თუ Sı-ის {ვ-}-ს მეტათეზისზე გენეტიკური პოზიციიდან ვიმსჯელებთ, ეს მეტათეზისი კანონზომიერი მორფონოლოგიური მოვლენაა: კანონზომიერი იყო და არის მორფოლოგიური რანგობრივი სისტემით {ვ-}-ს პოზიცია, როგორც ფუძისეული ჩქამიერი თანხმოვნების, ისე Oɜ-ის ნიშნის წინ, რაც დადასტურებულია კლასიკური ძველი ქართულისა (IX, X საუკუნეები) და უკლებლივ ყველა ქართული დიალექტის ჩვენებით; (2) ფონემატურად კანონზომიერი იყო და არის /ვ/ ჩქამიერ თანხმოვანთა მომდევნოდ ერთი მორფემის ფარგლებში, როდესაც არ დასტურდება შებრუნებული რიგი ამავე ვითარებაში, რაც აგრეთვე საერთო თვისებაა ძველი ქართულისა და უკლებლივ ყველა ქართული დიალექტისათვის.

წარმოდგენილ რანგობრივ და ფონემატურ წესებს მხარს უბამენ სხვა ქართველური ენებიც, რაც ნებას გვაძლევს ეს თვისებები გენეტიკურად მივიჩნიოთ.

{ვ-}-ს რანგისა და ფონემატურ სისტემაში /ვ/-ს პოზიციათა მიხედვით სახეზეა წინააღმდეგობა ამ ორ სისტემას შორის ქართულ ზმნებში, როდესაც Sı-ის{ვ-} წინ უძღვის ფუძისეულ ჩქამიერ თანხმოვნებსა და Oɜ-ის ნიშნებს: ხანმეტ ძეგლებში Oɜ-ის /ხ-/-ს, ჰაემეტებში – Oɜ-ის /ჰ-/-ს, დიალექტებიდან ზოგში /ხ-, ღ-, ს-, შ-, ზ-, ჟ-/-ს, ზოგში კი Oɜ-ის {ჰ-}-ს ნულოვან ვარიანტს, როგორიცაა: მივწერე, მივყიდე, მოვბანე... ასეთ ვითარებაში სამეტყველო კონტინუუმში [ვ]-ს მეტათეზისი Oɜ-ის ნიშნის მომდევნოდ ან ფუძისეული ჩქამიერი თანხმოვნის მომდევნოდ აღნიშნული წინააღმდეგობის დაძლევის ერთ-ერთი გზაა და არა ერთადერთი, ამიტომ ის შეიძლება განხორციელებულიყო სხვადასხვა ადგილზე და სხვადასხვა დროს ქართული ენის სივრცეში და კვლავაც განხორციელდეს. ამიტომ ვუწოდებთ მას გენეტიკურ მოვლენას. რა თქმა უნდა, არც მორფოლოგიური რაგობრივი სისტემის გამძლეობა გამოირიცხება, როდესაც Sı-ის{ვ-}-ცა და სხვა მორფემებიც თავის ადგილს ინარჩუნებენ, მიუხედავად ფონემატური დაწოლისა, რასაც თანამედროვე სალიტერატურო ენა და დიალექტთა უმრავლესობა გვიჩვენებს.

სუბიექტური მეორე პირისა (S_2) და ობიექტური მესამე პირის (O_3) გამოხატვა ზმნათა ფორმებში

S_2-სა და O_3-ს ყველა პერიოდში საერთო ნიშანი აქვთ*: ხანმეტობის დროს ეს ნიშანი იყო /ხ-/, ჰაემეტობის დროს) /ჰ-/, კლასიკური პერიოდის სამწერლობო ქართულში {ჰ-}-ს გაუჩნდა სამი პოზიციური ვარიანტი: /ჰ-/~ /ს-/~ /შ-/. /ჰ-/ ფუძისეულ ბაგისმიერი და უკანაენისმიერი თანხმოვნების წინ**, /ს-/ და /შ-/ წინაენისმიერი თანხმოვნების წინ; /შ-/ მიღებულია /ს-/-სგან ჰომოგენური ასიმილაციით: შიშინა აფრიკატების გავლენით /ს-/ იქცევა /შ-/-დ.

ჰაემეტობიდან კლასიკური პერიოდისკენ გარდამავალი პერიოდის დასაწყისში ხშირია /ჰ-/ ალომორფის ხმარება წინაენისმიერებთან, მასთან თავისუფლად მონაცვლეობდა /ს-/; ასევე თანდათანობით მოხშირდა /შ-/-ს ხმარება შიშინა აფრიკატების წინ.

აღწერილი ვითარების მიხედვით ჩანს, რომ ძველი ქართულის კლასიკურ პერიოდში ჩაისახა {ჰ-}-ს ვარიანტთა ფუძისეულ თანხმოვნებთან ჰომოგენიზაციის პროცესი (/ს-/ > /შ/ შიშინა აფრიკატების გავლენით), რაც შემდეგ ფართოდ გავრცელდა დიალექტთა ერთ ჯგუფში, რომელსაც ქმნიან აღმოსავლეთი საქართველოს ფხოური ჯგუფისა და დასავლური ყველა დიალექტი: ამ დიალექტებში /ჰ-/, /ს-/, /შ-/ ალომორფთა ჰომოგენიზაცია ხორციელდება ფუძისეულ თანხმოვანთა მჟღერობა-სიყრუის მიხედვით.

ქვემოთ ცალ-ცალკე წარმოვადგენთ საერთო ნიშნის მქონე S_2 და O_3 პირებს, რომელთაგან მორფონოლოგიურ ცვლილებათა მიხედვით განსაკუთრებულ ყურდღებას იქცევს ობიექტური მესამე პირი (O_3^d).

---

* მათი საერთო ნიშანი მიუთითებს, იმაზე, რომ ისინი განსხვავებულ კატეგორიებს ნარმოადგენენ.

** ნარმოქმნის ადგილით დიამეტრულად განსხვავებულ თანხმოვნებს აერთიანებს საზიარო აკუსტიკური ეფექტი, რასაც უკავშირდება მსგავსება რაგვაროვნების მიხედვით (Р. Якобсон, Г. Фант, М. Халле. Введение в анализ речи, НЛ, вып. II, 196; 1962).

*

* *

სუბიექტურ მეორე პირს თხრობით კილოში {ჰ-} პრეფიქსი გამოხატავდა, რომელსაც ზემოთ განხილული ალომორფები ჰქონდა, კლასიკური ძველი ქართულის წართქმით ბრძანებით კილოში კი, როგორც წესი, ეს ნიშნები არ იყო საჭირო. ყოველივე ეს კარგად არის ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში (ა. შანიძე, 1976, §§ 96, 97, 98). თხრობითი კილოს ფორმების შესახებ ა. შანიძე წერს: „ხშირია ჰაეს დაკარგვა ზოგიერთი თანხმოვნის წინაც, როგორიცაა: **ს, ზ, ხ**. ორიოდე მაგალითი: ნუ ზრუნავ (მ. 6. 25); (ნუ ჰზრუნავ მ. 6, 34)..." (ა. შანიძე, 1976, §§ 96). იგი მორფონოლოგიურ ცვლილებათა სათანადო შემთხვევების შესახებ ჯერ კიდევ 1920 მიუთითებდა: „ჰაეს ამგვარ დაკარგვას ადგილი აქვს სხვა ზმნებშიც, რომელთაც ფუძე სპირანტებით (**ხ, ღ, შ, ს, ზ**) ეწყებათ", დებულებას ახლდა მითითება რიგ ფორმებზე: დაშჯი, დაშთით, განშიშულდი, დაშურები... (შანიძე, 1920, §50).

დიალექტებიდან ამ მორფონოლოგიური ცვლილების ამსახველ შემთხვევებს შეიძლება დავუმატოთ ჯავრობ, ჯავრობდი; ჯდები, ჯდებოდი... (შდრ. ჟჯავრობ, ჟჯდები...). უპირისნიშნო ფორმები მოსალოდნელია ხევსურულში*, სადაც უზმნისწინო ფორმებში ადვილად იკარგება O_3^d-ის ნიშანი (ჴოცს, ყიდის, ქსოვს... შდრ. ზმნისწინიანი დახჴოცს, გახყიდის, მოხქსოვს...)**.

ყოფნა და სვლა ზმნის ფორმების (ხარ, მოხვალ...) გარდა, S_2-ის ნიშანი სამწერლო ქართულში თითქმის აღარ იხმარება, სალიტერატურო ენის ნორმითაც ნებადართულია მისი გამოტოვება როგორც ბრძანებით, ისე თხრობით კილოში.

---

* ა. შანიძის პარადიგმების უზმნისწინო ფორმებში ყველგან შემონახულია S_2-ის ნიშანი (ა. შანიძე, 1920, §71).

** ა. შანიძე, 1920, §71.

*

* *

მორფონოლოგიური თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანია Оз-ის (Оз^{ind} და Оз^{d}) ალომორფთა ანალიზი ძველ ქართულსა და დიალექტებში. ამ მხრივ ძველ ქართულსა და დიალექტებში რთული ვითარებაა, რაც, ჩვენი აზრით, უფრო კონკრეტულ დებულებათა მოთხოვნილებას აჩენს, ვიდრე გვაქვს.

კლასიკური ძველი ქართულის (IX, X საუკუნეები) ზმნათა ფორმანარმოების წესით I სერიაში ორპირიანი გარდამავალი ზმნების პირდაპირი ობიექტი, რომელიც მიცემით ბრუნვაში იდგა, მესამე პირში (Оз^{d}) ზოგჯერ მარკირებული იყო {ჰ-} პრეფიქსით, ზოგჯერ კი – არა. ამ პირის მარკირების მიხედვით ა. შანიძემ გამოყო ზმნების ორი ჯგუფი: „ჰყოფს“ და „ქადაგებს“ ჯგუფები. ამა თუ იმ ზმნის რომელიმე ჯგუფში შეყვანა ხდებოდა მხოლოდ და მხოლოდ Оз^{d}-ის მარკირების მიხედვით: თუ ნიშანი ჰქონდა, ზმნა ხვდებოდა „ჰყოფს“ ტიპში, თუ არა – „ქადაგებს“ ტიპში. ზმნათა განაწილება ჯგუფებში მოტივირებული არ იყო სხვა რაიმე ნიშნით, „დამყარებული იყო ამ საგნისთვის საგანგებოდ განხილული ძეგლების შესწავლაზე“ (ა. შანიძე, 1920, §47). აქვე ვკითხულობთ: „აწმყოს წარმოების დროს ძველ სალიტერატურო ქართულს მესამე ობიექტური პრეფიქსის ხმარების საკითხში აკლია ის ერთსახეობა, მთლიანობა და გარკვეული სისტემა, რომელიც მას ნამყო სრულში ამშვენებს“.

სიჭრელე Оз^{d}-ის მარკირებაში მიეწერა დიალექტთა გავლენას სალიტერატურო ენაზე: ერთი დიალექტი უპირატესობას აძლევდა II სერიის ნორმას, მეორე კი Оз^{d}-ის ბრუნვას აქცევდა ყურადღებას და, ირიბი ობიექტის ანალოგიით, მიცემით ბრუნვაში დასმულ პირდაპირ ობიექტსაც მესამე პირში იმავე ნიშანს უჩენდა, რაც ირიბს ჰქონდა (ა. შანიძე, 1920, §§33-37).

გვიან, როცა ცხადი გახდა, რომ Оз^{d}-ის ნიშანი „ქადაგებს“ ტიპის ზმნებსაც უჩნდებათ, თუ ფორმაში ზმნისწინიც არის წარმოდგენილი (ი. იმნაიშვილი, 1971, 161), ა. შანიძე აღარ მსჯელობს სალიტერატურო ენაზე დიალექტთა გავლენის შესახებ (ა. შანიძე, 1976, §163).

საბოლოოდ Оɜ^{d}-ის მარკირების საკითხი ორპირიან გარდამავალ ზმნათა I სერიის უზმნისწინო და ზმნისწინიან ფორმებში ძეგლთა მიხედვით თითქმის სრულად იქნა აღწერილი: Оɜ^{j}-ის ნიშანი I სერიის ზმნისწინიან ფორმებში ყოველთვის არის წარმოდგენილი, უზმნისწინოში შეიძლება იყოს, შეიძლება არ იყოს: „...საერთო წესს ორივენი ზუსტად მისდევენ: უზმნისწინოებს არა აქვთ ობიექტური პრეფიქსი, ზმნისწინიანთ კი მუდამ მოეპოვებათ იგი. ასეა დღეს, მაგრამ ხვალ შეიძლება აღმოჩნდეს (და უეჭველად აღმოჩნდება კიდეც) სათანადო ნაკლული ცალები" (ი. იმნაიშვილი, 1971, 178; ხაზი ჩ. – თ. უ.).

წარმოდგენილ ნაშრომებში Оɜ^{d}-ის {ჰ-}-ს ალომორფთა დისტრიბუცია, უზმნისწინო და ზმნისწინიან ფორმებში გახსნილია სრულად, მაგრამ ასევე სრულად არ არის გახსნილი დისტრიბუციის მექანიზმი: რატომ აღინიშნება Оɜ^{d} მხოლოდ ზმნისწინიან ფორმებში ან რატომ გვხვდება აქა-იქ ეს ნიშანი ({ჰ}- /ჰ-/ ~/ს-/~ /შ-/) უზმნისწინო ფორმებშიც?

თუ ამოვალთ იქიდან, რომ Оɜ^{d} ზმნაში ნიშანს იჩენდა მაშინ, როცა მიცემით ბრუნვაში იდგა, მიუხედავად იმისა, ობიექტი ირიბი იყო თუ პირდაპირი, მაშინ ამ მექანიზმის გახსნისთვის არსებითი მნიშვნელობა ეძლევა ა. შანიძის მორფონოლოგიური ხასიათის შენიშვნას: „ერთი გარემოება მუდამ უნდა გვახსოვდეს: იმ ზმნებს, რომელთაც ფუძე სპირანტებით ეწყებათ (**ხ, ღ, შ, ს, ზ**) **ქადაგებს** ტიპის წარმოება აწმყოს ფორმებისა შესაძლებელია ფონეტიკური ხასიათისა იყოს და არა მორფოლოგიურისა" (ა. შანიძე, 1920, §46$_{1}$).

თუ უფრო ფართოდ გავშლით „ფონეტიკურ ხასიათს" და მხოლოდ სპირანტებით არ დავკმაყოფილდებით, ა. შანიძის მორფონოლოგიური ხასიათის დებულება შეიძლება ასე განივრცოს: /ჰ/ ფონემა სხვა თანხმოვნებთან კომბინაციაში არ შედის ერთი მორფემის ფარგლებში, მისი, როგორც Оɜ^{d}-ის ნიშნის, დაკარგვა ბუნებრივია მორფემათა საზღვრებზე ფუძისეული ნებისმიერი თანხმოვნის წინ სიტყვის თავკიდურად, ანუ #–C პოზიციაში. ამ ასპექტით იგივე შეიძლება ვთქვათ {ჰ-}-ს სხვა ალომორფებზეც: /ს-/-სა და /შ-/-ზე, რომლებიც წინაენისმიერი თანხმოვ-

ნებით დაწყებული ფუძეების წინ იკრაგებიან: ერთი მორფემის ფარგლებში არაბუნებრივია წინაენისმიერი /ს/ და /შ/ ფონემები წინაენისმიერ სხვა თანხმოვანთა წინ. ბუნებრივია ამ პოზიციაში (# – წინაენისმიერი თანხმოვანი) /ს-/ და /შ-/ პრეფიქსების ადვილად ჩავარდნა.

არის კითხვა, რომელიც არ დასმულა აღნიშნულ გამოკვლევებში: რატომ ინახავენ Оჳ-ის ნიშანს ზმნისწინიანი ფორმები? ჩვენი გაფართოებული მორფონოლოგიური წესის მიხედვით კი ეს კითხვა უფრო კონკრეტულ სახეს იღებს: Оჳ-ის პრეფიქსის უზმნისწინო ფორმებში დაკარგვის წესები რატომ არ მოქმედებს ზმნისწინიანებში, სადაც თანხმოვანთა „არაბუნებრივი კომბინაციები“ უცვლელად გადადიან უზმნისწინო ფორმებიდან?

პასუხი ამ კითხვაზე არ არის ძნელი მოსაძებნი, თუ გავითვალისწინებთ ზმნისწინთა მიერ შექმნილ ახალ პოზიციას, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ხელს უწყობს ბუნებრივ ფონემატურ დამარცვლას, რომლის დროს პირის ნიშანი და ფუძისეული თანხმოვანი სხვადასხვა მარცვალში ხვდებიან: მოჰ-კლავს, დაჰ-ფა-რავს... ამ გზით ხდება თანხმოვანთა არაბუნებრივი კომბინაციების აცილება ერთი მარცვლის ფარგლებში: დას-წუავს, დაჰ-ლეწს, დასცავს, შეჰ-კრებს და სხვ. ანალოგიური სიტუაცია იქმნება **მი-**, **მო-** (შემო-, აღმო-, განმო...) **შე-**, **და-** (დამო-), **გარდა-** (გარდამო-) ზმნისწინიან ფორმებშიც.

რაც შეეხება თანხმოვნით დაბოლოებულ **გან-**, **წარ-**, **აღ-** ზმნისწინებს, ამათაც აქვთ ხმოვნით დაბოლოებული განმო-, წარმო-, აღმო- რთული ფორმები და ხელს უწყობენ პირის ნიშნისა და ფუძისეული თანხმოვნების მიერ შექმნილ არაბუნებრივი კომპლექსების კომპონენტთა სხვადასხვა მარცვალში გადანაწილებას.

მასალის მიხედვით ჩანს, რომ თვით გან-, წარ-, აღ- ზმნისწინიანი ფორმები, რომლებშიც ეს ზმნისწინები ბუნებრივ დამარცვლას ვეღარ დაეხმარებოდნენ, გაჰყვნენ სხვა ზმნისწინიან (ხმოვნით დაბოლოებულ) ფორმათა წესს და Оჳ-ის ნიშანი შეი-

ნარჩუნეს ზმნათა ფორმებში თავის მომდევნოდ, ე. ი. უცვლელად შეინარჩუნეს რანგობრივი სისტემის მოთხოვნა*.

რაც შეეხება მორფოლოგიურ რანგთა სისტემას, ის შეიძლება არ დაემორჩილოს ფონემატურ გავლენებს. ამ მხრივ განსხვავებაა როგორც დიალექტურ სისტემებს შორის, ისე ერთი სისტემის შიგნითაც განსხვავებულ სექტორებში. მაგალითად, ხევსურულსა და თუშურში Оэ^{d}-ის ნიშანი I სერიაში განსხვავებულად არის წარმოდგენილი: ხევსურული, მსგავსად ძველი ქართულისა, უზმნისწინო ფორმებში კარგავს ამ ნიშანს, თუშურისთვის კი ზმნისწინის ქონა-არქონას მნიშვნელობა არა აქვს: თუ რანგით Оэ^{d}-ის ნიშანი მოსალოდნელია, ის იქნება კიდეც წარმოდგენილი თავის ადგილზე. ამაზე ი. იმნაიშვილი მიუთითებდა (ი. იმნაიშვილი, 1971, 189 და 203). ასე რომ კომენტარი სჭირდება იმ ფორმებს, სადაც ცვლილება ხდება რანგთა თანამიმდევრობაში ან ცალკეულ მორფემათა ცვლილებებს რანგობრივ ჯაჭვში. სადაც ცვლილება არა ხდება, იქ რანგობრივი სისტემა თავს იჭერს – **ურყევია**, თავისი მორფოლოგიური ბუნებრივი წესით არის წარმოდგენილი, ისეთი „გამონაკლისები", როგორიცაა: ჰყოფს, ჰგუემს, ჰგმობს, სტკეპნის, ჰკურნავს, ჰფარავს... კანონიერია მორფოლოგიურად – დაცულია რანგობრივი თანამიმდევრობა: ისინი მხოლოდ მაშინ უნდა იქცევდნენ ყურადღებას, როცა საჭირო ელემენტს (აქ: /ჰ-/-სა და /ს-/-ს) დაკარგავენ.

* ძველ ქართულში არაბუნებრივ კომპლექსთა შექმნის გამო ხშირად თვით ამ ზმნისწინთა თანხმოვნები (ნ, რ, ღ) არცთუ იშვიათად იკარგებოდა (ი. იმნაიშვილი, 1971, 22).

ხანმეტობისა და ჰაემეტობის ქრონოლოგიური მიმართებისათვის

მასალობრივ საერთო, ხოლო დონეთა მიხედვით განსხვავებულ ენობრივ ელემენტებს ურთიერთობის კანონებიც განსხვავებული აქვთ.

ცალკეულ დონეთა ფარგლებში ელემენტთა ურთიერთობის ზოგადი წესები გენეტიკურია, ისინი ენას მისი არსებობის მთელ მანძილზე გასდევენ, რაც საშუალებას იძლევა წარსულის მოვლენათა ახსნისას გამოვიყენოთ სინქრონიული მონაცემები.

დონეთა შიდა წესები სეპარატულია, ამიტომ სხვადასხვა დონის წესებს შორის ხაზობრივი წინააღმდეგობები დიდი ალბათობით ივარაუდება ენის გლობალურ სისტემაში. წინააღმდეგობის დაძლევის გზები ყოველთვის ერთზე მეტია და არჩევანი ზოგადი, ზოგჯერ კონკრეტული სახითაც კი შეიძლება განმეორდეს როგრც დროის, ისე სივრცის ღერძზე ერთიმეორისგან დაცილებულ წერტილებში ერთიმეორისგან დამოუკიდებლად, ასე მაგალითად: ქართულ ენაში მორფოლოგიური წესით სუბიექტური პირველი პირის (S_1) {ვ-} პრეფიქსი წინ უძღვის ზმნის ფუძეს: **ვ**-ბარავ, **ვ**-თლი, **ვ**-გრეხ, **ვ**-ზრუნავ, **ვ**-შიშობ, **ვ**-ხარშავ... ყველა ფორმა კანონიერია ქართულ ენაში, მაგრამ ფონემატურ დონეზე არაბუნებრივია ფონემათა /ვბ/, /ვთ/, /ვზ/, /ვშ/, /ვხ/ კომბინაციები ამ პოზიციაში – მათ ვერ შევხვდებით ერთი მორფემის ფარგლებში #–V პოზიციაში, ისინი გვხვდება მხოლოდ მორფემათა საზღვრებზე, რაც მორფოლოგიური დონის წესით განისაზღვრება.

სახეზეა წინააღმდეგობა მორფოლოგიურ და ფონემატურ წესებს შორის. ეს წინააღმდეგობა მუდმივია – იგი არსებობდა V საუკუნეში და დღესაც არსებობს იმავე სახით, რადგან წარმოქმნილია ენის გენეტიკური მორფოლოგიური და ფონემატური მახასიათებლების ერთდროული მოქმედებით გლობალურ სისტემაში. ამ წინააღმდეგობის არსებობა, ბუნებრივია, მისი დაძლევის გზის ძიებასაც გვავარაუდებინებს თავისთავად.

პრობლემის **ერთნაირი** გადაწყვეტა შეიძლება მოხდეს ერთიმეორისგან დაცილებულ წერტილებში ფაქტობრივ ერთიმეორისგან დამოუკიდებლად, არც ის არის გამორიცხული, უახლოეს რეგიონებში (resp. პერიოდებში) განსხვავებული წესით მოხდეს წინააღმდეგობის დაძლევა, რადგან წინააღმდეგობა ერთია, მისი დაძლევის გზები კი ერთზე მეტი.

გასათვალისწინებელია, თუ წინააღმდეგობაზე ვლაპარაკობთ, ერთდროულად მხედველობაში ვიღებთ მორფოლოგიურ და ფონემატურ წესებს, მაგრამ ისაც გასათვალისწინებელია, რომ მორფოლოგიაში საქმე გვაქვს მნიშვნელობის მქონე ელემენტთა ურთიერთობასთან, რაც არსებითია აზრის გამოსახატავად და გადასაცემად. ასეთ ვითარებაში ფონემატური დაწოლა მორფოლოგიაზე ისეთ გარდაქმნას ვარაუდობს, როდესაც სიტყვათა ფარგლებში მორფოლოგიურ ელემენტთა მნიშვნელობები შენარჩუნებულია. სწორედ ამან გამოიწვია მნიშვნელობის მქონე ნულოვანი ალომორფების შექმნა სტრუქტურულ ანალიზში.

* * *

S_1-O_3- თანამიმდევრობა სამწერლობო ენის ზმნათა ფორმებში ქმნიდა ფონემატურად მიუღებელ კომპლექსებს: /ვ-ხ-/-ს ხანმეტ პერიოდში, /ვ-ჰ-/-ს ჰაემეტ პერიოდში და /ვ-ს-/-ს... შემდგომ პერიოდებში. მორფემათა ამ თანამიმდევრობას ამაგრებდა მორფოლოგიური მოთხოვნა, რომელიც დღემდე ძალაშია: „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებით“ (1970) სწორია **ვჰ**პარავ, **ვს**წერ; შევ**ჰ**კითხებოდი, და**ვს**დგომოდი ტიპის ფორმები (იხ. გვ. გვ. 214 და 201): შდრ. „... მოვიმკი, სადა არა და**ვჰ**თესი“ (მე-8ს.) (ა. შანიძე, 1923, ლ. XIX, 22), **მაგრამ** ამავე ჰაემეტ ტექსტში და უფრო ადრე ხანმეტ ტექსტებში /S_1-O_3/ პირთა კომბინაცია წარმოდგენილია /ხ-უ-/ და /**ჰ**-უ-/ სახით*: „ნეტარ

---

* O_3-ის /ხ-/-სა და /ჰ-/-ს მომდევნოდ /უ-/, ბგერობრივ [უ] თანხმოვანი, იგივე /ვ-/ პრეფიქსია (S_1) ჩქამიერთა მომდევნოდ: ძველ ქართულში /ვ/ ფონემა, როგორც წესი, ჩქამიერ თანხმოვანთა მომდევნოდ [უ] ალოფონით რეალიზდებოდა გრაფიკულად /უ/ ხმოვანთან საზიარო უ გრაფემით,

ხიყვნენ, რლ´თა არა **ხუ**ეხილვო და **ხურწმენე**" (ა. შანიძე, 1929; ი. XX, 29); „**მოჰოჯგოჯარე** იგი მოწაფეთა შენთა" (ა. შანიძე, 1923; მ. XXVII, 16). ხ უ ე ხ ი ლ ვ ო და მ ო ჰ უ გ ვ ა რ ე ტიპის ფორმები დადასტურებულია ეპიგრაფიკულ ძეგლებზეც: აღ**ხუ**მართე (უკანაგორის წარწერა VI ს. დასაწყისი), V საუკუნის მიწურულისაა ბოლნისის წარწერა – შ ე ხ უ ა ბ თ (493წ.); აღ**ჰუ**მართე (წყისის წარწერა VI ს. მიწურულის)...

ფონემატური თვალსაზრისით სრულიად ნათელია /ვ-ხ-/ და /ვ-ჰ-/ კომბინაციების /ხ-უ-/ და /ჰ-უ-/ კომბინაციებში გადასვლა ორ- და სამპირიან ზმნებში: ძველ ქართულში /ვ/+ჩქამიერი თანხმოვანი არაბუნებრივია. ასეთ კომპლექსებს, მათ შორის /ვხ/-სა და /ვჰ/-ს ვერ შევხვდებით ერთი მორფემის ფარგლებში, მაშინ როცა /ხვ/ კომბინაცია [ხუ]-ს სახით მრავალგზის დასტურდება ნებისმიერ პოზიციაში (იხ. გვ. 75).

/ჰ/ ქართულში, საერთოდ, მხოლოდ პირის ნიშნის ფუნქციით იხმარება (იშვიათად ექსპრესიულ ნაწილაკებში შევხვდებით) ან ნასესხებ სიტყვებშია. მაშასადამე, რადგან CS კომბინაცია ქართულ ენაში ბუნებრივია, შებრუნებული რიგი კი არ არის ბუნებრივი, S_1-ის /ვ-/ ადვილად გადადიოდა ჩქამიერი /ხ-/-სა და /ჰ-/-ს მომდევნოდ.

*

* *

ძველი ქართულის ზმნათა ფორმებში სუბიექტური მეორე პირისა (S_2) და ობიექტური მესამე პირის (O_3) მარკირების მიხედვით გამოიყოფა სამი პერიოდი:

I – S_2 და O_3 გამოიხატება **ხ**- პრეფიქსით*.

II – S_2 და O_3 გამოიხატება **ჰ**- პრეფიქსით.

შესაბამისად პერიოდისა: $O_{\not 3}$/-ს სახით მრგლოვან დამწერლობაში, $w_{\not 3}$-ს სახით – ნუსხურში.

* შედარებითი ხარისხის ფორმებში (ხუმჯობჱს...) ხ- პრეფიქსი O_3-ის ნიშანია ისტორიულად, ამიტომ ამ პრეფიქსზე ზოგადი მსჯელობის დროს შედარებითი ხარისხის ფორმები კონკრეტულად არ ხსენდება.

III – S_2-ისა და O_3-ის {ჰ} პრეფიქსს გაუჩნდა ალომორფები: {ჰ-} – /ჰ-/~/ჰს-/|/ს-/~/ჰშ-/|/შ-/~/-Ø/.

II და III დროული მონაკვეთები ფაქტიურად ერთი გრამატიკული პერიოდის ქვესახეებია: S_2-ისა და O_3-ის აღსანიშნავად მატერიალურად ჯერ მხოლოდ ერთი ნიშანი იყო, მეორე ქვესახეობაში ამ ნიშანმა განიცადა განსხვავებული ასიმილაციური გავლენა ფუძისეული მომდევნო თანხმოვნებისგან, ე. ი. II და III პერიოდები ერთიმეორისგან განსხვავდებიან ერთი და იმავე ნიშნის განსხვავებული მორფონოლოგიური ცვლილებით.

სამი პერიოდით ოპერირება მოსახერხებელია ისტორიულ მორფონოლოგიურ ცვლილებათა აღწერისთვის. საჭიროების შემთხვევაში ორნაირი დაყოფიდან უფრო მოსახერხებელს გამოვიყენებთ.

თანამედროვე ქართული ენის დიალექტები S_2-ისა და O_3-ის მარკირების მიხედვით უკლებლივ ძველი ქართულის ბოლო (III) პერიოდის მემკვიდრე არიან, რაც იმას ნიშნავს, რომ მომდინარეობენ {ჰ-} პრეფიქსისგან, რომელიც თავის მხრივ ფორმალურად და გრამატიკული მნიშვნელობით იდენტურია II პერიოდის {ჰ-}-სი: „საზოგადოდ ყველა ის ქართული კილოები, რომელთაც ვიცნობთ ჩვენ ისტორიულად, ძველი ძეგლებიდან თუ ცოცხლად დღეს, ისეთ ფორმებს გვაძლევს უღვლილებაში, რომ აღნიშნული პრეფიქსების ძირითად ფონეტიკურ სახედ უნდა მივიჩნიოთ ჰ“ (ა. შანიძე, 1923, 360).

მართალია, თანამედროვე კილოებისთვის „ძირითად ფონეტიკურ სახედ უნდა მივიჩნიოთ ჰ", როგორც ა. შანიძე წერს, მაგრამ ისიც უთუოდ გასათვალისწინებელია, რომ ქართული კილოები ერთიმეორისგან განსხვავდებიან {ჰ-} პრეფიქსის მორფონოლოგიურ ცვლილებათა მიხედვით. ამ ასპექტით ქართული დიალექტები ორ ჯგუფად იყოფა.

დიალექტთა I ჯგუფში ერთიანდებიან ქართლური, კახური და მათი გავლენის ქვეშ მყოფი დიალექტები, ერთი მხრით, ფშაური, მთიულური, გუდამაყრული; მესხური და ჯავახური – ესენი განიცდიან ქართლურის გავლენას, მეორე მხრით, ინგილოური და ფერეიდნული,

რომლებიც კახურისაგან არიან მოწყვეტილი, მაგრამ შენარჩუნებული აქვთ გენეტიკური თვისებები, კერძოდ, S2-ისა და O3-ის {ჰ-}-ს გარდაქმნის მორფონოლოგიური წესები. ამ ჯგუფში {ჰ-}-ს ცვლილებისათვის არსებითია პოზიცია V–C, რომელშიც ზმნისწინის ან წინმდგომი სიტყვის დამაბოლოებელი ხმოვანი (V–C) იწვევს [ჰ] ბგერის [ი]-დ გარდაქმნას (მაგ.: და-ი-წერს, რასა-ი წერს)*, ამ ცვლილებაში ზოგჯერ ჩანს ფუძისეული თანხმოვნის გავლენაც (და-ის-წერს), რაც თანდათანობით ქრება, პირის ნიშნად რჩება მხოლოდ [ი] ბგერა.

I ჯგუფში S2-ისა და O3-ის პრეფიქსისთვის არსებითია ხმოვნის მომდევნო პოზიცია.

II ჯგუფში შედის ის დიალექტები, რომლებშიც {ჰ-}-ს ალომორფები ზმნათა ფუძისული თანხმოვნების ჰომორგანული და ჰომოგენური ვარიანტებია: /ს-/~/ზ-/~/შ-/~/ჟ-/~/ხ-/~/ღ-/. აქვე შევნიშნავთ, რომ ჰომორგანულობისა და ჰომოგენურობის მიხედვით ასიმილაციის პროცესი II ჯგუფის დიალექტებში ერთნაირად არ არის განვითარებული. ამ ჯგუფს განეკუთვნებიან „ფხოური კილოები“ (მოხეური, ხევსურული, თუშური) და დასავლური ყველა დიალექტი, კლარჯული** ჩათვლით.

ქვემოთ აღნიშნულ მორფონოლოგიურ ცვლილებებს დაწვრილებით აღვწერთ ჯგუფთა მიხედვით. უპირველეს ყოვლისა, აღვწერთ ძველი ქართულის ბოლო (III) პერიოდს, რადგან თანამედროვე ყველა დიალექტი ამ ერთი წყაროდან მოდის.

ძველი ქართულის III პერიოდში (IX, X სს.) S2-ისა და O3-ის {ჰ-}-ს /ჰ-/ ალომორფთან წინაენისმიერი ფუძისეული თანხმოვნების წინ თავისუფლად მონაცვლეობენ გარდამავალი /ჰს-/ ალომორფი და საბოლოო ვარიანტი /ს-/: **ჰ-წუხდეთ** (ი.16.20), **ჰ-წყურის** (ი.7.37C), **ჰ-წყვიდეთ** (მრ. 4,24C); შდრ. **ჰს-წყევე** (მრ.11.21),

---

* წარმოთქმის დროს პირის ნიშანი /ი-/ ყოველთვის წინ მდგომ ხმოვანს ეკედლება. ეს ხაზგასმით არის დემონსტრირებული ა. შანიძის მიერ ჩაწერილ ტექსტებში.


** კლარჯული კრებსითი ტერმინია, გამოხატავს ყველა ქართულ დასავლურ კილოს, რომელიც მოქცეულია საქართველოს საზღვრის გარეთ — თურქეთის ტერიტორიაზე.

ჰს-წუხდეთ (ი.16.20 C) და **გან-ს-წმედს** (მ.23, 17), **გან-ს-წმედდით** (მ.10.8); **ჰ-ცემდეს** (მ.26.67C), შდრ. **ჰს-ცემდეს** (მრ.15,19) და **ს-ცემედ** (მ.27.30C); **ჰ-დგეთ** (ლ.13.25), შდრ. **ჰს-დგეთ** (მრ.12.25) და **ს-დგათ** (მ.20.6); **ჰ-თქუთ** (ლ.9.19); შდრ. **ჰს-თქუთ** (ი.8.54) და **ს-თქუთ** (მ. 23.30C); **ჰ-ჭამთ** (მრ.2.16C); შდრ. **ჰშ-ჭამო** (მრ.14.12) და შე-**შ-ჭამთ** (მ.23.13)...

ძველი ქართულის II და III პერიოდების შედარებით გაირკვა რომ [ჰ-]-ს ალომორფთა რაოდენობა იზრდება: ერთადერთი /ჰ-/-ს ადგილზე მესამე პერიოდში ორი ვარიანტი ჩნდება. გარდა /ჰ-/-სი, ზმნათა ფუძისეული წინაენისმიერი თანხმოვნების წინ დაიწყო ფუძისეულ თანხმოვანთა ჰ ო მ ო რ გ ა ნ უ ლ ი ყრუ /ს-/ ალომორფის თავისუფალი შენაცვლება /ჰ-/-სთან (ბგერობრივ გარდამავალი [ჰს] ვარიანტის გავლით); სხვა პოზიციაში ვითარება უცვლელია – S_2-სა და O_3-ს ყველგან გამოხატავს /ჰ-/.

ამ პერიოდის დახასიათებისას არსებითია: (ა) ნ ა ნ ი ლ ო ბ რ ი ვ ი ჰ ო მ ო რ გ ა ნ უ ლ ი ა ს ი მ ი ლ ა ც ი ა – ყრუ ლარინგალი [ჰ] **გადადის წინაენისმიერ ყრუ ნაპრალოვან [ს]-ში წინაენისმიერი თანხმოვნების წინ**; (ბ) **ასიმილაცია არა ხდება სახმო სიმთა მოქმედების** (ჰ ო მ ო გ ე ნ უ რ ო ბ ი ს პ რ ი ნ ც ი პ ი ს) **მიხედვით** – ფუძისეულ მჟღერთა წინაც [ჰ-]-ს ყრუ ალომორფებია; (გ) **[ჰ-]-ს ჰომორგანული ასიმილაცია არ მომხდარა ფუძისეული უკანაენისმიერი და ბაგისმიერი თანხმოვნების წინ**; (დ) უთუოდ აღსანიშნავია ჰ ო მ ო გ ე ნ უ რ ო ბ ი ს პ რ ი ნ ც ი პ ი ს ა მ უ შ ა ვ ე ბ ი ს დ ა ს ა წ ყ ი ს ი ამ პირის ნიშნებთან, **როდესაც ხდება /ს-/>/შ-/ შიშინა აფრიკატების წინ** (ჰჭამს > სჭამს > **შ ჭ ა მ ს**; **ს ჯ ო ბ დ ა**, მაგრამ **შ ჯ ო ბ დ ა**). ძველი ქართულის III პერიოდში [ჰ-]-ს ხმარების შესაძლებლობა S_2-ისა და O_3-ის ნიშნად ნებისმიერი თანხმოვნის წინ თავდაპირველი ვითარების კვალია – მსგავსად S_1-ის /ვ-/-სი, /ჰ-/ იხმარება ყველგან, სადაც ზმნის ფორმით S_2 ან O_3 ივარაუდება.

სქემის სახით შექმნილი ვითარება შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:



სქემის მიხედვით ივარაუდება, რომ /შ-/ ალომორფი /ს-/-სგან არის მიღებული, რის საფუძველსაც წარმოადგენს სჭამენ, სჯობდა ტიპის ფორმები, სადაც ჯერ კიდევ არ განხორციელებულა ასიმილაცია შიშინის მიხედვით.

თუ გარდამავალ ბგერებს გამოვრიცხავთ, როგორც სქემაზეა, სწორედ ამ სახით შეუდგნენ ქართული ენის თანამედროვე დიალექტები S_2-ისა და O_3-ის გამოხატვას ზმნათა ფორმებში.

ვუბრუნდებით II ჯგუფის დიალექტთა ჩვენებას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჰომორგანულობა-ჰომოგენურობის მიხედვით ასიმილაცია ერთნაირად არ არის განვითარებული ამ ჯგუფის დიალექტებში, კერძოდ, „ფხოური კილოებიდან" მოხეურმა ჯერ კიდევ არ იცის /ჟ-/ ალომორფი, იგი მხოლოდ თუშურსა და ხევსურულშია /ჯ/-ს წინ, დასავლური დიალექტებიდან დადასტურებულია აჭარულში (გაჟჯავრებ̄, ჟჯერ(ა), ჟჯობ; ჟჯობია, დაჟჯერდა...).

თუ გავითვალისწინებთ II ჯგუფის დიალექტებში /ს-/ ალომორფის ჩვეულებრივ ხმარებას მჟღერთა წინ, სავარაუდებელია მჟღერი ვარიანტების (/ზ-/, /ჟ-/, /ღ-/) ჰომორგანულ ყრუებთან შედარებით გვიან გაჩენა. ამაზე მიუთითებს ალ. ჭინჭარაულის დაკვირვებაც ხევსურულ დიალექტზე: „ჰბ > ხბ // ღბ... ჰმ>ხმ>ღმ... ჰგ>ხგ//ღგ" (ალ. ჭინჭარაული, 1960, 96). ამ დიალექტში ჯერ კიდევ დასაშვებია მჟღერთა წინ {ჰ-}-ს ყრუ ვარიანტი.

ხევსურული და თუშური იმითაც გამოირჩევიან II ჯგუფის სხვა დიალექტებისგან, რომ ამ დიალექტებში **აღარ არსებობს** /ჰ-/ **ალომორფი**, მის ადგილზე /ხ-/ არის ან /ღ-/, მოხეურში კი /ჰ-/ არ არის იშვიათი, მაგალითად: ჰქენ (ქავ. 104, 19), ჰყვანდა (ქავ. 105,2), მაჰჴდისკე (ქავ. 105,4) და სხვ. პარალელურად /ჰ-/-ს ცვლის /ხ-/ ერთი და იმავე პირის მეტყველებაში: ხქონდა (ქავ. 109,4), დახკლავენ (ქავ.106,12), ჩახყრიდეს (ქავ. 107,32) და სხვ. კარგად გამოჩნდა, რომ [ჰ] > [ხ] პროცესი მოხეურში დასრულებული არ არის.

ხევსურულსა და თუშურში ისტორიული {ჰ-}-ს ალომორფთა სქემა ასეთ სახეს იღებს *{ჰ-} – /ხ-/~/ღ-/~/ს-/~/ზ-/~/შ-/~/ჟ-/. **აღარ არსებობს** /ჰ-/. უდავოა, რომ მჟღერი ალომორფები ყრუ ვარიანტებზე გვიან გაჩენილა. ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ

ყრუ ვარიანტები ჯერ კიდევ იხმარება ფუძისეულ მჟღერთა წინ მოხეურში, მაგ. ჩასდიოდა (შან.200,6), მოსდის (შან.203,31), დასდევს (შან.219,36), დასდებენ (ქავ.105,29), ჴელს სდებდეს (ქავ. 111,20) და სხვ. ა. შანიძის მასალა ჩაწერილია 1913 წელს, ი. ქავთარაძისა ამავე საუკუნის 40-50-იან წლებში. ანალოგიურია ვითარება ფუძისეულ /ძ/-სა და /ჯ/-ს წინაც. აქაც ხშირად ვხვდებით /ს-/ ალომორფს: დასძახა (ქავ. 109,19,26), წამასძახებდა (ქავ. 111,4); დასჯერებია (შან. 202,6), პარალელურად: დაზდიხარ (შან. 193,10), დაზდგები (შან.216,15) ასიმილირებული ვარიანტებიც გვხვდება, არ ჩანს მხოლოდ /ჟ-/ ალომორფი /ჯ/-ს წინ.

აღწერილი ვითარება იმაზე მიუთითებს, რომ ფუძისეულ მჟღერთა წინ ჯერ ყრუ ალომორფები გაჩენილა, შემდეგღა თანდათანობით მომხდარა მათი გამჟღერება, ამის კვალი ხევსურულშიც ჩანს ალ. ჭინჭარაულის მასალის მიხედვით („ჰბ>ხბ//ღბ..."). თუშურში S_2-ისა და O_3-ს ნიშნის ასიმილაცია სახმო სიმთა ქმედების მიხედვით (ჰომოგენიზაცია) ბოლომდეა მიყვანილი – კანონიკურია ღ ბ ი ა, მიუღებელია ხ ბ ი ა (შდრ. ხევსურული).

ძველი ქართულის ბოლო პერიოდისა და მოხეურის ჩვენებათა მიხედვით ხევსურულისა და თუშურის ვითარება სქემატურად ასეთ სახეს იღებს ისტორიული ასპექტით:

*{ჰ-} – /ხ-/~/ს-/~/შ-/ –– a
| | | |
/ღ-/~/ზ-/~/ჟ-/ –– b

*{ჰ-}-თი მინიშნებულია ალომორფთა წარმომავლობაზე, a და b რიგებით კი – ქრონოლოგიურ მიმართებაზე ჰომორგანულ ყრუ და მჟღერ ალომორფებს შორის.

ყრუ ვარიანტთა პირველადობა შეპირობებულია იმით, რომ ისინი ყრუ [ჰ] ბგერისგან მოდიან და ეს [ჰ] ყველა პოზიციაში ჰომორგანული ასიმილაციით ისევ ყრუ ვარიანტს იძლეოდა დასაწყისში, რაც ნათლად ჩანს ძველი ქართულის მიხედვით, სადაც **მჟღერი ვარიანტები არ ჩამოყალიბებულა**.

ჰომოგენური ვარიანტის ჩამოყალიბების ხაზით, რაც ძველ ქართულში განხორციელდა, **ერთადერთია** /ს/-ს გაშიშინება ში-


შინა აფრიკატთა წინ: შ ე შ ჭ ა მ ე ნ, შ ე შ ჭ ა მ დ ე ს... (შდრ. იმავე ძვ. ქართულში ჰ ჭ ა მ ე ნ და ს ჭ ა მ ე ნ).

ზემოთ წარმოდგენილი სქემა გამოდგება დასავლური დიალექტებისთვისაც. ისინი „ფხოური კილოებისგან" **არ განსხვავდებიან** S_2-ისა და O_3-ის მ ა რ კ ი რ ე ბ ი ს პ რ ი ნ ც ი პ ე ბ ი თ ა და მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა შ ი რ ე ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ი ვ ა რ ი ა ნ ტ ე ბ ი თ*, კერძოდ, /ს-/~/ზ-/~/შ-/~/ჟ-/~/ხ-/~/ღ-/ დადასტურებულია დასავლურ დიალექტებშიც (იხ., მაგალითად, ბ. ჯორბენაძის „ქართული დიალექტოლოგიის" I ტომი (1989), V, VI, VII თავები), კერძოდ: /ჟ-/ აჭარულში (ჯორბენაძე, 1989, 557), /ღ-/ გურულში (ქდ 419, 38); /ხ-/ თითქმის ყველგან გვხვდება და სხვ.

თუ დასავლურ რომელიმე კილოში ესა თუ ის ვარიანტი არა გვხვდება, გამონაკლისი შემთხვევითია, ვირტუალურად მისი არსებობა გამართლებულია იმ მორფონოლოგიური სისტემით, რომელიც ქართული ენის დიალექტთა II ჯგუფში ხორციელდება ზმნათა ფუძისეული თანხმოვნების ჰომორგანულობისა და ჰომოგენურობის ასიმილაციური გავლენით.

დიალექტთა I ჯგუფში S_2-ისა და O_3-ის ყველა ნიშანი {ჰ-}-სთან არის დაკავშირებული, ოღონდ, განსხვავებით II ჯგუფის დიალექტებისაგან, I ჯგუფში /ჰ-/~/ს-/~/შ-/ ალომორფები გარდაიქმნებიან /ჲ/-დ, ზოგჯერ შერეული სახით, ზოგჯერ სუფთად /ჲ-/ სახით.

ისტორიული ასპექტით S_2-ისა და O_3-ის მარკირება მორფონოლოგიური გარდაქმნების მიხედვით I ჯგუფის დიალექტებში ასეთია:



* შდრ. „ფხოური კილოებიც კი (ხევსურული, თუშური, მოხეური), რომლებიც S_2-ისა და O_3-ის საკითხებში ძ ა ლ ი ა ნ გ ა ნ ს ხ ვ ა ვ დ ე ბ ი ა ნ სხვა კილოებისგან..." (ა. შანიძე, 1923, 360; ხაზი ჩ., — თ.უ.).

სქემაზე წარმოდგენილი ვარიანტები თავისუფლად ენაცვლებიან ერთიმეორეს განსაზღვრულ პოზიციაში, რაც გამოხატულია დახრილი ხაზებით ვარიანტებს შორის; a, b, c დაჯგუფებები მხოლოდ ფონეტიკურ გარდაქმნათა თანამიმდევრობას გამოხატავენ, მაგალითად: ივარაუდება, რომ /ჰ-/ ალომორფის /ø-/-დ გარდაქმნას წინ უსწრებდა /øჰ-/, ანუ რაღაც გარდამავალი [øჰ] ბგერა და სხვ.

რაც შეეხება ალომორფთა განაწილებას, თავისუფლად მონაცვლე /ჰ-/ და /øჰ-/ გვხვდება ფუძისეული უკანაენისმიერი და ბაგისმიერი თანხმოვნების წინ, /ს-/ და /øს-/ – წინაენისმიერი თანხმოვნების წინ; ამ ჯგუფის თანხმოვნებში შიშინა აფრიკატების წინ შეიძლება შეგვხვდეს /შ-/ და მასთან თავისუფლად მონაცვლე /øშ-/. ამ გარდაქმნათა საბოლოო სახეს – /ø-/-ს, გასაგებია, თანხმოვანთა წინ შეზღუდვა არა აქვს. არ იხმარება მხოლოდ ხმოვან პრეფიქსთა წინ.

ა. შანიძის მიერ 1913 წელს ფშავში, მთიულეთსა და გუდამაყარში ჩაწერილ ტექსტებში (ა. შანიძე, 1984) უკანაენისმიერთა წინ S_2-ისა და O_3-ის ნიშნად ჭარბობს /ჰ-/: ჰყვანდა (62, 7), დაჰყვა (62, 18), ჰკითხა (62, 24), დავჰქსოვო (65, 31), ჰქონდა (68, 34), მოჰკლავს (77, 22) და სხვა. ამათ პარალელურად იხმარება /øჰ-/, ვხვდებით /ø-/-საც: გაøჰყვის (ქდ 85, 30), დაøჰკრავს (ქდ 85, 33)... მაøკითხა (შან. 62, 15), გამაøჴსნა (შან. 63, 34)... ასევე პარალელურად იხმარება წინაენისმიერთა წინ როგორც /ს-/, ისე /øს-/: გასთხარა (შან. 65, 6), მასტეხა (შან. 66, 30), მისცეს (შან. 67, 31), მოსწყდა (შან. 72, 27); შდრ. მოøსტეხს (ქდ 85, 33), დაøსჭირდება (ქდ 56, 28). S_2-ისა და O_3-ის ნიშნად ხშირია /ø-/ ვარიანტი: მაøკითხა (შან. 62, 15), გამაøჴსნა (შან 63, 34), გაøკვებავს (ქდ 83, 22) და სხვ.

თუ შევადარებთ 1913 წლის ჩანაწერებს 40-, 50-იანი წლებისას, ისინი ერთნაირ ჩვენებას იძლევიან, იზრდება მხოლოდ /ø-/-ს სიხშირე.

I და II ჯგუფის დიალექტთა შედარებით გამოვლინდა: I ჯგუფში **არ ხდება** ბაგისმიერთა და უკანაენისმიერთა წინ ჰომორგანული ასიმილაციის შედეგად /ხ-/ ან /ღ-/ ალომორფთა ჩამოყალიბება, ხოლო II ჯგუფში /ø-/

ალომორფის ჩამოყალიბება. ესენი ურთიერთგამომრიცხავი ფონეტიკური მახასიათებლებია V–C და #–C პოზიციებში. სწორედ ეს ნიშნები ანაწილებს თანამედროვე ქართულ დიალექტებს ორ ჯგუფში.

უთუოდ სავარაუდებელია, რომ დიალექტთა განსხვავებული ჯგუფების სპეციფიკა განსხვავებული ისტორიული მიდრეკილების გამოვლინებაა, ანუ **ამ ჯგუფებს განსხვავებული დიალექტური წარმომავლობა აქვთ,** კერძოდ: ერთ დიალექტში ან დიალექტთა ჯგუფში საერთო-ქართველური {*ჰ-} არ იძლეოდა /ხ-/ ალომორფს, მეორე ჯგუფში, პირიქით, {*ჰ-}-ს ჰქონდა /ხ-/ ალომორფი.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჰომორგანული ასიმილაცია შეიძლება თანხმოვანთა მხოლოდ ერთი რიგის მიხედვით მომხდარიყო, როგორც, მაგალითად, IX, X საუკუნეების ძველ ქართულში მხოლოდ წინაენისმიერმა თანხმოვნებმა მოახდინეს [ჰ-]-ს ასიმილაცია წარმოების ადგილის მიხედვით (ჰომორგანულობის პრინციპით), სხვა პოზიციებში [ჰ] დარჩა, ასევე, რა თქმა უნდა, შეიძლება ჰომორგანულობის პრინციპით {ჰ-}-ს მოეცა /ხ-/ ალომორფი და შემდეგ თვითონ გამქრალიყო, როგორც ეს მოხდა ჩვენ თვალწინ თუშურსა და ხევსურულში, სადაც უკანაენისმიერი და ბაგისმიერი ფშვინვიერი და მკვეთრი ხშული თანხმოვნების წინ მხოლოდ /ხ-/ არის S_2-ისა და O_3-ის ერთადერთი გამომხატველი. თვალსაზრისი იმასაც ემყარება, რომ მჟღერი ვარიანტი /ღ-/, საერთოდ, პირის ნიშანთა მჟღერი ვარიანტები (/ზ-/, /ჟ-/), გვიანდელია. როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, მათ ახლაც კი უჭირთ ფუძისეულ მჟღერთა წინ რეალიზება.

ზემოთ აღწერილი გარდაქმნების კანონზომიერებით შეიძლება მიგვეღო „ხანმეტი დიალექტი" ან დიალექტები.

[ჰ]-ს, როგორც ბგერის, დაკარგვა განპირობებულია იმით, რომ ეს ბგერა თანხმოვნებთან კომბინაციაში არ შედის ერთი მორფემის ფარგლებში, ხმოვანთა წინაც ვერ ძლებს. ამით არის განპირობებული ქართული ენისთვის ბუნებრივი [ხუ]-ს გადმოყოლა (ხუალ, მოხუალ), როდესაც სამწერლობო ენისთვის I ჯგუფის დიალექტი იქცა საყრდენად. არ არსებობს ძირეული მორფემა,

რომლის ფარგლებში /ჰ/ წარმოდგენილი იყოს სხვა თანხმოვნების, კერძოდ [ჳ]-ს, წინ, ანუ /ვ/ ფონემის წინ. /ხვ/ კომბინაცია [ხჳ]-ს სახით კი ძველ ქართულში რამდენიმე ათეულ ძირეულ მორფემაში გვხვდება, 30-ზე მეტი ასეთი ძირი ჩამოთვლილია ი. იმნაიშვილის „ძველი ქართული ენის ისტორიულ ქრესტომათიაში" (1971, გვ. 7); ასევე ხმოვანთა წინ [ხ]-ს გაცილებით მეტი გამძლეობის გამო ძალიან ხშირად ხმარებული ყოფნა ზმნის II პირში (ხარ) /ხ-/ დარჩა S_2-ის ნიშნად „ჰაემეტ" პერიოდშიც.

დასკვნა:

თანამედროვე ქართული ენის დიალექტები, მიუხედავად იმისა, რომ საერთო წყაროდან – IX-X საუკუნეების ძველი ქართულიდან მოდიან, S_2-ისა და O_3-ის ნიშნის მორფონოლოგიურ ცვლილებათა მიხედვით ორ ჯგუფს ქმნიან: I ჯგუფში, რომელშიც შედიან ქართლ-კახური და მათი გავლენის ქვეშ მყოფი დიალექტები: ფშაური, მთიულური, გუდამაყრული და სამხრული მესხური და ჯავახური, {ჰ-} იძლევა /ჰ-/~/ჲჰ/~/ს-/|/ჲს-/~/შ/|/ჲშ-/~/ჲ-/ ალომორფებს ფუძისეულ თანხმოვანთა წინ განსაზღვრული წესებით: /ს-/|/ჲს-/~/შ/|/ჲშ-/ მხოლოდ წინაენისმიერ თანხმოვანთა წინ გვხვდებიან, ამათგან /შ/|/ჲშ-/ – მხოლოდ შიშინა აფრიკატების წინ.

II ჯგუფში, რომელშიც შედიან „ფხოური კილოები" და დასავლური დიალექტები, [ჰ] > [ჲ] ცვლილება **გამორიცხულია ნებისმიერ პოზიციაში** და ამავე დროს, **განსხვავებით** I ჯგუფის დიალექტებისაგან, {ჰ-} იჩენს /ხ-/~/ღ-/ ალომორფებს ფუძისეული უკანაენისმიერი და ბაგისმიერი თანხმოვნების წინ, რის შედეგად {ჰ-} რეალიზებულია /ჰ-/~/ს-/~/შ/~/ხ/~/ღ-/ ალომორფებით.

„ფხოური" ჯგუფის ორ დიალექტში: თუშურსა და ხევსურულში /ჰ-/ **ალომორფი აღარ არსებობს**, მის ადგილზე მხოლოდ /ხ-/ და /ღ-/ ალომორფებია.

თანამედროვე დონეზე განსხვავებული მორფონოლოგიური ცვლილებები უთუოდ გვავარაუდებინებს, რომ ძველქართულამდელ პერი-

ოდშიც არსებობდა დიალექტთა ორი ჯგუფი, რომლებშიც S_2-ისა და O_3-ის საერთო-ქართველური {*ჰ-} პრეფიქსი დიალექტთა ერთ ჯგუფში წარმოების ადგილის მიხედვით, ანუ ჰომორგანული ასიმილაციით იძლეოდა /ხ-/ ალომორფსაც უკანაენისმიერ და ბაგისმიერ თანხმოვნებთან, რომელიც შემდგომ სხვა პოზიციაშიც – წინაენისმიერ თანხმოვანთა წინ ჩანაცვლებია /ჰ-/-ს და S_2-ისა და O_3-ის გამოხატვა ამ დიალექტებში მომხდარა {ხ-} მორფემით. **„ხანმეტ“ პერიოდში სწორედ დიალექტთა ეს ჯგუფი ქცეულა სამწერლობო ენის საყრდენად.**

დიალექტთა მეორე ჯგუფში {*ჰ-} უცვლელად დარჩენილა და შედარებით გვიან გამოჩნდა სამწერლობო ენაში – ეს „ჰაემეტი“ მწერლობის პერიოდია, რომლის {ჰ-} პრეფიქსი მოგვიანებით, IX-X საუკუნეებში, განიცდის ფონეტიკურ ცვლილებას წინაენისმიერ თანხმოვნებთან და იძლევა ჯერ /ს/-ს, შემდეგ კი შიშინა აფრიკატთა გავლენით /ს-/-სგან – /შ-/ ალომორფს.

ჰომოგენური ასიმილაციის გაძლიერებით წარმოიქმნა მჟღერი ვარიანტები: /ზ-/~/ჟ-/ ~/ღ-/. {ჰ-} მორფემა ამ ჯგუფში წარმოდგენილია /ს-/~/ზ-/~/შ/~/ჟ-/~/ხ-/~/ღ-/-ს სახით, მეორე სახეობა ამავე ჯგუფში თუშურსა და ხევსურულში ასე გამოიხატება: {*ჰ-} /ს-/~/შ-/~/ზ/~/ჟ-/~/ხ-/~/ღ-/. ამოსავალი მორფემა რეკონსტრუირდება ალომორფთა მიხედვით.

თანამედროვე დიალექტთა ჩვენებაზე დამყარებით შესაძლებელია მსჯელობა წინა პერიოდებში განხორციელებულ ენობრივ ცვლილებებზე, კერძოდ: ძველქართულამდელ პერიოდში განსხვავებული მორფონოლოგიური ცვლილებით ჩამოყალიბებულა „ხანმეტი“ და „ჰაემეტი“ დიალექტები, რომლებიც სხვადასხვა დროს ხდებიან სამწერლობო ენის საყრდენად რომელიმე მათგანის სამწერლობო ენის საყრდენად ქცევის მიზეზთა გამოვლენა ისტორიის საქმეა.

{*ჰ-}-ს საერთო-ქართველურ დონეზე S_2-ისა და O_3-ის ნიშნად პოსტულირებისთვის არსებობს გარკვეული მონაცემები, კერძოდ: მეგრულ-ჭანური მიჩნეულ იქნა ჰაემეტობის ჩამომავ-

ლად ამ პირთა ნულოვანი გამოხატვის გამო, სვანურში კი II პირში **ად-** ზმნისწინის დაყრუება (ად- > ათ-) მიეწერა დაკარგულ /ჰ-/ პრეფიქსს (ადჰ > ათ) (ა. შანიძე, 1923, 36; ა. შანიძე, 1957, 333; ვ. თოფურია, 1967, 5). აქ უთუოდ გასახსენებელია ის ფაქტი, რომ დასავლურ დიალექტებში დაკარგული /ჰ-/ პრეფიქსი ახდენს ფუძისეული მეზობელი თანხმოვნის გაფშვინიერებას, შდრ. იმერ. დაფირდა (< დაჰპირდა), დაქრა (<დაჰკრა) (ბ. ჯორბენაძე, 1989, 467).

ჩვენი ნაშრომი დაიწერა იმის საჩვენებლად, რომ **შესაძლებელია** {ჰ-} მორფემის (S_2, O_3) მორფონოლოგიური გარდაქმნებით გაჩნდეს /ხ-/ პრეფიქსიანი დიალექტი, რომელშიც თვით /ჰ-/ აღარ იხმარება.

პრობლემასთან დაკავშირებით ჩნდება ახალი კითხვა*: თუ ხანმეტ დიალექტად მივიჩნევთ მცხეთა-ბოლნისის ტერიტორიის ქართლურს ბოლნისის, მცხეთისა და უკანგორის ეპიგრაფიკული ძეგლების ჩვენებათა მიხედვით, როგორ შევათავსოთ ამასთან შინაგანი რეკონსტრუქციით ამ დიალექტში /ჰ-/-ს მიჩნევა S_2-ისა და O_3-ის ამოსავალ ისტორიულ ნიშნად, რომლისგანაც მივიღეთ თანამედროვე /ჲ-/ ისე, რომ გარდაქმნის პროცედურებიდან /ხ-/ ვარიანტი გამოირიცხა ყველა საფეხურზე?

გამოდის, აღნიშნული წარწერები შესრულებულია იმ დროს მოქმედი სამწერლობო ხანმეტი ენის ნორმით, რომელიც შემუშავებულია სხვაგან და არა ამ ტერიტორიაზე. შინაგანი რეკონსტრუქციით ეს შეიძლება ყოფილიყო რომელიმე დასავლური დიალექტი: იმერული ან აჭარული, სადაც შეიძლებოდა /ჰ-/-ს მოეცა /ხ-/ განსაზღვრულ პოზიციებში...

* ცნობილია მრავალი კითხვა, რომლებიც წარმოიშვა ისტორიულ „ხანმეტობა"- „ჰაემეტობაზე" მსჯელობისას (ი. ჯავახიშვილი, არნ. ჩიქობავა, თ. გონიაშვილი, გ. როგავა, ზ. სარჯველაძე, ალ. ონიანი...).

არატრადიციული განმეორებადი არქაიზმი

უნდა გაირჩეს ერთიმეორისგან არქაიზმის ორი სახეობა: (ა) **განგრძობითი არქაიზმი,** როდესაც ენის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ღერძთა რომელიღაც წერტილში / წერტილებში ძველი ფორმითა და მნიშვნელობით არის შემორჩენილი ესა თუ ის გრამატიკული ფორმა ან ლექსიკური ერთეული, სხვა წერტილებში კი გარკვეული დროიდან აღარ იხმარება (განსაკუთრებით სალიტერატურო ენაში), ასეთია, მაგალითად, II ხ ო ლ მ ე - ო ბ ი თ ი ს ფორმები აღმოსავლეთი საქართველოს დიალექტებში: მესამე პირის ფორმები ხანმეტი პერიოდიდან მოჰყვებოდა ქართულ ენას; I და II პირთა ფორმები, ე. წ. „შერეული II ხოლმეობითი" (ვიყვიდი, იყვიდი; ვშალიდი, შალიდი...) კი X საუკუნიდან ჩნდება ქართულ სამწერლობო ენაში. ესენი დღემდე იხმარება მთის დიალექტებში, სალიტერატურო ქართულსა და მის ფუძე დიალექტებს კი აღარ ახასიათებს. სხვაც ბევრია შემორჩენილი კლასიკური ძველი ქართულიდან და საშუალო საუკუნეების გრამატიკულ ფორმათაგან მთის დიალექტებში, რომელთაც სალიტერატურო ენა და ბევრი დიალექტი აღარ ხმარობს. მათზე ყურადღებას აღარ გავამახვილებთ, ისინი კარგად არის ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში.

არქაული ლექსიკაც საკმაოდ არის შემორჩენილი მთის დიალექტებში. სანიმუშოდ შეიძლება ავიღოთ ს ტ ა ნ ა ვ „თან ახლავს" ფორმა. „თან ხლების" მნიშვნელობით ამ სიტყვას ვხვდებით გიორგი მთაწმიდლის იოვანე და ეფთჳმე ათონელების ცხოვრების აღწერაში (გ. მთაწმიდელი, 1946): „ხოლო იყო რაჲ თორნიკ აღმოსავლეთს, მრავალნი ფოჩოსანნი და სახელოვანნი მონაზონნი ჩ ა მ ო ი ტ ა ნ ნ ა, სიმრავლე არამცირედი, და ენება, რაჲთა ქართველნი ოდენ იყვნენ მონასტრისა ამის მკჳდრნი" (20, 25). ჩ ა მ ო ი ტ ა ნ ნ ა აქ ნიშნავს „თან იახლა", „თან ჩამოიყოლა" (ისინი).

გ. მთაწმიდლის ამავე ნაშრომშია სიტყვა ჴელოსანი, რომელსაც ა. შანიძის განმარტება ახლავს: **„ჴელოსანი** მონასტრის მართვა-გამგეობის აპარატში შემავალი პირი..." (ა. შანიძე, 1946). ამავე სიტყვას ხევსურულში ა. შანიძე ასეთ განმარტებას აძლევს: **„ჴელოსანი** ა) ხუცესი (ხატში)," ბ) მედროშე (ხატში) „ჴევისბერი, ხუცესი" (ბეს.*)

(2) არქაიზმის მეორე სახეობა, რომელსაც პირობით არატრადიციულად განმეორებად არქაიზმს ვუწოდებთ, გამორიცხავს **დროში უწყვეტობას**. განმეორებადობა ამ შემთხვევაში ემყარება გენეტურ თვისებებს, რომლებიც მუდმივად მოქმედებენ ენაში ხაზობრივად ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით. ასეთი ვითარებიდან გამოსავალი ყოველთვის ერთზე მეტია, რამდენიმეა და შესაძლებელია რომელიმე ვარიანტი როდესმე სადმე განმეორდეს. უფრო ვრცლად: არსებობის ხანგრძლივ დროში შესაძლებელია ენაში მუდმივად არსებული წინააღმდეგობიდან თავის დაღწევის ერთი და იგივე გამოსავალი მოიძებნოს ენის ცვლილების ერთიმეორისგან დაცილებულ პერიოდებში და მისი განფენის ერთიმეორისგან დაცილებულ სხვადასხვა წერტილებში, მაშინ როცა ამ წინააღმდეგობის დაძლევის ასეთი სახის ცდა არ ყოფილა შუალედურ დროულ მონაკვეთებში.

არატრადიციულად განმეორებადი არქაიზმის ტიპურ გამოვლენად მიგვაჩნია სუბიექტური პირველი პირის (S_1-ის) {ვ-} პრეფიქსის მეტათეზისი, ერთი მხრით, ხანმეტ დაჰაემეტ პერიოდებში, მეორე მხრივ, თანამედროვე თუშურ დაშავშურ დიალექტებში. ივარაუდება, რომ არ არსებობს ისტორიული კავშირი ხანმეტ-ჰაემეტი პერიოდებისა და თანამედროვე ქართული დიალექტების მეტათეზისს შორის S_1-ის {ვ-}-სთან დაკავშირებით, ე. ი. არ ივარაუდება ამ ფონეტიკური პროცესის ტრანსლირება V-VIII საუკუნეებიდან მე-20 ან 21-ე საუკუნეებში მათ შორის არსებული საუკუნეების გამოვლით. ეს პროცესი დამოუკიდებლად

* ბეს. — ბესარიონ გაბური.

არის წარმოქმნილი ძველ სამწერლობო ენასა და თანამედროვე დიალექტებში.

ასეთი ვარაუდის საფუძველია ის, რომ {ვ-}-ს ალომორფთა მეტათეზისი აღარ ხდებოდა კლასიკური პერიოდისა (IX-X საუკუნეების) და საშუალი ქართულის სამწერლობო ენაში. რაც შეეხება დიალექტებს, ეს მოვლენა ქართული აღმოსავლური დიალექტებიდან თუშურის სპეციფიკას წარმოადგენს. იგი არ ახასიათებს ფხოური ჯგუფის სხვა დიალექტებს: ხევსურულსა და მოხეურს, არ ახასიათებს იმ დიალექტებსაც, რომლებთანაც თუშურს ისტორიული ხანგრძლივი კავშირი აქვს, კერძოდ: დასავლეთით — ფშაურს, სამხრეთით — კახურს, არ ახასიათებს ფერეიდნულს, რაც იმას ნიშნავს, რომ კახურს არც ისტორიულად ახასიათებდა ეს მოვლენა.

თუშურის ანალოგიური მეტათეზისი ახასიათებს S_1-ის {ვ-}-ს შავშურში. თუშურსა და შავშურს კი რაიმე ურთიერთობა არასოდეს ჰქონიათ. ამ დიალექტებში ეს მოვლენა დამოუკიდებლად არის წარმოქმნილი. დასავლური დიალექტებიდან S_1-ის {ვ-}-ს მეტათეზისი არ ახასიათებს შავშურის მომიჯნავე აჭარულს,* არ ახასიათებს იმერულსა და სამხრულ კილოებს: მესხურსა და ჯავახურს.

აღწერილი ვითარების მიხედვით უნდა დავასკვნათ: S_1-ის {ვ-}-ს მეტათეზისი დამოუკიდებელი სპეციფიკური თვისებაა, ერთი მხრით, ხანმეტი და ჰაემეტი პერიოდების ქართული ენისთვის და, მეორე მხრით, ქართული ენის დიალექტებისთვის: თუშურისა და შავშურისათვის.

ქვემოთ წარმოვადგენთ მასალას, ერთი მხრით, ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტებიდან, მეორე მხრით, თუშური და შავშური მეტყველებიდან.

ხანმეტ და ჰაემეტ პერიოდებში S_1-ისა და O_3-ის კომბინაციაში ხდებოდა მეტათეზისი: S_1-ის ნიშანი {ვ-}** გადადიოდა O_3-ის

---

* შეიძლება ამით განვსაზღვროთ მოვლენის წარმოქმნის მიახლოებითი თარიღი — შავშურში /ვ-/-ს მეტათეზისი **აჭარულთან კავშირის სრული გაწყვეტის შემდეგ** უნდა იყოს წარმოქმნილი.

** ამ პერიოდებში {ვ-}-ს ჰქონდა სამი – ორი ალომორფი: /ვ-/~ /უ/ ~/Ø-/.

/ხ-/ ნიშნის მომდევნოდ. ვამბობთ „ხდებოდა", რადგან კლასიკურ ძველ ქართულში (IX, X საუკუნეებში) და შემდგომ: საშუალი დაახალი ქართულის სამწერლობო ენაში მას ველარ ვხვდებით; ველარ ვხვდებით სამწერლობო ქართულის ფუძე დიალექტებში: ქართლურში, კახურში, იმერულში და სამხრულ დიალექტებში.

კარგად არის ცნობილი, რომ **„ვ(S_1) ყოველთვისაა გადასმული ხანმეტსა და ჰაემეტ ძეგლებში მესამე ობიექტური პირის შემდეგ.** ასეთ შემთხვევაში **ვ**-სმუდამ უმარცვლო უ (უბრჯგუ) ენაცვლება (ხ. ყველგან ჩვენია — თ. უ.): შეხუაბთ ესე კარი: ბოლნ. წარწ. (<*შევხაბთ), აღხუმართე, აღხუმართეთ: უკანაგორის წარწ.; აღჰუმართე: წყისის წარწ. ..." (იმნაიშვილი, 1971, 95). ციტირებას აღარ განვაგრძობთ, ქვემოთ ამავე გვერდიდან წარმოვადგენთ მხოლოდ იმ ზმნურ ფორმებს, რომლებშიც ხდება /ვ-/-ს მეტათეზისის ანალოგიური შემთხვევები, ესენია: **ხუარწმუნოთ, ხუესავთ, დახუდვა, ხუეხილვო, ხურწმენე, აღხუასრულო, დახუბეჭდო, აღხუაგზნე, ხჳტყოდე, ხჳყვენით, მიხუეც, მიხუაგო, აღხუტყორცებ, ხჳტყოდით, მიხუემსგავსნეთ, ხუმადლობდეთ, შეხუწირვიდეთ,** თაყვანის-**ხუცემდეთ, მოჰუგუარე.**

ახლა იმის შესახებ, რატომ ხდება მეტათეზისი პირთა ამ კომბინაციაში (S_1O_3: ***ვ-ხ**-ესავით > **ხ-უ**-ესავთ, **ვ***-**ხ**-არწმუნო > **ხ-უ**-არწმუნო და სხვ.)?

ეს მორფონოლოგიური პროცესია: პირის ნიშანთა მორფოლოგიური თანამიმდევრობა (რანგები) შეცვლილია ფონემატური სისტემის დაწოლით, რომლის მიხედვით არაბუნებრივია /ვხ/ კომბინაცია ერთი მორფემის ფარგლებში, ბუნებრივია შებრუნებული რიგი /ხვ/, რაც გამომდინარეობს ენის ძირითადი ფონემატური სინტაგმატური წესიდან: ბუნებრივია **ჩქამიერი + სონორი,** არ არის ბუნებრივი შებრუნებული რიგი (უთურგაიძე, 1976, 102). ამ წესმა იმოქმედა მორფემათა საზღვარზეც (იხ. გვ. 75).

აღნიშნულ წესთან ერთად მოქმედებს მეორე წესიც: /ვ/ ფონემის ორი ალოფონიდან (ˈვ˥ ~ ˈუ˥) ჩქამიერ თანხმოვანთა მომდევნოდ ძირეულ მორფემებში წარმოდენილია ˈუ˥ ვარიანტი,

სხვა პოზიციებში კი -ʿვ' ვარიანტი (უთურგაიძე, 1969, 12; 1995, 34; 2000, 209). ამ ორი მოვლენის თანამიმდევრულად განხორციელებამ განაპირობა ის, რომ (1) „ვ(S_1) ყოველთვისაა გადასმული ხანმეტსა და ჰაემეტ ძეგლებში მესამე ობიექტური პირის ნიშნის შემდეგ" და (2) „ასეთ შემთხვევაში ვ-ს მუდამ უმარცვლო უ (უბრჯგუ) ენაცვლება".

კლასიკურ ძველ ქართულში, როგორც ზემოთ ვთქვით, მორფოლოგიური რანგობრივი სისტემა აღდგა პირის ნიშანთა განაწილებაში. ა. შანიძის მიერ 1923 წელს გამოქვეყნებულ VIII საუკუნის ჰაემეტ ტექსტებში (ა. შანიძე, 1923) უკვე გვხვდება ერთი მაგალითი კანონიკური ვ-ჰ-(S_1O_3) თანამიმდევრობისა, „მოვიმკი რ˘ი არა დ ა ვ ჰ თ ე ს ი (ლ. XIX, 22; იხ. გვ. 385). კლასიკურ ძველ ქართულში ეს წყობა /S_1O_3/ კომბინაციაში ერთადერთია — ნორმას წარმოადგენს ვ-ჰ-, ვ-ს-, ვ-შ- თანმიმდევრობა: დ ა ვ ჰ ფ ა ლ ქანქარი" (მ. 25. 25), „მე დ ა ვ ჰ დ ე ბ სულსა ჩემსა" (ი. 10. 17); იქვეა ესეც: „სულსა ჩემსა დ ა ვ ს დ ე ბ ცხოვართათჳს" და სხვ.

რადგან უკვე კლასიკურ ძველ ქართულსა და საშუალ საუკუნეებში O_3-ის ნიშნის შემდეგ S_1-ის ნიშნის გადასმა აღარ ხდება, საუკუნეთა განმავლობაში (IX-XXI) {ვ-}-ს მეტათეზისის ტრადიცია მოისპო სამწერლობო ენაში.

მ ო უ ლ ო დ ნ ე ლ ა დ {ვ-}-ს მეტათეზისი ზმნათა ფუძეებში დაიწყო დიალექტებში: თ უ შ უ რ ს ა და შ ა ვ შ უ რ შ ი. თუშურში ეს ა. შანიძემ შეამჩნია მე-20 საუკუნეში, შავშურში კი დაფიქსირებულია XXI საუკუნეში მ. ცინცაძის და მ. ფაღავას მიერ (იხ. კრებული შავშეთი, 2011, 235).

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამ დიალექტებში ეს ინოვაციაა: განხორციელებულია დამოუკიდებლად და არატრადიციულად. დამოუკიდებლად იმიტომ, რომ პირის ნიშნებით ხევსურული და თუშური აბსოლუტურად ემთხვევიან ერთიმეორეს: S_1 – გადმოიცემა /ვ-/ პრეფიქსით, O_3-ს კი 7 ალომორფი აქვს ორივეგან (ზ-~ს-~ჟ-~შ-~ღ-~ხ-~Ø-). ესენი კარგად არის ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში. ეს ორი დიალექტი ამ ნიშანთა დისტრიბუციით განსხვავდებიან მხოლოდ, როცა მიცემით ბრუნვაში დასმული პირდაპირი ობიექტის გამოხატვაა საჭირო I

სერიაში: თუშური **l** სერიაში ობიექტის ნიშნებს ყოველთვის ინარჩუნებს (**ს**წერს ~ დას**ს**წერს, **ხ**კრეფს ~ და**ხ**კრეფს, **ღ**ბერავს ~ გა**ღ**ბერავს...), ხევსურული კი, მსგავსად ძველი ქართულისა, ამ ნიშანთა მარკირებას ახდენს მხოლოდ ზმნისწინიან ფორმებში (წერს ~ დასწერს, კრეფს ~ დახკრეფს, ბერავს ~ გაღბერავს...). ამის მიზეზი ძველ ქართულსა და ხევსურულში მორფონოლოგიური ცვლილებაა. O_3-ის ნიშნები (ალომორფები) შეუთავსებელია პაუზისმომდევნოდ (სიტყვის თავში) ფუძისეულთანხმოვანთან ფონემატურად, ამიტომ იკარგება უზმნისწინო ფორმებში, ზმნისწინიანებში O_3-ის ნიშანი მარცვალში მიჰყვება ზმნისწინის ხმოვანს, რითაც აცილებულია ფონემატური შეუთავსებლობა.

თუშურში გამძლე აღმოჩნდა მორფოლოგიური რანგობრივი სისტემა და ამიტომ O_3-ის ნიშნები ყველა პოზიციაში შენარჩუნებულია.

ხევსურულისგან განსხვავებით, თუშურმა უზმნისწინო ფორმებში S_1-ის /ვ-/-ს დისტრიბუციაშიც გამოიჩინა თავისებურება: ჩქამიერთა წინ ფონემატურად არაბუნებრივი /ვ-/ გადასვა ფუძის შიგნით ბუნებრივ ადგილზე — ჩქამიერი თანხმოვნის მომდევნოდ (ვტირი > ტვირი, ვდნები > დვნები და სხვ.).

ანალოგიურია ვითარება შავშურში: „მემრეც გამოვაცხობთ, ჭვამთ" (ფორმა დადასტურებულია მრავალგზის); „ვერ ხვედავ", „აქაც თვესავთ" (მ. ცინცაძე, მ. ფაღავა, 2001, 235).

ადგილგადანაცვლებული S_1-ის /ვ-/ უმრავლეს შემთხვევაში მოქცეულია C—V პოზიციაში (სადაც C ჩქამიერი თანხმოვნის სიმბოლოა). S_1-ის /ვ-/-ს მეტათეზისის პროცედურის მიხედვით ძველი ქართულის ხანმეტ და ჰაემეტ სამწერლობო ენასა და თანამედროვე დიალექტებს შორის ის განსხვავებაა, რომ ძველ ქართულში ეს ხდებოდა მხოლოდ ორ- და სამპირიან ზმნებში, სადაც /ვ-/ გადადიოდა O_3-ის /ხ-/-ს (resp. /ჰ-/-ს) შემდეგ, მიუხედავად იმისა, O_3-ს რა ფონემა მოსდევდა (უმეტეს შემთხვევაში ეს იყო

ხმოვანი ხ-უ-ესავ ტიპისა), ე. ი. მთავარი იყო ფონემატური სინტაგმატური წესი არ დარღვეულიყო პირის ნიშნებს შორის, დიალექტებში კი S_1-ის /ვ-/ ზმნათა ფუძეებში ირჩევს ფონემატურად შესაფერის ადგილს და ანგარიშს არ უწევს ობიექტის ნიშანს. ამიტომ ამ ორ დიალექტში /ვ-/-ს მეტათეზისი შეიძლება ერთპირიან ზმნებშიც მოხდეს.

გადავდივართ მასალის ჩვენებაზე თუშურში და მეტათეზისის მორფონოლოგიური მიზეზების ახსნა-განმარტებაზე. ქვემოთ წარმოვადგენთ ა. შანიძის მიერ 1913 წელს თუშურ დიალექტში დაფიქსირებულ შემთხვევებს (ა. შანიძე, 1981, § 70).

ორპირიანი გარდამავალი ზმნები I სერიაში

ხვველავ ~ ხვველევდე „ვპოულობ ~ ვპოულობდი", ხყვიდი ~ ხყვიდით, ზდვებ ~ ზდვებდე, შჭვამ ~ შჭვამდე, შრვეჩ (ვშრეჩ) „ვრეჩავ".

ერთპირიანი ზმნები I სერიაში

ტვირი ~ ტვიროდე „ვტირი ~ ვტიროდი" ჯვავრობ ~ ჯვავრობდე, დვნები ~ დვნებოდე, დვაობ ~ დვაობდე, დგვები ~ დგვებოდე.

არ ხდება მეტათეზისი

ვხფარავ, ვღბარავ; ვღლოცავ ~ ვღლოცევდე, ვღლესავ; ვხქსოვ; ვხკითხე, ვხკითხიდი, ვხკითხავ.

პარადიგმაში „შრვეჩ (ვშრეჩ)" ფორმების ერთიმეორის გვერდით არსებობა იმაზე მიგვითითებს, რომ თუშურში ისინი თავისუფლად ენაცვლებიან ერთიმეორეს. ა. შანიძის ჩაწერილ ტექსტებში (ემთხვევა პარადიგმების შედგენის დროს) რომ მხოლოდ ერთი მაგალითი გვხვდება /ვ-/-ს მეტათეზისისა, ისიც ლექსში („იარაღი ხ ყ ვ ა რ ე თ ძირსა", ა. შანიძე, 1984, 258, 22), მიგვივითებს იმაზე, რომ ამ მეტათეზისს უთუოდ რესპონდენტებიც აცნობიერებდნენ და „ოფიციალურ" ვითარებაში არჩევდნენ კახურსა და სამწერლობო ენაში მიღებულ ფორმებს, რომლებშიც /ვ-/ წარმოდგენილია თავის რანგში, ისე, როგორც ზმნისწინიან ფორმებში (და-ვ-დნი ~ დავდნებოდე და არა დადვნი ~ დადვნებოდე, გავხყიდი და არა გახყვიდი...).

უდავოა ა. შანიძეს ეს პარადიგმები გამოკითხვა-ჩაკითხვებით აქვს შედგენილი და არა მის მიერ ჩაწერილი ტექსტების მიხედვით. /ვ-/-ს მეტათეზისიანი ფორმები, ასე ვთქვათ, შინაური მოხმარებისთვის იყო დიალექტში, სხვა შემთხვევებში არჩევდნენ უმეტათეზისო ფორმებს, რადგან ესეც არ იყო მათთვის უცხო, სწორედ ამიტომ ვერ მოხვდნენ ისინი თუშური ტექსტების შემგროვებელ-ჩამწერთა მასალაში (თვით ა. შანიძის მასალაშიც).

უმეტათეზისო ფორმების ბუნებრიობა უკავშირდება იმ ფორმებს, რომლებშიც ფონემატური მოთხოვნითაც /ვ-/-ს ადგილი არ უნდა შესცვლოდა (იხ. ქვემოთ) და აღნიშნულ ზმნათა ზმნისწინიან ფორმებს, რომლებშიც აგრეთვე თავის რანგში რჩებოდა /ვ-/ (**დავდნები** და არა დ ა დ ვ ნ ე ბ ი, **გავხყიდი** და არა გ ა ხ ყ ვ ი დ ი...) ფონემატურივე წესების მოთხოვნით. ამას ემატებოდა ისიც, რომ კახურ დაილექტთან მჭიდრო ურთიერთობით მათთვის უცხო არ იყო უმეტათეზისო ფორმები და არაშინაურულ გარემოში ამ ფორმებს აძლევდნენ უპირატესობას.

ახლა იმის შესახებ, რა იწვევს S_1-ის /ვ-/-ს მეტათეზისს, სად ხდება იგი და სად არ არის საჭირო „შინაურ მეტყველებაში".

მიზეზი S_1-ის /ვ-/-ს მეტათეზისისა იგივეა, რაც ხანმეტ და ჰაემეტ პერიოდებში იყო: იგი თუშურშიც პაუზის მომდევნოდ (სიტყვის თავკიდურად) არაბუნებრივ კომპლექსებს ქმნიდა O_3-ის ალომორფებთან და ფუძისეულ თანხმოვნებთან. ა. შანიძის პარადიგმების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არაბუნებრივია ერთი მორფემის ფარგლებში /ვხ/, /ვტ/, /ვჯ/, /ვდ/, /ვს/, /ვზ/, /ვშ/ კომპლექსები სიტყვის თავკიდურად, ამიტომ ყველგან /ვ-/ (S_1) გადაჯდა **თავის ადგილზე** — ჩ ქ ა მ ი ე რ ი თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ი ს მ ო მ დ ე ვ ნ ო დ (ვტირი > ტვირი, ვჯავრობ > ჯვავრობ, ვდნები > დვნები,* ვდგები > დგვები,** ვხჯელავ > ხჯველავ,*** ვხყიდი > ხყვიდი, ვზდებ > ზდვებ, ვშჭამ > შჭვამ).

---

* სონორთა მომდევნოდ /ვ/ არაბუნებრივია ერთი მორფემის ფარგლებში, ბუნებრივია /ნ, რ, ლ/ სონორთა წინ (უთურგაიძე, 1976, 102).

** /ვ-/ ვერ დაჯდებოდა /დ/-ს მომდევნოდ, რადგან მაშინ არაბუნებრივი /ვგ/ ნარმოიქმნებოდა.

*** ობიექტის ნიშანი ადგილს არ იცვლის, როგორც ძველ ქართულში. ზმნის ერთ ფორმაში ერთდროულად S_1-ისა და O_3-ის ნიშნებისთვის ფონე-

რატომ არ ხდება /ვ-/-ს მეტათეზისი ა. შანიძის პარადიგმათა რიგ ფორმებში?

(ა) **ვხფარავ, ვღბარავ** ფორმებში ვერ მოხდებოდა /ვ-/-ს მეტათეზისი, რადგან მივიღებდით ბაგისმიერთა არაბუნებრივ კომპლექსებს: /ვფ/-სა და /ბვ/-ს.

(ბ) **ვღლოცავ** და **ვღლესავ** ფორმებში რომ /ვ-/-ს მეტათეზისი მომხდარიყო, მივიღებდით არაბუნებრივ /ლვ/ კომპლექსს.

(გ) **ვხქსოვ** ფორმაში /ო/-ს წინ /ვ-/-ს ჩავარდნა ემუქრებოდა, რაც გამოიწვევდა I და II პირთა ფორმების დამთხვევას; /ქ/-ს მომდევნოდ კი /ვ-/-ს გადასმა არ შეიძლებოდა, რადგან მომდევნო /ს/-სთან შექმნიდა არაბუნებრივ /ვს/ კომპლექსს.

(დ) **ვხკითხე** ფორმის პარალელურად დასაშვებია **ხკვითხე** ფორმაც. ა. შანიძეს აქ მხოლოდ ერთი ფორმა დაუფიქსირებია. ჯობდა, როგორც ჩვეჩ (ვჩეჩ) ფორმათა აღნიშვნისას, აქაც ჩაეწერა **ვხკითხე** (**ხკვითხე**).

(ე) ზმნისწინიან ფორმებში S_1-ის /ვ-/ ექცევა ზმნისწინის ხმოვნის მარცვალში, რითაც აცილებულია ფონემატური შეუთავსებლობა მომდევნო თანხმოვანთან, რომელიც სხვა მარცვალს განეკუთვნება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი: პირის ნიშანთა ცვლილებები, რასაც ვხედავთ სამწერლობო ენასა და დიალექტებში, მორფონოლოგიურ ცვლილებათა შედეგია: მოქმედებს ასიმილაცია ბგერათა წარმოების ადგილის მიხედვით, ასიმილაცია სახმო სიმთა მოქმედების მიხედვით; უცხო არ არის პირის ნიშნის ჩავარდნაც. ერთ-ერთი ცდა პირის ნიშანთა ფონემატური შეგუებისა ერთიმეორესთან და ზმნის ფუძესთან მიმართებაში არის /ვ-/-ს მეტათეზისი, რომელსაც ენის შინაგანი მოთხოვნილებით დამოუკიდებლად იყენებდნენ უძველესი დიალექტები და იყენებენ თანამედროვე დიალექტებიც.

მატურად ბუნებრივი ადგილის მოძებნა ნარმოუდგენელ სიძნელეებს შექმნიდა. უმრავლეს შემთხვევაში შეუძლებელია.

Oᵈᵖ {-ენ} (/-ენ/~/-ნ/) და Oᵈᵖ{-თ} (/-თ/~/-Ø/) იდენტური მნიშვნელობის სუფიქსთა გრამატიკული ღირებულებისათვის

{-ენ} და {-თ} სუფიქსთა ხმარება პირდაპირი ობიექტის სიმრავლის გამოსახატავად ქართულ სამწერლობო ენაში ქრონოლოგიურად განსხვავებულია: {-ენ} ძველი და საშუალო ქართულის დასაწყისი პერიოდისაა, {-თ} კი – საშუალი ქართულის ბოლო პერიოდისა (დაახლოებით XVI საუკუნიდან) და ახალი ქართულისა. „ვეფხის ტყაოსნის" მე-17, მე-18 საუკუნეთა ხელნაწერებში არც თუ ისე იშვიათად ვხვდებით /-თ/-ს ირიბი და პირდაპირი ობიექტის სიმრავლის აღსანიშნად, მაგალითად: „თუ რა ოდეს შეღაგცოდოთ, მაშინ მომკალ..." ეუბნება რამაზი ინდოთა სამეფო კარის წარმომადგენლებს (JT, 475₄). აქ /-თ/ ირიბი ობიექტის სიმრავლეს გამოხატავს.

„თქვენ დაგხოცთ თქვენი პატრონი..." ეს კი ნესტან-დარეჯანის სიტყვებია (I, 1194₂). აქ /-თ/ პირდაპირი ობიექტის სიმრავლეს გამოხატავს. რა თქმა უნდა, ეს /-თ/ დედანს არ ეკუთვნის არც ერთგან.

შეიძლება ენაში გამოყენების მიხედვით გამოგვეყო Oᵈᵖ {-ენ} და Oᵈᵖ{-თ} პერიოდები. Oᵈᵖ ინდექსი გამოხატავს პირდაპირ ობიექტს მრავლობით რიცხვში.

ჩვენი შემდგომი მსჯელობა ეხება სიმრავლის სახელურ და ზმნურ ფორმანტთა პარადიგმატულ და სინტაგმატურ მიმართებებს ქართულ ენაში, მათი ამ ფუნქციით (მრავლობითობის გამოხატვის უნარით) გამოყენების კანონზომიერებებს. არის ცდა, ხანმეტი პერიოდიდან დღემდე გამოვყოთ სინტაგმატურ კანონზომიერებათა განსხვავებული სახეები ქრონოლოგიური თანამიმდევრობით.

დისტრიბუციულად Oᵈᵖ{-ენ} და Oᵈᵖ{-თ} ორ ვარიანტს გვიჩვენებენ დროის ვერტიკალურ ღერძზე: ძველ ქართულში {-ენ} იყო გაბატონებული, ახალ ქართულში {-ენ}-ის ადგილი ყველგან

{-თ}-მ დაიჭირა (დაგმალ-**ენ** მე **თქუენ**; შდრ. დაგმალე-**თ** მე **თქვენ**).

O^{ძp} მარკერთა ცვლილების ფონზე არსებითი ხდება საერთოდ ზმნურ აქტანტთა მრავლობითობის გამოხატვის დინამიკა თვით ზმნათა ფორმებში ხილულ პერიოდსა (V-XXI სს.) და უფრო ადრეულ საფეხურზეც შინაგანი რეკონსტრუქციის ჩვენების მიხედვით.

O^{ძp}{-ენ} ძველ ქართულში

უპირველეს ყოვლისა, ძველ ქართულში O^{ძp}{-ენ} მხოლოდ II სერიის ყველა მწკრივში და III სერიის სამ მწკრივში იხმარება. მას არ იყენებენ I სერიის მწკრივები და I თურმეობითი III სერიიდან.

	წყვეტილი	
	SO$_3^{ძp}$	SpO$_3^{dp}$
I	და-ვ-მალ-**ენ**	და-ვ-მალ-**ენ**-თ // და-ვ-მალ-**ენ**-ი-თ
II	და-ხ-მალ-**ენ**	და-ხ-მალ-**ენ**-თ // და-ხ-მალ-**ენ**-ი-თ
III	და-მალ-**ნ**-ა	და-მალ-**ნ**-ეს

ძველი ძეგლების მიხედვით უფრო გავრცელებულია **-ენ-ი-თ** დაბოლოება, სადაც **ი** ანაპტიქსური ხმოვანია (ჩიქობავა, 2010, 27). ეს **ი** ჩნდება სონორისა (/ნ/) და ჩქამიერი თანხმოვნის (/თ/) არაბუნებრივი კომპლექსის დასაშლელად პაუზის წინ (უთურგაიძე, 1976, 97, 100).

	კავშირებითი მეორე	
	SO$_3^{dp}$	SpO$_3^{ძp}$
I	და-ვ-მალ-**ნ**-ე	და-ვ-მალ-**ნ**-ე-თ
II	და-ხ-მალ-**ნ**-ე	და-ხ-მალ-**ნ**-ე-თ
III	და-მალ-**ნ**-ე-ს	და-მალ-**ნ**-ე-ნ

	ხოლმეობითი II	
	SO$_3^{dp}$	SpO$_3^{dp}$
I	და-ვ-მალ-**ნ**-ი	და-ვ-მალ-**ნ**-ი-თ
II	და-ხ-მალ-**ნ**-ი	და-ხ-მალ-**ნ**-ი-თ
III	და-მალ-**ნ**-ი-ს	და-მალ-**ნ**-ი-ან

ბრძანებითი მეორე

	SO_3^{dp}	$S^pO_3^{dp}$
I	————	და-ვ-მალ-**ნ**-ე-თ
II	და-მალ-**ენ**	და-მალ-**ენ**-თ // და-მალ-**ენ**-ი-თ
III	და-მალ-**ენ**-ი-ნ	და-მალ-**ნ**-ედ

III სერია

III სერიის ოთხი მწკრივიდან მხოლოდ სამ მწკრივში ჩნდება O^{dp}{-ენ} სუფიქსი. ამ ფორმებში {-ენ} ჭარბი ელემენტია: სიმრავლის S^p ელემენტებთან (-ეს, -ნ, -ან, -თ) ერთად /-ენ/~/-ნ/ სუბიექტური აქტანტის სიმრავლზე მიუთითებენ დამატებით, მაშასადამე ხდება {-ენ}-ის ფუნქციის შენაცვლება: O^{dp}{-ენ} / S^p {-ენ}. ამ შენაცვლების საფუძველია სუბიექტად ინიციატორი აქტანტის მიჩნევა: I და II სერიების პირდაპირი ობიექტი იმიტომ იღებს სუბიექტის სტატუსს III სერიაში, რომ წარსულში ჩადენილი ქმედება შემდგომ დროში სწორედ პირდაპირი ობიექტით, ანუ ქმედების შედეგით ხდება საცნაური.

თურმეობითი მეორე

	$S_3^pO^d$	$S_3^pO^{dp}$
I	და-მ-ე-მალ-**ნ-ეს** (მე **ოგინი**)	და-გუ-ე-მალ-**ნ-ეს** (ჩუენ **ოგინი**)
II	და-გ-ე-მალ-**ნ-ეს** (შენ **ოგინი**)	და-გ-ე-მალ-**ნ-ეს** (თქვენ **ოგინი**)
III	და-ხ-ე-მალ-**ნ**-ეს (მას **ოგინი**)	და-ხ-ე-მალ-**ნ-ეს** (მათ **ოგინი**)

$S_2^pO_1^d$	და-მ-ე-მალ-**ნ**-ე-**თ** (**თქუენ** მე)
$S_2^pO_1^{dp}$	და-გუ-ე-მალ-**ნ**-ე-**თ** (**თქუენ** ჩუენ)
$S_2^pO_3^d$	და-ხ-ე-მალ-**ნ**-ე-**თ** (**თქუენ** მას)
$S_2^pO_3^{dp}$	და-ხ-ე-მალ-**ნ**-ე-**თ** (**თქუენ** მათ)

{-თ} სუფიქსი ძველ ქართულში სიმრავლის ნიშნად მხოლოდ სუბიექტურ პირს მოუდიოდა. III სერის ერთი ფორმის ფარგლებში {-ენ} და {-თ} ერთი და იმავე აქტანტის სიმრავლეს გამოხატავდნენ. ეს აქტანტი სუბიექტია.

კავშირებითი მესამე

	S_3PO^d	S_3PO^{dp}
I	და-მ-ე-მალ-**ნ**-ე-**ნ** (მე **იგინი**)	და-გუ-ე-მალ-**ნ**-ე-**ნ** (ჩუენ **იგინი**)
II	და-გ-ე-მალ-**ნ**-ე-**ნ** (შენ **იგინი**)	და-გ-ე-მალ-**ნ**-ე-**ნ** (თქვენ **იგინი**)
III	და-ხ-ე-მალ-**ნ**-ე-**ნ** (მას **იგინი**)	და-ხ-ე-მალ-**ნ**-ე-**ნ** (მათ **იგინი**)

$S_2PO_1^d$	და-მ-ე-მალ-**ნ**-ე-**თ** (მე **თქუენ**)
$S_2PO_1^{dp}$	და-გუ-ე-მალ-**ნ**-ე-**თ** (ჩუენ **თქუენ**)
$S_2PO_3^d$	და-ხ-ე-მალ-**ნ**-ე-**თ** (მას **თქუენ**)
$S_2PO_3^{dp}$	და-ხ-ე-მალ-**ნ**-ე-**თ** (მათ **თქუენ**)

ხოლმეობითი მესამე

	S_3PO^d	S_3PO^{dp}
I	და-მ-ე-მალ-**ნ**-ი-**ან** (მე **იგინი**)	და-გუ-ე-მალ-**ნ**-ი-**ან** (ჩუენ **იგინი**)
II	და-გ-ე-მალ-**ნ**-ი-**ან** (შენ **იგინი**)	და-გ-ე-მალ-**ნ**-ი-**ან** (თქვენ **იგინი**)
III	და-ხ-ე-მალ-**ნ**-ი-**ან** (მას **იგინი**)	და-ხ-ე-მალ-**ნ**-ი-**ან** (მათ **იგინი**)

$S_2PO_1^d$	და-მ-ე-მალ-**ნ**-ი-**თ** (მე **თქუენ**)
$S_2PO_1^{dp}$	და-გუ-ე-მალ-**ნ**-ი-**თ** (ჩუენ **თქუენ**)
$S_2PO_3^d$	და-ხ-ე-მალ-**ნ**-ი-**თ** (მას **თქუენ**)
$S_2PO_3^{dp}$	და-ხ-ე-მალ-**ნ**-ი-**თ** (მათ **თქუენ**)

III სერიაში რთული დროული მიმართებებია: აქ ერთიმეორეს ხვდებიან ანწარსული და აწმყო დრო (თურმეობითი პირველი), ან განსხვავებული წარსული ორი დრო. ორსავე მიმართებაში ქმედება ჩადენილია წინმსწრებ დროში, რაც საცნაური ხდება ამ ქმედების შედეგით, ანუ **პირდაპირი ობიექტით**, იმით, რაც ქმედების შედეგად წარმოიქმნება (აღმიშნებიეს სახლი, აღგიშნებიეს სახლი...). სწორედ ეს აძლევს ძველ ქართულსა და თანამედროვე ქართულშიც ინიციატორის ფუნქციას I და II სერიების პირდაპირ ობიექტს III სერიის პერფექტულ ფორმებში და რიცხვიც, ბუნებ-

რივია, ეწარმოება როგორც სუბიექტს (აღმიშ**ნ**ები-**ან** სახლ**ნ**ი, აღგიშ**ნ**ები-**ან** სახლ**ნ**ი; აღმეშ**ნ**-**ნ-ეს** სახლ**ნ**ი და სხვ.).

ძველ ქართულში სიმრავლის საკუთარი ნიშანი (პირთან საზიაროდ) მხოლოდ O$_{1}^{\text{ძp}}$-ს უჩნდებოდა ყველა მწკრივში; რაც შეეხება O$_{2}^{\text{ძp}}$-სა და O$_{3}^{\text{ძp}}$-ს, I და III სერიათა მწკრივებში მათ სიმრავლე არ გამოეხატებოდათ: **გუ**-ხედავ (**ჩუენ** შენ), მაგრამ გ-ხ ე დ ა ვ ს (თქუენ ის), გ ხ ე დ ა ვ (თქუენ მე); შდრ. გ-ხედავს (შენ ის) და გ-ხედავ (შენ მე), მაგრამ ფაქტია ისაც, რომ „გ ხ ე დ ა ვ მე თქუენ“ წინადადებაში „გხედავ“ დაკავშირებულია მრავლობითი რიცხვის მქონე ობიექტთან (გხედავ თქუენ – კ ა ც თ ა). როგორც ფორმათა ისტორია გვიჩვენებს, გ ხ ე დ ა ვ თ ქ უ ე ნ უძველესი სინტაქსური წყვილია, რასაც გვაფიქრებინებს ძველ ქართულის „მ ხ ე დ ა ვ ჩ უ ე ნ“ წყვილი. მაშასადამე, თავდაპირველად სავარაუდებელია: (შენ) მ ხ ე დ ა ვ (ჩუენ), (იგი) მხედავს (ჩუენ). ეს ფორმები დადასტურებულიც არის, მათ ძველ ქართულში დაშვება არა სჭირდებათ. შესაბამისად თქმულისა, უღლების პარადიგმა ასე იმართებოდა:

ი გ ი მ ხ ე დ ა ვ ს **ჩ უ ე ნ**
ი გ ი გ ხ ე დ ა ვ ს **თ ქ უ ე ნ**
ი გ ი ხ ე დ ა ვ ს **მ ა თ**

ამ პარადიგმამ ძველ ქართულში გარდაქმნა დაიწყო მხოლოდ I პირში: მ-ხედავს ჩ უ ე ნ წყვილს გაუჩნდა პარალელური **გუ**-ხედავს ჩ უ ე ნ. გ უ ხ ე დ ა ვ ს არასოდეს მიემართებოდა მხოლ. რიცხვის **მე** ნაცვალსახელს (არ არსებობდა „ი გ ი გ უ ხ ე დ ა ვ ს **მე**“).

აქტივთა II სერიის ფორმებში პირდაპირი ობიექტის სიმრავლის მარკირება, თუ პირველი სერიის ფორმებს გავითვალისწინებთ, მეორეული მოვლენა ჩანს: ჯერ უნდა ყოფილიყო პირდაპირი ობიექტის ც ა ლ მ ხ რ ი ვ ი მ ა რ კ ი რ ე ბ ა შემასმენლისა და პირდაპირი დამატების წყვილში: */დავხატე სახლ**ნ**ი/, */დახატა სახლნი/... ანუ სიმრავლის ნიშანს წინადადებაში მხოლოდ პირდაპირი დამატება ატარებდა, როგორც ეს არის **-ებ** სუფიქსიან დამატებებთან: /დახატა სახლები/. შემდგომ პერიოდში, რომელსაც ძველი ქართული ასახავს, პირდაპირი ობიექტის სიმრავლის

მარკირება შემასმენელშიც ხდება, როცა ეს ობიექტი **-ნ** სუფიქსიან მრავლობითში დგას. ამისთვის ენამ გამოიყენა სუბიექტის სიმრავლის **-ენ** სფიქსი (ხატვ-**ენ**, წერ-**ენ**...) (ჩიქობავა, 2010, 33).

მრავლობითის **-ებ** საერთო ზანურ-ქართულ დონეზე რეკონსტრუირდება, როგორც ამავე მნიშვნელობის **-ნ** სუფიქსი.

მეგრული /თიქ დო-მ-ხანტ-ეს ჩქი/ „მან დამხატნა ჩუენ“ წინადადებაში **მ-** გამოხატავს პირდაპირი ობიექტის პირს; სუბიექტის სიმრავლის **-ეს** სუფიქსი ამ წინადადებაში პირდაპირი ობიექტის მხოლოდ მრავლობით რიცხვს გამოხატავს (სუბიექტის ნიშნად **-ეს** პირსაც გამოხატავს და ამ პირის მრ. რიცხვსაც). მოდელური თვალსაზრისით ძველი ქართულის /მან დამხატნა ჩუენ/ და მეგრული /თიქ დომხანტეს ჩქი/ ერთნაირი აგებულებისაა: ორივეგან **მ-** პირდაპირ ობიექტს გამოხატავს, მის სიმრავლეს კი, მეგრულში სუბიექტის **-ეს** სუფიქსი, რეინტერპრეტირებული რიცხვის ნიშნად, გამოხატავს და **-ნ** სუფიქსი ქართულში, ე. ი. ობიექტი პირისა და მრავლობითი რიცხვის გამოხატვაში სუბიექტის მსგავს მოდელზე გადავიდა: **პირი და მრ. რიცხვი განსხვავებული აფიქსებით გამოიხატა** [შდრ. /თქუენ და-ს-წერე-**თ** წერილი/ და /მე შთა-**გ**-წერ-**ენ** თქუენ წერილსა შინა/: **ს-** პრეფიქსი და **-თ** სუფიქსი სუბიექტურ მეორე პირსა და მრ. რიცხვს გამოხატავენ (S_2^p), **გ-** პრეფიქსი და **-ენ** სუფიქსი კი – ობიექტურ მეორე პირსა და მის მრ. რიცხვს (O_2^{dp})].

რაც შეეხება სახელთა მრავლობითის განსხვავებულ მაწარმოებელთა ასახვას ზმნის ფორმებში, ანუ **ფორმალურად განსხვავებულ სინტაქსურ კავშირებს**, ეს სხვა პრობლემის ნაწილია, რასაც კავშირი არა აქვს მრავლობითის **-ნ/-თ** სუფიქსთა და **-ებ** სუფიქსის, როგორც მრავლობითი რიცხვის ნიშანთა, მნიშვნელობასთან, ანუ /კაცები ხატავს/ და /კაცნი ხატვენ/ შესიტყვებებში „კაცები“ და „კაცნი“ სუბიექტის სიმრავლის იდენტურ გაგებას ატარებენ, ისევე როგორც ობიექტები /კაცები დახატა/ და /კაცნი დახატნა/ შესიტყვებებში, მიუხედავად მათთან დაკავშირებულ ზმნათა განსხვავებული ფორმებისა.

ძველი ქართული ვითარების სრული აღწერისთვის საჭიროა ესეც: $S_1O_2^d$ და $S_2O_1^d$ კომბინაციებში სუბიექტის პირი ნულოვანი ალომორფებით წარმოდგება: გ-ხედავ მე (S_1) შენ (O_2^d), მ-ხედავ შენ (S_2) მე (O_1^d). ამ კომბინაციებში სუბიექტურ პირთა სიმრავლე უთუოდ **-თ** სუფიქსით უნდა აღნიშნულიყო: გ-ხედავ-**თ ჩუენ** (S_1^p) შენ და მ-ხედავ-**თ თქუენ** (S_2^p) მე. მხოლოდ $S_2^pO_1^{dp}$ კომბინაციის შემთხვევაში იყო შესაძლებელი ორივე პირის სიმრავლის გამოხატვა: გუ-ხედავ-თ [თქუენ (S_2^p) ჩუენ (O_1^{dp})], რომელსაც წინ უძღოდა და რომლის წარმოქმნამდეც ერთადერთი იყო ფორმა მ-ხედავ-თ [თქუენ (S_2^p) ჩუენ (O_1^{dp}).

იმ სისტემისთვის, რომელიც ძველ ქართულს უძღოდა წინ, სავარაუდებელია ისეთი პარადიგმები, რომლებშიც პირთა სიმრავლე აქტანტების რეალური ფორმით გადმოიცემოდა, ზმნის ფორმა კი მხოლობითი და მრავლობითი რიცხვებისთვის საზიარო იყო, კერძოდ I სერიაში: მხედავს მე (O_1^d)/ ჩუენ (O_1^{dp}), გხედავს შენ (O_2^d)/ თქუენ (O_2^{dp}), ხედავს მას (O_3^d)/ მათ (O_3^{dp}); მხედავ მე (O_1^d)/ ჩუენ (O_1^{dp}), გხედავ შენ (O_2^d)/ თქუენ (O_2^{dp}); ვხედავ მას (O_3^d)/ მათ (O_3^{dp}), ხხედავ მას (O_3^d)/ მათ (O_3^{dp}). აქ წარმოდგენილი ფორმებიდან ყველა რეალურია ძველ ქართულში, მაშასადამე მათ არც წინა პერიოდისთვის სჭირდება რეკონსტრუქცია – ისინი იმ დროსაც ივარაუდებიან.

ძველ ქართულში მხოლოდ O_1^{dp}-ს გაუჩნდა სიმრავლის ნიშანი პირთან შერწყმით. ზემოთ წარმოდგენილი O_1^{dp}-ის შემცველი ფორმების პარალელურად ჩნდება გუ- პრეფიქსიანი ფორმები. **გუ-** პირველ პირთან ერთად ამ პირის სიმრავლესაც გამოხატავდა, ესენი ახალი ფორმებია: **გუ**-ხედავს იგი **ჩუენ** ($S_3O_1^{dp}$), **გუ**-ხედავ შენ **ჩვენ** ($S_2O_1^{dp}$)...

თუ I სერიის ფორმათა მიხედვით ვიმსჯელებთ, II სერიაში ძველ ქართულამდე, სავარაუდებელია: მ-იხილა მე/ჩუენ, გიხილა შენ/თქუენ იხილა იგი / იგინი (შდრ. /ვ-წერ-**თ** ჩუენ წერილს/, /ვ-წერე-**თ** ჩუენ წერილი/ – სუბიექტის პირი და მრ. რიცხვი ცალ-ცალკე ერთნაირად იყო გაფორმებული I და II სერიებში).

ობიექტურ პირთა ზემოთ წარმოდგენილ პარადიგმაში რეკონსტრუირებულია ის ზმნური ფორმები, რომლებშიც პირდაპირი ობიექტი წარმოდგენილი იყო -ნ სუფიქსიან მრავლობით რიცხვში, ესენია: (მან) *მიხილა ჩუენ, (მან) *გიხილა თქუენ და (მან) *იხილა იგინი. მათ ადგილზე ძველ ქართულში გაჩნდა (მან) მიხილ-**ნ**-ა (ჩუენ), (მან) გიხილ-**ნ**-ა (თქუენ), (მან) იხილ-**ნ**-ა **იგინი**. ამათ დაემატება $S_1O_2^{dp}$ და $S_2O_1^{dp}$ კომბინაციები: გიხილ-**ენ** (მე) **თქუენ**, მიხილ-**ენ** (შენ) **ჩუენ** (// გუ-იხილ-ენ).

ინოვაცია განხორციელდა ძველ ქართულში: სუბიექტის **-ენ** სუფიქსმა, რომელიც ამ აქტანტის პირსა და მრ. რიცხვს გამოხატავდა, ობიექტური პირის ნიშნის გვერდით მხოლოდ ამ პირის სიმრავლე გამოხატა (შდრ. მეგრულის **-ეს** სუფიქსი ობიექტური წყობის ზმნებში).

ზემოთ წარმოდგენილ ვარაუდს ძველი ქართულის ინოვაციური ცვლილების შესახებ II სერიაში – პირდაპირი ობიექტის მარკირებას ზმნის ფორმაშიც მხარს უჭერს დასავლურ დიალექტებში ჩვენ თვალწინ (ანუ ხილულ პერიოდში) ამავე მოდელით პირდაპირი ობიექტის სიმრავლის გამოხატვა გარდამავალ ზმნათა ფორმებში, როგორიცაა: „რა დაგაწვენ**ენ** ახლა“ (თქვენ), „რამ გადაგრი**ენ**, ბაღნებო“... (ჯორბენაძე, 1989, 529); აქვეა იმერული დიალექტის მასალა: გიტაცებ**ენ** ის თქვენ (გვ. 475) და გაგიტაც**ენ** (მან თქვენ) (გვ. 476)...

როგორც ითქვა, O_1^{dp}-ის მარკირება ზმნათა ფორმებში უკვე ძველ ქართულში განხორციელდა და **შემდგომ პერიოდში** – საშუალ და ახალ ქართულში მარკირების პროცესი გაგრძელდა პარადიგმის მთელ სივრცეზე: ენის მორფოლოგიურმა სისტემამ განაგრძო პირდაპირი ობიექტის სიმრავლის მარკირება სუბიექტის **-თ** სუფიქსით პარადიგმის სხვა წევრებში – II და III პირებში განურჩევლად სერიისა: /ჩვენ გვხატავს, თქვენ გხატავს**თ**, მათ ხატავს**თ**/. საშუალ ქართულში იყო ტენდენცია, **გუ-** პრეფიქსი მხოლოდ პირის ნიშნად მიჩნეულიყო, ამ პირის სიმრავლე კი ახლად ნასესხები **-თ** სუფიქსით გამოეხატათ, მსგავსად II და III პირებისა (სულხან-საბა ორბელიანი: გკყურადა**თ**, შეგკყუარებია**თ** – უთურგაიძე, 1999, 99). მსგავ-

სი ფორმები დასტურდება აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველოს ამ დროის სიგელ-გუჯრებში (სურმავა, 1989, 141).

ახალ ქართულში მორფონოლოგიური ცვლილებით სუბიექტის მესამე პირის ნიშანი ნულოვანი ალომორფით გამოიხატება II და III პირებში: **-სთ** კომპლექსი პაუზის წინ არაბუნებრივია ქართული ენისთვის (გხატავსთ > გხატავთ, ხატავსთ > ხატავთ). III პირის მრავლობითი რიცხვის აღნიშნული ფორმები ნელ-ნელა იკაფავენ გზას სალიტერატურო ენაში (კიკნაძე, 1983, 83; 1987-8, 36).

თუ ძველ ქართულში პირდაპირი ობიექტის სიმრავლე მარკირებული იყო II და III სერიების განსაზღვრულ მწკრივებში (იხ. ზემოთ), საშუალი ქართულიდან მოყოლებული მისი მარკირება ხდება ნებისმიერ მწკრივში.

სუბიექტი, პირდაპირი და ირიბი ობიექტები ახლა უკვე ერთი ნიშნით არიან მარკირებული მრავლობით რიცხვში – ისტორიულად სუბიექტის სიმრავლის გამომხატველი **-თ** ნიშნით, რაც ხშირად იწვევს პირმიმართ აქტანტთა ნულოვან ალომორფებს, მაგალითად: (ჩვენ თქვენ – $S_1{}^pO_2{}^{dp}$) გხატავთ < *გხატავ-თ-თ; შდრ. (მე **თქვენ** $S_1O_2{}^{dp}$) გხატავ**თ** და (**ჩვენ** შენ – $S_1{}^pO_2{}^d$) გხატავ**თ**; (**ჩვენ თქვენ** მას – $S_1{}^pO_2{}^{indp}O_3{}^d$) გიხატავთ < *გიხატავ-თ-თ. აქაც, თუ $S_1{}^p$-ს ან $O_2{}^{indp}$-ს გადავიყვანთ მხოლობით რიცხვში, საქმე გვექნება გიხატავთ კანონიკურ ფორმასთან, რომელსაც შეუძლია განსხვავებულ კონტექსტებში გამოხატოს სუბიექტის ან ირიბი ობიექტის მრავლობითი რიცხვი ობიექტთათვის ახალი **-თ** სუფიქსით.

ზემოთ წარმოდგენილი ვითარება საშუალებას იძლევა განყენებული სისტემის {-თ} სუფიქსს მეტყველებაში მივცეთ /-თ/ ~/-Ø/ ალომორფები: ნულოვანი ალომორფი ექნება ერთერთ ობიექტს მრავლობით რიცხვში, როცა სუბიექტიც მრავლობით რიცხვში დგას.

ბუნებრივია დაისვას კითხვა: რას უკავშირდება აქტანტის სიმრავლის მარკირება შემასმენელში?

უპირველეს ყოვლისა, მსგავსად **-ებ** სუფიქსიანი აქტანტისა, ზმნაში სიმრავლე არ გამოეხატებოდათ **-თ** სუფიქსიანებს, თუ

ისინი ობიექტებს (პირდაპირსა და ირიბს) გამოხატავდნენ: ხატავს კაცებს, ხატავს კაცთა. ზმნათა II და III პირთა ფორმებში ეს მკაცრად არის გატარებული ძველ ქართულში.

რაც შეეხება I პირს, აქ ანალოგიური ვითარებაც იყო, ერთი მხრით, (კაცებს მხატავს „კაცებს გვხატავს", კაცთა მხატავს „კაცებს გვხატავს") და, მეორე მხრით, ამის გვერდით მრავლობითის ინოვაციური ფორმაც გაჩნდა (კაცებს **გუ**ხატავს, კაცთა **გუ**ხატავს). **გუ-** პრეფიქსიანი ფორმები ინოვაციურია, რადგან „მხატავს კაცებს" და „მხატავს კაცთა" სინტაქსური მიმართება მთელ პარადიგმას გასდევს, გუ-ხატავს კაცებს და გუ-ხატავს კაცთა მიმართება კი მხოლოდ I პირშია.

ზემოთ აღნიშნული სინტაქსური წყვილები, რომლებშიც სიმრავლის გაგება შემასმენელში აქტანტთა მრავლობითი რიცხვის ფორმებს შეაქვთ, შინაგანი რეკონსტრუქციით გვავარაუდებინებს, რომ ძველ ქართულზე უფრო ადრეულ საფეხურზე აქტანტთა **-ებ** და **-თ** სუფიქსებიან ფორმებთან შემასმენელს მრავლობითი რიცხვის გაგება ამ აქტანტებისგან (ობიექტებისგან) ეძლეოდა.

II სერიაში პირმიმართ აქტანტთა **-თ** და **-ნ** სუფიქსიანი ფორმები შემასმენელში ნიშანს აჩენენ: კაც-**თა** დახატ**ეს** და კაცნი დახატ**ნეს**. სუბიექტის სიმრავლე ზმნაში **-ეს** სუფიქსით, ხოლო ობიექტისა **-ნ** სუფიქსით არის გამოხატული (შდრ. კაცმან დახატა და კაცი დახატა)

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პირმიმართ აქტანტთა სიმრავლის გამომხატველი ზმნური აფიქსები წარმომავლობით სახელთა მრავლობითი რიცხვის მარკერებთანაა დაკავშირებული (იხ. ზემოთ), ზმნათა ფორმებში ისინი უთუოდ გვიან გაჩნდა, ანუ ქრონოლოგიურად წარმოადგენენ მეორე საფეხურს, რომელსაც წინ უძღოდა შინაგანი რეკონსტრუქციით ნავარაუდები სინტაქსური ურთიერთობა, როდესაც შემასმენლისა და პირმიმართი აქტანტის წყვილში სიმრავლის ნიშანს მხოლოდ პირმიმართი აქტანტი (სახელი) ატარებდა.

ძველი ქართულის ჩვენების მიხედვით ჩანს, რომ -თ სუფიქსიანი აქტანტებიდან ჯერ სუბიექტის (ქვემდებარის) მარკირება

დაწყებულა ზმნათა ფორმებში (კაცთა ხატ-**ეს**, კაც-**თა** ხატო**ნ**...). ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობაში ეს უკვე გაფორმებულია ძველ ქართულში; პირდაპირი ობიექტის სიმრავლის მარკირება კი **-ნ** სუფიქსით მოხდა. ესეც, ცნობილია, სახელური ფორმიდან გადმოსულია ზმნათა II სერიის ფორმებში. მაშასადამე, II სერიაში ზმნა-შემასმენლებს ძველ ქართულში შეეძლოთ როგორც სუბიექტის, ისე პირდაპირი ობიექტის მარკირება, ირიბი ობიექტი კი ძველი საფეხურის კვალად ისევ მრავლობითის საკუთარი ფორმით აძლევდა ზმნა-შემასმენელს სიმრავლის გაგებას (მ ე ტ ყ ჳს **ჩუენ**, გ ე ტ ყ ჳს **თქუენ**, ხ ე ტ ყ ჳს **მათ**). უძველესი ვითარება II და III პირებში ახალ ქართულამდე შემოინახა ენამ (გეტყვის თქვენ, ეტყვის მათ).

ბუნებრივად იბადება კითხვა: როცა შესაძლებელი გახდა **-თ** ან **-ნ** სუფიქსიან აქტანტთა მარკირება შემასმენლის ფორმაში, იგივე რატომ ვერ მოხერხდა **-ებ** სუფიქსიან აქტანტებთან?

ამ განსხვავების ახსნის მცდელობა უკვე იყო: სამეცნიერო ლიტერატურაში მრავლობითობის **-ენ** სუფიქსი დაუკავშირეს ნივთის კლასის სახელთა სიმრავლეს. ნივთის კლასებთან, არნ. ჩიქობავას ვარაუდით, მრავლობითობის ყველა ნიშანია დაკავშირებული, ეს იქნება სახელთა მრავლობითი რიცხვის ნიშნები: **-ნ, -თ, -ებ** თუ პირის ნიშნები მრავლობით რიცხვში: **-ენ, -ან, -ნ**. მისი აზრით, რიცხვი სახელისა და ზმნისთვის საზიარო კატეგორიაა და ბუნებრივია, რომ „ამ საზიარო კატეგორიისთვის საზიარო ფორმანტებიც გვაქვს" (ჩიქობავა, 1954, 68). საყურადღებოა ამ მხრივ მისი თვალსაზრისი **-ენ** სუფიქსზე: „**-ენ** ფორმანტს ძველს ქართულში შეეძლო აღენიშნა MOის მრავლობითობაც MSისაც. ეს არის ნაშთი იმ მდგომარეობისა, როდესაც MSისა და MOის ფორმანტები არ განირჩეოდნენ. ერთისა და იმავე ფორმანტით შეიძლებოდა აღნიშნულიყო როგორც ერთი, ისე მეორე" (ჩიქობავა, 2010, 33). მან ქართველურ ენათა მასშტაბით რიცხვის საზიარო ნიშნებად მიიჩნია ქართ. **-თ, -ნ/-ან, -ედ**; ზან. **-თ**; **-ან** და სვან. **-დ**. თავისებურებად გამოაცხადა ქართულში **-ეს**, ხოლო სვანურში **-ხ** სუფიქსები მრავლობით რიცხვში.

არნ. ჩიქობავა ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ამ საზიარო ფორმანტების მქონებლობა არა ერთხელ ყოფილა სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნული" (ჩიქობავა, 1954, 68₁). ამ მხრივ აქ ნ. მარის თვალსაზრისს შევეხებით. ძველი ქართული ენის მიხედვით მან გამოყო **-მ↗-ბ**, **-ნ**, **-ს**, **-თ** ნიშნები მრავლობით რიცხვში და აღნიშნა, რომ ზოგი მათგანი საზიაროა სახელების, ნაცვალსახელებისა ("Общие именам и местоимениям") და ზმნებისათვის. კერძოდ, საზიაროა **-ნ** და **-თ**; **-ბ** მხოლოდ სახელებს აქვთ, **-ს** კი – მხოლოდ ზმნებს. სქემატურად ეს ასეა წარმოდგენილი:

"имена	мест.	глаголы
კაც-ნ-ი	იგ-ინ-ი	იტყჳ-ან
люди	они	они говорят
კაც-თა > კაც-თ	იმ-ათ	იტყჳ-თ
людей, лдюям и др.	их, им и др.	вы говорите
კაც-ებ-ი	———	———
люди	———	———
———	———	შევიდ-ეს
———	———	они вошли"

(მარი, 1925, 34)

ამ სქემაში **-ბ**-ს სახელებში აქვს **-ებ** სუფიქსის ფორმა (კაც-**ებ**-ი), რომლის ამოსავლად მიჩნეულია დერივაციული **-მე**, რომელიც დსტურდება რაოდენობით რიცხვით სახელებში (ორ-**მე**-ოც, სამ-**მე**-ოც...) და წარმოდგენილია გარდაქმნის **-ებ** (↖-em) ფორმულით. ნ. მარს არ მიუთითებია **მე** > **ემ** (me> em)პროცესის შესახებ.

უღლების ფორმათა **-ეს** (შევიდ-**ეს**) ეტიმოლოგიურად დაკავშირებულია ძველი ქართულის სახელთა „კრებით" **-ეთ** სუფიქსთან: **ეთ** > **ეც** > **ეს** – თანხმოვანი ელემენტის აწევისა (подъем) და დესიბილაციური გარდაქმნის (ც > თ) გზით (მარი, 1925, 35).

აქ არ გავარჩევთ ეტიმოლოგიურ ძიებათა გზებს. არსებითი ის არის, რომ მრავლობითი რიცხვის ნიშნები სახელთა და ზმნათათვის საზიარო წარმომავლობისად მიიჩნევა. ამ თვალსაზრისს სახელთა და ზმნათა ფორმებში ძველი ქართულის შემდგომი დროის ცვლილებებიც ადასტურებს.

თუ ეტიმოლოგიებს გამოვრიცხავთ და დავემყარებით მხოლოდ ძველი ქართულის ტექსტთა ჩვენებას, **-ებ**, ისევე როგორც **-თ** და **-ნ** სუფიქსები, არ არჩევდა რაიმე სახის სახელთა ჯგუფს სხვა ჯგუფთა სახელებისგან (დონდუა, 1967, 158).

მიზეზი **-ებ** და, მეორე მხრით, **-თ** სუფიქსიან აქტანტთა მსაზღვრელთან და შემასმენელთან განსხვავებული ფორმალური ურთიერთობისა ძველ ქართულში უთუოდ **-ებ** სუფიქსისა და **-თა** სუფიქსის განსხვავებული ფუნქციონირებაა: **-ებ** მხოლოდ სიმრავლეს გამოხატავდა, **-თა** კი – სიმრავლესაც და ბრუნვასაც.

აქტანტის ფორმაში **-ებ** სუფიქსს მოსდევდა ბრუნვის ნიშანი, რომელიც აქ აქტანტის კავშირს ამყარებდა მსაზღვრელ წევრთანაც და შემასმენელთანაც: **-ებ** სუფიქსიანი პირმართი აქტანტი ბრუნვის ნიშნებით **ითანხმებდა** მსაზღვრელ წევრს ბრუნვაში და **მართავდა** შემასმენელს პირში; რიცხვის გაგება როგორც მსაზღვრელის, ისე შემასმენლის ფორმაში შეჰქონდა თვით აქტანტს თავისი მრავლობითობის გაგებით.

განვიხილოთ ცალ-ცალკე.

„რომელსა ერქუა ტბები კეთილი“ (საქმე მოციქულთა 27, 8) – შეთანხმება საზღვრულსა და მსაზღვრელს შორის ხდება **-ი** სუფიქსით, **-ებ** მხოლოდ საზღვრულის (ტბები) სიმრავლეზე მიგვითითებს, **მსაზღვრელს** („კეთილი“) **სიმრავლის ნიშანი არც სჭირდება**, რადგან ყველა მსაზღვრელი არადისკრეტული ბუნებისაა. რა სინტაქსური მიმართებაც სახელობით ბრუნვაში („ტბები კეთილი) გვაქვს, იგივე რჩება მთელს პარადიგმაში (ტბებ-**მან** კეთილ-**მან**, ტბებ**სა** კეთილ**სა**...) ძველ ქართულში შეთანხმება ბრუნვებში ყველგან მატერიალურადაც

ხორციელდებოდა, მიუხედავად მსაზღვრელის პოზიციისა და მისი ფუძის დაბოლოებისა.

უთუოდ სავარაუდებელია, რომ „ტბები“ ფორმაში ნავარაუდები ყველა ტბა არის „კეთილი“ – ეს სიმრავლის თავისებური გაგებაა არადისკრეტულ მსაზღვრელში.

რაც შეეხება შემასმენელთან ურთიერთობას, **-ებ** სუფიქსიან აქტანტთა სიმრავლის მარკირება არც შემასმენელში ხდებოდა: „ქალაქები იგი სოდომელთაჲ და გომორელთაჲ დაწუა“ (2 პეტ. 2, 6). შემასმენელში („დაწუა“) პირდაპირი ობიექტის სიმრავლე არ არის მარკირებული, მაგრამ, რა თქმა უნდა ივარაუდება, რომ „დაწუა“ ყველა ქალაქი, რომელიც „ქალაქები“ ფორმით ივარაუდება. აქაც ივარაუდება, რომ ზმნა-შემასმენლის ფორმაში სიმრავლის გაგება თვით აქტანტის ფორმით („ქალაქები“) ხდება (შდრ. ქალაქი დაწუა, სადაც მხოლოდ ერთ ქალაქზეა ლაპარაკი). არც **-ებ** სუფიქსიანი ქვემდებარე ითხოვდა შემასმენლის ფორმაში თავისი სიმრავლის მარკირებას: „რაბამი ქვები არს...“ (მრ. 13, 1); შდრ. „რაბამნი ქვანი არიან...“ (მრ. 13, 1C).

რაც შეეხება **-თ**, **-ნ** სუფიქსთა მიერ სიმრავლის გამოხატვას, ამ თვალსაზრისით **-ებ** სუფიქსისაგან არაფრით განსხვავდებიან ისინი: კაც-ებ-ი, კაც-თა, კაც-ნ-ი ერთნაირად გამოხატავენ **კაცი** სახელის სიმრავლეს ბრუნვათა ფორმებში: მათი განსხვავება ვლინდება სინტაქსურ წყვილთა (მსაზღვრელი და საზღვრული; პირმართი აქტანტი და ზმნა-შემასმენელი) გაფორმებაში: თუ გვქონდა „ტბები კეთილი“, „ტბებმან კეთილმან“... ეს მიმართება **-თ** და **-ნ** სუფიქსიან აქტანტთა სინტაქსურ წყვილებში მიუღებელი იყო: ერთ მხრით გვქონდა „ტბათა კეთილთა“ ხუთ ბრუნვაში (მოთხრობითში, მიცემითს, ნათესაობითს, მოქმედებითსა და ვითარებითში), მეორე მხრით, სახელობით ბრუნვაში იყო ტბა-ნ-ი კეთილ-ნ-ი. მართალია, **-ნ** მხოლოდ სიმრავლეს გამოხატავდა, მსგავსად **-ებ** სსუფიქსისა, მაგრამ **-ნ** სუფიქსიანი სახელის ფორმა **-თა** სუფიქსიანი პარადიგმის წევრი იყო და, ბუნებრივია, იქცეოდა ისე, როგორც **-თა** სუფიქსიანი სახელები იქ-

ცეოდნენ პარადიგმის ხუთ ბრუნვაში – მსაზღვრელიც იღებდა საზღვრული სახელის დაბოლოებას:

სახ.	ტბა-ნ-ი	კეთილ-ნ-ი
მოთხ.	ტბა-თა	კეთილ-თა
მიც.	ტბა-თა	კეთილ-თა და ა. შ.

რატომ გახდა აუცილებელი სრული ფორმალური შეთანხმება **-თა** სუფიქსიან საზღვრულსა და მის მსაზღვრელს შორის? – იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც მხოლობით რიცხვში ხდება შეთანხმება საზღვრულსა და მსაზღვრელს შორის, ოღონდ აქ რიცხვში შეთანხმება ფორმალურია, რადგან ცალ-ცალკე არ იყო წარმოდგენილი რიცხვისა და ბრუნვის ნიშნები. ამიტომ ბრუნვასთან ერთად რიცხვიც გამოიხატა შეთანხმებაში, თუმცა მსაზღვრელს იგი არა სჭირდებოდა.

შეთანხმების წყალობით მსაზღვრელი კონკრეტულ საზღვრულს მიეჯაჭვება და საზღვრულთან ერთად ქმნის ერთ სინტაქსურ წყვილს და სრულიად დისტანცირდება უშუალო მეზობელი სხვა აქტანტისგან.

განვიხილავთ რამდენიმე შემთხვევას.

/ტბათა კეთილთა მზეჲ უმზირდა/ – აქ თავისი ფორმით „კეთილთა“ განეკუთვნება „ტბათა“ საზღვრულს და არა მომდევნო „მზეჲ“ სუბიექტს (ქვემდებარეს): მსაზღვრელის განკუთვნება კონკრეტული აქტანტისთვის ბრუნვის ნიშნით ხდება.

წინადადებაში / ტბათა კეთილთა მთათაჲ ჩრდილი ეფინებოდა/ კონკრეტულ საზღვრულზე მიუთითებს სახელობითი ბრუნვის -ჲ ნიშანი მსაზღვრელის ბოლოს (მთათაჲ), რომელიც „ჩრდილი“ საზღვრულს მიემართება სახელობით ბრუნვაში და არავითარი კავშირი არა აქვს მიცემით ბრუნვაში დასმულ „კეთილთა“ სიტყვასთან, რომელიც ასევე მიცემით ბრუნვაში დასმულ „ტბათა“ აქტანტის მსაზღვრელია. ხოლო ამ წინადადებაში /ტბათა კეთილთა მთათა წყალნი აღავსებენ/ შეუძლებელია მხოლოდ გამოხატულების პლანით მსაზღვრელი („კეთილთა“) მივაკუთვნოთ რომელიმე საზღვრულს („ტბათა“ ან „მთათა“ საზღვრულს). მიზეზი ამ სიტუაციის შექმნისა არის მიცემით („ტბათა“) და ნათე-

საობით („მთა**თა**“) ბრუნვათა ნიშნების (-თა) საზიარო გამოხატულების პლანი.

საზიარო გრამატიკული ფორმები ანალოგიურ სიტუაციებს საკმაოდ ხშირად ქმნიან ენაში, რაც მოითხოვს დამატებით ანალიზს კონტექსტის მიხედვით – კონტექსტმა უნდა განსაზღვროს ზემოთ შექმნილ სიტუაციაში რომელი საზღვრულის კუთვნილებაა მათ შორის მოქცეული მსაზღვრელი.

ძველი ქართულის ძეგლთა ჩვენებით, როგორც ვნახეთ, **-ებ** სუფიქსიანი აქტანტების: სუბიექტისა და პირმიმართი ორივე ობიექტის სიმრავლე ზმნაში არ აღინიშნებოდა; ზმნაში სიმრავლე არ გამოეხატებოდათ **-თ** სუფიქსიან პირმიმართ დამატებებსაც. რამდენიმე მაგალითი „ხანმეტი ლექციონარიდან“ (შანიძე, 1929): „თავადი ი˘ჯ, მ ი ხ ე ა ხ ლ ა **მათ** [გვ. 333 (20)]; „წინა გ ი ძ ღ ვ ს **თქუენ** [გვ. 332 (13)]; „ხ˘ მან ხ რ ქ უ ა **მათ**“ [გვ. 331 (12)]; „ხ უ ბ რ ძ ა ნ ა **მათ** [გვ. 330 (7)] და სხვ.

-ნ სუფიქსიანი პირდაპირი ობიექტის მარკირება გარდამავალ ზმნათა II სერიის **I პირის ფორმებში**, არნ. ჩიქობავას აზრით, არალოგიკურია ქართული ზმნის რანგობრივი სისტემისთვის, რომელშიც კატეგორიებს არსებითად თითო ნიშანი მიემართება. ეს მიმართება ირღვეოდა სუბიექტური მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ფორმებში, სადაც რიცხვის კატეგორიის ისტორიულ ნიშანს პირის გამოხატვაც დაჰკისრებია ძველ ქართულში (-ედ, -ენ, -ან, -ნ). ივარაუდება, რომ რიცხვის ნიშანთა რეინტერპრეტაციით მივიღეთ ფელექსური სუფიქსები III პირისა და მრავლობითი რიცხვის გაგებით.

პირდაპირი ობიექტის მრავლობითი რიცხვის მარკირება II და III პირებში ქართული სისტემის შესაბამისია: პირის მორფემა პრეფიქსია, მისი სიმრავლის გამომხატველი მორფემა – სუფიქსი, პირის ნიშანი მხოლობითსა და მრავლობითში ერთი და იგივეა, მარკირებულია მრავლობითი რიცხვი სპეციალური ნიშნით, როგორც ეს ხდება სუბიექტურ I და II პირებში. ამ ფონზე სისტემისთვის, მართლაც, მოულოდნელია გუ- I პირის ნიშნისა და მისი სიმრავლის ნიშნად და ამავე ფორმაში [-ენ] იმავე აქტანტის სიმ-

რავლის ნიშნად (და-**გუ**-ხატ-**ენ** შენ **ჩუენ**; და-**გუ**-ხატ-**ნ**-ა მან **ჩუენ**).

შეიძლება დავასკვნათ: შემასმენელსა და პირმიმართ აქტანტებს (ქვემდებარესა და დამატებებს) შორის სინტაქსური ურთიერთობის ძველქართულამდელ ვითარებას გამოხატავდა ძველი ქართულის -ებ სუფიქსიან აქტანტთა ურთიერთობა შემასმენელთან: (1) ზმნა-შემასმენელში პირი აღენიშნებოდა სამივე აქტანტს, რიცხვი კი – არც ერთს, რადგან ეს საჭირო არ იყო იმ სისტემისთვის, სადაც პირთა კატეგორიები (სუბიექტი, პირდაპირი და ირიბი ობიექტები) უკვე გაფორმებული იყო სათანადო ნიშნებით, რიცხვის კატეგორია კი მაშინღა იწყებდა ჩამოყალიბებას ამ აქტანტებთან. (2) პირმიმართ აქტანტებსა და ზმნა-შემასმენელს შორის სინტაქსური კავშირები ძველი ქართულის წინა ქრონოლოგიურ ჭრილში ხორციელდებოდა პირისა და ბრუნვის ნიშნებით; აქტანტთა რიცხვი ზმნა-შემასმენელში თვით აქტანტთა ფორმით განისაზღვრებოდა. კატეგორიის ამოსავალი იყო სახელ-აქტანტთა რიცხვის ფორმები, ე. ი. ხდებოდა რიცხვის კატეგორიის ცალმხრივი მარკირება: თუ აქტანტი მხოლობით რიცხვში იდგა, ზმნური ქმედებაც შესაბამისად ერთის ქმედებას გამოხატავდა; თუ აქტანტი მრავლობით რიცხვში იდგა, შესაბამისად ზმნური ქმედებაც მრავალთ მიეწერებოდათ, თუმცა ზმნის ფორმა რიცხვის მიხედვით არ იცვლებოდა. შემდგომ სწორედ ამ სავარაუდებელ მნიშვნელობებს გაუჩნდა სპეციალური მარკერები ზმნაში. ამ ვარაუდს განამტკიცებს ის, რომ **-თა** სუფიქსიანი მრავლობითი რიცხვის დამატებებიც ზმნა-შემასმენელთან ურთიერთობაში ცალმხრივ იყო მარკირებული ძველ ქართულში.

ყველანაირად ჩანს, რომ სუბიექტის პირისა და რიცხვის მარკირება ზმნათა ფორმებში წინ უსწრებდა ობიექტთა მარკირებას ამ კატეგორიათა მიხედვით: (ა) ობიექტთაგან განსხვავებით, **-თა** სუფიქსიან მრავლობითში მდგარი სუბიექტი მარკირებულია პირისა და რიცხვის მიხედვით: /ჩუენ (კაც-**თა**) **ვ**-წერე-**თ**, თქუენ (კაც-**თა**) **ხ**-წერე-**თ**/. III პირის ფორმა მრავლობით რიცხვ-

ში პირისა და მრავლობითი რიცხვის ცალ-ცალკე მარკირების პრინციპს არღვევს /**მათ** (კაც-**თა**) წერ-**ეს**/ იმ მიზეზით, რომ აქ მოხდა რიცხვის მარკერის რეინტერპრეტაცია – იგი პირის ნიშანიც გახდა. ივარაუდება, რომ S3 საერთოდ პირის ნიშნის გარეშე უპირისპირდებოდა I და II პირებს; (ბ) ობიექტებმა (პირდაპირმა და ირიბმა მიცემით ბრუნვაში) ნიშანი პირდაპირ გადაიღეს სუბიექტური მეორე პირისგან*; (გ) პირდაპირმა ობიექტმა სიმრავლის აღსანიშნად {-ენ} სუფიქსი სუბიექტის მესამე პირისგან გადაიღო; (დ) უფრო გვიან ობიექტმა სიმრავლის -**თ** სუფიქსიც სუბიექტისგან გადაიღეო. ეს ერთი პრინციპით განხორციელებული ცვლილებებია უძველესი დროიდან დღემდე. (ე) პირდაპირი ობიექტის მარკირება ზმნებში ტრანზიტულობის განვითარების შედეგია. შემდეგ, შედარებით გვიან, ირიბმა ობიექტმაც იგივე ნიშნები გაიჩინა, როგორც ახალმა კატეგორიამ.

ძველი ქართული ენის ტექსტები არ იძლევა იმის საშუალებას, რომ დაფიქსირდეს რომელიმე აქტანტის უნიშნობა ზმნის ფორმაში – პირთა ნიშნები ყველა აქტანტს გააჩნია. მათი რეკონსტრუირება საერთო-ქართველურ დონეზეც ხერხდება.

თუ ამოვალთ იმ ფაქტიდან, რომ როგორც პირის, ისე მრავლობითი რიცხვის მარკირება ნაცვალსახელური წარმომავლობისაა, რიცხვის ნიშნებთან ამის შესამჩნევი კვალი, როგორც ვნახეთ, ძველ ქართულშიც არის.

საწყის პერიოდში რომ შესაძლებელი იყო ზმნაში აქტანტთა პირი და რიცხვი არ ყოფილიყო მარკირებული, რომ ადგილი უნდა ჰქონოდა ამ კატეგორიათა ცალმხრივ მარკირებას (ზმნა ერთი ფორმით იყო წარმოდგენილი, პირისა და რიცხვის გაგება კი ფორმაცვალებით ნაცვალსახელებს შეჰქონდათ ზმნის უცვლელ ფორმაში), ეს შეიძლება დავინახოთ ნოვა-თუშური ენის უკლასნიშნო და კლასნიშნიან ზმნათა ურთიერთობაში ფორმაცვალებად ნაცვალსახელებთან. ამ რიგის ურთიერთობას აღწერს კ. ჭრელაშვილი:

* რაც იმაზე მიგვითითებს, რომ მათი სახით საქმე გვაქვს განსხვავებულ კატეგორიებთან (უთურგაიძე, 2002, 34).

„ I პირი	ას „მე“	ხატ^ი^ნ „წავიკითხე, წაიკითხე, წაიკითხა; წავიკითხეთ, წაიკითხეთ, წაიკითხეს“
II პირი	აჰ„ „შენ“	
III პირი	ოჴუს „მან“	
I პირი	ათხ „ჩვენ“	
II პირი	აჷშ „თქვენ“	
III პირი	ოჴარ „მათ“	

როგორც ვხედავთ, განაგრძობს ავტორი, ილუსტრირებულ მაგალითებში ქართულის **ექვს ფორმას** წოვა-თუშურში **მხოლოდ ერთი ფორმა შეესაბამება**“ (ქრელაშვილი, 2002, 164).

კლასნიშნიანი ზმნებიც ანალოგიურად გამოხატავდნენ აქტანტთა პირსა და რიცხვს. აქაც ნაცვალსახელი იყო პირზე და რიცხვზე მიმთითებელი. ნეიტრალურ ფუძეს მხოლოდ კლასნიშანი ახლდა, რომელიც უღლების პარადიგმაში, ბუნებრივია, ყველგან მისდევდა ფუძეს; პირისა და რიცხვის გრამატიკული კატეგორიების ცალმხრივად გამოხატვა მხოლოდ პირის ნაცვალსახელებს ევალებოდა, მაგალითად: ას ვაგი^ნ „მე ვნახე“, აჰ„ ვაგი^ნ „შენ ნახე“, ოჴუს ვაგი^ნ „მან ნახა“ (**ვ**- პრეფიქსი მამაკაცის კლასნიშანია ყველგან). მრავლობით რიცხვში ისევ ნაცვალსახელები ენაცვლებიან ერთმეორეს: **ათხ** ვაგი^ნ **„ჩვენ** ვნახეთ“, **აჷშ** ვაგი^ნ **„თქვენ** ნახეთ“ და ა. შ.

როდესაც პიროვანი უღლება დაიწყო, სწორედ ზემოთ მითითებული პირის ნაცვალსახელები მიუერთდნენ ზმნის ნეიტრალურ ფუძეს პირისა და რიცხვის მარკირებისათვის. ავიღოთ იგივე ზმნა: ვაჷგნ-**ას „ვ**-ნახე“, ვაჷგნ-**აჰ„ „ჰ**-ნახე“. მესამე პირი უნიშნობით უპირისპირდება I და II პირებს: ვაგი **ოჴუს** „ნახა **მან**“. სუფიქსებად ის პირის ნაცვალსახელებია გამოყენებული, რომლებიც ადრე დამოუკიდებლად, ცალმხრივ ახდენდნენ მითითებას ზმნურ ქმედებაში ჩართულ აქტანტებზე, ახლა კი მათ შეუძლიათ ერთად განმეორდნენ ზმნასთან (**ას** ვაჷგნ-ას) და დამოუკიდებლადაც, ნაცვალსახელის გარეშე, მოახდინონ ზმნის ფორმაში პირის რომლობისა და რიცხვის მარკირება: ვაჷგნ**ას „**ვნახე“ – სუბიექტი I პირშია და მხოლობით რიცხვში, რაც -ას სუფიქსით არის

გამოხატული; ვაღგნათხ „ვნახეთ" – სუბიექტი პირველ პირშია და მრავლობით რიცხვში და ა. შ.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, უღლების ეს განსხვავებული ტიპები ერთიმეორის გვერდით ფუნქციონირებენ (ჭრელაშვილი, 2002, 198).

აქ წარმოვადგინეთ სხვა ენის – წოვა-თუშურის მასალა, რათა ფაქტობრივ გვეჩვენებინა წინადადების წევრთა შორის ურთიერთობის დამყარება გრამატიკულ კატეგორიათა ცალმხრივი მარკირებით, რაც დროთა განმავლობაში გადავიდა ორმხრივ მარკირებაზე. ხდება პირიქითაც – ისტორიული ორმხრივი მარკირება წინადადების წევრებს შორის გადადის ცალმხრივ მარკირებაზე. ენობრივი მონაცემები დროის ღერძზე ორივე სახის ურთიერთობას აფიქსირებენ. მათ თან ახლავს განსაზღვრული პირობები, რომელთა აღწერასაც ვცდილობთ ქართული ენის V-XXI საუკუნეების ძეგლთა მიხედვით.

რაც შეეხება მრავლობითობის O^{dp} {-ენ} და O^{dp} {-თ} სუფიქსთა ღირებულების ცვლილებას, ქართული ენის ქვესისტემებში (სალიტერატურო ენასა და დიალექტებში) განსხვავებულია, თუმცა ცვლილების ზოგადი მიმართულება საერთოა ქართულ ენაში, კერძოდ, საერთოა ის, რომ გაიზარდა O^{dp} {-თ}-ს ღირებულება ზმნურ ფორმებში, შემცირდა სახელთა ფორმებში.

სალიტერატურო ენის ზმნათა ფორმებში {-თ} სუფიქსმა **უველგან** შეცვალა O^{dp} {-ენ}. O^{dp} {-თ}-ს ღირებულება იმ მხრივაც გაიზარდა, რომ /-თ/ სუფიქსს I სერიის ფორმებშიც იყენებს ენა პირდაპირი ობიექტის სიმრავლის გამოსახატავად, რაც ძველ ქართულსა და საშუალი ქართულის დასაწყის პერიოდებში გამორიცხული იყო. გვიან XV-XVI საუკუნეებიდან საშუალ ქართულშიც ჩნდება ამ ფუნქციის /-თ/ (გხატავსთ, დაგხატავსთ, დაგარტყამსთ, აგაშენებსთ...), რაც ახალი ქართულისთვის ჩვეულებრივი გახდა მორფონოლოგიური ცვლილებით (გხატავთ, დაგხატავთ, დაგარტყამთ, აგაშენებთ...).

რადგან O^{dp} {-თ}-ს ღირებულების ცვლილებაზე ვლაპარაკობთ, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ახალ ქართულში /-თ/ გამოხატავს ირიბი ობიექტის II და III პირთა სიმრავლესაც, რაც

ძველ ქართულში არა ხდებოდა (/გიხატავს**თ** ის **თქვენ** სურათს/, /გიშენებს**თ** ის **თქვენ** სახლს/ და სხვ.).

რაც შეეხება დიალექტურ ქვესისტემებს, აღსანიშნავია აღმოსავლეთი საქართველოს მთის დიალექტებში (ე. წ. არქაულ დიალექტებში) შემონახული როგორც ძველი ქართულისთვის დამახასიათებელი, ისე ახლის ინოვაციური და შერეული ფორმები, კერძოდ, ძველი ქართულისაა O^{dp} აქტანტის გამომხატველი II სერიის ყველა ფორმა, როგორიცაა: დ ა გ მ ა ლ ე ნ, დ ა მ ა ლ ნ ე ს, დ ა გ ვ მ ა ლ ე ნ თ და სხვ. შესაძლებელია II სერიის ყველა მწკრივში, გარდა ბრძანებითის III პირისა*, გავიმეოროთ ძველი ქართულის პარადიგმები.

ინოვაციურია ფორმები, რომლებშიც O^{dp} {-ენ}-ის გვერდით ახალი ქართულის O^{dp} {-თ}-ც ჩნდება, კერძოდ თუშურსა და ხევსურულში S$_1$O$_2^{dp}$ და S$_3$O$_2^{dp}$ ფორმები ობიექტის სიმრავლეს ჭარბად გამოხატავენ: /მე დაგმალ**ენთ თქვენ**/ შდრ. ძვ. ქართული /მე დაგმალ**ენ თქუენ**/ და ახალი ქართული /მე დაგმალე**თ თქვენ**/. და-გ-მალ-**ენ-თ** ფორმაში /-ენ/ და /-თ/ – ორივე O$_2^{dp}$-ის მარკერია, ე. ი. დაწყებულია /-ენ/ სუფიქსის გაუფუნქციოება და სიმრავლის მაწარმოებლად /-თ/-ს გაბატონება. სწორედ ეს უნდა იყოს მიზეზი ახალი ქართულის დ ა გ მ ა ლ ე თ ტიპის ფორმათა ხმარებისა დ ა გ მ ა ლ ე ნ თ ტიპის ფორმათა პარალელურად ამ დიალექტებში.

დ ა გ მ ა ლ ე ნ თ ტიპის შერეული ფორმაა /დ ა გ ლ ი ვ ნ ა თ მან თქვენ/. აქაც /-ნ/ და /-თ/ ერთი და იმავე აქტანტის O$_2^{dp}$ -ის სიმრავლეს გამოხატავენ, პირი კი /გ-/ პრეფიქსით არის გამოხატული.

აქ ყურადღება უთუოდ იმაზეც უნდა გამახვილდეს, რომ /დ ა გ მ ა ლ ე ნ თ / გამოხატავს როგორც S$_1$O$_2^{dp}$-ს (/დაგმალენთ მე თქვენ/), ისე S$_1$^{p}O$_2^{dp}$-ს (/დაგმალენთ ჩვენ თქვენ/). ფორმაში მოსა-

---

* ძველი ქართულის ბრძანებითის ფორმები II სერიის ბრძანებითის II პირში კარგად არის დაცული დღემდე და არ ემთხვევა ნყვეტილის II პირის ფორმას გ ა ღ ე დ ი „გაბედე" თხრ. კილოს ფორმაა (ნყვეტილი, II პირი), გ ა ბ ე დ ი „გაბედე!" — ბრძანებითია. თხრობითი და ბრძანებითი კილოების ფორმების დაპირისპირება ძვ. ქართულის ნესით ხდება.

ლოდნელი იყო ორი /-თ/ (შდრ. /დაგმალეთ **ჩვენ** შენ/), მაშასადამე, პირთა ფორმულაში $O_2^{ძP}$-ის /-თ/ უნდა გამოიხატოს ნულოვანი ალომორფით, რადგან I პირის სუბიექტს სიმრავლე ყოველთვის გამოეხატებოდა ენაში, მაშასადამე, $S_1^{P}O_2^{ძP}$-ის ფორმა გრამატიკულად ასე ჩაიწერება: და-გ-მალ-ენ-თ-Ø; $S_3^{P}O_2^{ძP}$-ის ფორმა თუშურსა და ხევსურულში იქნება დ ა გ ლ ი ვ ნ ე ს თ (და-გ-ლივ-ნ-**ეს**-თ **მათ** თქვენ), სადაც S_3^{P}-ის /-ეს/ შუაზე ყოფს ერთი და იმავე გრამატიკული მნიშვნელობის /-ნ/ და /-თ/ სუფიქსებს.

ფორმაწარმოების მოდელთა შენაცვლება

I. ინოვაციური ფორმები უნიშნო ვნებითთა მრავლობით რიცხვში

II სერიის მრავლობით რიცხვში სრულიად განსხვავებული წარმოება აქვთ ძველი ქართულის პრეფიქსიან ვნებითებს, ერთი მხრით, და, მეორე მხრით, {-ენ} (resp. -დ) სუფიქსიან და უნიშნო - ვნებითებს. სხვაობას მრავლობით რიცხვში ქმნის პასივის სუბიექტად მოქცეული აქტივის პირდაპირი ობიექტის სიმრავლის გამომხატველი {-ენ} სუფიქსი, რომლის ვარიანტებია /-ენ/~/-ნ/*.

პასივები, როგორც აქტივთა კონვერსიული ფორმები, განსხვავებულ დამოკიდებულებას იჩენენ ამოსავალ აქტივთა ფორმებთან: (1) ი- და ე- პრეფიქსიან პასივებში სუბიექტად მოქცეული პირდაპირი ობიექტი (ზმნური ქმედება დანახულია რეალური ობიექტის პოზიციიდან) მრავლობითობის ორმაგ ნიშანს იჩენს: მან დამალ-**ნ**-ა **იგინი** ($O_{3^{dp}}$) : **იგინი** დაიმალ-**ნ**-**ეს**. **-ნ** სუფიქსი, აქტივში პირდაპირი ობიექტის სიმრავლეს რომ გამოხატვდა, პასივშიც გადმოჰყვა ამ აქტანტს და, პასივში, ახლა, როგორც სუბიექტმა, სიმრავლე **-ეს** სუფიქსითაც გამოიხატა. (2) **/-ენ/~/-ნ/** და **/-დ/** სუფიქსიან პასივებში კონვერსიის პრინციპი განსხვავებულია მრავლობითი რიცხვის წარმოების მიხედვით: სუბიექტად მოქცეული პირდაპირი ობიექტი აქტივის ფორმიდან აღარ გადმოიყოლებს თავისი სიმრავლის {-ენ} სუფიქსს: მან გააშავ-**ნ**-ა **იგინი** : **იგინი** გაშავდ-**ეს**. ანალოგიური წარმოება აქვთ „უნიშ-

---

* ვნებითის {-ენ} სუფიქსსაც /-ენ/~/-ნ/ ვარიანტები აქვს. მიუხედავად მატერიალური და პოზიციური სრული დამთხვევისა (სუფიქსებია და ზმნის ძირს მიჰყვებიან უშუალოდ), ისინი არ ირევიან ერთიმეორეში: ვნებითობის {-ენ} ნარმოდგენილია ერთპირიანი ან ორპირიანი დინამიკური გარდაუვალი ზმნების როგორც I, ისე II სერიაში, ობიექტის სიმრავლის {-ენ} კი მხოლოდ გარდამავალ ზმნებში და II სერიაში. აქტივთა III სერიაში ობიექტის {-ენ} II სერიის წესს მიჰყვება სამ მწკრივში (II თურმეობითში, III კავშირებითსა და III ხოლმეობითში).

ნო ვნებითებს": **იგინი** გაშრ-**ეს**. სუბიექტის მრავლობითობა აქაც მხოლოდ **-ეს** სუფიქსით არის წარმოდგენილი (შდრ. იგი გაშრ-ა).

-დ სუფიქსიან ვნებითთა მსგავსად {-ენ} სუფიქსიანებშიც ობიექტის სიმრავლის {-ენ} არ გადმოდის კონვერსიული აქტივიდან (მან განადიდ-**ნ-ა იგინი** : **იგინი** განდიდ-**ნ**-ეს) პასივის ფორმაში **-ნ** სუფიქსი გვარის ნიშანია და რაიმე კავშირი მრავლობით რიცხვთან არა აქვს (შდრ. იგი განდიდ-ნ-ა). პასივის ფორმაში სუბიექტის სიმრავლე **-ეს** სუფიქსით არის გადმოცემული III პირთან ერთად.

აქ მხოლოდ მესამე პირის ფორმები წარმოვადგინეთ ნიმუშისათვის. სრული პარადიგმები II სერიისა არ გადმოვეცით, რადგან მათ ნებისმიერ სახელმძღვანელოსა და ქრესტომათიებში შევხვდებით.

მრავლობითი რიცხვის ძველი ქართულისებური წარმოება აქტივებსა და მათ კონვერსიულ პასივებში (**-დ** სუფიქსიანებსა და უნიშნო ვნებითებში) დღემდე კარგად დაცულია ხევსურულსა და მოხეურში.

ი- და ე- პრეფიქსიან პასივთა I და II პირის მრავლობითი რიცხვის ძველი ქართულის ფორმები კარგად არის შემონახული თანამედროვე დიალექტებში (მთის კილოებში, ქართლურსა და კახურში, გლოლურში): და-ვ-იმალ-**ენ-ი-თ ჩვენ**, და-Ø-იმალ-**ენ-ი-თ თქვენ**. მთის კილოებში შეიძლება თანხმოვანთგამყარი **ი** არ იყოს ფორმებში: დავიმალენთ, დაიმალენთ* (დრ. მალენთ თუშ.). ეს ფორმებიც კარგად არის ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში.

ვნებითი გვარის ზმნათა II სერიის მრავლობითი რიცხვის განსხვავებული ფორმაწარმოება ({-ენ} სუფიქსით და მის გარეშე) ყურადღებას იქცევს იმ მხრივ, რომ **საერთო გრამატიკული შინაარსის** გაფორმება ხდება განსხვავებულად.

საერთო გრამატიკული შინაარსი ფორმაწარმოებით განსხვავებული ტიპის პასივებს აღმოაჩნდათ, რაც ბუნებრივია, პერსპექტივაში ფორმათა ინტეგრაციის შესაძლებლობას ქმნი-

* ასეთ ფორმებს ხანმეტ ძეგლებშიც ვხვდებით.

და*. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ისიც, როცა მრავლობითი რიცხვის წარმოების ორივე მოდელი მუშაობდა ენაში, თუ ჰქონდა მაშინ ადგილი მათი ინტეგრაციის მცდელობას, ე. ი. მოდელთა ჩანაცვლებას სხვადასხვა ტიპის პასივებთან, ანუ ისეთ შემთხვევებს, როცა უნიშნო და დ'ონიანი (resp. {-ენ} სუფიქსიანი) პასივების მრავლობითი რიცხვის წარმოების მოდელს იყენებდნენ პრეფიქსიანი ვნებითები და, პირიქით, პრეფიქსიანი პასივები იყენებდნენ სხვა ტიპის პასივთა მოდელს.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ფორმათა ინტეგრაცია სახეზეა: ყველა სახის პასივთა ფორმანარმოება II სერიის მწკრივთა მრავლობით რიცხვში ხდება ძველი ქართულის უნიშნო და დ'ონიანი (resp. {-ენ}-იანი) ვნებითების მოდელის მიხედვით — სიმრავლის {-ენ} სუფიქსი, რომელიც ი-/ე- პრეფიქსიან პასივებს ჰქონდათ, სამწერლობო ენაში აღარ გამოიყენება: სალიტერატურო ენის ნორმაა ჩვენ დავიმალეთ, თქვენ დაიმალეთ, ისინი დაიმალნენ და არა ძველი ქართულისა და დიალექტებში აქა-იქ შემორჩენილი ჩვენ დავიმალენით, თქვენ დაიმალენით, ისინი დაიმალნეს ფორმები. თანამედროვე ქართულის დაიმალნენ ფორმაში -ნენ დაბოლოება დაუშლელია (შდრ. ძველი ქართ. დაიმალნ-ეს).

განსხვავებული ფორმანარმოების პასივთა მოდელების ინტეგრაცია მოსალოდნელი იყო და, ჩანს, ძალიან ადრეც დაწყებულა. უკვე ხანმეტ ძეგლშია უნიშნო ვნებითის -ნ/<-ენ/-ჩართული

---

* განსხვავებული ფორმების ინტეგრაცია, როცა გრამატიკული შინაარსი საერთოა, არ არის იშვიათი ქართული ენის ისტორიაში, მაგ.: ძველი ქართულის უწყვეტლისა და I კავშირებითის მწკრივების წარმოება აქტივებსა და პასივებში -ი და -ე სუფიქსებით განსხვავდებოდა: უწყვეტლის მწკრივის I და II პირებში აქტივებს ჰქონდათ -ი დაბოლოება, პასივებს კი — -ე დაბოლოება (ძვ. ქართული, უწყვეტელი: აქტ. ვაშენებდ-ი, ვაშენებდ-ი-თ; შდრ. პას. ვშენდებოდე, ვშენებოდ-ე-თ. I კავშირებითი: აქტ. ვაშენებდ-ე, ვაშენებდ-ე-თ შდრ. პას. ვშენდებოდ-ი, ვშენდებოდ-ი-თ).

ახალ ქართულში ამ მწკრივთა ნარმოება გვარის მიხედვით აღარ არის განსხვავებული, უწყვეტელში აქტივებსა და პასივებს აქვთ საერთო -ი დაბოლოება: ვაშენებდ-ი, ვშენდებოდ-ი, ხოლო I კავშირებითში — საერთო -ე დაბოლოება (ვაშენებდ-ე, ვშენდებოდ-ე).

ფორმა: „ხოლო ლელჳსაგან ისწავეთ ესე: ვ˜ა იგი რასჟამს რტონი მისნი დაჩჩუნიან და ფურცელი გამოვალნ ხუწყოდით რ˜ ახლოს არნ ზაფხული“ (ა. შანიძე, 1929, მ. XXIV, 32). დაჩჩუების უნიშნო ვნებითია, დაჩჩუნიან II ხოლმეობითის ფორმაში **-ნ** ჩართულია პრეფიქსიან პასივთა მოდელის მიხედვით (შდრ. დაიმალნიან). „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ (1973) ი. აბულაძეს **დაჩჩუ-** ფუძის ბუდეში საილუსტრაციოდ მოჰყავს ბაქარის ბიბლიის შემდეგი ადგილი: „დაჩჩუნეს ჴორცნი მისნი ვითარცა ყრმისა“ (იხ. დაჩჩუ-). დაჩჩუნეს წყვეტილის ფორმაა დაჩჩუნიან კი — II ხოლმეობითისა. უნიშნო ვნებითთა ძირითადი მოდელით მოსალოდნელი იყო დაჩჩუეს წყვეტილში, დაჩუიან (ან დაჩჯან) — მეორე ხოლმეობითში. რა თქმა უნდა, ბაქარის ბიბლიაში, ეს ფორმა შემთხვევითი აღარ ჩანს, რაღაც ტრადიციით არის განმეორებული.

შედარებით გვიანდელ ძეგლებში თანდათან მოხშირებულია უნიშნო ვნებითთა და საშუალო გვარის ზოგი ჯგუფის ზმნათა II სერიის მრავლობითი რიცხვის ფორმებში მრავლობითის -ნ-ჩართული ფორმები: (1) „ძველი ქართულის აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების“ III ტომში არის დადგნეს უნიშნო ვნებითის -ნ-ჩართული ფორმა: „... სადა დადგნეს განმაცხოველებელნი ფერჴნი უფლისანი“ (305, 3); შდრ. კანონიკური დადგეს. (2) ამ ტიპის ფორმებია „ვეფხის ტყაოსნის“ მე-17, მე-18 საუკუნეთა ხელნაწერებში: ხელნაწ. J (H-461) — „მოქარავნენი ზღვის პირსა დგნეს შეჭირვებულნი“ (1028, 4); შდრ. დგეს იგივე. ხნწ. U და V (S-5006 და H-3061) — „აუვსებელნი არ დარჩნეს მას დღესა მათი მხლებელნი“ (371, 4); შდრ. დარჩეს მხლებელნი. ხნწ. U და V — „ერთი ესე ასმათ და დამრჩნეს ორნი მონანი“ (593, 1); შდრ. დამრჩეს მონანი.

მრავალ ხელნაწერშია (C, D, G, H, E, V, X...) — „ამოძვრნეს ორნი მონანი“ (629, 1); შდრ. ამოძვრეს მონანი.

სიმრავლის **-ნ**-ჩართული ფორმები „ვეფხის ტყაოსანში“ საშუალი გვარის სვლა ზმნის წყვეტილის ფორმებში გვხვდება.

ხნწ. D, R, J, K, L... „მოვიდნეს სრულნი არაბნი“ (45, 1), წავიდნეს (117, 1) — K, T, U, W ხელნაწერებში; წამოვიდნეს (491, 3) — A, B, M, X ხელნაწერებში.

ზემოთ წარმოდგენილი -ნ-ჩართული ფორმები, ვფიქრობთ, სამეტყველო ფორმებია მე-17, მე-18 საუკუნეებში. ეს ფორმები სამწერლობო ძეგლებში გადამწერთა წყალობით მოხვდნენ. ხანმეტი პერიოდის დაჩჩუნეს და დაჩუნიან აგრეთვე სამეტყველო ფორმებად უნდა მივიჩნიოთ, ე. ი. მეტყველებაში მოულოდნელი არ ყოფილა სხვადასხვა ტიპის პასივთა მრავლობით რიცხვში წარმოების მოდელთა შენაცვლება.

ამნაირი წარმოების ერთი ფორმა მე-17 საუკუნის ქართლურშიც დადასტურდა ბერნარდო-მარია ნეაპოლელის მიერ ჩაწერილ ზღაპარში: „ხოჯა მოკვდა, დარჩნეს ორნი ყმანვილნი“ („მრავალთავი“, 1, 1964, გვ. 49).

ბოლოს შევეხებით თუშურ დიალექტს, სადაც, საპირისპიროდ თანამედროვე სალიტერატურო ენისა და თანამედროვე ქართული სხვა დიალექტებისა, პრეფიქსიან პასივთა მოდელმა მთლიანად განდევნა უნიშნო და დ'ონიან ვნებითთა ძველი ქართულის მოდელი II სერიის მწკრივებიდან მრავლობით რიცხვში და თითქმის ერთადერთი გახდა გარდაუვალი ზმნებისთვის (გამონაკლისს ქმნიან მედიოაქტივები): თუშურისთვის ბუნებრივია დარჩნეს, დადგნეს, გაშრნეს, გაძღნეს... ასეთივე წარმოებისაა მოვიდნეს, წავიდნეს... იწვნეს, იდგნეს.

თუშურმა სიმრავლის -ნ სუფიქსი ჩართო დ'ონიან ვნებითებშიც, რაც სხვაგან (ძველ და საშუალ ქართულში, ქართულ დიალექტებში) არ დასტურდება. თუშურის ბუნებრივი ფორმებია: გალაღდნეს „გალაღდნენ“, დაცოტავდნეს „დაცოტავდნენ“, გაცხარდნეს „გაცხარდნენ“, გამწარდნეს „გამწარდნენ“, დაპატარავდნეს „დაპატარავდნენ“ და სხვ., ე. ი. დიალექტში პრეფიქსიან პასივთა მოდელი II სერიის მრავლობითი რიცხვის ფორმებში ყველა ვნებითის მოდელად იქცა. გადავიდა საშუალ გვარშიც, გარდა მედიოაქტივებისა.

შეიძლება დასკვნის სახით ვთქვათ: ძველ სამწერლობო ქართულში ენაში ერთიმეორის გვერდით არსებობდა პასივთა მრავლობითი რიცხვის II სერიის მწკრივთა წარმოების ორი მოდელი: (1) პრეფიქსიანი ვნებითების {-ენ} ჩართული (/ენ/~ /-ნ/ ალომორფებით) და (2) {-ენ}-ჩაურთველი მოდელი უნიშნო და სუფიქსიანი ვნებითებისთვის.

პასივთა საერთო გრამატიკული შინაარსი განაპირობებდა ამ მოდელთა სპორადულ ინტეგრაციას სამწერლობო ენაში: {-ენ}-ჩართული ფორმები უჩნდებოდათ უნიშნო ვნებითებს, იშვიათად იხმარებოდა პრეფიქსიან პასივთა {-ენ}-ჩაურთველი ფორმებიც. მსგავსი ფორმები უნდა მივიჩნიოთ განსხვავებულ მოდელთა ხმარების არეთა გაფართოება-დავიწროების ფაქტად და არა „შეუძლებელ" მოვლენად.

განსხვავებულ მოდელთა დავიწროება-გაფართოების ფაქტებს შეიძლება წავაწყდეთ ძველი და საშუალი ქართულის ნებისმიერ ტექსტში.

მოდელთა ჭიდილი დამთავრდა ახალი ქართულის სალიტერატურო ენაში უნიშნო და სუფიქსიანი პასივების მოდელის სრული გამარჯვებით, ხოლო, ამისგან განსხვავებით, პრეფიქსიან პასივთა მოდელის სრული გამარჯვებით — თუშურ დიალექტში.

II. სუბიექტის სიმრავლის ჭარბად აღნიშვნა აქტივთა და მედიოაქტივთა ფორმებში

ფორმაწარმოების მოდელთა შენაცვლება არ არის იშვიათი მოვლენა. მათ საკმაოდ ხშირად ვხვდებით ქართულ სამწერლობო ენასა და დიალექტებში. ზოგ ქვესისტემაში შენაცვლება შეიძლება სრულად განხორციელდეს ან დროის ღერძზე შენაცვლების განსხვავებული ხარისხი დაფიქსირდეს.

ისტორიულად განსაზღვრულ და განუსაზღვრელ სახელთა ფორმების შენაცვლება ხშირია ძველ ქართულში. რამდენიმე მაგალითი ოთხთავიდან: „რომელსა სახელ ერქუა იაჲროს" (მრ. 5, 22C); შდრ. „რომელსა სახელი ერქუა გესემანი" (მ. 26, 36C);

„რომელსა ს ა ხ ე ლ ერქუა იუდა სკარიოტელი“ (მ. 26, 14 C); შდრ. „რომელსა ს ა ხ ე ლ ი ერქუა ნაზარეთ“ (ლ. 1, 26C) და სხვ.

საკუთარ სახელებს, რომელთაც განსაზღვრა არა სჭირდებოდათ ბუნებრივი განსაზღვრულობის გამო, ისტორიული განსაზღვრებითი -ი არა ჰქონდათ სახელობით ბრუნვაში, მაგრამ ამ სუფიქსის ბრუნვის ნიშნად მოქცევისას ხშირია შენაცვლება -ი სუფიქსით დაბოლოებული ფორმებით, მაგალითად: ა ბ რ ა ჰ ა მ მოკუდა“ (ი. 8, 52), შდრ. „მამაᲲ გჳის ჩუენ ა ბ რ ა ჰ ა მ ი“ (მ. 3, 9).

„ვეფხის ტყაოსანშიც“* ერთიმეორეს ენაცვლებიან ტ ა რ ი ე ლ და ტ ა რ ი ე ლ ი, ა ვ თ ა ნ დ ი ლ და ა ვ თ ა ნ დ ი ლ ი; ასევე ა ს მ ა თ მოთხრობით ბრუნვაში („ასმათ უთხრა“ 303, 1) და ა ს მ ა თ მ ა ნ ამავე ბრუნვაში („ასმათმან წყალი დაასხა“ 349, 1). მიზეზი სინტაქსურ წყვილთა განსხვავებული ფორმალური ურთიერთობისა დაბოლოებათა ფუნქციური ცვლილებაა. გარდამავალ პერიოდში ამ რიგის შენაცვლებები, მართლაც, გარდაუვალი იყო.

ქვემოთ შევეხებით სუბიექტის სიმრავლის ჭარბად აღნიშვნას ძველი და საშუალო ქართულის ზმნათა ფორმებში.

სუბიექტის სიმრავლე, როგორც წესი, ჭარბად გამოიხატებოდა ი-/ე- პრეფიქსიან ვნებითებში ძველსა და საშუალ ქართულში. პასივთა წარმოების ეს მოდელი დღემდე შემორჩენილია როგორც არქაულ დიალექტებში, ისე სალიტერატურო ენის ფუძე დიალექტებში — ქართლურსა და კახურში.

ძველი ქართულისთვის კანონიკურია დ ა ვ ი მ ა ლ ე ნ ი თ, დ ა ვ ე მ ა ლ ე ნ ი თ ... წარმოება, სადაც /-ენ/ და /-თ/ სუფიქსები (დავიმალ-**ენ**-ი-**თ**) სუბიექტის სიმრავლეს გამოხატავენ. იგივე ფორმებია დიალექტთა I და II პირების ფორმებში. ამავე პარადიგმის ძველი ქართულის III პირის ფორმაც კარგად არის დაცული არქაულ დიალექტებში: დაიმალნეს (ხევს.), დᲩმალნეს (თუშ.)... ქართლურსა და კახურში გვიან შექმნილი დ ა ი მ ა ლ ნ ე ნ ფორმაა გაბატონებული.

სიმრავლის ჭარბად გამომხატველ ფორმებს ი-/ე- პრეფიქსიან პასივთა პარადიგმებში „ვეფხის ტყაოსანიც“ ძველი ქართუ-

* დამონმებულია „ვეფხისტყაოსანი", ტექსტი და ვარიანტები, 1, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, 1966.

ლის წესით იყენებს: „არცა თუ წავეკიდენით“ (1234, 3); „ჩვენ ხაფად წაგეკიდენით (289, 2); „მერმე მედგრად წაიკიდნეს (910, 1)... ამ ფორმებში, ერთი მხრით, /-ენ/ ~ /-ნ/ და, მეორე მხრით, /-თ/ და /-ეს/ შერწყმული /-ენ-თ/ და /-ნ-ეს/ სახით სუბიექტის სიმრავლეზე მიუთითებენ, მაშინ როცა I და II პირებში ამისთვის საკმარისი იყო მხოლოდ /-თ/, ხოლო III პირში — მხოლოდ /-ეს/.

სხვა ტიპის პასივებში (უნიშნო, **-დ** და **-ენ** სუფიქსიან ვნებითებში) არა ხდებოდა სიმრავლის ორმაგი მარკირება: გავშერ-თ (ჩუენ), გაშრ-ეს (იგინი); განვმართლდი-თ (ჩუენ), განმართლდ-ეს (იგინი), განვპოხენ-ი-თ (ჩუენ), განპოხნ-ეს (იგინი). განვპოხენით „გავსუქდით“, განპოხნეს „გასუქდნენ“ ფორმებში /-ენ/ და /-ნ/ ვნებითი გვარის მაწარმოებელია.

ზემოთ წარმოდგენილი ფორმების (ერთი მხრით, პრეფიქსიანი ვნებითების და, მეორე მხრით, უნიშნო და სუფიქსიანი ვნებითების) შედარებით უდავოა სიმრავლის ორმაგი მარკირება ი-/ე- პრეფიქსიან პასივებში და **-ნ** სუფიქსის პლეონასტური ბუნება.

სუბიექტის სიმრავლის ჭარბად გამოხატვის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს „ვეფხის ტყაოსნის“ აქტივთა და მედიუმთა ზოგი ფორმა:

„პირველ ამოდ ილაღობეს, მერმე მედგრად წაიკიდნეს:
თვითო ტოტი ერთმანერთსა ჰკრეს, სიკვდილსა არ დაჰრიდნეს;
გამოჰრიდა ვეფხმან გული — დედათა-მცა გამოჰრიდნეს;
ლომი მედგრად გაეკიდა, იგი ვერვინ დაამშვიდნეს“ (910).

ჯერ განვიხილავთ „დაამშვიდნეს“ აქტივის ფორმას. კონტექსტის გარეშე ამ ფორმის პირთა ფორმულაა $S_3{}^{p}O_3{}^{dp}$, ანუ დაამშვიდ-ნ-ეს მათ ($S_3{}^{p}$) იგინი ($O_3{}^{dp}$) — ორპირიანი აქტივია, რომლის სუბიექტიცა და ობიექტიც მრავლობით რიცხვშია, მაგრამ ამ სტროფის კონტექსტით არც ერთია მრავლობითში და არც მეორე: არც **ვერვინ** (S_3) და არც **იგი** ($O_3{}^{d}$).

ამ ზმნას თუ კავშირებითი კილოს ფორმად (II კავშირებითი) მივიჩნევთ, რათა სუბიექტი მხოლობით რიცხვში იდგეს, მაშინ დაბოლოება /ეს/ უნდა დაიშალოს: დაამშვიდ-ნ-ე-ს, სადაც **-ნ** იქნება პირდაპირი ობიექტის სიმრავის ნიშანი, **-ე** კავშირებითი

კილოსი, **-ს** კი სუბიექტის ნიშანი (Sɜ). აქაც „მაგრამ" — დაეჭვება იჩენს თავს: პირდაპირი ობიექტი „იგი" (ანუ ლ ო მ ი) მხოლობით რიცხვშია. მაშასადამე, მის ნიშნად **-ნ** გამორიცხულია ზმნის ფორმაში როგორც ძველი ქართულის, ისე არქაული დიალექტების წესით.

არის მესამე ვარიანტი დ ა ა მ შ ვ ი დ ნ ე ს ფორმის მნიშვნელობის დადგენისა ამ კონტექსტში — ეს არის პირთა Sɜ^{p}Oɜ^{d} ფორმულა (მათ ის), მაშინ ფორმა ასე დაიშლება: დაამშვიდ-**ნეს**, ე. ი. -ნ სუფიქსი უნდა გაპყვეს სუბიექტის სიმრავლის **-ეს** სუფიქსს, როგორც ამავე პირის სიმრავლის ჭარბი გამომხატველი, რაც (სიმრავლის ჭარბი გამოხატვა) ნორმატიული იყო პრეფიქსიან ვნებითებში, როგორც ზემოთ, დასაწყისში, ვაჩვენეთ. ოღონდ ამისთვის „ვერვინ" („ვერვინ დაამშვიდნეს") უნდა მივიჩნიოთ ერთზე მეტის გამომხატველად. **ეს დასაშვებია**: „ვეფხის ტყაოსანში" ვხვდებით შესიტყვებებს, რომლებშიც სუბიექტად ხმარებული **ვინ** ნაცვალსახელი ზმნას მრავლობით რიცხვში ითხოვს სამსავე პირში, მესამე პირში — უფრო იშვიათად. რადგან საანალიზო სტროფში ვ ი ნ მესამე პირთან არის დაკავშირებული, მოვიყვანთ მესამე პირის ფორმებს:

„ვინ არ ყოფილა მიჯნური, ვის არ სახმილნი სდებიან,
ვის არ უნახვან პატიჟნი, ვისთვის **ვინ** არა ბნედებიან" (878, 2)

„ფრიდონისებრნი მოყმენი ვინმცა ვით **ვინ ეგებიან** (989, 1)

ვერვინ სახელობითი ბრუნვის გაგებით მრავლობით რიცხვში:

„სრა ედგა მოფარდაგული ოქსინოთა და შარდითა;
„ვერვინ ვხედევდით, შეიქმნა პირითა მინა-ვარდითა" (333, 2)

დ ა ა მ შ ვ ი დ ნ ე ს ტიპის ფორმათა ზუსტად აღსაქმელად ევფონიასთან დაკავშირებული ზოგი საკითხია განსახილველი.

ცნობილია, რომ „ვეფხის ტყაოსანში" ს ი ტ ყ ვ ი ს ფ ო რ მ ა ზოგჯერ დამოკიდებულია სარითმო პოზიციაზე. 908,2 ტაეპთან დაკავშირებით ა. შანიძე წერს: „907,2-ში* იკითხება: მათ რა უყვეს ერთმანერთსა, გ ა მ ი კ ვ ი რ დ ე ს, შემეზარნეს, მაგრამ აქ მრ. რი-

* ეს ნომერაცია 1951 წ. გამოცემისაა („ვეფხისტყაოსანი", 1951, ალ. ბარამიძის, კ. კეკელიძისა და ა. შანიძის რედაქციით).

ცხვის ფორმა (სუბიექტური პირისთვის) გამოწვეულია მეორე ზმნით, რომელიც სარითმო სიტყვაა და მასთან სუბიექტი მრავლობითში იგულისხმება“ (ა. შანიძე, 1956, გვ. 027). „გამიკვირდეს“ ზის გამიკვირდა ფორმის ადგილზე, მიზეზი ამისა სარითმო „შემეზარნეს“ ფორმაა, რომელთან კეთილხმოვანმა კავშირმა განაპირობა ეს ცვლილება, რაც მიჩნეულია ავტორის ნებად, რის გამოც არ ხდება მისი შესწორება.

იმავე 1951 წ. გამოცემის 1601-ე სტროფის 1 ტაეპის შესახებ ა. შანიძე წერს: „წინ მავალნი დარაჯათა მათთა ზედა გარდეკიდეს. უკანასკნელი სიტყვა სარითმოა (გარდეკიდეს, ჩამოჰყრიდეს, მოასხმიდეს, არ დაზმიდეს), **ამიტომ ხელს ვერ ახლებ** (ხაზი ჩ. — თ. უ.), თორემ წესით **გარდეკიდნეს** უნდა (ა. შანიძე, 1956, გვ. 036).

როგორც ვხედავთ, ევფონიის მოთხოვნათა საფუძველზე ანგარიში ეწევა არა მხოლოდ სარითმო სიტყვათა ფორმებს, არამედ ტაეპის შიდა ფორმებსაც, რომლებიც თავის მხრივ ანგარიშს უწევენ ტაეპის ბოლო ფორმას.

რა თქმა უნდა, „ანგარიშის გაწევა“ **არ ნიშნავს** ფორმათა ნებისმიერ ცვლას ლექსში კეთილხმოვანების შესაქმნელად.

საჭიროა ქართული ტექსტების ჩვენებათა საფუძველზე გამოვლენა ჩანაცვლებადი ფორმებისა, რომელთა ერთიმეორის ადგილზე გამოყენება შესაძლებელი იქნება, როცა კეთილხმოვანება ამას ითხოვს.

ჩვენ მიერ განხილულ შემთხვევაში აქტივის ფორმაში რუსთაველი იყენებს პასივთა სუბიექტის მრავლობითი რიცხვის წარმოების მოდელს: როგორც წაიკიდნეს პასივის კანონიკურ ფორმაში დაბოლოება -ნეს (ნ-ეს) ჭარბად გამოხატავს სუბიექტის სიმრავლეს მესამე პირში, ანალოგიურად დაამშვიდნეს („იგი ვერვინ დაამშვიდნეს“) აქტივის ფრმაშიც -ნეს (-ნ-ეს) სუბიექტის მრავლობით რიცხვს გამოხატავს III პირში.

ახლა განვიხილავთ ამავე სტროფის (910) დაჰრიდნეს ფორმას:

„პირველ ამოდ ილაღობეს, მერმე მედგრად წაიკიდნეს,

თვითო ტოტი ერთმანერთსა ჰკრეს, სიკვდილსა არ დაჰრიდნეს...“

დაჰრიდნეს საშუალი გვარის (მედიოაქტივის) ფორმაა, მის პირთა ფორმულა არის S3pO3sd (მათ მას). **-ნ** აქაც ჭარბი ელემენტია სუბიექტური მესამე პირის მრავლობითი რიცხვის **-ნეს** (-ნ-ეს) დაბოლოებაში, ე. ი. გამოყენებულია ამავე პირისა და ამავე რიცხვის ნიშანი ისეთი ზმნების კვალობაზე, რომელთაც პირდაპირი ობიექტი **-ნ** სუფიქსიან მრავლობითში აქვს (ვთქვათ: **თავნი** არ დაჰრიდნეს მათ სიკვდილს), **მაგრამ** ამ კონტექსტში ზმნას პირდაპირი ობიექტი საერთოდ არა აქვს: „სიკვდილსა არ დაჰრიდნეს (მათ — ლომმა და ვეფხმა). საშუალი გვარის ზმნას პირდაპირი ობიექტის სიმრავლის ნიშანიც, მაშასადამე, არ უნდა ჰქონოდა. ეს სიტყვა სარითმო პოზიციაშია და ნაიკიდნეს, გამოჰრიდნეს, დაამშვიდნეს ფორმებს ერითმება, ამიტომ არჩევს პოეტი შესაძლო -ნ სუფიქსიანი ფორმის გამოყენებას ევფონიის პრინციპებიდან ამოსვლით.

გრამატიკული წესების სრული დაცვით უნდა ყოფილიყო:

თვითო ტოტი ერთმანერთსა ჰკრეს, სიკვდილსა არ დაჰრიდეს. ასეთი კონტექსტისთვის შესაბამისი ფორმა გამოუყენებია კიდეც რუსთაველს, როცა კეთილხმოვანება **-ნ** სუფიქსს (resp. ბგერას) არ მოითხოვდა:

„მათ აკოცეს ერთმანერთსა, უცხოობით არ დაჰრიდეს,
ვარდსა ხლეჩდეს, ბაგეთაგან კბილნი თეთრნი გამოსჭვირდეს,
ყელი ყელსა გარდააჭვდეს, ერთმანერთსა აუტირდეს,
ქარვად შექმნეს იაგუნდნი მათნი, თუცა ლალად ღირდეს (284).

დაჰრიდეს ერითმება გამოსჭვირდეს, აუტირდეს, ლალად ღირდეს ფორმებს და ბუნებრივია, რომ აღარ ხდება მრავლობითი რიცხვის წარმოების მოდელთა შერევა — ყველა ფორმა კანონიკურია. მაგრამ პოეტი ისევ **-ნეს** დაბოლოებას იყენებს, როცა რითმა ამის მოთხოვნილებას აყენებს:

„მათ მშვილდები დაიწვადეს, მეჯოგეთა გაეკიდნეს,
მეჯოგენი მიიზახდეს, ხმანი მათნი გაადიდნეს:

„გვიშველეთო, გვიშველეთო, მეკობრეთა ამოგვწყვიდნეს!"

ხმა შეიქმნა, შეიყარნეს, ფრიდონს ჰკადრეს, არ **დაჰრიდნეს**" (1377).

დაჰრიდნეს (ნაცვლად გრამატიკულად სწორი დაჰრიდეს ფორმისა) აქ ნახმარია შერითმულ სიტყვებთან ფორმალური დამსგავსებისთვის (resp. ჰარმონიული ფონის შექმნისთვის) — ოთხივე ტაეპის ბოლო მარცვალია **-ნეს**, რომელსაც წინ უძღვის ასეთივე საერთო **-იდ** კომპლექსით დაბოლოებული მარცვლები (-კიდ, -დიდ, -წყვიდ, -რიდ).

ფორმათა წარმოების განსხვავებულ მოდელთა შერევას პროზაულ ტექსტებშიც ვხვდებით, რასაც თავისი საფუძველი აქვს. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ პასივის -ნ ჩართულ მრავლობითი რიცხვის ფორმათა ხმარების განვრცობა უნიშნო ვნებითისა და საშუალი გვარის ფორმათა წარმოებაში ძველსა და საშუალ ქართულში (იხ. გვ. 141).

დავუბრუნდეთ 1601-ე სტროფს, რომლის **გარდეკიდეს** პასივის ფორმას ა. შანიძე ეხებოდა ევფონიის ასპექტით და აცხადებდა: „წესით გარდეკიდნეს უნდა", მაგრამ „სიტყვა სარითმოა (გარდეკიდეს, ჩამოჰყრიდეს, მოასხმიდეს, არ დაზმიდეს), ამიტომ ხელს ვერ ახლებ" (ა. შანიძე, 1956, გვ. 036). იქვე დასძენდა ამასაც: „ეს წესი კი ვეფხის-ტყაოსნის დაწერის დროს მოქმედებდა და არა იმ დროს, როდესაც პოემას ახალი თავები დაერთო" (ხაზი ჩ. — თ. უ.).

გარდეკიდეს ფორმის აღნიშნულ სტროფში ხმარების გასამართლებლად, ვფიქრობთ, დაწერის დროს მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ე- პრეფიქსიან პასივთა გარდეკიდნეს ტიპის ფორმები ჩვეულებრივი იყო საშუალ ქართულში ბოლომდე. ისინი დღემდე აქტიურად იხმარება არქაულ კილოებში და, რაც უფრო არსებითია, ამ დანართ თავში II სერიის ი-/ე- პრეფიქსიან პასივთა ფორმებისთვის ნორმად სწორედ **ნარ-** ჩართული ფორმებია მიღებული. ამავე სტროფის მეორე ტაეპშია ანალოგიური წარმოების „მიეწივნეს", რომელიც სარითმო პოზიციაში არ არის და, ბუნებრივია, წესისამებრ არის გაფორმე-

ბული. ამ თავში არასარითმო პოზიციაში კიდევ **ათი ე-** პრეფიქსიანი პასივია ნახმარი, **ერთიც — ი-** პრეფიქსიანი, რომელთაც სუბიექტი მრავლობით რიცხვში აქვთ და ყველა ფორმაში პლეონასტური **-ნ** არის გამოყენებული: შემებნეს (1599, 2), დაეკაზმნეს (1600, 1), მიეწივნეს (1601, 2), დაეხსნეს (1613, 3), მიეგებნიან (1619, 3), გამოენდვნეს (1619, 3), მოეჭდვნეს (1624, 4), მოეხვივნეს (1625, 1), ეთაყვანნეს (1630, 2), მიეგებნეს (1630, 3), მოეხვივნეს (1630, 3) და **ი-** პრეფიქსიანი დაიკარგენით (1610, 1). მაშასადამე, ა. შანიძის კომენტარიდან არსებითი და მისაღებია: „სარითმო სიტყვაა", „ამიტომ ხელს ვერ ახლებ", რაც იმას ნიშნავს, რომ გარდეკიდეს ხმარება კანონიკური გარდეკიდნეს ნაცვლად გადადის ევფონიის სიბრტყეზე და გრამატიკული თვალსაზრისით გამართლება უნდა ვეძებოთ ფორმაწარმოების მოდელთა ტოლფასოვანი შენაცვლებისთვის, ე. ი. **უნდა გამოვლინდეს შენაცვლების ევფონიურ-გრამატიკული საფუძველი.**

ძველ ქართულში, როგორც სტატიის შესავალ ნაწილში აღვნიშნეთ, პასივთა ორი ჯგუფი, რომელთაც სუბიექტი მრავლობით რიცხვში ედგათ, სხვადასხვა მოდელით რეალიზდებოდა II სერიის მწკრივებში — მეორე ჯგუფის პასივები (უნიშნო და სუფიქსიანი) არ საჭიროებდნენ ჭარბ {-ენ} სუფიქსს. რამდენიმე მაგალითი: „ყოველნი ზღუასა მას განჴდეს" (I კორ. 10, 1), „შეუკრბეს მას მონაფენი იგი" (საქმე 14, 20D)*, „მას პატრონ-ყმანი გაუხდეს, ჭვრეტადმცა სჯობდა რომელი" („ვეფხის ტყაოსანი" 75, 3) და სხვ. ანალოგიურია ვითარება სუფიქსიან ვნებითებში, „განძლიერდეს უძლურებისაგან [დავით მეფს, ეზეკია, ასა მეფს], ებრ. 11, 34"*, „რაჲთა არა **გან-**ვინმე-ფიცხნეს თქუენგანი" (ებრ. 3, 13)*.

განსხვავებული წარმოების ორი რიგის პასივებს რუსთაველი უნაცვლებს ერთიმეორეს ევფონიის პრინციპებიდან ამო-

* დამოწმებულია „ქართული სამოციქულო სიმფონია-ლექსიკონის" მიხედვით (შეადგინეს ლელი ბარამიძემ, რუბენ ენუქაშვილმა და თეიმურაზ მეტრეველმა), 2009.

სვლით. ეს შესაძლებელი იყო, რადგანამ ორი მოდელის პირიანობის მიხედვით თანაბარი ფორმები გრამატიკული მნიშვნელობით ერთიმეორეს ემთხვევიან. სწორედ ამის შედეგია ის, რომ განსხვავებული წარმოების პასივები, არც თუ იშვიათად, გადადიან ერთიმეორის მოდელზე, მაგალითად: შეკრბეს, შდრ. შეიკრიბნენ; დაშრტა, შდრ. დაიშრიტა; ოთხთავში დამორჩილება ზმნის პასივის ფორმები ე- პრეფიქსიანია: „დაემორჩილებიან“ (მრ. 1, 27C), შდრ. „ვეფხისტყაოსნის“ „დაჰმორჩილდა“ (902, 1)*.

მაშასადამე, ზმნათა ფორმაწარმოების მოდელთა შენაცვლებით წინადადებას შინაარსი არ ეცვლება, შენაცვლება კი ევფონიის პრინციპთა დაცვით ხორციელდება.

* ამასთან დაკავშირებით იხ. ა. შანიძე, 1973, გვ. 301; ივანე იმნაიშვილი, ვახტანგ იმნაიშვილი, 1996, გვ. 364.

-ოდ და -იდ სუფიქსები ძველ ქართულსა და აღმოსავლეთი საქართველოს მთის დიალექტებში

მეორე სერიის -ოდ სუფიქსიანი ფორმები ძველი ქართულის ბოლო პერიოდში გამოჩნდა (IX, X სს.). მათ ეწოდა „შერეული ფორმები": „შერეული ხოლმეობითი", „შერეული კავშირებითი"... II სერიის ყველა მწკრივს აღმოაჩნდა „შერეული ფორმები" (სარჯველაძე, 1984, 454). ესენი პირველად ა. შანიძემ გამოავლინა, მანვე მიუთითა მათ ორბუნებიანობაზე – სინტაქსი მეორე სერიის, ასპექტი – უსრული, მსგავსად ძველი ქართულის I სერიის ფორმებისა (ა. შანიძე, 1946).

არნ. ჩიქობავას ცნობილ გამოკვლევაში – „ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში", I, 1948 – მეორე სერიის ფუძესთან **-ოდ** სუფიქსის გამოჩენას ძველ ქართულში მნიშვნელოვანი დებულებები მოჰყვა ქართული ენის ისტორიულ ცვლილებასთან დაკავშირებით. კვლევაში, ბუნებრივია, ჩაერთო არქაული დიალექტების: ფშაურისა და ხევსურულ-თუშურის მონაცემებიც, რომლებიც აგრეთვე იჩენენ ორბუნებიანობას – მეორე სერიის ფუძეს ურთავენ **-ოდ** (resp. -იდ) სუფიქსს II ხოლმეობითისა და თხოვნით-ნაქეზებითი ბრძანებითის ფორმათა სანარმოებლად.

* * *

ძველი ქართულის უღლების პარადიგმებში ხშირად ხდება განსხვავებულ გრამატიკულ ფორმათა დამთხვევა გამოხატულების პლანით. ეს ხდება როგორც I, ისე II სერიაში. I სერიაში აქტივის უწყვეტლის I და II პირთა ფორმები მრ. რიცხვში სრულად ემთხვეოდა უწყვეტლის ხოლმეობითის I და II პირთა ფორმებს ამავე რიცხვში.

უწყვეტელი	უწყვეტლის ხოლმეობითი
I აღვავსებდ(ი) – აღვავსებდით	I აღვავსებდ-ი – აღვავსებდით
II აღავსებდ(ი) – აღავსებდით	II აღავსებდ-ი – აღავსებდით
III აღავსებდა – აღავსებდეს	III აღავსებდ-ი-ს – აღავსებდ-ი-ან

ფრჩხილებში ჩასმულია ნართაული **-ი**, რომლის ფუნქციაა არაბუნებრივ კომპლექსებში თანხმოვანთა გაყრა. მას გრამატიკული ფუნქცია არა აქვს.

დამთხვევა ხდებოდა პასივთა ფორმებშიც: I კავშირებითი უწყვეტლის ხოლმეობითს ემთხვეოდა სამსავე პირსა და ორსავე რიცხვში.

I კავშირებითი და უწყვეტლის ხოლმეობითი	
I აღვივსებოდ-ი	აღვივსებოდ-ი-თ
II აღივსებოდ-ი	აღივსებოდ-ი-თ
III აღივსებოდ-ი-ს	აღივსებოდ-ი-ან

-ოდ სუფიქსიან შერეულ ფორმებთანაც ასეთივე დამთხვევა იყო მოსალოდნელი II კავშირებითსა და II ხოლმეობითში:

I აღვივსოდ-ი	I აღვივსოდ-ი-თ
II აღივსოდ-ი	II აღივსოდ-ი-თ
III აღივსოდ-ი-ს	III აღივსოდ-ი-ან

უკვე მოძიებული ფორმები ამას გვიმტკიცებენ (იხ. სარჯველაძე, 1984, 454 და შემდეგ). გამოხატულების პლანით დამთხვეულ ფორმებს კვლავ და კვლავ შევეხებით ქვემოთ.

ძველი ქართული **-ოდ** სუფიქსიანი ფორმები II სერიის მწკრივებში მიჩნეულია დიალექტიზმებად (სარჯველაძე, 1984, 457), სამწერლობო ენაში სამხრულ კილოთა შემონატანად მიიჩნევა (იქვე).

ფშაურში, ხევსურულსა და თუშურში II ხოლმეობითი ძველი ქართულის II ხოლმეობითს III პირში ემთხვეოდა, I და II პირებში ფშაურის II ხოლმეობითი ირთავს I სერიის **-ოდ** სავრცობს, ფუძე კი II სერიისა აქვს, რითაც ემთხვეოდა ძველი ქართულის ზემოთ აღწერილ შერეულ II ხოლმეობითსა და II კავშირებითს. ანალოგიური წარმოება აქვს II ხოლმეობითს ხევსურულსა და თუშურში, ოღონდ აქ I და II პირებს აქვთ **-იდ** დაბოლოება. ყოველივე ეს კარგად იყო ცნობილი ა. შანიძის 1920 წლის მონოგრაფიის („სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში") ფშაური, ხევსურული და თუშური კილოების პარადიგმებით (§§ 68, 70 და 71).

ლინგვისტური თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, ერთგვარად მოულოდნელი იყო პირველი სერიის მწკრივთა სპეციფიკური სავრცობის გამოჩენა II სერიის მწკრივებში როგორც ძველ ქართულში, ისე აღმოსავლეთი საქართველოს მთის დიალექტებში, რომლებშიც კარგად არის შემონახული ძველი ქართულის მიწურულისა (IX, X სს.) და საშუალი ქართულის საკმაოდ ბევრი ფორმა როგორც სახელთა ბრუნებაში, ისე ზმნათა უღლების პარადიგმებში.

ა. შანიძემ **-ოდ** და **-იდ** სუფიქსიანი ფორმები თავ-თავის ადგილზე განალაგა ფშაურ-ხევსურულ-თუშურში, მაგრამ მათი დიაქრონიული ანალიზი არ მოუცია, ძველი ქართულის ფორმებთან დაკავშირებით კი შენიშნავდა: (1) ესენი გვიან შექმნილი ფორმებია: „აღნიშნული ორბუნებოვანი მწკრივი უთუოდ მეორეული წარმოშობისაა" (1946). ასეთი ვარაუდის საფუძველს ხანმეტი და ჰაემეტი ძეგლების გამომცემელს აძლევდა ის, რომ ორბუნებოვანი ფორმები მან დაადასტურა ძვ. ქართულის **მხოლოდ** გვიანდელ ძეგლებში (IX, X სს.); (2) II სერიის ფუძეზე დართული **-ოდ** გადმოსულია I სერიიდან; (3) „შერეულ ფორმებს" სინტაქსი II სერიისა აქვთ, ასპექტი კი I სერიისა (უსრული, რაც **-ოდ** სუფიქსის არსებობას უკავშირდება); (4) მანვე ისიც შენიშნა, რომ შერეულ ფორმებში აქტივებს პირდაპირი ობიექტის სიმრავლე აღენიშნება {-ენ }სუფიქსის /-ნ/ ალომორფით (შეიწირ**ნ**ოდის), რაც იმის ნიშნად მიიჩნია, რომ ფორმა გვიან არის შექმნილი – უთუოდ გასაზიარებელია: **-ოდ** განურჩევლად ერთვის მხოლობითი და მრავლობითი რიცხვების ფორმებს. **-ოდ** რომ უკვე მიხორცებული ყოფილიყო II სერიის ფუძესთან, მაშინ პირდაპირი ობიექტის სიმრავლე შეიწიროდნის ფორმით იქნებოდა გამოხატული.

* * *

ძველი ქართული II სერიის შერეული ფორმები საგანგებოდ განიხილა არნ. ჩიქობავამ, შეპირისპირებით გაანალიზა ძველი ქართულისა და ფშაურ-ხევსურულ-თუშურის ხოლმეობითის **-ოდ**

და -**იდ** სუფიქსიანი ფორმები და ისინი მიიჩნია არქაული ნამყო უსრულის გადმონაშთად.

არქაული ნამყო უსრული კლასიკური ძველი ქართულისა და თანამედროვე ქართულის ნამყო უსრულისგან, რომელსაც დღეს უწყვეტელს ვუწოდებთ, იმით განსხვავდება, რომ ფუძედ იყენებს დიურატიული ასპექტის მქონე II ხოლმეობითს, რომელიც აწმყოსა და უწყვეტლის ფუნქციებსაც **ითავსებდა I სერიის ფორმათა ჩამოყალიბებამდე**. ამ ვითარების გადმონაშთად მან მიიჩნია დღევანდელი ახლანდელი დროის მქონე იცის და უწყის ფორმები; მათზე დამყარებული იცოდის და უწყოდის ისტორიული არქაული ნამყო უსრულის ფორმებია... „ეს ზმნები არქაული ვითარების ნამდვილ ნაკრძალად გვევლინება" – შენიშნავს არნ. ჩიქობავა (ჩიქობავა, 1948, 73).

ნამყო სრული, II ხოლმეობითი, არქაული ნამყო უსრული უძველეს ფორმებად არის მიჩნეული: თეორიის მიხედვით, არსებობდა მხოლოდ ვიდ-ი-ს, მის-ც-ი-ს, თქუ-ი-ს (თქვს) და სხვ., რომლებიც განგრძობითი ასპექტის ფორმებია და თავისუფლად გამოხატავენ წარსულში მრავალგზის გამეორებულ მოქმედებასაც (II ხოლმეობითი) და მიმდინარე პროცესსაც (აწმყო).

არქაული ნამყო უსრული, არნ. ჩიქობავას მტკიცებით, I სერიის შედარებით გვიანდელი ფორმების არარსებობის პირობებში (როცა არ იყო მისცემს, წერს, ვალს...) აღნიშნული უძველესი ფორმაციის II ხოლმეობითს იყენებდა ფუძედ: **ვიდ**-ოდ-ა, **ვიდ**-ოდ-ი-ს; მის-**ც**-ოდ-ი-ს, მის-**ც**-ოდ-ი-ან და სხვ.

ქრონოლოგიურად, ამ თეორიის მიხედვით, ნამყო უსრულის ფუნქციით II ხოლმეობითის ფორმის გამოყენება წინ უსწრებს არქაული ნამყო უსრულის -**ოდ** სუფიქსიანი ფორმების გამოყენებას, ე. ი. მისცის ნამყო უსრულის ფუნქციით უფრო ადრე იხმარებოდა, ვიდრე მისცოდის || მისცოდა, მაგრამ თვით მისცოდის || მისცოდა იმ დროინდელი ფორმებია, როდესაც არ არსებობდა I სერიის მისცემდის, მისცემდა -**ემ** თემისნიშნიანი ფორმები („**ვალ** ფუძე **ვედ** ფუძის აწმყოდ მა-

შინ არ განიაზრებოდა" – ჩიქობავა, 1948, 58). **ვედ** ფუძის უღლების ძველი სახე კი ასეა წარმოდგენილი.

„ I. ხოლმეობითი: ვიდ-ი-ს II. ნამყო ძირითადი: ვიდ-ა
ნამყო უსრული: **ვიდ-ო-დ**-ი-ს || ვიდ-ო-დ-ა კავში. II ვიდ-ე-ს
კავშ. I: **ვიდ**-ო-დ-ე-ს (ჩიქობავა, 1948, 59).

აღნიშნულ ფორმათა მიხედვით ყალიბდება თვალსაზრისი, რომლის მიხედვით აქტიურ ზმნებს ჯერ ჰქონდათ ერგატიული კონსტრუქცია, შემდეგღა I სერიის ფორმათა ჩამოყალიბების შედეგად გაიჩინეს ნომინატიური კონსტრუქცია.

არნ. ჩიქობავას თეორიის მიხედვით, მაშასადამე, არქაული ნამყო უსრულის ფუნქციონირების დროს **ვერ იარსებებდა** „ნააწმყოვარი" ფორმები, ანუ ძველი ქართულის უწყვეტელი, I კავშირებითი და I სერიის სხვა მწკრივები, ა. შანიძე კი შერეულ ფორმებში სწორედ ნააწმყოვარი უწყვეტლის **-ოდ** სავრცობს ხედავს, რის გამოც მათი ასპექტი უსრული ხდებოდა; ამიტომაც მან ეს „შერეული" ფორმები „მეორეული წარმოებისად" მიიჩნია.

განხილულ ფორმათა ქრონოლოგიურ მიმართებაში არნ. ჩიქობავას თვალსაზრისის გაზიარება ჭირს, რადგან მის მიერ „არქაულ ნამყო უსრულად" მიჩნეული ფორმები **გვიან** – ძველი და საშუალი ქართულის მიჯნაზე ჩნდება ენაში, მაშინ როცა გაცილებით **ადრე** ხ ა ნ მ ე ტ ი და ჰ ა ე მ ე ტ ი ძეგლები ჩვეულებრივ ხმარობენ I სერიის ფორმებს.

ქვემოთ მოვიყვანთ I სერიის ფორმებს ხანმეტი და ჰაემეტი ძეგლებიდან*.

ხანმეტი: „ნათელ-ხ ც ე მ დ ი თ მათ სახელთა მამისაჲთა, ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა" (მ. XXVIII, 19); „და ხ ა ს ნ ა ვ ე ბ დ ი თ მათ დამარხვად ყოველი" (მ. XXVIII, 20); „და გ ა მ ო ხ უ თ ა რ გ მ ა ნ ე ბ დ ა მათ..." (ლ. XXIV, 27); „იგინი ხ ა ი ძ უ ლ ე ბ დ ე ს მას" (ლ. XXIV, 29). აქვე დასტურდება აწმყოს ა ღ ვ ა ლ ფორმა „ავდივარ": „და ხრქუა მათ ა ღ ვ ა ლ მამისა ჩემისა" (ი. XX, 17). **ჰაემეტი**: „[ღროჳბ]ელი ნათლისაჲ ა გ რ ი ლ ო ბ დ ა მათ"

* მაგალითები ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტებიდან დამონმებულია შემდეგი გამოცემების მიხედვით: ა. შანიძე, 1923 და ა. შანიძე, 1929.

(მ. XVII, 5); „ანგელოზნი მათნი ცათა შინა მარადის ჰხედვენ პირსა მამისა ჩემისასა...“ (მ. XVIII, 10); „განოჯკჯრდებოდა ყ˘ლთა და ადიდებდეს ღ˘ა...“ (მრ. II, 12) და სხვ. მსგავს ფორმათა მოძიება ამ ძეგლებში არა ჭირს.

ძველი ქართულის ფორმათა გვერდით არნ. ჩიქობავა დაწვრილებით აანალიზებს აღმოსავლეთი საქართველოს მთის დიალექტებს – ფშაურსა და ხევსურულზე, ზოგჯერ თუშურზეც უთითებს. ამ დიალექტების II ხოლმეობითის I და II პირთა ფორმები **-ოდ, -იდ** სუფიქსებით იწარმოებიან: **-ოდ** ფშაურს ახასიათებს (სთქოდი, ჰნახოდი...), **-იდ** კი ხევსურულსა და თუშურს (სთქვიდი, ღნახიდი*...).

II პირის ფორმებს ეს დიალექტები თხოვნით ფორმებშიც იყენებენ (ფშაური: ჰნახოდი! ხევს.-თუშ. ღნახიდი!). S_2-ის ნიშანი ხშირად არ იკარგება თხოვნით-ბრძანებითში**: „კიდევ ვინ მოღლალიდითავ“ (ქდ, 9, 38). „მაშინ მ ო ხ ვ ი დ ი , ზურაბო (ხპ 13, 2); შდრ. II ბრძანებითის ხევსურული ფორმები: მეედ! „მოდი!“ || მაედ!; თუშ. წედ! „წადი!“ (თხრობითი კილოს ფორმაა წ ა ხ ვ ე დ ი)...

არნ. ჩიქობავას განცხადებით, მთის დიალექტებში **-ოდ** და **-იდ** სუფიქსები „შემთხვევითი არაა“ (1948, §18, გვ. 86). ფშაურ-ხევსურულ ხოლმეობითს არქაული ნამყო უსრულისა და ხოლმეობითის ნაზავად მიიჩნევს: „არქაული ნამყო უსრულისაა პირველი და მეორე პირი, ხოლმეობითისა – მ ე ს ა მ ე პირი“ (იქვე); კონსტრუქციაც ერთნაირი აქვთ – ერგატიული; I და II პირების ფორმათა საწარმოებლად „ამოსავალია ხოლმეობითი, რომელსაც აწინდელი აწმყოს მაგივრობა ეკისრებოდა“ (§18, გვ. 86). **-ოდ** სუფიქსი ნამყო უსრულისაა, რთული შედგენილობისაა, იშლება **-ო** და **-დ** ნიშნებად: **-დ** ნამყო უსრულის საწარმოებელი სუფიქსია,

---

* პოზიციურად შესაძლებელია -ი სუფიქსის გარეშეც: სთქვიდ, ღნახიდ... უპაუზო პოზიციაში, ან სთქვიდ̂, ღნახიდ̂... პაუზის წინ.

** ძველ ქართულში წყვეტილის თხრობითი კილოს ფორმების S_2-ის ნიშანი იკარგებოდა II ბრძანებითში (ჰქმენ: ქმენ!) — თუ ორპირიან აქტივში /ჰ-/ ან /ს-/ გამოჩნდება, იგი $O^{ჰ}_3$-ის ნიშანი იქნება და არა S_2-ისა. ეს ხდება I სერიაში წ ე რ დ ი !; შდრ. დ ა ს წ ე რ დ ი ! ძვ. ქართულის I ბრძანებითის უზმნისწინო ფორმებში $O^{ჰ}_3$-ის ნიშნის არქონა I სერიის ფორმებში მორფონოლოგიური ცვლილების შედეგია.

-ო კი ხოლმეობითის მაწარმოებელი **-ი** სუფიქსის ფონეტიკური ვარიანტია, რაც, ჩვენი აზრით, ემყარება ძნელად დასაშვებ ჰიპოთეტურ დებულებას: „საფიქრებელია, რომ ეს **-ო** მიღებული იყო წინამავალ **-ვ**-სთან შერწყმით: ამ **-ვ**-ს მქონებლობა დიალექტური ნორმა უნდა ყოფილიყო“ (§18, გვ. 87).

-ოდ სუფიქსის დართვას, ამ თეორიის მიხედვით, წინ უსწრებს II ხოლმეობითის გამოყენება აწმყოს მნიშვნელობით (თქვს, ყვის); ეს ფორმები **-ოდ** სუფიქსის დართვამდე უწყვეტლის მნიშვნელობითაც იხმარებოდნენ – მათ აერთიანებდა განგრძობითი ასპექტი.

როგორც ვხედავთ, ფშაურის **-ოდ** სუფიქსიან ფორმებს ისეთივე ახსნა ეძლევა, როგორიც ჰქონდა ძველი ქართული II სერიის **-ოდ** სუფიქსიან „შერეულ“ ფორმებს.

თუ ძველი ქართულისა და მთის დიალექტთა **-ოდ** სუფიქსიანი ფორმების შესახებ დებულებებს გავაერთიანებთ, მივიღებთ აქტივთა I და II სერიების ფორმათა წარმოების შემდეგ ქრონოლოგიურ თანამიმდევრობას: განგრძობითი ასპექტის მქონე II ხოლმეობითი, რომელიც უპირისპირდებოდა „ერთბაშ“ ნამყო სრულს, იხმარებოდა გვიანდელი II ხოლმეობითის, აწმყოსა და უწყვეტლის (ნამყო უსრულის) ფუნქციით. თუ ადრე მ ი ს ც ი ს კმაროდა სამივე გრამატიკული ფუნქციის გადმოსაცემად, **-ოდ** სუფიქსის დართვით ნამყო უსრული საკუთარ ფორმას იკეთებს – მ ი ს ც ო დ ი ს || მ ი ს ც ო დ ა (არქაული ნამყო უსრული), ბოლოს კი – I სერიის ფორმათა წარმოქმნის შემდეგ უწყვეტელი „იწარმოვა აწყმოს ფორმიდან: მ ი ს ც ე მ ს (აწმყო), მ ი ს ც ე მ დ ა (უწყვეტელი).

-დ და **-ოდ** სავრცობები ერთიმეორეზე ვერ დაიყვანება. აქტიურ და პასიურ ზმნებში, მედიუმთა განსხვავებულ სახეობებში ისინი დისტრიბუციულად უპირისპირდებიან ერთიმეორეს. სანიმუშოდ შევუპირისპირებთ აქტივისა და პასივის ფორმებს სავრცობიან მწკრივებში, სადაც ეს სავრცობები თავის მხრივ მწკრივთა ნიშნებს ანაწილებენ.

აქტ. ხასწავებ-დ-ე (I კავშ.): ხისწავებ-ოდ-ი (პას., I კავშ.); შდრ. ხასწავებ-დ-ი-თ (აქტ., უწყვეტ): ხისწავებ-ოდ-ე-თ (პას., უწყვეტ.) –

წარმოდგენილ ფორმებში მრავალგზისობის **-ი** არსად ივარაუდება, რომ /ვ/-სთან შერწყმით (არც /ვ/ ივარაუდება!) მოეცა **ო** (**-ოდ**).

აქვე არნ. ჩიქობავამ ერთი არსებითი კითხვა დააყენა: „საკითხში მაინც არაა ნათელი მესამე პირისა და პირველი ორი პირის თავისებური შეხამება; რატომ დარჩა მესამე პირი „უცვლელად?" (ჩიქობავა, 1948, §18, გვ. 88), ე. ი. თუ I და II პირებში **-იდ** (თუშ.-ხევს.) ან **-ოდ** (ფშ.) ჩნდება II ხოლმეობითში, რატომ არ არის ეს სუფიქსი მესამე პირშიც (თუშ.-ხევს. ვაშენ-**იდ**-ი, აშენ-**იდ**-ი, აშენ-**ი**-ს, ფშ. ვაშენ-**ოდ**-ი, ა-შენ-**ოდ**-ი, აშენ-**ი**-ს). აქ ინოვაციურია I და II პირთა ფორმები, მესამე არქაულია; შდრ. ძვ. ქართულის ვაშენ-ი, აშენ-ი, აშენ-ი-ს.

* * *

კითხვა დაისვა, პასუხი სამომავლოდ გადაიდო. ეს საკვანძო კითხვაა როგორც ძველი ქართულის „შერეულ" ფორმათა, ისე აღმოსავლეთი საქართველოს მთის სამი დიალექტის (ფშაურის, ხევსურულისა და თუშურის) II ხოლმეობითის ფორმათა არქაულობა-ინოვაციურობის გასარკვევად.

ეს კითხვა დასვა ალ. ჭინჭარაულმაც და, ჩვენი აზრით, სწორი პასუხიც გასცა მთის კილოთა ფორმებთან დაკავშირებით (ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, 1960).

ალ. ჭინჭარაულმა გამოყო **-ამ** და **-ობ** თემისნიშნიანი ზმნები, რომელთა წ ყ ვ ე ტ ი ლ ი ს ა და II ხ ო ლ მ ე ო ბ ი თ ი ს ფორმები I და II პირებში ემთხვევა ერთიმეორეს გამოხატულების პლანით:

„**აბამს**: (შე)ვაბი. (შე)აბი, (შე)ვაბით, (შე)აბით..." (გვ. 115);

„**აცხობს**: ვაცხვი, აცხვი, ვაცხვით, აცხვით... (გვ. 116).

მან ასევე მიუთითა ხევსურულის ნამყო უსრულისა და უწყვეტლის ხოლმეობითის (ანუ „პირველი ხოლმეობითის") საზიარო ფორმებზე გამოხატულების პლანში: „ყოველგვარი ზმნის ნამყო უსრული და ხოლმეობითი ემთხვევა ერთმანეთს პირველმეორე პირებში" (გვ. 116). ამ ნაშრომში ის სხვა ტიპის ზმნათა დამთხვეულ ფორმებზეც უთითებს, მაგალითად, განხილულია მ ო გ ვ გ ვ ა რ ი გ ა ბ უ რ ი ს ტექსტიდან: „შეიძლება კაცმა ორნაი-

რად გაიგოს, წერს იგი, როგორც **მოგვგვარე** ან როგორც **მოგვგვარიდი**" (ჭინჭარაული, 1960, 105).

ძველი ქართული მსგავსი მოგვგვარი, შევაბი, ვაცხვი – ყველა II ხოლმეობითის ფორმებია, რომელთა პარალელურად ხევსურულში იხმარება **-იდ** სუფიქსიანი II ხოლმეობითის ფორმებიც: მოგვგვარიდი, შევაბიდი, ვაცხვიდი და სხვ.

ალ. ჭინჭარაული მონოგრაფიის თითქმის ორ გვერდზე მიყოლებით ასახელებს წყვეტილისა და II ხოლმეობითის გამოხატულების პლანით დამთხვეულ ფორმებს (წყვეტილში -ი დაბოლოება უმეტეს შემთხვევაში -ე-სგან მომდინარეობს) და მათზე დამყარებით აყალიბებს ფ˝დ მნიშვნელოვან დებულებას: „ჩვენი აზრით, ნამყო უსრულისეული სუფიქსები პირველ-მეორე პირში ზემოთმოყვანილი ფორმების გასათიშავად უნდა დართვოდა: პირველად – მეორე ხოლმეობითში ზოგიერთი ზმნის ფორმას, პირველში კი ყოველგვარ ზმნას. შემდეგ მეორე ხოლმეობითშიაც უნიფიკაციისკენ მიდრეკილების გამო ეს წესი საყოველთაოდ უნდა გატარებულიყო" (გვ. 116).

აღწერილი საზიარო ფორმებისთვის დავასახელებთ კიდევ რამდენიმე ტიპის ზმნებს, ესენია: (1) **-ედ** სუფიქსიანი უნიშნოვნებითები: გავტყდი (წყვეტ.): გავტყდი (II ხოლმ.), მოვკვდი: მოვკვდი, მოვხვდი: მოვხვდი და სხვ. (2) **-დ** სუფიქსიანი ვნებითები: დავბრუნდი (წყვეტ.): დავბრუნდი (II ხოლმ.), დავშორდი: დავშორდი და სხვ. (3) **ი**თემისნიშნიანი აქტივები: გავგზავნი (მყოფ.).: გავგზავნი (II ხოლმ.), გავჭრი: გავჭრი, მოვმკი: მოვმკი და სხვ. II ხოლმეობითში ესენი გადასული არიან **-იდ(ი)** დაბოლოებაზე. თუშურში, განსხვავებით ხევსურულისგან, პროცესი დამთავრებულია: (და)ვაბი, (და)ვაცხვი, დავბრუნდი, მოვკვდი, მოვმკი წყვეტილის ფორმებია, II ხოლმეობითის გაგებით აღარ იხმარებიან, II ხოლმეობითის გაგებით I და II პირებში **-იდ(ი)** დაბოლოებით იხმარებიან მხოლოდ (დავაბიდი, (და)ვაცხვიდი, დავბრუნდიდი, მოვკვდიდი, მოვმკიდი...), ბოლო **-ი** (დავაბიდი) თანხმოვანთა გამყარია, შეიძლება გაუმარცვლოვდეს ანდა სულაც დაიკარგოს პოზიციის მიხედვით: „ცხენ დავაბიდ" –

ეს პაუზის წინა პოზიციაა, „დავაბიდ ცხენი“ – ეს უპაუზო პოზიციაა. ლექსებში ეს **-ი** თითქმის ყოველთვის შემონახულია, აუცილებელია მრავლობითობის **-თ** სუფიქსის წინ: „ძმასა მითქვიდი ივანეს“ (შანიძე, 1984, 244, 1); „დედასა ჩემსა მითქვიდით“ (შანიძე, 1984, I, 244, 3).

როგორც ვნახეთ, განსხვავებულ გრამატიკულ ფორმათა დამთხვევამ გამოხატულების პლანში საშინელი ანარქია გამოიწვია მთის დიალექტებში.

II ხოლმეობითთან დაკავშირებით I და II პირებში გამოსავალი მოიძებნა უწყვეტლის ხოლმეობითის ტიპის (ვხრიდი-, ვშლიდი...) **-იდ** სუფიქსიანი ფორმების შექმნით (მე დავმალ-იდ-ი, შენ დაღმალ-იდ-ი...), მესამე პირი ძველი ქართულისაა, რადგან ამ პირში II ხოლმეობითი არ ემთხვევა წყვეტილს (დამალ-ა: დამალის || დამალ: დამალის), თუმცა პარადიგმის გასწორების მცდელობაც ვერ გამოირიცხება იშვიათ შემთხვევაში*.

ინოვაციურ ფორმებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ისინი არ წარმოადგენენ ძველი ქართულის გადმონაშთს. საქმე გვაქვს ადგილობრივ დიალექტურ წარმონაქმნებთან: მთის კილოებს ძველი დროიდან (resp. ძველი ქართულიდან) გადმოეცათ II ხოლმეობითის კლასიკური ფორმები, როგორიცაა: ავიღი, აიღი, აიღის; ვაცხვი, აცხვი, აცხვის... ამათ გვერდით – პარალელურად (ხევსურულში) ან გაბატონებულად (თუშურში) შეიქმნა I და II პირებში ავიღიდი, აიღიდი; ვაცხვიდი, აცხვიდი... საკუთრივ დიალექტური წარმონაქმნები, ფშაურში: ავიღოდი, აიღოდი; ვაცხოდი, აცხოდი... მათ დიალექტურ ინოვაციურ წარმონაქმნობაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მსგავსი ფორმები არ შექმნილა ფხოური ჯგუფის მოხეურ კილოში** და შეიქმნა ამ ჯგუფის გარეთ მყოფ ფშაურში.

---

* შდრ. „გააფხავიდის ფრანგული, გაუშინჯიდის ვადანი“ ვაჟა-ფშაველა, ალუდა ქეთელაური, თხზულებანი, 1986, გვ. 110.

** მოხეურმა ძველი ფორმების გვერდით მრავალგზისობის გადმოსაცემად აღწერითი გზა აირჩია: მრავალგზისობის გამოხატვა დაინყო **-კე** ნაწილაკით, რომელსაც ურთავს ხოლმეობითის ფორმებს ან ერთჯერად ფორმებს: აწმყოს, მყოფადს, უწყვეტელს, წყვეტილს: თბება-კე, გათბება-კე, გათბებოდა-კე, გათბა-კე (ქავთარაძე, 1985, 57).

ფშაურ-ხევსურულ-თუშურში ძველ ქართულთან საერთო არის ინოვაციურ ფორმათა აგების ზოგადი მიმართულება: წყვეტილთან დამთხვეული ფორმები ნამყო უსრულის (უწყვეტლის) მაწარმოებლით წარმოედგინათ II ხოლმეობითში, რის საფუძველსაც ქმნიდა უწყვეტლობისა და განმეორადობის მსგავსება.

II ხოლმეობითის მაწარმოებელი ხევსურულსა და თუშურში არის განუყოფელი **-იდ** სუფიქსი. იგი ვერ დაიშლება სინქრონიულ დონეზე; ძველი დაპირისპირება დასწერ-ე: დასწერ-ი შეიცვალა ახალი **დასწერ-ე**: დასწერ-**იდ**(ი) დაპირისპირებით. ინოვაციურ ფორმებში **-ი** აღარ არის საკმარისი (ხევსურულში **ი** წყვეტილის ფორმაშიც არის – დასწერი, თუშურში კი დასწერი̂ (< დასწერე) მხოლოდ წყვეტილია; ძველი დასწერი – II ხოლმეობითი თუშურში აღარ არსებობს; ასევე დაუშლელია ფშაური **-ოდ** II ხოლმეობითში. ამ სუფიქსს არც ალ. ჭინჭარაული შლიდა: „ფშაურის **-ოდ** სუფიქსი (ვ-ა-კეთ-**ოდ**-ი, ვ-ა-კეთ-ებ-დ-**ოდ**-ი...), ჩვენი აზრით, ამჟამად განუყოფელია და ის იგივე სუფიქსია, გარდაუვალ ზმნებს რომ ერთვის ნამყო უსრულში: ვ-კვდ-ებ-**ოდ**-ი, ვ-ტირ-**ოდ**-ი (მი)-ვ-რბ-**ოდ**-ი...“ (ჭინჭარაული, 1960, 115).

-იდ სუფიქსის განუყოფლობაზე მიანიშნებს უწყვეტლის ფუძეზე დამყარებული უწყვეტლის ხოლმეობითი: ვაშენებ-დ (უწყვ.): ვაშენებდ-იდ (უწყვეტლის ხოლმეობითი ხევსურულსა და თუშურში). კონტექსტში: „ვაშენებდ ყორეს“; შდრ. ვაშენებდიდ ყორეს“ – ესენი უპაუზო პოზიციის ფორმებია. პაუზის წინ კი ამ ფორმებს ერთვის გაუმარცვლოებული ი (ი̂): „ყორეს ვა-

ა. შანიძის 1913 წ. ჩაწერილ ტექსტებში II ხოლმეობითის -კე ნაწილაკიანი მხოლოდ ერთი ფორმა გვხვდება მოხეურში: „დაამწყალობნიან-კე ეხლა ხატჩი“ (ა. შანიძე, 1984, I, 194, 31), სხვა შემთხვევებში არქაული ფორმებია ნახმარი (დალივის, დაალევინის, მიიყვანის...).

აღნერითი ფორმები, ჩანს, ხოლმეობითის ფორმებით დაწყებულა და საერთოდ გავრცელებულა ერთჯერად ფორმათა მრავალგზის ფორმებად გარდასაქმნელად.

მოხეურსაც, როგორც ვხედავთ, ძველი ქართულისგან მომდინარე ფორმების გვერდით საკუთარი ფორმები შეუქმნია, როგორც მისი ჯგუფის ხევსურულმა და თუშურმა დიალექტებმა შექმნეს II ხოლმეობითის საკუთარი ფორმები, რათა თავი დაეღწიათ გამოხატულების პლანით დამთხვეული ფორმებისგან, რომელთაც გრამატიკული მნიშვნელობა განსხვავებული ჰქონდათ.

შენებდი"; შდრ. „ყორეს ვაშენებდიდი". მრავლობითი რიცხვის -თ სუფიქსის წინ ეს ი მარცვლოვანია: ვაშენებდით, ვაშენებდიდით.

* * *

არქაულ დიალექტებში რეალურად არსებულ ფორმათა ანალიზის შემდეგ ვუბრუნდებით ძველ ქართულს. მსჯელობა დავიწყეთ ძველ ქართულში ზოგიერთ მწკრივთა გამოხატულების პლანით დამთხვეულ ფორმათა პარადიგმებით. მათი რაოდენობა გაცილებით მეტია. ფორმათა ქაოსი გამოხატულების პლანის მიხედვით, რაზეც მთის დიალექტებში ვუთითებდით, არანაკლებია ძველ ქართულში*. ამ ე. წ. „საზიარო ფორმებს" აქ კონტექსტებით არ წარმოვადგენთ, მივუთითებთ მხოლოდ ივანე და ვახტანგ იმნაიშვილების კაპიტალურ ნაშრომზე – „ზმნა ძველ ქართულში" (ნაწილი I და II, ფრანკფურტი, 1996), სადაც საკუთარის გვერდით წარმოდგენილია ყველა თაობის მიერ ძველი ქართულის ზმნათა კვლევის შედეგები და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ილუსტრირებულია პარადიგმების ნებისმიერი ნიუანსი ძველი ქართულის ძეგლებიდან.

აქ გამოვყოფთ საკვლევ თემასთან დაკავშირებულ შემთხვევებს, ესენია, ერთი მხრით, უწყვეტლის, უწყვეტლის ხოლმეობითისა და I ბრძანებითის, მეორე მხრით, წყვეტილის, II ბრძანებითისა და II ხოლმეობითის „საზიარო ფორმები": ჰაემეტი პერიოდის შემდეგ აქტივთა უწყვეტლისა და უწყვეტლის ხოლმეობითის I და II პირთა ყველა უზმნისწინო ფორმა ერთიმეორეს ემთხვეოდა; როდესაც S_2-ის ნიშანი მატერიალურად არ იყო გამოხატული, მაშინ სრული დამთხვევა ხდებოდა ამავე პირის I ბრძანებითთან.

---

* „ქაოსი" ხელს არ უშლიდა და არ უშლის მწიგნობრებს გაარჩიონ ფორმათა გრამატიკული მნიშვნელობები. ამ ქაოსიდან თავის დაღწევის ცდებიც კარგად არის ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში. ფორმათა დამთხვევები კი მორფონოლოგიურ ცვლილებათა შედეგია, რომლის აცილება თითქმის შეუძლებელია ფლექსიურ-აგლუტინაციურ ენებში. ამ ფორმებს უთუოდ კარგად არჩევდნენ მათი შემქმნელ-მომხმარებლები, მაგრამ უთუოდ სიძნელეებსაც უქმნიდა, რასაც ინოვაციური ფორმების შექმნა მოჰყვა.

ეს დებულებები გარკვეული შეზღუდვებით შეიძლება გავიმეოროთ წყვეტილის, II ხოლმეობითისა და II ბრძანებითის ფორმათა მიმართ. კიდევ უფრო მეტი: შეიძლება ემთხვეოდეს I და II სერიის ზოგიერთ მწკრივთა ფორმები, კერძოდ: აწმყოსი და II ხოლმეობითისა*. მნიშვნელობა არ ეძლევა მათ ისტორიულ წარმომავლობას – ამ შემთხვევაში არსებითია ის, რომ ენის ფუნქციონირების ერთსა და იმავე პერიოდში ამ ფორმებს, ახლანდელი დროის გაგებაც აქვთ და წარსული დროისაც (რა თქმა უნდა, კონტექსტის მიხედვით), განსხვავებული აქვთ ასპექტიც... ივანე დავახტანგ იმნაიშვილის დასახელებულ ნაშრომში ამ დამთხვეულ ფორმათა შესახებ დაწვრილებით არის ლაპარაკი მწკრივთა ფორმების განხილვის დროს და იქვე მოცემულია სათანადო ილუსტრაციები.

დიდი რაოდენობის საზიარო ფორმები ზმნათა გარკვეულ პირთა მიხედვით, ზოგჯერ კი ამა თუ იმ მწკრივთა სრულ პარადიგმებში (მაგ., პასივთა უწყვეტლის ხოლმეობითი და I კავშირებითი), ბუნებრივია, საფუძველი ხდებოდა ინოვაციურ ფორმათა წარმოქმნისათვის, მაგალითისათვის შეიძლება მივუთითოთ ხოლმეობითის III პირის მრ. რიცხვის **-ედ** სუფიქსის ხმარებაზე უწყვეტლის ხოლმეობითის III პირის მრ. რიცხვის **-ან** სუფიქსის ადგილზე, რათა განესხვავებინათ უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმა I კავშირებითის ფორმისგან (მაშინ როცა I და II პირებში ფორმები ისევ საზიარო რჩებოდა): ევედრებოდიედ ნაცვლად ევედრებოდიან ფორმისა. ეს უკანასკნელი ფორმა იყო საზიარო (ი. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, 1996, 147).

მწკრივთა შორის ფორმათა განსხვავების ანალოგიური მცდელობის შედეგია ინოვაციური „შერეული" ფორმები ძველი ქართულის II სერიაში, სადაც **-ოდ** სუფიქსია გამოყენებული ახალ ფორმათა შესაქმნელად, რის შედეგადაც ეს ფორმები I სერიაში ველარ გამოიყენება განსხვავებული საყრდენი ფუძის

* არსებობს ძვ. ქართულში ფორმა განვრცხი, რომელიც იხმარება აწმყოს, წყვეტილისა და II ხოლმეობითის გაგებით (ეს ეხება II პირსაც), დღევანდელი ვრეცხავ, გავრეცხე და გავრეცხე მრავალგზის.

გამო. ინოვაციური აქ სწორედ ეს არის – II სერიის ფუძისა და I სერიის სავრცობი ელემენტის ერთ ფორმაში შეკავშირება – ეს გზა მიგნებულ იქნა ძვ. ქართულის რომელიღაც კილოში (სამხრულ კილოში, ზ. სარჯველაძის ვარაუდით), საიდანაც სამწერლობო ენაშიაც შეაღწია, და სრულიად დამოუკიდებლად მიგნებულ იქნა აღმოსავლურ სამ დიალექტში.

არაბუნებრივი ვითარებიდან თავის დაღწევის ანალოგიური დამოუკიდებელი მიგნებები სხვა შემთხვევებშიც დასტურდება და კვლავაც გამოვლინდება. ეს არქაულობის თავისებური სახეობაა, მას შეიძლება ვუწოდოთ *არქაიზმის ალგებრული სახეობა*. ეს ხდება მაშინ, როცა ენის ჰორიზონტალური და ვერტიკალური ღერძების სხვადასხვა წერტილებში საერთო განმაპირობებელი საშუალებების ერთნაირი გზით გამოყენება ხდება. ასეთი მიგნებები შეიძლება განხორციელდეს რომელიმე ღერძის დაშორებულ წერტილებში, მაშინ როცა მომიჯნავე წერტილებში ეს არა ხდება, რა თქმა უნდა, თეორიულად არც შებრუნებული ვითარებაა გამორიცხული.

ენაში არსებული საერთო პრობლემიდან ერთიმეორისგან დამოუკიდებლად ერთნაირი გამოსავლის მოძებნის სხვა შემთხვევაზე მითითებაც შეიძლება. ასეთია S1-ის /ვ-/-ს მეტათეზისი, ერთი მხრივ, ხანმეტი და ჰაემეტი პერიოდების ქართული O3-ის /ხ-/-ს (resp. /ჰ-/-ს) მომდევნოდ და, მეორე მხრივ, თანამედროვე დიალექტებში: თუშურსა და შავშურ-იმერხეულში ამავე S1-ის /ვ-/-ს მეტათეზისი ფუძისეული ჩქამიერი თანხმოვნის მომდევნოდ.

ხანმეტი: **ხ-უ**-ეტყჳ, **ხ-უ**-არწმუნო, აღ-**ხ-ვ**-ასრულო...

ჰაემეტი: სათნო-ჰჳყავ [სათნო-ჰ-უ-იყავ], აღ-**ჰ-უ**-მართე...

თუშური: ტ-**ვ**-ირი, დ-**ვ**-ნები, ჭ-**ვ**-ამ... (ა. შანიძე, 1981, 238-241)

შავშურ-იმერხეული: ჭ-**ვ**-ამ, ხ-**ვ**-ედავ, თ-**ვ**-ესავთ... (მ. ცინცაძე, მ. ფაღავა, 2011, 235).

ქართული ფონოტაქტიკური წესებით ბუნებრივი არ არის /ვ/ + ჩქამიერი თანხმოვანი ერთი მორფემის ფარგლებში, *ბუნებრივია შებრუნებული თანამიმდევრობა*. სწორედ ამ საფუძველზე ხდებოდა S1-ის /ვ-/ პრეფიქსის მეტათეზისი O3-ის /ხ-/-ს (resp. /ჰ-/-ს) მომდევნოდ ხანმეტ და ჰაემეტ პერიოდებში.

ამავე მიზეზით დასახელებულ ქართულ დიალექტებში ხდება /ვ-/-ს (S_1) მეტათეზისი ფუძისეული ჩქამიერი თანხმოვნის მომდევნოდ* (იხ. გვ. 74 და შემდეგ).

ამ მოვლენას (/ვ/-ს მეტათეზისს ზმნებში) ადგილი არა აქვს ძველი ქართული მწერლობის ბოლო პერიოდში (IX, X სს.), საშუალ ქართულში და მრავალ ქართულ დიალექტში, კერძოდ: თუშურის მეზობელ ფშაურ და ხევსურულ დიალექტებში, მოხეურში, ქართლურსა და კახურში... რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ აღნიშნული მორფონოლოგიური ინოვაცია დამოუკიდებლად, სხვათა გავლენის გარეშე, განხორციელებულა თუშურსა და თურქთა სახელმწიფოში საქართველოსგან იზოლირებულ იმერხეულსა და შავშურში.

* პრობლემა შეიძლება დაიძლიოს S_1-ის /ვ-/-ს ჩავარდნითაც ფუძისეული ჩქამიერი თანხმოვნის წინ, რაც ხდება კიდეც დუშეთის რაიონის ქართლურსა და მთიულურში.

დელიმიტაციური სისტემის ჩამოყალიბებისათვის ქართულ ენაში

ცნობილია ზოგიერთი ენობრივი ელემენტის დელიმიტაციური ფუნქცია. ენები ამ მხრივ განსხვავებულია სპეციფიკური დიერემებით, რომლებითაც ახდენენ დელიმიტაციას.

განვიხილავთ დელიმიტაციური სისტემის ცვლილებას სამწერლობო ქართულის ხილულ პერიოდში – ხანმეტი პერიოდიდან (V ს.) დღემდე.

ძველი ქართულის ენობრივ სისტემაში გამოკვეთილ დიერემებს წარმოადგენენ /ჰ/ და /ი/ ფონემის [ი] ალოფონი: (1) ხორხისმიერი /ჰ/ ერთი მორფემის ფარგლებში კომბინაციაში არ შედის არც ერთ თანხმოვანთან. ის, როგორც პირის ნიშანი (S_2, O_3) ან ფშვინვიერი შემართვის ელემენტი, ყველგან მიჯნის მაუწყებელია როგორც ქართულ, ისე ნასესხებ სიტყვებში: შე-ჰ-ჭამენ, გან-ჰ-აშორვებენ, შე-ჰ-ძრწუნდები, და-ჰ-ჯერდების... ჰ-უმჯობჱს, ჰ-უტკბოჱს... ჰამბავი, ჰურია; ჰასრე; ჰე და სხვ. (2) [ი] ყველგან მიგვანიშნებს სინქრონიულ ან ისტორიულ საზღვარზე სიტყვათა და მორფემათა შორის, მაგ.: „დაუტევის კაცმან მამაჲ და დედაჲ თჳსი" (მ. 19, 53); „ესეცა მათთანაჲვე იყო" (ლ. 22. 59), წინაჲსწარ და სხვ. ამავე საფუძველზე დიფთონგი ჱ-ც (ეი) შეიძლება მივიჩნიოთ დელიმიტაციურ ელემენტად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქართული ენისთვის ხელოვნურად შექმნილ ფორმებს, როგორიცაა: იერუსალჱმ, აღმოცჱნებაჲ და სხვ., რომლებიც, სავარაუდებელია, მხოლოდ სამწერლობო ენის კუთვნილებას წარმოადგენდნენ.

ზოგადი თვალსაზრისით დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ სასაზღვრო ელემენტები სერიოზულ ცვლილებას განიცდიან. მათ შეიძლება დაკარგონ ეს ფუნქცია და, მეორე მხრივ, შეიძლება მოხდეს პირიქით: არადელიმიტატორმა ელემენტმა შეიძინოს დიერემის ფუნქცია.

ძველი ქართულის ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები: კავშირები, ზმნისართები, თანდებულები, ნაწილა-

კები და შორისდებულები შეიძლება მივიჩნიოთ დელიმიტაციურ ელემენტებად. არსებითად სწორედ განმეორებადი ფორმაუცვლელი ერთეულები განაპირობებდნენ გაბმულ ხელნაწერ ტექსტებში მიჯრით ნაწერი სიტყვების გარჩევას ძველ ქართულში. ისინი, გარდა იმისა, რომ ფორმაუცვლელი არიან, უფრო ხშირადაც იხმარებიან, ვიდრე ფორმაცვალებად მეტყველების ნაწილთა (სახელთა და ზმნათა) შემადგენელი ერთეულები (სიტყვები), ეს განსაკუთრებით ითქმის ნაწილაკებზე.

ძველ ქართულში ნაწილაკები ფორმაცვალებადი სიტყვების ნებისმიერ ფორმას დაერთვიან ერთი და იმავე სახით, კერძოდ: (1) რომელიმე სახელი ფორმას იცვლის ბრუნვათა და რიცხვთა მიხედვით როგორც უთანდებულოდ, ისე თანდებულით / თანდებულებით. ყველა ამ ფორმასთან ნაწილაკი ერთი და იმავე სახითაა წარმოდგენილი: კაცი-ცა, კაცმან-ცა, კაცსა-ცა... კაცები-ცა, კაცნი-ცა, კაცთა-ცა... კაცთაგან-ცა, კაცთათჳს-ცა... (2) იგივე ნაწილაკები ზმნათა უღლების განსხვავებულ ფორმებსაც ასევე უცვლელად ერთვიან: უკჳრდა-ცა (მ. 15, 31), დაუკჳრდა-ცა (მ. 27. 24) განუკჳრდებოდა-ცა (მ. 13.54) და სხვ. ეს -ცა (resp. სხვა ნაწილაკებიც: -ვე, -ღა...) შეიძლება დავადასტუროთ ერთი სახელის ათეულობით და ასევე ერთი ზმნის ასეულობით ფორმასთან. ნაწილაკი სხვა ნაწილაკების გვერდითაც კი დასტურდება: მამაჲ-ცა-მცა (ი. 8.19), ნუ-ცა-ღა (სამოციქულო* 12, 57СД) და სხვ. სწორედ ხმარების სიხშირე და უცვლელი ფორმა განაპირობებდა ნაწილაკთა დელიმიტაციურ ფუნქციას ძველ ქართულში.

აღნიშნულთა გვერდით უნდა გამოვყოთ არღა და ვერ უარყოფითი ნაწილაკები, სადა და არასადა ზმნისართები – ესენიც ფორმაუცვლელად იხმარებიან ძველ ქართულში.

აღწერილი დელიმიტაციური სისტემა მყარია ძველ ქართულში, გამონაკლისს ქმნიან თხზული არცა და არა ნაწილაკები მოსალოდნელი *არაცა და *არაღა ნაწილაკების ადგილზე; შდრ. არავე, არამე, არამეა ნაწილაკები და არავინ, არარაჲ ნაცვალსახელები, სადაც არა სარული სახით არის წარმოდგენილი.

* ქართული სამოციქულო სიმფონია-ლექსიკონი (შეადგინეს ლელი ბარამიძემ, რუბენ ენუქაშვილმა, თეიმურაზ მეტრეველმა), თბ., 2009.

არცა და არღა გამონაკლისები უდავოდ მორფონოლოგიური ცვლილების შედეგია. ამ ტიპის ცვლილებებზე ქვემოთ დაწვრილებით ვიმსჯელებთ.

დიაქრონიული თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს წარმოშობით განსაზღვრებითი -ა სუფიქსი სახელთა ბოლოს მიცემით, ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში. ძველ ქართულში ეს /ა/ აღნიშნულ ბრუნვათა ნიშნებს აბოლოებს, როგორც მათი ორგანული ნაწილი. განსაზღვრებითობის ფუნქცია დაკარგული აქვს და ბრუნვის ნიშნების ნაწილად არის ქცეული. მას ამ მდგომარეობაში უვითარდება დელიმიტატორის ფუნქცია: ანსიტყვებს გამოყოფს ერთიმეორისგან (კაც-სა ჰრქუეს) ან ბრუნვის ნიშანთა საზღვრებს (კაცისა-თჳს, კაცისა-გან, კაცსა-თანა...) უცვალებელ ელემენტთა (თანდებულებისა და ნაწილაკების) წინ.

მაშასადამე, „ემფატიკური ა" ბრუნვის ნიშანთა ბოლოს ჯერ თანდებულთა და ნაწილაკთა წინ ხდება სასაზღვრო ელემენტი – მიანიშნებს მორფემათა დაბოლოებაზე, რადგან დელიმიტატორი ელემენტები (ნაწილაკი ან თანდებული) მოსდევდნენ, რომლებიც ბრუნვის ნიშანთა გარეშეც ატარებდნენ დელიმიტატორის ფუნქციას (ჩუენ-**თჳს**, შენ-**ზედა**, თქუენ-**გან** და სხვ.).

ბრუნვის ნიშანთა გავრცობის ა-ს სასაზღვრო ფუნქციას უფრო მყარს ხდიდა ისიც, რომ მის გარეშე მორფემათა მიჯნაზე შეიქმნებოდა დამარცვლისათვის მიუღებელი კომპლექსები, როგორიცაა, მაგალითად: -ნსც, -ლსც-, -ნსღ-, -ლსღ- კომპლექსები შემდეგ ფორმებში: *რაოდენსცა, *რომელსცა, *რაოდენსღა, რომელსღა... ნაწილაკიანი ნაცვალსახელური ფორმები. მათ ადგილზე ვხვდებით გავრცობილ რაოდენსაცა, რომელსაცა, რაოდენსაღა რომელსაღა... ფორმებს. გავრცობის ა-ს გარეშე ენისთვის მიუღებელი იყო ან წინა მარცვლის იმპლოზია (რა-ო-დენს-ცა, რო-მელს-ცა; რა-ო-დენს-ღა, რო-მელს-ღა), ან მომდევნო მარცვლის ექსპლოზია (რა-ო-დენ-**სცა**, რო-მელ-**სცა**; რა-ო-დენ-სღა, რო-მელ-სღა). /ა/-ს როლი ამ წინააღმდეგობის დაძლევაში არსებითია – /ა/ შლის ენისთვის მიუღებელ კომპლექსებს: რა-ო-დენ-სა-ცა, რო-მელ-სა-ცა; რა-ო-დენ-სა-

ღა, რო-მელ-სა-ღა. ამ ტიპის დანაწევრება მარცვლებად ბუნებრივია ქართული ენისთვის, ამავე დროს ხდება -ადაბოლოების სასაზღვრო ფუნქციის გაძლიერება. მაგრამ უთუოდ ხაზგასმით აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთი განაწილებით საზღვრებზე წარმოიქმნება ჭარბი დელიმიტაციური ნიშნები: ერთი მხრით, ნაწილაკები (ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში -ცა და -ღა), მეორე მხრით, /ა/ ბრუნვის ნიშანთა ბოლოს (რომელსა-ცა, რომელსა-ღა...). ანალოგიური ვითარება შეიძლება შეიქმნეს სხვა ნაწილაკებთანაც. უთუოდ ამითაა გამოწვეული, რომ ნაწილაკები ხმოვანს ყველა პოზიციაში ინარჩუნებენ, მაგრამ სიჭარბით ახალ უხერხულებასაც ქმნიან.

განხილულ ნაწილაკთა გვერდით არა ნაწილაკიც უცვლელია დამოუკიდებლად ხმარებისას ძველ ქართულში: „არა შეეახლნეს მას" (ჰაემეტი ტექსტები*, გვ. 374, შემდგომ ჰტ.); „არა ჰუტევებდა სიტყუად (ჰტ. 382); „არა დაჰთესი" (ჰტ. 385); „არა ჰაქუნდეს" (ჰტ. 385) და სხვ.

შევარჩიეთ ისეთი მაგალითებიც, სადაც არა ნაწილაკი წინ უძღვის ზმნისწინიან და კონექციური კატეგორიების მქონე ფორმებსაც (შეეახლნეს, ჰუტევებდა), რაც დღეს დაუშვებელია.

ძველი ქართულის თხზულ ფორმებში არა ნაწილაკი ძირითადად ინარჩუნებს სრულ სახეს: არა-ვე, არა-მე, არა-ნუ, არავინ, არა-მე-ა... მაგრამ მოულოდნელად დასტურდება მხოლოდ არსახით უარყოფით არცა და არღა ნაწილაკებში. ძველი ქართულის ტექსტებში ვერსად შევხვდებით *არაცა, *არაღა სავარაუდებელ ფორმებს (შდრ. არავე, არამე...), უარყოფითი ნაცვალსახელი არავინ მხოლოდ ამ სახით გვხვდება, ასევე უარყოფითი ზმნისართი არასადა ერთადერთი ფორმაა ამ პერიოდში.

უცვლელი არა, არავე, არამე... ფორმების გვერდით ძველსავე ქართულში ახსნას ითხოვს არცა და არღა სავარაუდებელი *არაცა და *არაღა ფორმების ნაცვლად. ეს მოთხოვნა არსებითია იმდენად, რამდენადაც არცა და არღა გამონაკლისს წარმოადგენენ

* ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისთვის, ტუმ, III, 1923.

არა მხოლოდ არა ნაწილაკიან თხზულ ფორმათა შორის, არამედ საერთოდ თხზულ ნაწილაკიან ფორმებს შორისაც.

ეს მოთხოვნა არსებითია კიდევ იმ მხრივაც, რომ უარყოფითი არ- ნაწილაკიანი ფორმები (არცა და არღა) შემდგომ სათავეს უდებენ საშუალი ქართულის თხზულ ნაწილაკიან ფორმებში განხორციელებულ ცვლილებებს, რასაც ახალ ქართულში მოჰყვა ნაწილაკთა და ზმნიზედათა ფორმებს შორის ასეთი ურთიერთობების მკაცრ დისტრიბუციულ ჩარჩოში მოქცევა და ამ მოდელით დელიმიტაციური ახალი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც, გარდა ნაწილაკებისა და ზმნათა განსხვავებული ფორმების ურთიერთობების წესებისა, მოიცავს სახელთა და ზმნათა განსაზღვრულ ფორმათა ურთიერთობის წესებსაც.

ცვლილება – ფუძიდან ხმოვნის ამოღება მარედუცირებული აფიქსის გარეშე (*არაცა > არცა და *არაღა > არღა) უკავშირდება ქართული ენის (resp. ქართველური ენების) გენეტიკურად მახასიათებელ ფუძეთა ერთ- ან ორმარცვლიანობას, ე. ი. სამდა მეტმარცვლიან ფუძეებში ხმოვანთა ჩავარდნა მარედუცირებელი აფიქსის გარეშე მიეწერება ორმარცვლიანობისკენ სწრაფვას (ძვ. ქართ. ლანკანა > ლანკნა, სარაკინოს > სარკინოს... მეგრ. კარდალა > კარდლა, წიწილა > წიწლა... სვან. ანგელოზ > ანგლოზ, კალაპოტ > კალპეტ ...) (უთურგაიძე 1986, 84).

საშუალ ქართულში იწყება არა ნაწილაკის როგორც დამოუკიდებლად, ისე თხზულ ფორმებში ცვლილება ბოლო ა-ს დაკარგვით. რედუცირებული და ურედუქციო ფორმები პარალელურად იხმარებიან.

„ამირანდარეჯანიანი" (ქართული პროზა, წიგნი II, 1982)

არა ეგების (გვ. 10); შდრ. **არ** ეგების (გვ. 7). **არა** არის (გვ. 12), **არა** არს (გვ. 27); შდრ. **არ** არსო (გვ. 100). არს, არის ფორმებთან **არ** მხოლოდ ერთხელ დადასტურდა, **არა** კი – მრავალგზის. **არა** იყო (29 გვ.); შდრ. **არ** იყვენით (გვ. 13). „ამირანდარეჯანიანში" უფრო

ხშირია ძველი ქართულის /არა იყო/ წყვილი. ზმნათა სხვა ფორმებთანაც – ზმნისწინიანებთან, უზმნისწინოებთან, სხვადასხვა გვარისა და ქცევის, კაუზაციის განსხვავებული სახეობების ფორმებთან გაცილებით ხშირია **არა**, ვიდრე **არ** ვარიანტი. შეფარდება არის დაახლოებით 15:1.

„ვ ი ს რ ა მ ი ა ნ ი“ (ქართული პროზა, წიგნი II, 1982)

„ვისრამიანის“ ტექსტში, პირიქით, **არ** სჭარბობს **არა** ვარიანტს, შეფარდება დაახლოებით 15:10 **არ** ვარიანტის სასარგებლოდ. „ვეფხის ტყაოსნის“ სიმფონიაში* **არ** ვარიანტს 8 სვეტი უკავია **არა** ვარიანტს კი – მხოლოდ 2 სვეტი.

-ცა ნაწილაკიანი უარყოფითი ფორმა **არცა** ერთადერთია ძველ ქართულში, როგორც **არა**. თითქმის ანალოგიურია ვითარება საშუალი ქართულის ძეგლებში. გამონაკლისის სახით მხოლოდ ერთხელ დავადასტურეთ **არც** „ამირანდარეჯანიანისა“ და „ვისრამიანის“ ას-ას გვერდზე („არც დღისით და არცა ღამით“ ვისრ., 237გვ.).

სულხან-საბა ორბელიანის „წიგნი სიბრძნე სიცრუისაში“ და თეიმურაზ II „თიმსარიანში“** **არა** და **არ** თანაბრად იხმარება ერთიმეორის გვერდით. გარდა სიხშირის ასეთი მახასიათებლებისა, არსებითია ისიც, რომ **ეს ვარიანტები თავისუფლად მონაცვლეობენ**: **არა//არ** ზმნათა ფორმებთან არიან დაკავშირებული, ი ს ი ნ ი **არ** ა რ ჩ ე ვ ე ნ ზ მ ნ ი ს წ ი ნ ი ა ნ და უ ზ მ ნ ი ს წ ი ნ ო ფ ო რ მ ე ბ ს, კ ო ნ ე ქ ტ ურ კ ა ტ ე გ ო რ ი ა თ ა ნ ი შ ნ ე ბ ი ს მ ქ ო ნ ე და ა რ მ ქ ო ნ ე ფ ო რ მ ე ბ ს. ა მ ზ მ ნ ი ს ფ ო რ მ ე ბ ი ს წ ი ნ ს ა შ უ ა ლ ქ ა რ თ ულ ში ე ს ვ ა რ ი ა ნ ტ ე ბ ი თ ა ვ ი ს უ ფ ლ ად მ ო ნ ა ც ვ ლ ე ო ბ ე ნ [იხ. კიდევ კუხალაშვილი, 9].

საშუალ ქართულში ყურადღებას იქცევენ ძველი ქართულის უარყოფითი **ვერ** ნაწილაკისა და უარყოფითი **არასადა** ზმნისართის ფორმაშეცვლილი სახეობები. ძველ **ვერ** ნაწილაკს გაუჩნდა **ვერა** ვარიანტი, ხოლო **არასადა** ზმნისართს – **არსადა** და **არსად** ვარიანტები. რამდენიმე მაგალითი: „ვერა ნახავო“ (ვისრ. 304); შდრ. „ვერ გა-

* შედგენილია აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით, 1956.

** ნიგნი სიბრძნე სიცრუისა, მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა ბავშვებისთვის, 1990; თიმსარიანი, თეიმურაზ II თხზულებათა სრული კრებული გ. ჯაკობიას რედაქციით, 1939.

ვსწირავ" (იქვე, 205) „ვისრამიანსა" და „ამირანდარეჯანიანში" ძველი ვარიანტი სჭარბობს ახალს, „ვეფხის ტყაოსანში" კი თანაბრად იხმარებიან ვარიანტები.

„**ვერა** შევიდიან" (ამირ. 34), „ვერა ჰნახავო" (ამირ. 270), „ვერ მიეწევის" (სიბრძ., 269); შდრ. „ესე თუცა **ვერა** ყოს" (სიბრძ. 288).

რაც შეეხება **არასადა, არსადა** და **არსად** ვარიანტებს, მათაც საშუალი ქართულის ადრეულ ძეგლებშივე ვხვდებით: „**არსად** არ იხარებს (ვისრ. 304); „ვეფხის ტყაოსანში" სამივე ვარიანტი დასტურდება: „შენგან კიდე ხორციელი, დაო, მივის **არასადა**" (275, 4); შდრ. „**არსადა** არ იპოვების" (259, 1) და „თავი სხვაგან **არსად** არო" (262, 1) და სხვ.

მორფონემატური ცვლილების საფუძველზე ადვილი ასახსნელია არასადა > არსადა ცვლილება: /ა/ ამოვარდა ორმარცვლიანობისკენ მისწრაფებით, მაგრამ ამ ცვლილების შემდეგ ფორმაში ერთი მარცვალი მაინც ზედმეტი დარჩა. ამოქმედდა მეორე გენეტიკური მოთხოვნა ქართული ენისა – სიტყვა დაბოლოებულიყო თანხმოვნით, ანუ დახურული მარცვლით: არსადა>არსად. ეს ცვლილება დამარცვლის წესებითაც გამართლებულია, რადგან არსადა > არსდა ცვლილება გამორიცხული იყო: (1) **არს**-და გამორიცხული იყო წინა მარცვლის არაბუნებრივი იმპლოზიის გამო, ხოლო არ-სდა – მეორე მარცვლის არაბუნებრივი ექსპლოზიის გამო, არსადა>არსად ცვლილება კი აკმაყოფილებდა სიტყვის ბოლოს დახურული მარცვალის შექმნის ტენდენციას (არ-სად).

რაც შეეხება უარყოფით **ვერა** ნაწილაკს საშუალ ქართულში, სადაც მომხდარი ცვლილების მიხედვით დარღვეულია სწრაფვა დახურული მარცვლისკენ სიტყვის ბოლოს, პირიქით, დახურული მარცვალი ხდება ღია /ა/-ს დამატებით (ვერ/**ვერა**), ამ ცვლილებას გარკვეული წანამძღვარი აქვს: ძველ ქართულში **რა** ნაცვალსახელის დართვით კეთდებოდა უარყოფითი ნაცვალსახელები: ვერრა და არარა. ამოსავალი **ვერრა** ფორმის გვერდით ძველსავე ქართულში გაჩნდა **ვერარა** ვარიანტი. **ვერრა** ამოსავლად უნდა მივიჩნიოთ იმიტომ, რომ ამ პერიოდში არ არსებობდა უარყოფითი **ვერა** ვარიანტი. **ვერა**- მხოლოდ ამ რთულ თხზულ ფორმაში გვხვდება. **ვერარა** ვარიანტი **არარა** ნაცვალსახელის ანალოგიით შეიქმნა.

ამაზე დამატებით კიდევ ის მიგვითითებს, რომ **ვინ** ნაცვალსახელთან თხზულ ფორმებში მხოლოდ **ვერ-** იხმარება (ვერვინ, ვერვის). **ვერავინ** ოთხთავისა და სამიციქულოს სიმფონიებში არ არის დადასტურებული. „ქართული სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონში“ **ვერარაჲ** ფორმის გვერდით მითითებულია ვერრაჲ ვარიანტიც – ისინი სხვადასხვა ნუსხებშია ნახმარი, მაგალითად: „განკრძალულად ვერარაჲ (ვერრაჲ ᲪᲪ) მაქუს, საქმე 25, 26 Д ҂ѳ; 3. (ვერრაჲ ᲪѢ) ირგებს. ებრ. 13, 9...“. **ვერრა** ფორმიდან **არარა**-ს ანალოგიით **ვერარა**-ს წარმოქმნას ხელს უთუოდ ისაც უწყობდა, რომ **ვერრა**-ში თანხმოვანი გამეორებულია (რრ), რაც არ არის ბუნებრივი ქართული ენისთვის. ამ არაბუნებრივ კომპლექსში ხმოვნის გაჩენა (ვერრა/ვერარა) ფონემატურად აწესრიგებდა ამ უარყოფითი ნაცვალსახელის ფორმას.

საშუალ ქართულში **ვერა** უარყოფითი ნაწილაკიც გამოჩნდა, ეს ბუნებრივი იყო იმის შემდეგ, რაც ენაში გაჩნდა ვერარაჲ ნაცვალსახელი, რომელშიც **ვერა-** შეიგრძნობოდა როგორც ნაცვალსახელის უარყოფითი ნაწილი (**ვერა-რა-ჲ**). **ვერა** უარყოფითი ნაწილაკი საშუალი ქართულისაა, იგი ნელ-ნელა იკაფავდა გზას – თუ „ამირანდარეჯანიანსა“ და „ვისრამიანში“ რამდენიმე ასეულ გვერდზე თითო-ოროლა **ვერა** ნაწილაკს ვხვდებით, „ვეფხის ტყაოსანში“ უკვე ჩვეულებრივ იხმარება დათავისუფლად მონაცვლეობს **ვერ** ნაწილაკთან, მაგალითად: „მისი **ვერა** ვცნა ჭორადცა“ (186,4); შდრ. „ჩემი **ვერ** ცნიან ამბავი“ (621,4) და სხვ.

ძველი და საშუალი ქართულის სამწერლობო ენის მონაცემთა შეჯერებით შეიძლება დავასკვნათ: ძველი ქართულის საკმაოდ მკაცრი დელიმიტაციური სისტემა (მხოლოდ ორი გამონაკლისით ნაწილაკიან ფორმებში: **არცა** და **არღა**) საშუალ ქართულში მორფონოლოგიურ ცვლილებათა საფუძველზე სერიოზულად შეირყა თავისუფლად მონაცვლე ვარიანტების შექმნით, როგორიცაა: **ვერ/ვერა, არა/არ, -ცა/-ც, -ვე/-ვ**. ძველი ქართულის ფორმაუცვლელ ნაწილაკებსა და მათ ვარიანტებს საშუალ ქართულში დაწვრილებით შევეხეთ სათანადო სტატისტიკაზე მითითებით. ანალოგიური ვითარებაა ზმნისართებთანაც: ძველი ქართულის უცვლელი ფორმის სადა,

აქა, იქი საშუალ ქართულში წარმოდგენილი არიან ვარიანტებით: სადა/სად, აქა/აქ, იქი/იქ.

„აქა მოგვესმის ამბავი“ („ვეფხის ტყაოსანი“ 637, 3); შდრ. „აქ მოდის ტურფა ყველაი“ (ვტ. 1065, 3) და სხვ. სადა და სად ვარიანტები „ვეფხის ტყაოსანში“ თითქმის თანაბრად იხმარება, მაშინ როცა ძველი ქართული მხოლოდ სადა ფორმას იყენებდა.

აუცილებელია იმის გამეორებაც, რომ საშუალ ქართულში ეს ახლად წარმოქმნილი ვარიანტები თავისუფლად მონაცვლეობენ ძველ ფორმებთან.

ახალ ქართულში თავისუფლად მონაცვლე ვარიანტების ა დაბოლოება (ვერა, არა, -ცა, სადა) მოიქცა დიერემად და მისი ანალოგიით ბრუნვის ნიშანთა გავრცობის ა (კაცსა, კაცისა, კაცითა, კაცადა, ძედა) დაბოლოებაც, გამოეყო რა ბრუნვათა ნიშნებს, დიერემად იქცა. შეიქმნა ახალი დელიმიტაციური სისტემა.

აღნიშნულ ბრუნვათა გავრცობილი და გაუვრცობელი ფორმებიც თავისუფლად მონაცვლეობენ საშუალ ქართულში ზმნათა ნებისმიერი ფორმის წინ. თანამედროვე ქართულში კი გავრცობილ და გაუვრცობელ ფორმათა ხმარების მკაცრი დისტრიბუციული წესები მოქმედებს ზმნათა პრევერბიანი თუ უპრევერბო, კონექციურ კატეგორიათა მაწარმოებლების მქონე თუ არმქონე ფორმების წინ.

ქვემოთ საშუალი ქართულის ძეგლებიდან წარმოვადგენთ სახელთა გავრცობილი ფორმებისა და ზმნათა ისეთ წყვილებს, რომლებიც ახალ ქართულში არაბუნებრივია.

„ამა კაცსა საკვირველი ნადირი უნახავს“ (ამირან., 7); „სიკვდილსა ეკრძალენით“ (ამირან., 8); „სამეფოსა სახლსა მოვიდეს“ (ამირან., 9); „...დიდითა პატივითა დადიდებითა გაგგზავნო“ (ამირან., 15); „ყივილითა მოვიდა“ (ამირან., 19)...

„ქვეყანა სიმართლითა შეამკო“ (ვის., 253);

„შენისა მოსამართლეობითა ყოველნი იხარებენ“ (თიმსარიანი, 140, 34).

„შენითა შიშითა დამარხულან“ (თიმსარიანი, 140, 37).

„ავსა კაცსა ურჩევნია“ (ვეფხის ტყაოსანი, 756, 4) და სხვ.

ანალოგიური თავისუფლებაა ზმნისართებისა და ზმნათა ურთიერთობაშიც: „კვირიაკესა დღესა დაჯდის“ (ამირან., 7); „ამას ადგილსა მოვედით“ (ამირან., 8); „ვისის საქმე მასვე დღესა გამოჩნდა (ვის., 253); „დილასა ქალაქს შევედით“ (467, 2) და სხვ.

სუბსტანტიური მსაზღვრელიც ნათესაობით ბრუნვაში, მსგავსად ძველი ქართულისა, გავრცობილი ფორმით იხმარება საზღვრულის წინ. „კაცისა თვალსა ეგეთი არა უნახავს“ (ამირან., 8); „კაცნი ვნახენ ქვითკირისა სახლსა შინა“ (ამირან., 9); „პურისა ჭამასა ჰლამობდეს (ვის., 253); „ტახტისა ფერხთა აკოცა“ (თიმსარიანი, 140, 25) და სხვ.

ზემოთ წარმოდგენილი ფორმების ხმარება არ იზღუდება საშუალ ქართულში, ისინი ბუნებრივია და ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით ამ პერიოდის ძეგლებში.

დელიმიტაციური სისტემა ახალ ქართულში

სახელთა ბოლოს -ა სუფიქსის დაშვება-აკრძალვის წესებმა XXს. 20-იანი წლებიდან მიიქცია ყურადღება. გ. დეეტერსმა ეს -ა დაუკავშირა ფრაზის რიტმს (დეეტერსი, 1926). ამ სუფიქსს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა XXს. მეორე ნახევარში (ჩიქობავა, 1950; ზურაბიშვილი, 1972; ბეროზაშვილი 1965). იმერულ დიალექტსა და საშუალ ქართულში ამ სუფიქსის დისტრიბუციას შეეხო მ. კუხალაშვილი (დეეტერსი, 1926).

აღნიშნულ ავტორთა შრომებში საკმაოდ დეტალურად არის წარმოდგენილი „გავრცობის -ა სუფიქსის“ დისტრიბუცია თანამედროვე ქართულში, ჩვენ გავრცობის -ა მივიჩნიეთ დიერემად (უთურგაიძე 1985). აქვე ლაპარაკია ამ -ა სუფიქსის მნიშვნელობებზე ქართული ენის დიაქრონიული ცვლილების სხვადასხვა ეტაპზე: **ძველ ქართულამდე** განსაზღვრებითი ელემენტია, **ძველ ქართულში** – ბრუნვის ნიშნის შემადგენელი განსაზღვრებითი ფუნქციის გარეშე, **ახალ ქართულში** – დიერემა, ანუ დელიმიტაციური ელემენტი მკაცრი დისტრიბუციული წესებით. აქვე ისიც აღვნიშნეთ, რომ ძველ ქართულში გავრცობის -ა უმახვილოა

და არ იზღუდება მომდევნო სიტყვების აგებულებითა და ფუნქციით (ზმნისწინიან ფორმათა და კონექციურ კატეგორიათა მაწარმოებლების წინა და პოსტპოზიციური საზღვრულის წინ).

საშუალი ქართულის ძეგლთა მონაცემების მიხედვით (იხ. ზემოთ), როგორც მ. კუხალაშვილმაც აჩვენა (კუხალაშვილი, 1994), ჩანს, რომ ძველი ქართულის ნაწილაკებს გაუჩნდა გაუვრცობელი, უხმოვნო, ვარიანტები: -ცა/-ც, არა/არ, რომლებიც დისტრიბუციულად არ უპირისპირდებიან ერთიმეორეს.

ჩვენს ნაშრომში (უთურგაიძე 1985) მითითებულია, რომ ენა -ა დიერემას იყენებს წინადადებაში ლოგიკურად გამორჩეული სიტყვის დემარკაციისთვისაც („მ ზ ი ს ა შუქი გვახალისებს“), რომ გავრცობის -ა-ზე, როგორც დიერემაზე, მსჯელობისას არსებითია მომდევნო სიტყვის დასაწყისი: თუ აქტანტი სახელის მომდევნო სიტყვის დასაწყისი ზმნისწინია ან კონექტური რომელიმე კატეგორიის ნიშანი, მათ წინ -ა დიერემა სახელთა ბოლოს დაუშვებელია: არ შეიძლება „წერილსა დაწერს“, „წერილსა უწერს“. „წერილსა აწერინებს“ და სხვ., რადგან ზმნათა დასაწყისში ეს პრეფიქსებიც დიერემის როლს ასრულებენ მუდმივი ადგილისა და განსაზღვრული ფუნქციის გამო; შდრ. ა ქ ვ ს ფორმა, სადაც ა-ს დაკარგული აქვს გრამატიკული ფუნქცია და ფუძეშია გადარიცხული: „მასა აქვს“, „მეგობარსა აქვს“, „არავისა აქვს“. ა ქ ვ ს ფორმის წინ გავრცობის -ა არ იკარგება ისევე, როგორც ძირეული ხმოვნით დაწყებული ფორმების წინ (რასა ოხრავს // რას ოხრავს); შეიძლება „ვინა ოხრავს“, როცა არ შეიძლება „ვინა აოხრებს“, სადაც ა- პრეფიქსს გრამატიკული ფუნქცია აქვს – პირველადი კაუზაციის ნიშანია.

როცა ლაპარაკია -ა სუფიქსის უკვე ჩამოყალიბებულ დისტრიბუციაზე, არნ. ჩიქობავა შენიშნავს, რომ ახალ ქართულში -ა აღარ წარმოადგენს ბრუნვის ნიშანთა „აუცილებელ ელემენტს“, მაგრამ ზოგ შემთხვევაში, მაგალითად, -ც(ა) ნაწილაკის წინ „მისი საჭიროება ეჭვს გარეშეა (ამხანაგსაც, ამხანაგისაც, ამხანაგითაც“ (ჩიქობავა, 1950, 037). მეორე მხრივ, „როცა ნათესაობითი ბრუნვა მსაზღვრელის როლში გამოდის და საზღვრულს მოსდევს, ეს -ა აუცილებელია: იგი **ამთავრებს და ხშავს კონსტრუქციას**: წ ი გ ნ ი ა მ ხ ა ნ ა გ ი ს ა (და არა: წიგნი ამხანაგის!...)“ (ჩიქობავა, 1950, 037).

წარმოდგენილ ორ განსხვავებულ შემთხვევაში გავრცობის -ა სუფიქსის ხმარება სხვადასხვა მიზეზებით არის შეპირობებული. პირველ შემთხვევაში ნაწილაკის გახმოვანებული ვარიანტი (-ცა) ნახმარია ფონემატური სისტემის ზემოქმედებით*: უხმოვნო ვარიანტის (-ც) დართვის შემთხვევაში სიტყვის ბოლო მარცვლის იმპლოზიაში იქმნებოდა ქართულისთვის ფონემატურად მიუღებელი კომპლექსი (ამხანაგსც, ამხანაგისც, ამხანაგითც, ამხანაგადც) – კომპლექსთა შემადგენელი ფონემები წინაენისმიერთა ერთსა და იმავე კლასს განეკუთვნებიან. კომპლექსის დაძლევა მხოლოდ ხმოვნის ჩართვით იყო შესაძლებელი, რისთვისაც ახალმა ქართულმა გამოიყენა გავრცობისა -ა, ძველი და საშუალი ქართული კი იყენებდა ამ ნაწილაკის გახმოვანებულ -ცა ვარიანტს.

ახალ ქართულში გავრცობის -ა იძლევა ნორმალური დამარცვლის საშუალებას (ამ-ხა-ნაგ-საც; შდრ. ძვ. ქართული: ამ-ხა-ნაგსცა. -ნაგს მარცვლის იმპლოზიური ნაწილი ფონემატურად მიუღებელია. სწორედ ამიტომ ახალი ქართული გადავიდა დამარცვლის ისეთ ვარიანტზე, სადაც ბრუნვისნიშნისეული თანხმოვანი არ ხვდება ერთ მარცვალში ფუძისეულ თანხმოვანთან და ამავე დროს ნაწილაკის თანხმოვნისგანაც გამოყოფილია ხმოვნით (იხ. ზემოთ).

რაც შეეხება საზღვრული სახელის მომდევნოდ ნათესაობითი ბრუნვის გავრცობილ ფორმას (წიგნი ამხანაგისა), აქ -ა სუფიქსის საშუალებით ხდება მსაზღვრელის ბლოკირება, პარადიგმის ფარგლებში მსაზღვრელი საზღვრულს უკავშირდება ნულოვანი ალომორფებით, რომელთა ფუნქცია განისაზღვრება საზღვრულის ბრუნვათა ნიშნების ფუნქციით: „წიგნ-მა კაცისა-Ø" – აქ -Ø მოთხრობითი ბრუნვის ფუნქციას ატარებს, ხოლო „წიგნ-ით კაცისა-Ø" შესიტყვებაში მსაზღვრელის ნულოვანი ალომორფი მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციითაა წარმოდგენილი.

ზოგ ბრუნვაში დღემდე ნორმად მიიჩნევა ფიზიკური ვარიანტები მსაზღვრელის ბოლოს: წიგნ-მა კაცისა-მ, წიგნ-ს კაცისა-ს... მომხდარი ცვლილება (წიგნ-მა კაცისა-მ > წიგნ-მა კაცისა-Ø) მო-

* ძველ ქართულში -ცა გაუვრცობელ ფორმებსაც ერთვოდა (იხ. ქართული სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი (რომლისათჳსცა, ამისთჳსცა; „ვეფხის ტყაოსანში": მასცა (566, 3), მზედცა (734.3) და სხვ.

რფოსინტაქსური ურთიერთობის ერთ-ერთი ვარიანტია გამოხატულების პლანში. მწერლობაში XIX საუკუნიდანვე გამოჩნდა („ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა“) და ჯერ კიდევ იბრძვის ნორმად დამკვიდრებისათვის. ნათესაობით, მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებში მიმართების ახალი სახე ერთადერთია (წიგნის კაცისა, წიგნით კაცისა, წიგნად კაცისა), რადგან ფიზიკურად მარკირებული ვარიანტები თანამედროვე ქართულში არ არსებობს (შდრ. ძვ. ქართულის წიგნისა კაცისაჲსა, წიგნითა კაცისაჲთა, წიგნად კაცისად).

კონსტრუქციის დამხშავი ელემენტის ფუნქცია -ა სუფიქსმა იმიტომ მიიღო პოსტპოზიციური სუბსტანტიური მსაზღვრელის ბოლოს, რომ მან მოახდინა ამ მსაზღვრელის ბლოკირება (სინტაქსურად **მხოლოდ** მარცხნივ მდგომ საზღვრულს უკავშირდება), რაც მას არ შეეძლო ქართული ენის ძველსა და საშუალ პერიოდებში. ამ პერიოდებში კონსტრუქციათა დახშვა ბრუნვათა მატერიალური ნიშნებით ხორციელდებოდა: „წიგნი ამხანაგისა-ჲ / მეზობელს მივეც“ ~ „წიგნი/ამხანაგისა-სა მეზობელს მივეც“. კონსტრუქციის ჩაკეტვის მიზნით მსაზღვრელი ორსავე შემთხვევაში იმეორებს საზღვრულის ნიშანს. ახალ ქართულში ასეთი მსაზღვრელი მხოლოდ მარცხნივ მდგომ საზღვრულს უკავშირდება სინტაქსურად და გრამატიკულად აღარაფერი აქვს საერთო მომდევნო სახელთან: „წიგნმა მასწავლებლისამ მოწაფე გაახარა“ წინადადების მსაზღვრელმა მოთხრობითი ბრუნვის მატერიალური ნიშნის (-მ: მასწავლებლისა-მ) გარეშეც ნულოვანი ალომორფით დაიწყო შეთანხმება მარცხნივ მდგომ საზღვრულთან: „წიგნ-მა მასწავლებლისა-Ø“, რასაც ხელი შეუწყო იმანაც, რომ პრეპოზიციური სუბსტანტიური მსაზღვრელი ახალ ქართულში მთელს პარადიგმაში -ა სუფიქსის გარეშე, მხოლოდ ნულოვანი ალომორფებით არის წარმოდგენილი (ამხანაგის-Ø წიგნ-მა, ამხანაგის-Ø წიგნს...). ეს პრეპოზიციური სუბსტანტიური მსაზღვრელი უკვე ძველ ქართულში იყო ბლოკირებული (ამხაგანგისა-Ø წიგნ-ი, ამხანაგისა-Ø წიგნმან, ამხანაგისა-Ø წიგნ-სა...), რის გამოც საზღვრულს ნულოვანი ალომორფებით უკავშირდებოდა. ახალ ქართულში მხოლოდ გავრცობის -ა დაკარგა (ამხანაგის-Ø წიგნ-ი, ამხანაგის-Ø წიგნ-მა...).

-ა-ს დაკარგვით პრეპოზიციაში და -ა-ს შენარჩუნებით პოსტპოზიციაში სუბსტანტიური მსაზღვრელი გადავიდა ნულოვან დაბოლოებებზე ყველა ბრუნვაში და ამავე დროს მოახერხა კონსტრუქციის ჩაკეტვა პოსტპოზიციაში, რადგან საზღვრულთან ყოველთვის შეთანხმებულია ბრუნვაში: ძველ ქართულში რაც ბრუნვის მატერიალური ნიშნით იკეტებოდა („წიგნ-**მან** ამხანაგისა-**მან** / მოწაფეი გაახარა"), ახალ ქართულში იმავე ფუნქციის ნულოვანმა ალომორფმა გააკეთა ეს („წიგნ-მა ამხანაგისა-Ø / მოწაფე გაახარა").

ენობრივ ცვლილებათათვის

ნაშრომში განხილული მოვლენები საკმაო მასალას იძლევა ენობრივ ცვლილებათა შესახებ, კერძოდ, შეიძლება ვუპასუხოთ ორ არსებით კითხვას: (1) რა იწვევს ამ ცვლილებებს და (2) აქვს თუ არა ცვლილებებს განსაზღვრული მიმართულება? – შეიძლება თუ არა მსჯელობა კანონზომიერ ცვლილებებზე, იმ ცვლილებებზე, რომლებიც წარმოქმნამდე სავარაუდებელია?

ცვლილებათა მიზეზები არის, ერთი მხრით, მორფონოლოგიური წინააღმდეგობა, მეორე მხრით, წინადადების წევრთა ბლოკირება მორფოსინტაქსურ ურთიერთობებში.

ენის ყველა დარგის სისტემათა ელემენტები მეტყველებაში რეალიზებულია ბგერითი თანამიმდევრობით. როდესაც სისტემათა მოთხოვნები არ ემთხვევა ბგერათა ხაზობრივი თანამიმდევრობის წესებს, ყოველთვის დასაშვებია რაიმე სახის ცვლილება, რომელიც განისაზღვრება იმ სისტემის მოთხოვნით, რომელიც გავლენას ახდენს სხვა სისტემაზე, მაგრამ ცვლილება ამა თუ იმ სისტემაში სხვა სისტემის გავლენით აუცილებელი არ არის, რაც კარგად ჩანს პარალელური დიალექტური სისტემების მონაცემთა მიხედვით, მაგალითად, მორფოლოგიური ხაზობრივი მიმართებები თუ არ დაემთხვევა ფონემატურს, ცვლილება შეიძლება მოხდეს ფონემატური სისტემის გავლენით, მაგრამ არც ის არის გამორიცხული, მორფოლოგიურმა სისტემამ ბგერათა თანამიმდევრობაშიც დაიჭიროს თავი და არ დაემორჩილოს ფონემატურ მოთხოვნებს, ამის მრავალი მაგალითია, თუ სალიტერატურო ენასა და დიალექტებს შევადარებთ: ნორმირებულ სალიტერატურო ენაში მორფოლოგიური ელემენტების წყობა ნაკლებად ემორჩილება ფონემატურ გავლენას; არც დიალექტები გვიჩვენებენ ერთგვაროვნობას ამ მხრივ, თუმცა ფონემატური სისტემის გავლენა მათში უფრო ხშირად ფიქსირდება.

მორფოსინტაქსური ცვლილებები უკავშირდება წინადადების წევრთა ბლოკირებას: ერთი მხრით, მსაზღვრელი წევრების ბლოკირებას საზღვრულთა მიერ და, მეორე მხრით, ქვემდებარის მიერ რომლობით იდენტური რომელიმე პირმიმართი დამატების ბლოკირებას.

ცალ-ცალკე ვიმსჯელებთ მორფონოლოგიურ და მორფოსინტაქსურ ცვლილებებზე.

მორფემა ენის მნიშვნელობის მქონე უმცირესი ელემენტია. იგი წარმოადგენს ნიშანს თავისი შინაარსითა და მასთან დაკავშირებული აკუსტიკური ხატით. მორფემა მორფოლოგიური სისტემის პირველადი ელემენტია, რომელიც ჰომოგენურ სხვა ელემენტებთან ერთად ქმნის უფრო დიდი მასშტაბის ნიშნებს: სახელებს, ზმნებს თავ-თავისი კატეგორიებით და სხვა მეტყველების ნაწილებს.

მორფემა, როგორც პირველადი მორფოლოგიური ელემენტი, ორივე პლანის თავდაპირველ სახეებს გვიჩვენებს, ამიტომ მორფემათა შიგნით ფონემათა განაწილება, რაც პირველადი ელემენტების აკუსტიკურ სახეს ქმნის, გენეტიკურ, ანუ ბუნებრივ მახასიათებლად ჩაითვლება. უფრო დიდ ნიშნებში, როგორიც, მაგალითად, სიტყვაა, მორფემები განსაზღვრული თანამიმდევრობით – რანგებით ებმიან ერთიმეორეს. მორფემათა ასეთ ჯაჭვებში საზღვრებზე იქმნება ფონემათა კომბინაციები, რომელთაც კავშირი აღარ აქვთ მორფემათა შიგნით ფონემათა განაწილების წესებთან, და ენაში ამ გზით წარმოიქმნება ფონემათა მეორადი – ხშირად არაბუნებრივი კომპლექსები. მარტივი მაგალითი: #–V პოზიციაში მორფემათა ფარგლებში **არ არსებობს ვ+ჩქამიერი თანხმოვანი,** ე. ი. სიტყვები არ იწყება განუყოფელი ვთ-, ვტ-, ვდ-, ვძ-, ვც-, ვკ-, ვგ-, ვქ-, ვღ-... კომპლექსებით, რომ აღარაფერი ვთქვათ ბაგისმიერთა კომბინაციებზე: ვბ-, ვფ-, ვპ- მორფოლოგიურად დაუშლელი კომპლექსების შესახებ, მეორე მხრივ, მორფემათა ურთიერთობაში ეს კომპლექსები აუცილებელია, როდესაც უზმნისწინო ზმნა სუბიექტურ I პირში დგას: ვ-ბარავ, ვ-ფარავ, ვ-პოვებ; ვ-თლი, ვ-ტოვებ, ვ-დებ და სხვ. ასეთი შებრუნებული, ურთიერ-

თგამომრიცხავი მოთხოვნები ფონემათა განაწილებაში მორფემათა შიგნით და მორფემათა საზღვრებზე უამრავია პაუზის მომდევნოდ, რაც იწვევს ფონეტიკურ ცვლილებებს ბუნებრივ წესთა გავლენით*.

ფონემათა განაწილების ბუნებრივი სინტაგმატური წესები გამოიყვანება მორფემათა შიგნით დადასტურებული კომპლექსების გათვალისწინებით, ხოლო მორფემათა საზღვრების კომპლექსთა ცვლილებები განიხილება ბუნებრივ წესებზე დამყარებით, რადგან ეს ცვლილებები ყოველთვის მიმართულია ბუნებრიობის აღდგენისკენ.

როცა ლაპარაკია ენობრივი ნიშნის ცვლილებაზე, ივარაუდება მხოლოდ ის ცვლილება, რაც ხდება ნიშნის ორ პლანს შორის. მორფემათა საზღვრებზე წარმოქმნილი არაბუნებრივი კომპლექსების სწრაფვა ბუნებრიობისკენ იწვევს გამოხატულების პლანის ცვლილებებს ცალკეულ კონკრეტულ მორფემებში: წინაში ან მომდევნოში, ანდა ორივეგან; მაგალითად, ძველი ქართულის გან-, წარ-, აღ- ზმნისწინებმა თითქმის ყველგან დაკარგეს დამაბოლოებელი თანხმოვნები (**ნ, რ, ღ**) ჯერ სწორედ არაბუნებრივ კომპლექსებში, როგორიცაა: გა**ნმწმარ**, აღ**მქუმელ**, გა**ნმზ**ადებულ... შდრ. ძველ ქართულში დადასტურებული გამწმარ, ამქუმელ, გამზადებულ... შემდეგ უკვე ხდებოდა ზმნისწინთა გამარტივებული ფორმების განზოგადება ყველა პოზიციაში. ხშირად იკარგებოდა ობიექტის სიმრავლის **-ნ** (← ენ) ფუძისეული /ნ/-ს მომდევნოდ, მაგ., აღაშ[ნ]ნა (შდრ. აღაშ[ნ]ნა იგინი) და სხვ. ბოლო მაგალითით ისიც გამოჩნდა, რომ მორფემა ფიზიკურად შეიძლება არც კი გამოიხატოს, მიუხედავად საჭიროებისა და ფორმაში მისი ვარაუდისა.

ხშირი იყო ძველსავე ქართულში პირის ნიშანთა ნულოვანი ვარიანტები – პირი ივარაუდებოდა, ნიშანი კი ფიზიკურად არ იყო წარმოდგენილი. ქვემოთ ამ თემას უფრო ფართოდ შევეხე-

* ინტერვოკალურ პოზიციაში ენა ამ წინააღმდეგობას აგვარებს არაბუნებრივი კომპლექსების კომპონენტთა სხვადასხვა მარცვალში განაწილებით: ორ ხმოვანს შორის ნებისმიერი CC კომბინაცია ასატანია, რადგან ისინი სხვადასხვა მარცვალში ხვდებიან: VCCV:VC-CV.

ბით, ახლა კიბლოკირებისშესახებ სინტაქსში.

ბლოკირება ნიშნავს წინადადების ერთი წევრის მიერ სხვა წევრის გრამატიკული გაფორმების წარმართვას ისე, რომ წარმმართველი წევრი გამოხატავდეს მეორე წევრის გრამატიკულ კატეგორიებს: ბრუნვასა დარიცხვს ანპირსა და რიცხვს ისე, რომ მეორე, ბლოკირებულ, წევრს ამ კატეგორიათა ნიშნები აღარ აღენიშნებოდა (არა სჭირდება).

კარგად არის ცნობილი ის სხვაობა, რაც საზღვრულისა და მსაზღვრელის ბრუნებაში ჩამოყალიბდა ძველსა და თანამედროვე ქართულში: მსაზღვრელს ძველ ქართულში, მიუხედავად ფუძის დაბოლოებისა, იგივე ბრუნვის ნიშნები ჰქონდა, რაც საზღვრულს გააჩნდა მხოლობით და მრავლობით რიცხვებში*: მცირე-**ჲ** დარბაზ-**ი**, მცირე-**მან** დარბაზ-**მან**, მცირე-**სა** დარბაზ-**სა**; მცირ-**ისა** დარბაზ-**ისა**, მცირ-**ითა** დარბაზ-**ითა**, მცირე-**დ** დარბაზ-**ად**; მცირე-**ჲ** დარბაზ-ებ-**ი**, მცირე-**მან** დარბაზ-ებ-**მან**, მცირე-**სა** დარბაზ-ებ-**სა** და ა. შ. მცირე-ნ-**ი** დარბაზ-ნ-**ი**, მცირე-**თა** დარბაზ-**თა**...

ასევე იყო საზღვრულისა და ატრიბუტული მსაზღვრელის ფორმები ერთიმეორესთან დაკავშირებული შებრუნებული რიგის დროსაც: დარბაზ-**ი** მცირე-**ჲ**, დარბაზ-**მან** მცირე-**მან**... დარბაზ-ებ-**ი** მცირე-**ჲ**, დარბაზ-ებ-**მან** მცირე-მან... დარბაზ-ნ-**ი** მცირე-ნ-**ი**, დარბაზ-**თა** მცირე-თა...

ძველ ქართულში ეს ნორმა იყო. ახალ ქართულში (თანამედროვე ნორმების მიხედვით) მსაზღვრელი „მცირე“ პრეპოზიციაში ბრუნვის ნიშნებს აღარ ირთავს: **მცირე** დარბაზ-**ი**, **მცირე** დარბაზ-**მა**, **მცირე** დარბაზ-**ს**... **მცირე** დარბაზ-ებ-**ი**, **მცირე** დარბაზ-ებ-**მა**... ნარ-თანიან მრავლობითშიც კი პრეპოზიციური მსაზღვრელი აღარ საჭიროებს იმ ნიშნებს, რომლებიც საზღვრულს აქვს: **მცირე** დარბაზ-ნ-**ი**, **მცირე** დარბაზ-**თა** და ა. შ. **მაგრამ**, თუ რიგს შევაბრუნებთ, ნიშნები როგორც ძველ

* რიცხვის კატეგორია თვისების გამომხატველ სიტყვას — **მსაზღვრელს ფორმალურად გამოეხატება**, რეალურად მას (მცირე, მაღალი, თეთრი...) რიცხვის კატეგორია არა აქვს. ბრუნვისა და რიცხვის ნიშნებს მსაზღვრელი იმიტომ იჩენს, რომ კონკრეტულად მიუთითოს, რომელი სახელის თვისებას წარმოადგენს ის.

ქართულში, ორივეს – საზღვრულსაც და მსაზღვრელსაც ერთნაირი ექნებათ ბრუნვებში: დარბაზ-**ი** მცირე-Ø*, დარბაზ-**მა** მცირე-მ... დარბაზ-ებ-**ი** მცირე-Ø, დარბაზ-ებ-**მა** მცირე-**მ**... დარბაზ-ნ-**ი** მცირე-ნ-ი, დარბაზ-**თა** მცირე-თა...

სინტაქსური შეთანხმების წესით, საზღვრულმა და მსაზღვრელმა რომ ერთიმეორე არ დაკარგონ, ფორმალურად ერთი და იმავე ნიშნებით უნდა გამოიხატონ, რასაც ძველი ქართული ზედმიწევნით იკეთებდა ორივე რიგის წყობაში. საერთო ფორმალური ნიშნები ენას აზღვევდა გაუგებრობისგან – ესა თუ ის თვისება (მსაზღვრელი) არ მისწერებოდა სხვა სუბსტანტივს (საზღვრულს), რომლის თვისებად მთქმელი არ მიიჩნევდა მას, უნდა მისწერებოდა იმ სუბსტანტივს, რომლის თვისებასაც წარმოადგენდა.

ახალ ქართულში დღევანდელი ვითარების მიხედვით ფორმალური ურთიერთობა შეიცვალა **სანახევროდ**: ფორმალური შეთანხმება ძალაში დარჩა მხოლოდ პოსტპოზიციურ ატრიბუტულ მსაზღვრელთან, პრეპოზიციური მსაზღვრელი შეთანხმების ნიშნებს აღარ იჩენს ხმოვანფუძიანი სახელების მომდევნოდ; თანხმოვანფუძიანებშიც ორ ბრუნვაში (მიცემითსა და ვითარებითში) უკვე აღარ ხდება ფორმალური შეთანხმება სალიტერატურო ენის ნორმებით; თუ მსაზღვრელი პროფესიის გამომხატველი სახელია, თითქმის ყველა ბრუნვაში ფუძის სახით არის წარმოდგენილი; ზოგ დიალექტში ყველა ტიპის მსაზღვრელი უკვე ფუძის სახითაა წარმოდგენილი საზღვრულის წინ (მაგალითად, მთის დიალექტებში: შავ ფურ**ი**, შავ ფურ-მ, შავ ფურ-ს, შავ ფურ-ის, შავ ფურ-ით, შავ ფურ-ად; შავ ფურებ**ი**, შავ ფურებ-მ... შავ ფურნ-ი, შავ ფურ-თ...).

ეს ცვლილება ფონეტიკას არ უკავშირდება, **ცვლილება მორფოსინტაქსურია**, დაკავშირებულია მსაზღვრელის პოზიციასთან: თუ მსაზღვრელი საზღვრულს წინ უძღვის, მას ბრუნვისა და რიცხვის ნიშნები აღარ სჭირდება, პოზიცია განაპირობებს მორფოლოგიური ნიშნების არგამოყენებას

* ნულოვანი ალომორფი — /Ø/ აქ მიუთითებს ფონეტიკურად გაუჩინარებულ -ი ნიშანზე.

საზღვრულის წინ მდგომი მსაზღვრელის ბოლოს, რადგან **ასეთი მსაზღვრელი მხოლოდ მომდევნო საზღვრულს უკავშირდება**, ე. ი. აღარ იქმნება ხიფათი, რომ მათ ერთიმეორე დაკარგონ, ამიტომ ხდება მსაზღვრელის ბლოკირება საზღვრულის მიერ, ანუ ნიშნების გარეშე იმ გრამატიკული მნიშვნელობების მინიჭება მსაზღვრელისთვის, რომელ მნიშვნელობებსაც თვითონ ატარებს.

სწორედ ამ მიზეზით არის საჭირო გრამატიკული ანალიზის დროს ამა თუ იმ ბრუნვაში მსაზღვრელს მიეწეროს ნულოვანი ალომორფი, რომელიც ბლოკირების წესით იღებს იმ გრამატიკულ მნიშვნელობას, რაც საზღვრულის მატერიალურ ნიშნებს აქვთ მოცემულ ბრუნვაში. რომელიმე მცირე დარბაზმა, მაშასადამე, გრამატიკულ ანალიზში ჩაიწერება ამნაირად: მცირე-Ø დარბაზ-მა, სადაც /-Ø/ ალომორფი მოთხრობითი ბრუნვის /-მა/ სუფიქსის მნიშვნელობას ატარებს.

მსაზღვრელი საზღვრულს ყოველთვის შეთანხმებით უკავშირდება და არა მირთვით, რაც მაშინ არის სავარაუდებელი, როდესაც მსაზღვრელი უბრუნველად ცხადდება და ბრუნვის ნიშნად ნულოვან ალომორფს არ ვუწერთ.

როცა მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს, ერთიმეორის დაკარგვის ხიფათი ისეთივეა, როგორიც ძველ ქართულში იყო. ამიტომ პოსტპოზიციაში – საზღვრულის მომდევნოდ ატრიბუტული მსაზღვრული, მიუხედავად ფუძის დაბოლოებისა, უთუოდ მიიღებს ბრუნვის მატერიალურ ნიშანს. ატრიბუტული მსაზღვრელის ბლოკირება ამ ადგილზე ვეღარ ხერხდება, რადგან არის დიდი ალბათობა იმისა, რომ მას მიიტაცებს მომდევნო სუბსტანტივი. ასეთ მსაზღვრელს შუა ადგილი უკავია ორ სუბსანტივს შორის და სწორედ მატერიალური სახით ბრუნვის ნიშნების ქონა-არქონამ უნდა გადაწყვიტოს, რომელი სუბსანტივის თვისებას წარმოადგენს ის – წინისა თუ მომდევნოსი. დებულების საილუსტრაციოდ ავიღოთ წინადადება ანას ლექსიდან: „ხეებს ავყია ქარი შეარხევს“ (ანა). ამ წინადადებაში ატრიბუტული მსაზღვრელი „ავყია“ ორ სუბსტანტივს შორის მო-

მდევნოს თვისებაა („ავყია ქარი“); მსაზღვრელი მაშინვე წინა სუბსტანტივის თვისებად იქცევა, თუ ბრუნვებში მასაც იგივე მატერიალური ნიშნები გაუჩნდება, რომლებიც წინ მდგომ სუბსტანტივს აქვს: /ხეებს ავყიას ქარი შეარხევს/. ამ ოპერაციით გამოჩნდა, რომ პრეპოზიციაში ატრიბუტული მსაზღვრელი ბლოკირებულია მომდევნო საზღვრულის მიერ და შეთანხმებისთვის არ საჭიროებს გრამატიკულ-მატერიალურ სუფიქსებს (ბრუნვის ნიშნებს), მაშინ როცა ამ მსაზღვრელის მიტაცებისთვის წინ მდგომ სუბსტანტივს და მომდევნო მსაზღვრელს ყოველთვის ბრუნვათა მატერიალური მარკირება სჭირდებათ წყვილში: /ხეებს ავყიას ქარი შეარხევს/.

დებულება ძალაში რჩება მაშინაც, როცა ორივე სუბსტანტივი ერთსა დაიმავე ბრუნვაში დგას: /ხეებს ავყია ქარს არხევინებს/; შდრ. /ხეებს ავყიას ქარს არხევინებს/. მაშასადამე, თანამედროვე ქართულში მსაზღვრელის მიტაცებისთვის არსებითია საზიარო ბრუნვის მარკირება სუბსტანტივსა და მომდევნო ატრიბუტულ საზღვრულს შორის, ნულოვანი ალომორფით მსაზღვრელი ყოველთვის ბლოკირებულია მომდევნო სუბსტანტივის მიერ.

განსხვავებული პოზიციის საზღვრულისა და მსაზღვრელის შეთანხმება ეხება არა ბრუნვის მიხედვით განსხვავებას (აქვს თუ არა ბრუნვა მსაზღვრელს) – **ბრუნვა მათ მუდამ საერთო აქვთ**; საქმე ეხება ამ საერთო ბრუნვის ფორმებს მატერიალური და ნულოვანი ვარიანტებით, კერძოდ იმას, ხდება თუ არა მსაზღვრელის ბლოკირება საზღვრულის მიერ.

გავეცანით ატრიბუტული მსაზღვრელი სახელის ფორმაცვალებას (ბრუნვის ნიშნების დაკარგვას) პრეპოზიციაში საზღვრულის მიერ მისი ბლოკირების დროს. მსჯელობას განვაგრძობთ სუბსტანტიური მსაზღვრელის ფორმაცვალებაზე პრეპოზიციასა და პოსტპოზიციაში საზღვრულის მიერ მისი ბლოკირების დროს.

უპირველეს ყოვლისა, სუბსტანტიური მსაზღვრულის ფუძე წარმოქმნილია, რისთვისაც გამოიყენება ბრუნვის ნიშანი, რო-

მელიც აქ, როგორც წარმოქმნის ელემენტი, განკუთვნებას გამოხატავს და, კარგავს რა ბრუნვის ნიშნის ფუნქციას, ფუძის შემადგენელი ნაწილი ხდება. ამავე წესით სხვა ბრუნვის ნიშნებიც გამოიყენება სუბსტანტიურ მსაზღვრელთა ახალი ფუძეების საწარმოებლად (ბუნებით – ბ უ ნ ე ბ ი თ -ი ც ო ლ -ი; დიდად – დ ი დ ა ა დ **-ი** სიტყუა-**ჲ** და სხვ.).

-ის, -ით, -ად სუფიქსები ქმნიან მიმართებით ზედსართავებს და სინტაქსურ ურთიერთობაში ასეთი ზედსართავი სახელები იკავებენ ატრიბუტული მსაზღვრელის ადგილს: ცოლ-ი ბუნებით-ი, სიტყუა-ჲ დიდად-ი: სიტყუა-ჲ უფლისა-ჲ...

-ისა სუფიქსით ნაწარმოები სახელიც უნდა ატრიბუტულ მსაზღვრელად იქნეს მიჩნეული, როგორც **-ით** და **-ად** ~ **-დ** სუფიქსებით ნაწარმოები სახელები. რა თქმა უნდა, ასეთ მსაზღვრელებს „მართულს" ან „მართულ-შეთანხმებულს" ვეღარ ვუწოდებთ: ფუძის ნაწილად ქცეული **-ით, -ად** და **-დ**, ასევე **-ისა**, ბუნებრივია, სინტაქსურ ურთიერთობებში ვეღარ მონაწილეობენ, ეს ფუნქცია მათ მომდევნო (ანუ ფუძის მომდევნო) ბრუნვის ნიშნებს აკისრიათ. რადგან ეს ნიშნები საზღვრულისას ემთხვევა სრულად, საქმე გვაქვს შეთანხმებასთან: სიტყუა-ჲ უფლისა-ჲ, სიტყუა-მან უფლისა-მან, სიტყუა-სა უფლისა-სა... შდრ. ცოლ-ი ბუნებით-ი, ცოლ-მან ბუნებით-მან, ცოლ-სა ბუნებით-სა და ა. შ.

ძველ ქართულში, განსხვავებით **-ით, -ად** და **-დ** სუფიქსებისგან, ფუძისეული **-ისა** სუფიქსის მომდევნოდ ბრუნვის ნიშნები განსხვავებულად იხმარებოდა: ისინი პოზიციის მიხედვით ხან მარტერიალურად იყო წარმოდგენილი, ხან კი – ნულოვანი ალომორფებით, კერძოდ: **პოსტპოზიციაში -ისა** სუფიქსით დაბოლოებულ ფუძეებთან ბ რ უ ნ ვ ი ს ნ ი შ ნ ე ბ ი, როგორც **-ით** და **-ად** ~ **-დ** სუფიქსებით დაბოლოებულ ფუძეებთან, **აუცილებელი იყო**: სიტყუა-ჲ უფლისა-ჲ, სიტყუა-მან უფლისა-მან... შდრ. ცოლ-ი ბუნებით-ი, ცოლ-მან ბუნებით-მან... **პრეპოზიციაში** კი **-ისა** სუფიქსით ნაწარმოებ ზედსართავ სახელთა ფუძეებმა ბრუნებაში ნულოვანი ალომორფებით იწყო ბრუნვათა გაფორმება კლასიკურ ძველ ქართულში: უფლისა-Ø სიტყუა-**ჲ**, უფლისა-Ø სიტყუა-**მან**, უფლისა-Ø სიტყუა-**სა**... (შდრ. ბუნებით-ი ცოლ-ი, ბუნებით-

მან ცოლ-მან, ბუნებით-სა ცოლ-სა...).

ის რაც თანამედროვე ქართულის ნორმას წარმოადგენს ძველ ქართულშივე ჩაისახა **-ისა** სუფიქსით ნაწარმოებ ზედსართავ სახელთა ბრუნებისას საზღვრულის წინ; შდრ. თანამედროვე უფლის-Ø სიტყვა-Ø, უფლის-Ø სიტყვა-მ, უფლის-Ø სიტყვა-ს...

მიზეზი ნულოვანი ალომორფებით ბრუნებისა ძველსა და თანამედროვე ქართულში არის მსაზღვრელის ადგილი პრეპოზიციაში – პრეპოზიციური მსაზღვრელი ნულოვანი ალომორფებით მხოლოდ მომდევნო საზღვრულთან იყო დაკავშირებული; ძველ ქართულში ის ვერ იქცეოდა წინ მდგომი საზღვრულის თვისების გამომხატველად, ე. ი. ძველ ქართულში არ არსებობდა ასეთი წყვილები: სიტყუა-**ჲ** უფლისა-Ø, სიტყუა-**მან** უფლისა-Ø, სიტყუა-**სა** უფლისა-Ø... კანონიკური იყო ბრუნვებში მატერიალურად გაფორმებული მსაზღვრელი: სიტყუა-**ჲ** უფლისა-**ჲ**, სიტყუა-**მან** უფლისა-**მან**, სიტყუა-**სა** უფლისა-**სა**, სიტყუ-ისა (სიტყჳსა) უფლისა-**ჲსა** და ა. შ. ეს ძველ ქართულში აუცილებელი იყო. ამ ბრუნვის ნიშანთა გარეშე ასეთი მსაზღვრელი მომდევნო სუბსტანტივის თვისების გამომხატველად იქცეოდა: წინადადებაში /სიტყუაჲ ესე უფლისა მოციქულმან გუამცნო/ „უფლისა“ მსაზღვრელია „მოციქულმან“ წევრისა და არა „სიტყუაჲ“ წევრისა. „ადიდა ძ ს (-ძე-ჲ – თ. უ.) კაცისაჲ და ღმერთიც იდიდა მის თანა“ (ი. 13.31); შდრ. „ორისა კაცისა წამებაჲ ჭეშმარიტ არს“ (ი. 8. 17); „უმჯობეს არს კაცისა ერთისა სიკუდილი ერისათჳს“ (ი. 18. 14).

რა მოხდა ახალ ქართულში, რატომ გახდა შესაძლებელი ძე-მ კაცისა-Ø, ძე-ს კაცისა-Ø, ძე-დ კაცისა-Ø...?

ახალ ქართულში „ემფატიკური -ა“, განსხვავებით ძველი ქართულისგან, დამოუკიდებელ ელემენტად იქცა*, წარმოადგენს დიერემას – კონსტრუქციას კეტავს: მსაზღვრელი, რომელიც ამ **-ა** სუფიქსით ბოლოვდება, უკავშირდება **მხოლოდ** იმ სუბსტანტივს (საზღვრულს), რომელსაც მოსდევს და არა იმას,

* ძველ ქართულში განსაზღვრებითი ელემენტის ფუნქციის დაკარგვის შემდეგ -ა სუფიქსი ბრუნვის ნიშნებს შეუერთდა.

რომელსაც უსწრებს: წინადადებაში /სიტყვა კაცისა ძმებს მოეწონათ/ თანამედროვე ქართულში „კაცისა“ მსაზღვრელია „სიტყვა“ წევრისა. -ა (კაცისა) დელიმიტაციური ელემენტია, საზღვარი მის შემდეგ იკეტება, ამით „კაცისა“ მსაზღვრელის კავშირი მომდევნო „ძმებს“ წევრთან გამორიცხულია, მაშასადამე, დაყოფა ამ წინადადებაში ასეთი იქნება /სიტყვა კაცისა ძმებს მოეწონათ/. გამოჩნდა, რომ მსაზღვრულის ფორმაში -ა სუფიქსი ცალსახად გამოყოფს მსაზღვრელისა და საზღვრულის სინტაქსურ წყვილს.

როგორც კი ასეთი სინტაქსური წყვილები იქმნება, ენაში მაშინვე ხორციელდება სერიოზული ფორმალური ცვლილებები – მსაზღვრელი ბრუნვებში გადადის ნულოვან დაბოლოებაზე: ძველი ქართულის წინა პერიოდის კაცისა-ჲ სიტყუა-ჲ, კაცისა-მან სიტყუა-მან, კაცისა-სა სიტყუა-სა... თითქმის სრულიად შეიცვალა კლასიკურ პერიოდში (IX, X სს): კაცისა-Ø სიტყუა-ჲ, კაცისა-Ø სიტყუა-მან, კაცისა-Ø სიტყუა-სა... ფორმებით, მაგრამ ამის გვერდით არ შეცვლილა სიტყუა-ჲ კაცისა-ჲ, სიტყუა-მან კაცისა-მან, სიტყუა-სა, კაცისა-სა... რადგან „ემფატიკური -ა“ ჯერ კიდევ არ იყო გამოყოფილი ცალკე ელემენტად და თანაც პარალელურად მკვიდრდებოდა კაცისა-Ø სიტყუა-ჲ, კაცისა-Ø სიტყუა-მან, კაცისა-Ø სიტყუა-სა... ამ ვითარებაში პოსტპოზიციურ მსაზღვრელთან კავშირი შეიძლება დაეკარგა მის წინ მდგომ საზღვრულს, ამიტომ საჭირო გახდა ბრუნვებში მატერიალურად გამოხატული სრული შეთანხმება: /სიტყუა-ჲ კაცი-სა-ჲ ძმებმან მოიწონეს/; შდრ. /სიტყუა-ჲ კაცისა-Ø ძმებმან მოიწონეს/.

-ა სუფიქსის მიერ დელიმიტაციის უნარის შეძენის შემდეგ კანონიკური ფორმებია: სიტყვა-Ø კაცისა-Ø, სიტყვა-მ კაცისა-Ø, სიტყვა-ს კაცისა-Ø, სიტყვა-დ კაცისა-Ø... ამიტომ წინადადებაში /სიტყვა კაცისა ძმებმა მოიწონეს/ „კაცისა“ წინ მდგომი სუბსტანტივის მსაზღვრელია და არა მომდევნო სუბსტანტივისა. სამაგიეროდ „ემფატიკური -ა“ დაკარგა პრეპოზიციურმა სუბსტანტიურმა მსაზღვრელმა, აღარ შეიძლება /კაცისა ძმები/ ან /კაცისა ძმებმა/.

Tedo Uturgaidze

Morphonological and Morphosyntactic Aspects of the Historical Grammar of Georgian

The 5th century and later records highlight the changes, having occurred in Standard Georgian.

The Georgian language abounds in dialects. They are frequently associated with the grammatical phenomena, evidenced in ancient records, by means of well-preserved archaisms and by means of independently generating similar phenomena, **relying on common pre-requisites, at the spatial and temporal axes of the language in various epochs and at various locations.**

Grammatical categories of the inflectional parts of speech have essentially been preserved in the language; however, the plane of expression of elements of these categories has been considerably altered owing to morphonological and morphosyntactic causes. Alongside these phenomena, the changes, made in order to avoid coincidences of forms in conjugation paradigms, should be focused. These changes will be individually dealt with later.

Of the morphonological changes, we are concerned (1) in Khanmeti and Haemeti texts (5th-8th cc.), with metathesis of the 1st person direct or indirect object marker {*v-*} when following the 3rd direct object person marker */x-/* (resp. */h-/* in Haemeti texts), and (2) with the issue of the marking of the 3rd direct object person in the Series I forms of active verbs.

In the texts of Old Georgian, the prefix {*v-*}, as the (S_1) marker, is represented by three allomorphs: */v-/~/w-/~/∅-/*. Of them, the zero marker occurs in the preceding position of the stems begining with the vowels */u/*, */o/* and the consonant */v/*: *miup'q'ar* (<**mivup'q'ar*), *šeorguldi* (<**ševorguldi*), *štavardi* (<**štavvardi*).

The Georgian phonotactics does not allow the unnatural /*v*+rounded vowel/ and consonant gemination within a single morpheme; with respect to the said condition, the aforementioned changes at morpheme junctions became possible as a result of the pressure of the phonemic system.

The morphological change has caused the occurrence of the allomorph */w-/* as an S_1 marker: in the Khanmeti and Haemeti texts, the */w-/* occurs following the */x-/* as an O_3 marker (resp. following the */h-/* in the Haemeti texts): *x-w-et'q'ui, x-w-arku, ağ-x-w-ageb...* (the Old Georgian spelling was ხუეტ̈ყ̈ჳ, ხუარკუ, აღხუაგებ...). In the Haemeti texts, the prefix */h-/* occurred instead of the */x-/*.

In classical Old Georgian (9th-11th cc.), these forms no longer occur – here, the S_1 marker */v-/* precedes the O_3 */-h/* or its phonetic varieties: */s-/* and */š-/* (*da-v-h-ban, še-v-h-k'reb, da-v-s-tes, da-v-š-č'ri*).

What was happening in the Khanmeti and Haemeti texts? Why did the S_1 prefix */v-/* move to the following position of the O_3 marker */x-/* (resp. */h-/*) in the first person forms of bi- and tri-personal verbs?

A purely morphological process takes place here: (1) within a single morpheme, the combination */vx/* does not exist in the #--V position, while the reverse order */xv/* is natural in the same one. This rule is much wider: in this position, it is not natural to have */v*+obstruent consonant*/*, while the reverse order is regular; (2) meanwhile, following obstruents, within a single morpheme, the */v-/* occurred as the allomorph [*w*]. This alternation was in effect with morphological items, and the *v-x* (S_1-O_3) was replaced by the sequence [*x-w*], resulting in the forms like *xuet'q'ui, šexuabt, xuesav*, etc. A similar formation is attested in the Haemeti form *mohuguare*; however, the *v-h-* combination, canonical to Old Georgian, seems to have occasionally occurred in an intervocalic position, the */v-/* (S_1) was inserted into a syllable, produced by preverb vowel, and neutralized phonemic awkwardness: in the Haemeti text, published by A. Shanidze (1923), *davhtesi* occurs (*„movimk'i r¯i ara davhtesi“*). A text of that period might have shown *dahutesi*: the sequence *h-u-* (O_3-S_1-) was accommodated into preverbed forms from preverbless ones.

It should also be mentioned that, in the 20th century, the eastern Georgian dialect **Tush** and the western Georgian dialect **Shavshian** (spoken in Turkey) evidence the verb forms, in which, from the position preceding an obstruent, the S_1 */v-/* is displaced to the position, following an obstruent: *tves* (<*vtes*) 'I sow'...

Tush belongs to the group of Pkhov dialects, also including Khevsur and Mokhevian. The phenomenon in question, reminding us Old Georgian, has not been characteristic to other dialects of the

Pkhov group. Likewise, Shavshian stands detached from other south-western dialects owing to the phenomenon. Meanwhile, the two dialects, having been spoken in the extremely distanced locations from each other (extreme east and extreme west), have never had any kind of linguistic contact. This phenomenon – metathesis of the S_1 */v-/* from a phonemically unnatural position to a phonemically natural one – has emerged in Ancient Georgian and in the said present-day dialects independently of each another: for a common morphonological controversy, one and the same solution was found for the disintegration of a phonemically unnatural cluster – S_1 */v-/* moved to a phonemically natural position.

It should also be noted that, in another dialect (for instance, in Kartlian of Dusheti District, in Mtiulian), the S_1 */v-/* is totally omitted from a verb form owing to phonemic incompatibility: *me č'am* (< *vč'am* 'I eat'), *me dgebi* (< vdgebi 'I get up'), *me tesav* (< *vtesav* 'I sow'), etc.

It was found that the language seriously suffered from this, so to say, genetic morphonemic controversy, and, at times, in the clash of the morphological rank system and the phonemic syntagmatic regularities, the phonemic requirement took over, resulting in the metathesis of the S_1 */v-/* in the geographically and temporally distanced dialects of the 5th-8th centuries and contemporary Georgian language.

For the sake of the complete characterization of the phonetic aspect of the metathesis of the S_1 */v-/*, it is rather significant to highlight some of its positions in the Tush dialect: whenever, within a verb form, the */v-/* (S_1) **follows preverbs* or precedes the sonorants *r, l, n*, it does not alter its position**, as far as, within preverbed forms, the */v-/* happens to get inside a syllable, created by a preverb vowel, and no longer makes any phonological inconsistencies with a following consonant; in the position, preceding three sonorants */r, l, n/*, the */v-/* holds a natural position, and, therefore, there is no need to alter its position immediately after a pause.

* In highland dialects, preverbs always end in a vowel. Even the preverbs ***c'ar-, gan-, ağ-*** no longer have a final consonant.

As for different attitudes to morphonematic controversies on the part of dialects, the issue will be addressed based on the data of Old Georgian and two dialects of the Pkhov group: Khevsur and Tush.

Third person direct object (O_3^d) was sometimes marked and sometimes not in the six screeves of Series I, in which it was in the dative. I target bi-personal active verb forms in which only the S and O_3^d are presented.

The analyses of the forms in question have not yielded a criterion to determine when a dative **third person direct object** was and was not to be marked; some verbs had the mark, some verbs did not; others sometimes had it and sometimes did not. This diverse situation was conceived as an impact of dialects on the standard language; hence, three groups of bi-personal active verbs were identified in ancient texts in which (1) O_3^d was marked, (2) O_3^d was not marked, (3) sometimes O_3^d was marked and sometimes not. **Individual verbs, making up these groups without any rule, were identified** (A. Shanidze, 1920, §§ 39, 40, 41).

Dialects, of course, always influenced the standard language; however, Old Georgian appeared to have been rather regulated in that case: if a transitive verb had no preverb in Series I, an O_3^d marker did not appear in the verbs who used to have it in preverbed forms (Group 1), and, vice versa, if they had a preverb, an O_3^d marker appeared in the verbs who did not have it when devoid of a preverb (Group 2); Group 3 verbs were distributed across Group 1 and Group 2 with respect to (in)occurrence of a preverb (the data were presented extensively by I. Imnaishvili, 1971, pp. 164-189). I. Imnaishvili also noted that the situation in Khevsur was similar to that of Old Georgian (ibid., p. 189), as different from the adjoining Tush dialect in which a person marker always occurs if an O_3^d is in the dative case (ibid., p. 203). He similarly treated this phenomenon as a preservation of the Old Georgian constraint – as a relic of a dialect constraint, in accordance with which, an O^d was always marked when the object was in the dative case.

In Old Georgian and Khevsur, it was a pure morphonological case, viz., in preverbed forms, a dative O_3^d marker appears within a syllable of a preverb vowel and neutralizes the phonemic controversy in pronunciation: ***tlis***, but ***gamostlis*** (according to syllables: *ga mos-*

tlis); ***k'lvida***, but ***mohk'lvides*** (*moh-k'lvi-des*); ***c'ers***, but ***dasc'ers*** (*das-c'ers*), etc. These phonological constraints are in effect in Old Georgian and Khevsur. The clusters ***st-, hk'-, sc'-***... were unnatural in the word-initial position.

As for Tush, morphological constraints are instrumental here – phonemic disorder is spared, and the O_3^d marker occurs where it should be in accordance with the morphological rank system: ***stlis – gamostlis, sc'ers – dasc'ers, xk'lavs – moxk'lavs***, etc.

Of course, Khevsur and Tush, having been distanced from the literate area and the influence of the standard language, have not retained that distinct verb-formation owing to any tradition. This is how distinctly the mutually controversial requirements of the systems of various linguistic levels are realized. Such differences are not rare in present dialects and the standard language; it was partly dealt with in the introductory chapter of the work.

The book discusses the novel forms, having been in use together with canonical forms in the standard language and dialects.

Georgian has several kinds of passives. Their paradigms were strictly delimited in both numbers by means of some markers, viz., prefixated plural passives take on the pleonastic *-en–-n* (< {*-en*}) suffixes in series II. The pleonastic *-en–-n* was characteristic to unmarked and suffixated passives. In the Middle Ages, in some variants of *The Knight in the Panther's Skin* and in the Kartlian dialect, unmarked passive forms, derived by these suffixes, appear: ***darčnes*** 'They stayed,' ***darčnes*** 'I left them,' etc. Similar forms rather frequently occur in the variants of *The Knight in the Panther's Skin*. In the Tush dialect, they are canonical (***gavšrent*** 'We dried ourselves,' ***gašrent*** 'You dried yourselves,' etc.). In this dialect, the pleonastic *-en–n* is canonical even in suffixated passives: ***davšordent*** 'We parted,' ***dašordent*** 'You parted,' ***dašordnes*** 'They parted.' Forms, similar to the *-d*-suffixated passives, are not evidenced elsewhere.

I introduce the term *blocking* – blocking of parts of sentence. This has to do with the cases whenever one part of sentence, by means of its inflectional elements, determines inflectional features of another, so that the other one no longer takes on those markers materially – they occur as zero allomorphs; e.g.

mc'vane-Ø-Ø mindvr-eb-i
green-PL-NOM field-PL-NOM

mc'vane-Ø-Ø mindvr-eb-ma
green-PL-ERG field-PL-ERG

The case and number agreement of the attributive modifier is carried out by means of zero allomorphs, rendering the meanings of the inflectional elements of the head. A similar situation occurs with a right-hand substantive modifier whenever it ends in the suffix *-a*, having turned into a diaereme: **nu damit'iros** ***sat'rpom gulisa*** "Nor shed thou tears nor grieve, my love" (Nikoloz Baratshvili):

sat'rpo-m gulisa-Ø
lover-ERG heart-ERG

The zero allomorph performs the function of an inflectional marker of the head.

Blocking also occurs with object arguments whenever they are rendered by the reflexive pronoun ***tavi***: the person and number of a subject will be the same with a corresponding object, rendered by the pronoun ***tavi***; e.g. čven **tavi** mogac'onet šen "We made you like us [ourselves]" – '*tavi,*' as a direct object, is in the first person and plural. Blocking is enacted by the subject **čven** 'we' (1st person, plural). The direct object **tavi** will turn into a subject in the converted passive and will be conveyed by the differentiated **čven** pronoun (revealing its plural): /čven **tavi** mogac'onet šen "We made you like us [ourselves]"/–/ **čven** mogec'onet šen "You liked us"/.

The work discusses the change of inflectional elements, coinciding in form but differing in meaning, used for the sake of distinctions in the plane of expression; for instance, with their planes of expression, Imperfect Iterative and Conjunctive I totally coincided in the three persons and in the two numbers. For the sake of distinguishing between the forms coinciding in the 3rd person plural, sometimes Iterative showed the suffix *-ed* instead of the canonical suffix *-an* (I. Imnaishvili & V. Imnaishvili), hinting to the category of iteration; e.g. *et'q'odied*; cf. Present Iterative *et'q'vi-ed*.

Al. Chincharauli suggested that, in the highland dialects of eastern Georgia, the suffixes *-id* and *-od* were inserted into forms of Iterative II in order to demarcate them from forms of Imperfect: ***davabi*** and ***daabi*** are shared forms in the 1st and 2nd persons (also ***davabit*** and ***daabit***); after inserting the suffix *-id*, the forms of Iterative

II became different: ***davabidi, daabidi; davabidit, daabidit***. This is how forms of *-d*-suffixated passives, of *-ed*-suffixated unmarked passives, Imperfect and Iterative II active forms with the thematic marker *-ob*.

I believe that, in later Old Georgian (9th, 10th cc.), the *-od*-suffixated, so called 'mixed forms' of Series II came into being for the sake of demarcating of forms of Imperfect and Iterative II with respect to their planes of expression.

ლიტერატურა

აბულაძე 1973 – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

ანტონ პირველი 1997 – ანტონ პირველი, ქართული ღრამმატიკა (მეორე რედაქცია), თბ., 1997.

ახვლედიანი 1999 – გიორგი ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1999.

ბროსე 1834 – M. Brosset, L'art liberal ou Grammaire Georgienne, Paris, МДСССХХХIV.

ბეროზაშვილი 1965 – თამარ ბეროზაშვილი, ნიკო ლომოურის ენის სინტაქსური თავისებურებანი, „მაცნე", ენისა და ლიტერატურის სერია, 6, 1965.

გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965 – თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.

გიგინეიშვილი 1975 – ივ. გიგინეიშვილი, გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის" ენისა და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ, თბ., 1975.

გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე 1961 – ივ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961.

დანელია 1998 – კ. დანელია, ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, ტ. I, 1998.

დეეტერსი 1926 – G. Deeters, Armenisch und Südkaukasisch, "Caucasica", 1926, Fasc. 3.

დონდუა 1967 – К. Дондуа, О двух суффиксах монжественности в грузинском; კ. დონდუა, რჩეული შრომები, I, 1967.

„ვეფხის ტყაოსანი", 1951 – შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, 1951 (ალ. ბარამიძის, კ. კეკელიძის, ა. შანიძის რედაქციით).

„ვეფხის ტყაოსანი", 1966 – შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, 1966 (ა. შანიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით).

ზურაბიშვილი 1972 – თ. ზურაბიშვილი, მავრცობი ა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი I, თბილისი, 1972.

თოფურია 1956 – ვ. თოფურია, წოდებითი ბრუნვისთვის, კრებულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, თბ., 1956.

თოფურია 1946 – ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში, იკე, I, 1946.

თოფურია 1967 – ვ. თოფურია, სვანური ენა, I, ზმნა; შრომები, I, თბ., 1967.

თოფურია, გიგინეიშვილი 1998 – ვ. თოფურია, ი. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1998.

იმნაიშვილი 1957 – ივანე იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957.

იმნაიშვილი 1971 – ივანე იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. II, თბ., 1971.

იმნაიშვილი 1975 – ივანე იმნაიშვილი, სინური მრავალთავი, თბ., 1975.

იმნაიშვილი ი., იმნაიშვილი ვ. 1996 – ივანე იმნაიშვილი, ვახტანგ იმნაიშვილი, ზმნა ძველ ქართულში (ნაწ. I და II), ფრანკფურტი, 1996.

კახაძე 1954 – ოტია კახაძე, ოკრიბულის თავისებურებანი, იკე, VI, 1954.

კიკნაძე 1983 – ი. კიკნაძე, ერთი ენობრივი ტენდენციის შესახებ თანამედროვე ქართულში, საენათმეცნიერო ძიებანი, 1983.

კიკნაძე 1987-88 – ი. კიკნაძე, მესამე პირის ობიექტის მრავლობითობის გამოხატვისათვის თანამედროვე ქართულში დიალექტებთან მიმართებით, დიალექტოლოგიური კრებული, 1987-88.

კურილოვიჩი 1962 – Е. Курилович, Вопросы теории слога, Очерки по лингвистике, 1962.

კუხალაშვილი 1994 – მ. კუხალაშვილი, ნაწილაკები ქართულ ენაში იმერული კილოს მონაცემთა მიხედვით, სადისერტაციო მაცნე, 1994.

მარი 1925 – Н. Я. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925.

მთაწმიდელი 1946 – გიორგი მთაწმიდელი, ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, თბ., 1946.

ნიჟარაძე 1967 – შ. ნიჟარაძე, ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, ბათუმი, 1967.

პულგრემი 1965 – E. Pulgram, Consonant cluster, consonant sequence and the Syllable, "Phonetika", 13, 1965.

პაოლინი, ირბაქი 1629 – Stefano Paolini, Niceforo Irbachi, Dittionario Georgiano e Italiano, MDCXXIX.

რუსთაველი – შოთა რუსთაველი – იხ. „ვეფხის ტყაოსანი".

სამოციქულო 2009 – ქართული სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი, 2009.

სარჯველაძე 1984 – ზურაბ სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის შესავალი, თბ., 1984.

სარჯველაძე 1997 – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბ., 1997.

სურმავა 1989 – ნ. სურმავა, ზმნის პირთა რიცხვის აღნიშვნის ისტორიიდან, იკე, ტ. XXVIII, 1989.

ტრახტეროვი 1956 – А. Л. Трахтеров, Основные вопросы слога и его определение, ВЯ, 1956, №6.

უთურგაიძე 1960 – თ. უთურგაიძე, თუშური კილო, თბ., 1960.

უთურგაიძე 1969 – Ф. Г. Утургаидзе, Фонематическая структура горских диалектов грузинского языка в соотношении с литературным языком. Автореферат, Тб., 1969.

უთურგაიძე 1976 – თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976.

უთურგაიძე 1985 – თ. უთურგაიძე, გავრცობის -ა-ს დისტრიბუციის შეცვლა სუბსტანტიურ მსაზღვრელთან და მისი

სინტაქსური შედეგები ქართულში, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, №2, 1985.

უთურგაიძე 1986 – თ. უთურგაიძე, ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, თბ., 1986.

უთურგაიძე 1995 – თ. უთურგაიძე, [ვ]-სა და [უ]-ს მიმართებისათვის ძველი ქართულის ფონემატურ სისტემაში, კრებულში: ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 1995.

უთურგაიძე 1999 – თ. უთურგაიძე, ქართული ენის შესწავლის ისტორია, 1999.

უთურგაიძე 2000 – თ. უთურგაიძე, კვლავ წყვილბაგისმიერი უ და კბილბაგისმიერი ვ თანხმოვნების სტატუსისათვის ძველ ქართულში, იკე, XXXV, თბ., 2000.

უთურგაიძე 2002 – თ. უთურგაიძე, გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში, 2002.

უთურგაიძე 2009 – თ. უთურგაიძე, ქართული ენის დონეთა ძირითადი მახასიათებლების ურთიერთზემოქმედებისათვის გლობალურ ენობრივ სისტემაში, თბ., 2009.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 – ჰაინც ფენრიხი, ზურაბ სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, 2000.

ფოჩხუა 1974 – ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, 1974.

ქავთარაძე 1985 – ივანე ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, 1985.

ღლონტი 1984 – ა. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, 1984.

შალვაშვილი 1991-1992 – ლეილა შალვაშვილი, პირველი და მეორე პირის მოულოდნელი კომბინაციები, იკეწ, XVIII-XIX, 1991-1992.

შანიძე 1920 – ა. შანიძე, აკაკი შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ტფ., 1920.

შანიძე 1923 – ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, ტუმ, III, ტფილისი, 1923.

შანიძე 1929 – ა. შანიძე, ქართული ხელნაწერები გრაცში, ტუმ, IX, 1929.

შანიძე 1945 – ა. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, თბ., 1945.

შანიძე 1946ა – ა. შანიძე, გიორგი მთაწმიდლის ენა იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით (ერთვის გიორგი მთაწმიდლის ნაშრომს), თბ., 1946.

შანიძე 1946ბ – ა. შანიძე, მწკრივთა მოძღვრებისათვის, II, ერთი უცნობი მწკრივი ქართულში, თსუ სამეცნიერო სესია, 1946 (მოხსენებათა კრებული), თბ., 1947.

შანიძე 1956 – ა.შანიძე, ვეფხის-ტყაოსნის სიმფონია, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბ., 1956.

შანიძე 1957 – ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, თბ., 1957.

შანიძე 1959 – ა.შანიძე, სინური მრავალთავი 864 წლისა, თბ., 1959.

შანიძე 1973 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.

შანიძე 1976 – ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.

შანიძე 1984ა – ა. შანიძე, მთის კილოთა ლექსიკონი, თხზულებანი, ტ. I, თბ., 1984.

შანიძე 1984ბ – ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში, თხზულებანი, I, 1984.

ჩიქობავა 1942ა – არნ. ჩიქობავა, მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში, სმამ, ტ. III, №2, №3, 1942.

ჩიქობავა 1942ბ – არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942.

ჩიქობავა 1948 – არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, 1948.

ჩიქობავა 1950 – არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადენათმეცნიერული დახასიათება; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, 1950.

ჩიქობავა 1954 – არნ. ჩიქობავა, მრავლობითობის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში, იკე, VI, 1954.

ჩიქობავა 2010 – არნ. ჩიქობავა, რით არის წარმოდგენილი მრავლობითობის სახელობითში დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველს ქართულში, შრომები, II, 2010.

ცინცაძე, ფალავა 2011 – მ. ცინცაძე, მ. ფალავა, შავშური კილო, კრებულში: შავშეთი, 2011.

ცოცანიძე 2002 – გ. ცოცანიძე, თუშური ლექსიკონი, 2002.

ძოწენიძე 1973 – ქეთევან ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, 1973.

ჭინჭარაული 1960 – ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, 1960.

ჭრელაშვილი 2002 – კ. ჭრელაშვილი, წოვა-თუშური ენა, თბ., 2002.

ჯაფარიძე 1975 – ზ. ჯაფარიძე, პერცეფციული ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბ., 1975.

ჯორბენაძე 1989 – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, 1989.

ჰაუგენი 1956 – E. Haugen, The Syllable in linguistic description, "For Roman Jakobson", 1956.

სარჩევი

შესავალი 3
ქართული ენის სახელი 20
ქართული ზმნის პირები და მათი კომბინაციები ისტორიულ ასპექტში 61
ხანმეტობისა და ჰაემეტობის ქრონოლოგიური მიმართებისათვის 96
არატრადიციული განმეორებადი არქაიზმი 110
Oᵈᵖ {-ენ} (/-ენ/–/-ნ/) და Oᵈᵖ{-თ} (/-თ/–/-Ø/) იდენტური მნიშვნელობის სუფიქსთა გრამატიკული ღირებულებისათვის 119
ინოვაციური ფორმები უნიშნო ვნებითთა მრავლობით რიცხვში 141
სუბიექტის სიმრავლის ჭარბად აღნიშვნა აქტივთა და მედიოაქტივთა ფორმებში 146
-ოდ და -იდ სუფიქსები ძველ ქართულსა და აღმოსავლეთი საქართველოს მთის დიალექტებში 155
დელიმიტაციური სისტემის ჩამოყალიბებისათვის ქართულ ენაში 170
ენობრივ ცვლილებათათვის 184
T. Uturgaidze, Morphonological and Morphosyntactic Aspects of the Historical Grammar of Georgian 194
ლიტერატურა 201